საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ლია ქიტიაშვილი

# 1763-1809 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი „ხოჯავანთ იოვანეს მისიონარული დღიური წერილების“ მიხედვით

*დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი*

აკადემიკოსი: მარიამ ლორთქიფანიძე

თბილისი

2014

# სარჩევი


ანოტაცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5-7

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 8-13

თავი I. წყაროთმცოდნეობითი ბაზა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 14-16

1.1. ნაშრომის ისტორიოგრაფია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ... 16-30

თავი II. ავტორის ვინაობის საკითხისათვის- . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ..31-34

2.1 ივანე გვარამაძის ბიოგრაფიული ცნობები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 34-42

თავი III. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილი ხელნაწერის ახლანდელი მდგომარეობა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .....43-45

3.1.ივანე გვარამაძის „მისიონარული დღიურისა'' და შ. ლომსაძის „ახალციხური ქრონიკების'' შედარებითი დახასიათება.............................................45-54

თავი IV ნ.ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკის'' დახასიათება...55-58; „ახალციხური ქრონიკის'' ნიკო ბერძენიშვილისეული ვარიანტის შედარება ივ. გვარამაძისეულ ვარიანტთან, კვლევის ანალიზი....58-66; ნ.ბერძენიშვილის ჩანაწერები……………..66-69

**თავი IV. ნ.ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკა" . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .....56-59**

**4.1. ნ. ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკის" კვლევის ანალიზი . . . . . . . . 59-67**

**4.2. ნ.ბერძენიშვილის-ჩანაწერები(ფურცელი №1) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .67-70**

თავი V. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური წერილებიდან'' სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკურ-სოციალური ვითარების მიმოხილვა….70-77; სამცხე-საათაბაგოს ქართველობა და მათი მენტალობის საკითხი ქრონიკებში შემონახული გვარ-სახელების მიხედვით ……77-84.

**თავი V. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკურ-სოციალური ვითარების მიმოხილვა.. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ...71-78**

**5.1. „მისიონარულ დღიურ-წერილებში" შემონახული გვარ-სახელების მიხედვით ჩამოყალიბებული მოსაზრებები სამცხე-საათაბაგოს ქართველობისა და მათი მენტალობის შესახებ: . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ...........78-85**

თავი VI. კათოლიკეთა საკითხი ახალციხის საფაშოში, სომეხი უნითორი, ლათინ-კათოლიკური ურთიერთობები და რელიგიური დაპირისპირებანი. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებიდან.'' . . . . . ....85-98

თავი VII. XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის იმერეთის სამეფო ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' ქრონიკების მიხედვით. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ....99-113

7.1. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერლების'' მიხედვით, ერეკლე II-ის ურთიერთობების რამოდენიმე საკითხი იმერეთთან , მეფის რუსეთთან და ახალციხის საფაშოსთან.. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ...113-124

თავი VIII. ახალციხის საფაშოს როლი XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებისა'' და გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის მიმოხილვის ფონზე. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ....125-136

8.1. ახალციხის საფაშოს მმართველობის სტრუქტურის საკითხისათვის ..137-141

8.2. ახალციხის საფაშო, „ლეკიანობა'', დემოგრაფიული ვითარება. . . . . . .141-152

თავი IX. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' მიხედვით, XVIII-XIX საუკუნეების სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ყოფითი ცხოვრების რამდენიმე საკითხისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ....153-163

დასკვნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .....164-172

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 172-176

დანართები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# დანართები

დანართი 1. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 34

დანართი 2 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 34

დანართი 3 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 41

დანართი 4 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 41

დანართი 5 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 41

დანართი 6 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 41

დანართი 7 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ..გვ 43

დანართი 8. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .გვ 56

დანართი 9. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 71

დანართი 10 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .გვ 91

დანართი 11 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 100

დანართი 12 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 114

დანართი 13,14,15, . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ 127

დანართი 16 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .გვ 162

დანართი 17,18,19........................................................................................................ გვ 164

# ანოტაცია

სამცხე 1266 წელს „ხასინჯუს'' სტატუსით პირველად ჩამოშორდა საქართველოს მონღოლების ძალისხმევით, თუმცა გიორგი ბრწყინვალემ 1334 წელს იგი საქართველოს იურისდიქციას დაუქვემდებარა. XV საუკუნიდან კი მოვლენები ასე განვითარდა:1) 1453წ დაეცა ბიზანტიის იმპერია და 1475 წლიდან შავი ზღვის აუზის ფაქტიური მფლობელი გახდა თურქ-ოსმალეთი, რომელსაც XVI ს-ში რეალური მეტოქე არ ჰყავდა აღმოსავლეთში; 2)1490წ. იურიდიულად შედგა საქართველოს დაშლა სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ. (კახეთის სამეფო 1466წ, ქართლის-1479წ, იმერეთის 1484წ და სამცხის სამთავრო); 3) ქართულ სამეფოებს შორის დაიწყო სისხლიანი დაპირისპირებები აღსავსე დეგრადირებული პოლიტიკური ხედვით; 4) XV-XVIII საუკუნეებში ჯერ კახეთის, ხოლო მომდევნო საუკუნეებში ქართლისა და იმერეთის სამეფოებმა რუსეთთან დიპლომატიები აწარმოეს, რამაც კიდევ უფრო ინტენსიური გახადა ოსმალეთისა და ირანის თავდასხმები საქართველოზე; 5) 1555 წ. ამასიის და 1590 წ. სტამბულის დაზავებებით ამ ორმა იმპერიამ საქართველო დაინაწილა, დაიკანონა, ხოლო 1595წ. ზემო ქართლში (სამცხეში) ოსმალების მიერ „გურჯისტანის ვილაიეთის'' შექმნამ, რომელიც მოგვიანებით ახალციხის საფაშოდ იწოდებოდა, პრაქტიკულად სამასი წელი გასტანა და უაღრესად მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა მესხეთის მოსახლეობას. 6) ოსმალობა და ყიზილბაშობა მძვინვარებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, რომლის ყველაზე საშიში შედეგები XVIIIს-ში მოიყრის ერთად თავს; 7) განსაკუთრებული ზიანი ამ თვალსაზრისით ქვეყნის განაპირა რეგიონებს მიადგა. გამონაკლისი არც სამცხე აღმოჩნდა, რომლის გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა ოსმალეთის იმპერიული აზროვნების მთავარ პრიორიტეტად იქცა აზიაში; 8) სამცხის ძირითადი მოსახლეობის ქართული სამამულო მენტალობისაგან ჩამოშორება და გაოსმალება შეუქცევადი მოვლენა გახდა. 9) თურქულ-ირანული აღვირახსნილი პოლიტიკისაგან დაიწყო არაერთგვაროვანი გზების ძიება.

როდესაც ხოჯავაანთ იოვანე 1763-1809 წლის ქრონიკებს წერდა, სამცხე-ჯავახეთში ერთმანეთს ეცილებოდა ოსმალური, სომხური, ბერძნული, ლათინური, რუსული მსოფლმხედველობა. ყოველივე უპირობოდ ერეოდა საფაშოს ქართული მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს. პოლიტიკურ-რელიგიური იდეოლოგიების ბრძოლაში,

გზაჯვარედინზე დარჩენილი მესხეთის ქართველობა მკვეთრ გადაწყვეტილებებს ღებულობდა. რა თქმა უნდა-არაერთგვაროვანს, არასიმედოს. უმეტესად, იძულებითი პოლიტიკური ფაქტორებით განპირობებულს.

„საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი'', ყოველდღიური ჩანაწერების კრებულია. ეს ნარატიული წყარო, ერთგვარად თავს უყრის სამხრეთ დასავლეთ საქართველოში მომხდარ მოვლენებს, რომელთა სპექტრი საკმაოდ შინაარსიანი და მდიდარია.

აღნიშნული ხელნაწერი ძირითადი ამოსავალი ბაზაა ჩვენი კვლევის. მასზე დაყრდნობითა და ზემო ქართლზე ისტორიოგრაფიაში არსებული ნაშრომების შეჯერებით, ქრონოლიგიურ დინამიკაში წარმოვადგინეთ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს მიერ განვლილი ისტორიული გზა და მასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. შევეცადეთ, კიდევ ერთხელ მოგვეძიებინა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები წარსულსა და თანამედროვეობას შორის. შევეხეთ იმ ინდიკატორებს, რომელთაც შედეგად ქართული სახელმწიფოებრიობის დაშლა და რღვევა მოჰყვა გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოში. ამის ერთერთი მტკივნეული ისტორიული გაკვეთილი-**ახალციხის საფაშო და მისი პოლიტიკური პერიპეტიებია.**

ANNOTATION

In 1266 Samtskhe with a status of”khasinju” was separated by Mongolians affort from Georgia,though in1334 Giorgi”brtskinvale”subordinated it under Georgian jurisdiction.From the 15th century events developed this way:1) in 1453 Bizantian empire fell down and from 1475 the owner of Black sea coast became Turk-Osmalian,what had no real enemy in the east, from the 16th century.2) in1490 Georgia was devided into three kingdoms and one principality(Kakhety kingdom-in 1466,Qartly-in 1479,Imerety-in 1484 and Samtskhe principality).3) Between Georgian kingdoms began shameful,bloody oppose,full of degrade and political opinions.4) in the 15-18th centuries first Kakhety,and in the next centuries Qartly and Imerety kingdoms started diplomatic relationships with Russia and this made attacks of Iran and Osmalia more intensive.5) in 1555 after signing the agreement Amasia and in 1590 Istambul,these two empires,Georgia was devided and legalized between them.In 1595 in zemo Qartly(Samtskhe) was created “GUrjistan Valiet”by Osmalian,which later was named as Akhaltsikhe,in fact it lasted almost 300 centuries and left extremely hard heritage to population of Meskhety.6) Osmalobaand KIzilbashobawere raging in the west and east Georgia,which awful results appeared in the 18th century.7) especially harmful it was for outlying regions of the country.Samtskhe wasn’t an exception,thanks to its geo-political location it became the main priority for Osmalia and Asia.8)Transformation of Georgians into Osmalians became the intransitive event.9) They began looking for different ways to deliver from Turkish-Iran unbridled politic.

While “khojaant”Ioane was writing chronicles of 1763-1809 years,in Samtskhe-Javakhety:Osmalian,Armenian,Greek,Latin and Russia world outlooks were fighting each-other.All these interfered unconditionally in Georgian’s customs.During ideological fight of religion and politics,population of Meskhety was making abrupt decisions.

“Historical missionary daily letters of priest Ioane”is a collection of everyday notes.This origin contains events happened in western and eastern Georgia,which spectrum is enough rich and pithy.This manuscript is the main rising base of our investigation.According to Zemo Qartly’s historiography works and summarizing this investigation,in chronological dynamics we have represented historical way of east-west Georgia and some of the main events connected with it.We’ve tried to find connection between past and present.We’ve also shown these indicators which were the reasons division of Georgia.One of the most painful historical lesson was situation in “Akhaltsikhe sapasho”.

# სადისერტაციო ნაშრომის შესავალი.

დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური რეალობა იმდენად რთული, წინააღმდეგობრივი ისტორიული მემკვიდრეობითაა აღსავსე, რომ თანამედროვე ისტორიკოსის თვალი, გონება ჯერაც მოუშუშებელ წარსულში დაეძებს კითხვებზე პასუხს და „სწავლულის ჯოხით'' ეხება მატიანეს.

**მესხეთი** არაერთი ცნობილი მკვლევარის ინტერესის საგანი გამხდარა. მათი მონოგრაფიები უდიდესი ღირსებებით ხასიათდებიან. **თუმცა, მიგვაჩნია, რომ ისტორიული მეცნიერება თავადაა ამოუწურავი ფენომენი. ყოველი თაობის მიბრუნება, დაინტერესება სამხრეთ დასავლეთ საქართველოთი, პროფესიული და ეროვნული პასუხისმგებლობაა ისტორიკოსისთვის.** ახალი თვალით დანახული, განცდილი: წარსული და თანამედროვეობა.

მუშაობის პროცესი შემდეგი თანამიმდევრობით წარიმართა. ჩემი ხელმძღვანელის მ. ლორთქიფანიძის რჩევით, შ. ლომსაძის ისტორიულ ნაშრომებში ვნახე წიგნი სათაურით „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები'', დაბეჭდილი 1979 წელს. აგრეთვე, დავიწყე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, ივ.გვარამაძის მიერ 1892 წელს გადაწერილი „საისტორიო მისიონარული დღიური წერილების ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი'' შესწავლა. ვიცოდით, რომ შ. ლომსაძის **კვლევის არეალში იყო, ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში** დაცული, **ივანე გვარამაძის** მიერ 1892 წელს გადაწერილი ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები''. ლომსაძის წიგნი გავაანალიზე და ამის შემდეგ დავიწყე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილებთან'' მისი შედარება.

გვარამაძის მცირეფორმატიანმა, XIX საუკუნისთვის დამახასიათებელმა წვრილმა კალიგრაფიამ, (მხოლოდ გამადიდებელი ლუპით იკითხება) ერთი შეხედვით ლურსმულ წარწერებს რომ მოგაგონებთ და უცხო სიტყვების კორიანტელმა გამაოცა, ერთგვარი შიშიც კი მომგვარა. თუმცა ღვთის წყალობით, მალე დავეუფლე ივანე გვარამაძის წერის კულტურას და იოვანე ხუცესის ქრონიკები ჩემი ფიქრის, ცხოვრების განუყოფელი მეგზური გახდა.

**გადაწყვეტილება მიღებული გვქონდა, ჩემს სადისერტაციო კვლევად ეს თემა დაგვეტოვებინა. აპრილის თვეში დავუკავშირდი ახალციხის მუზეუმის დირექტორს ციური ლაფაჩს და ვთხოვე, რადგან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული ხელნაწერის მეორე ვარიანტი, ინახებოდა მათ ბიბილიოთეკაში, ჩემთვის, როგორც მაძიებლისთვის, მოეცა უფლება მასზე მუშაობისა. ც. ლაფაჩმა მითხრა-ახლა აქ საშინლდა ცივა, სამუშაო პირობას ვერ შეგიქმნით. სასურველი იქნება ზაფხულში ჩამოხვიდეთო.** ივლისში კვლავ დავურეკე ახალციხის მუზეუმის დირექტორს და შევახსენე ჩვენი საუბარი. სამწუხაროდ, შემდეგი მოვისმინე-2011 წლის გაზაფხულის ბოლოს მუზეუმი სიძველის გამო დავშალეთ, სარემონტო სამუშაოები დავიწყეთ, ხოლო ექსპონანტები, მათ შორის ხელნაწერებიც, ევაკუაციას დექვემდებარა, ყუთებში ჩალაგდა და დაილუქაო. იქვე დასძინა-მთავრობა დაინტერესებულია მუზეუმის სასწრაფო აღდგენა-გახსნით, ამიტომ, თქვენ ერთი წლის შემდეგ მოახერხებთ ჩვენთან ჩამოსვლას და მუშაობასო. ქალბატონ მარიამს მოვახსენე ჩვენთვის სრულიად არასასიამოვნო ინფორმაცია. გადვწყვიტეთ, ახალციხის მუზეუმის გახსნამდე გამეგრძელებინა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული ხელნაწერისა და შ. ლომსაძის მიერ გამოქვეყნებული ვარიანტის შესწავლა. ხოჯავანთ იოვანეს დღიურებისა და შ. ლომსაძის „ახალციხიური ქრონიკების" შესწავლის კვალდაკვალ ვეცნობოდი ივანე როსტომაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის მეცნიერულ აღწერილობებს, რადგან სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი მესხეთის ისტორიის ფუნდამენტალურ შესწავლას.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა, ნიკო ბერძენიშვილის აღწერილობანი სამცხე-ჯავახეთის ექსპედიციების შესახებ. 1933 წელს ნ. ბერძენიშვილს გადაუწერია „ხოჯავანას დღიური", **შესრულებული ავტორის ნათესავების მიერ** და მისთვის **„ახალციხური ქრონიკა"** უწოდებია. აღნიშნულ ხელნაწერზე შ. ლომსაძე თავის წიგნში „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, „ახალციხური ქრონიკები" მხოლოდ **ფრაგმენტულად** საუბრობს. ნ. ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკები" პირველადი გაცნობისთანავე **მიმანიშნებელი გახდა იმისა, რომ მე ის უნდა შემედარებინა, გვარამაძისა და ლომსაძისეულ ვარიანტებთან.** ჩემი შეხედეულებები გავაცანი ქალბატონ მარიამს, მან თანხმობა მომცა კვლევა გამეგგრძელებინა. მოვლენები ასე განვითარდა: ახალციხის მუზეუმი მართლაც გაიხსნა დიდი ზარზეიმით, მაგრამ, არა ბიბლიოთეკა. ის დღემდე დალუქულია, ინახება, ახალციხის

უნივერსიტეტში და მკითხველთა დაშვება არ ხდება. საშუალება არ მოგვეცა გვენახა, გავცნობოდით ახალციხის ფონდში არსებულ ვარიანტს.(აღნიშნულის შესახებ, ჩვენ 2012 წლის კოლიქვიუმისა და ანგარიშების წარდგენისას, წერილობით ვაცნობეთ ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს). მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენს მიერ ჩატარებული საძიებო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია. გამომდინარე იქიდან, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში მე უკვე დიდი სამუშაოები მქონდა ჩატარებული, რომელსაც ყოველთვე, ანაგრიშის სახით ვაცნობდი ქალბატონ მარიამს, მან მიიღო გადაწყვეტილება-თემა არ შეგვეცვალა. (ვაზუსტებთ, შ. ლომსაძემ გამოსცა ხელნაწერის ის ვარიანტი, რომელიც 1892 წელს ივანე გვარამაძის მიერაა შესრულებული).

წარმოდგენილი თემის სიახლეა:1.ივ.გვარამაძის მიერ გადაწერილი „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების ხოჯავანთ მთვდლის მამა იოვანესი'' და შ. ლომსაძის მიერ გადამუშავებული „ახალციხური ქრონიკის'' ვარიანტების შედარებითი დახასიათება. 2.ივ. გვარამაძის „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი'' და ნ. ბერძენიშვილის ფონდში დაცული, ხოჯავანას ნათესავების მიერ გადაწერილი „ხოჯა ჰავანას'', იგივე „ახალციხური ქრონიკის'' შედარებითი ანალიზი. 3. მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების შესახებ მიღებული ინფორმაციის აღწერა-ანალიზი. 4. ივ. გვარამაძის „საისტორიო მისიონარულ დღიურ-წერილებში'' 1763-1809 წლების გაბნეული საერთო მახასიათებელი ისტორიული წყაროების-თემატური სახით დაჯგუფება და მათი გამოყენებით, XVIII-XIX საუკუნეების მესხეთის ისტორიის გაცოცხლება, როგორც ქართულ სამეფო-სამთავროებთან, ასევე გარე სამყაროსთან მიმართებაში.

სამივე მათგანის დეტალურ აღწერილობასა და შედარებითი ანალიზის სურათზე მომდევნო ქვეთავებში სრულყოფილად ვისაუბრებთ. ზოგადი შესავლის სახით კი მოგახსენებთ:„საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი'' არის მრავალმხრივი მატიანე მოვლენათა იმ ჯაჭვისა, რომლითაც ცხოვრობდა სამცხე-ჯავახეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. „დღიური-წერილები'' შეიძლება დაიყოს ცალკეულ თავებად, ხოლო ხოლო ეს უკანასკნელნი გავშალოთ პუნქტებად. ხელნაწერის ასეთი მეთოლოგიით დამუშავება, რომ გამართლებული იყო, დადასტურდა ძიების პროცესში, ნ. ბერძენიშვილის ექსპედიციების ჩანაწერებში თანდართული არსებული კომენტარებით. ისინი გონივრული გზამკვლევი აღმოჩნდა

**და საბოლოოდ დამარწმუნა ხელნაწერის დიფერენცირებული ანალიზის უპირატესობაში.** ამ პრინციპით იკვეთება ის მთავარი ისტორიული პოსტულატები, რომლითაც ასეა დატვირთული „მისიონარული დღიური-წერილები". მაგალითად: 1. **ახალციხის საფაშოს ყოველდღიური ყოფა; 2.სომხურ-კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობები; 3. საფაშოს ეკონომიკური მახასიათებლები; 4. სოლომონ პირველისა და საფაშოს ისტორია; 5. ერეკლე მეორის, სოლომონ პირველის და ახალციხის საფაშოს თემა; 6. საფაშოსა და ლეკების გარიგებები; 7.კათოლიკე ბერების მოღვაწეობა და რომის პაპებთან მიმოწერები; 9. შიდაშლილობების ფრაგმენტები; 10. ახალციხის ფაშების ცვალებადობის მიზეზები; 11. იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახების დინასტიური ქორწინებები; 12. რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომების დეტალები; 13. რუსი ჩინოვნიკების თვითნებობის არასასურველი ქმედებების მიმოხილვა და სხვ.**

ისტორიკოსების განსაკუთრებული დაინტერესება სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს წარსულით გარკვეული პოლიტიკური წიაღსვლებითაა განპირობებული. დანაწევრებული ქართული სამეფოების ურთიერთქიშპმა, ირან-ოსმალეთის ძალაუფლების გადანაწილებამ კავკასიაში, მკვეთრად ნეგატიური პოლიტიკური შედეგების თავმოყრამ XVIII საუკუნეში, განსაკუთრებული ზიანი, ქვეყნის განაპირა რეგიონს-მესხეთს მიაყენა. ამ კუთხის გეოპოლიტიკური მდებარეობა, საქართველოს მაშინდელი მტრების, კონკრეტულად კი-ოსმალეთის იმპერიული აზროვნების ქვაკუთხედად იქცა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო, ერთმანეთს იყო გადაჯაჭვული იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორისა და ახალციხის საფაშოს პოლიტიკური ცხოვრება. იოვანე ხუცესის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში აღნუსხული 1763- 1809 წლების ისტორიული ქრონიკები დეტალურად გადმოგვცემს სამცხეში განვითარებულ პროცესებს. ქრონიკების ჩამონათვალი იმდენად მდიდარ ისტორიულ პალიტრას სთავაზობს მკითხველს, რომ ამ კუთხის მკვლევარმა შ. ლომსაძემ ასეთი შეფასება მისცა მას, როგორც წყაროს: შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გვიანი შუასაუკუნეებისთვის უფრო მნიშვნელოვანი წყარო არ მოიპოვება (ლომსაძე 1979: 91)

ნ.ბერძენიშვილი „ხოჯა ჰავანას დღიურის" შესწავლისას 1933 წელს ფურცელ-ფურცელ წერდა ამ ისტორიული წყაროს მიმართ მისეულ მეცნიერულ შეხედულებებს: „ხოჯავანა შეუშფოთებლად, გულშეუძვრელად სწერს ზედმიწევნითი სიზუსტით ცნობებს, რომლებიც მის დღიურში შემოიჭრებიან. ის პოლიტიკურად მოურჯულებელ ახალციხეში მოდის: აჭარლების აჯანყებანი, იანიჩრების თვითნებობანი, თავის მოჭრანი, ლეკთა მიერ ქართლის რბევანი-ესაა აქაური პოლიტიკა. შესანიშნავია იმისთვის, თუ როგორ იბრძვის ერეკლე ქართლ-კახეთის გარეთ; ან სოლომონი. ძეგლი შესანიშნავია ენობრივად მესხური ფოლკორისათვის, კათოლიკური მოსახლეობის განფენილობისათვის, სახელები ხელოსნობისათვის."(ბერძენიშვილი 1933: 2)

ბუნებრივია, მე როგორც აღნიშნული ხელნაწერებით დაინტრესებულ მაძიებელ ისტორიკოსს, ჩამომოყალიბდა საკუთარი თვალსაზრისი ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილებისადმი", რომელსაც ნ. ბერძენიშვილის გავლენით(ამის შესახებ მომდევნო ქვეთავებში ვისაუბრებთ) შ. ლომსაძემ „ახალციხური ქრონიკა" უწოდა: 1. ჟამთააღმწერელივით მკაცრია ბერძენიშვილი „ახალციხური ქრონიკის" ანალიზის დროს. დაბალანსებულია მისი შენიშვნები, სიტყვაძუნწი ეპითეტებით, თანანამიმდევრულად წარმოაჩენს წყაროს ყველა ღირსებას. დიდი მეცნიერი ემოციების გაუმჟღავნებლობას უწუნებს ხოჯავანთ იოვანეს. 2. შ. ლომსაძე, რომელიც, გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის ისტორიკოსთა შორის მესხეთის ისტორიის გამორჩეულ მკვლევარად, ვფიქრობთ, ოდნავ აჭარბებს, როდესაც ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარულ დღიურ- წერილებს", ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობასთან აიგივებს. ამ ორ მატიანეს ძირეული განხვავებანი ახასიათებთ. 3. ვახუშტი ნარ-ნარი, დახვეწილი ქართულით პოლიტიკურ-ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული კომპოზიით სრულიად საქართველოს აღწერს.4.ხოჯავანა, მართლაც აუღელვებლად, მონოტონური სიმშვიდით, ზემო ქართლისა და იმერული კილოკავის მოშველიებით, დიდი სიზუსტით გვაწვდის XVIII-XIX საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიას. ხოლო ჩანართების სახით, იმერეთისა და ქართლ-კახეთის მოვლენებს. 5.ვახუშტი ბატონიშვილი მრავალმხრივად განვითარებული, მართლმადიდებლური ჩვეულების, ხოლო იოვანე ხუცესი განსწავლული კათოლიკური მრწამსის მიმთხრობნი არიან. ეს გარემოებები მათივე ნაშრომებით დასტურდება. 6.შ. ლომსაძის პოზიციას, ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების" შესახებ ვიზიარებთ, შემდეგი

არგუმენტების გათვალისწინებით: თუ, თანამედროვე ისტორიკოსს, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის შესწავლის შემდეგ, მესხეთის ისტორიის გაცნობა ექნება მიზნად დასახული, ამ შემთხვევაში, „ხოჯავანთ იოვანეს მისიონარული დღიური-წერილები'', მართლაც, XVIII-XIX საუკუნეების ქართულ მატიანეთა შორის შეუცვლელი და გამორჩეულია.

# თავი I.
# წყაროთმცოდნეობითი ბაზა

შემაჯამებელი და სისტემური ხასიათი რომ მიეცეს ჩვენს მონათხრობს, მოგახსენებთ ზუსტ ჩამონათვალს წყაროებისა, რომელნიც ჩვენი კვლევის საფუძველია:

1. „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი''. გადაწერილი 1892 წელს **ივანე გვარამაძის** მიერ, დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ფ.H-2782-2783;
2. „ხოჯაჰავანას დღიური'', იგივე „ახალციხური ქრონიკა'', ნ. ბერძენიშვილის არქივი, შესრულებული **ივანეს ნათესავების** მიერ, გადაწერილი 1933 წელს, დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, #(2527);
3. შ.ლომსაძის „გვიანი შუა საუკუნების საქართველოს ისტორიიდან, „ახალციხური ქრონიკები'', თბ.1979 წ.(იოანე ხუცესის დღიური წერილები)

შევისწავლე ჩვენი უპირველესი წერილობითი ისტორიული წყარო „ქართლის ცხოვრება''. ქართლის ცხოვრება ყველა იმ ნიშანს ატარებს, რომელიც ახასიათებს შუასუკუნოვან მატიანეებს. იგი იმდროინდელ მოთხოვნებს ზედმიწევნით აკმაყოფილებს. „ქართლის ცხოვრება'' არა მხოლოდ ქართული, არამედ მთელი შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის საუკეთესოდ შესრულებული ძეგლია. (ნადირაძე, 2005, 24) პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი'' და ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეფისა''.

ნ.ბერძენიშვილის ხელნაწერებმა ( #2580, # 1226, # 1227), რომელნიც სამცხე-ჯავახეთის ექსპედიციების სხვადასხვა წლების კოლაჟს წარმოადგენს, დეტალური

ცოდნა მომაწოდა იმ სოფლებისა და მოსახლეობის შესახებ, რომელზედაც ხოჯავანთ იოვანე გვიყვება თავის ქრონიკებში. ბერძენიშვილის ექსპედიციების მასალებს, დისერტაციის სხვადასხვა ქვეთავებში წარმოვადგენ.

1880-იან წლებში დიმიტრი ბაქრაძე აქტიურად იყო დაკავებული ზემო ქართლის მემკვიდრეობის შესწავლით. მისი ნაშრომები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენაზეა შესრულებული, ინახავენ როგორც ადგილბრივი მკვიდრების ასვე ტაძრების ფოტოებს.

ჩვენი ხელნაწერის გაგრძელებულ ნავროზაშვილისეულ ნაწილში დაცულია იმერეთის უანასკნელი მეფის სოლომონ მეორის შესახებ ქრონიკები. XVIII საუკუნის გვიანი ფეოდალური საქართველოს ისტორიული კურსის შეწავლისას მშვენიერი გზამკვლელვი აღმოჩნდა ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრება''. მასში მრავლდაა ბაგრატიონთა უკანასკნელი სახლეულობის ტრაგიკული თუ ყოფითი ხასიათის ჩანაწერები.

ერთი ამოსუნთქვით იკითხება ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია. აგრეთვე „საქართველოს ცხოვრება''. სრულიად საქართველოს მიმოხილვის ფონზე, გამოკვეთილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორიგინალური დახასიათება: ხოლო წესითა ამათა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია, ოთხ სადროშოთ განყოფილი. რამეთუ წინამბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი. ... და ძესა თვისსა ოძრახოს მისცა ტაშისკარის ზეითი და მტკვრის დასავლეთი ვიდრე ზღვამდე ქართლოსისა რომელ არიან აწ: სამცხე, გურია, ლივანა, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო და მათ ადგილებს უმეტეს ეწოდა-ზემო ქართლი. (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 656)

საძიებელი მუშაობისას გარკვეული მასალა გავაანალიზე „გეორგიკიდან''- (უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ-ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ.) აქ დაცულ წყაროებს და მათ ავტორებს: ევსტათი ანტიოქიელს, თეოდორიტე კვირელს, პროკოფი კესარიელს, იოანე ანტიოქიელს, ლეონ გრამატიკოსს და სხვებს ეყრდნობიან, ქართველი ისტორიკოსები მესხების ისტორიის განხილვისას.

ქართული ხელნაწერებისა და საისტორიო წყაროების პარალელეურად მესხეთის ისტორიის კვლევასთან დაკავშირებით, შევისწავლე ოსმალო და ევროპელი მემატიანეების დოკუმენტები. ასეთია, ჰასან რუმლუსის ცნობები 1483 წლით თარიღებული, რომელიც **სამცხის** ადრეული პერიოდის მოვლენებს ეხება.

XVI საუკუნის მესხეთის ყოფას ასე გადმოგვცემს ოსმალების ლაშქრობების უშუალო მონაწილე, თოქათ· ის დეფერდარ· ად დანიშნული მოხელე: 943 წლის წმინდა მუჰარრემის 15-ს [=1536 წ. 4.VII] მეჰმედ ხანმა [ბაიბურთის] მხარის ძლევამოსილი ჯარი რომ შეკრიბა, შეესია საქართველოს. სამმა-ოთხმა სასანჯაყო [მოსახლეობამ] მორჩილება გამოუცხადა და სულთანს ვალისა და მართებლის დანიშვნა სთხოვა.'' (ფეჩევი 1964: 25)

XVI საუკუნის ოსამალურ წყაროთა შორის, გამორჩეულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი''.

ოსმალური წყაროების გაცნობისას, საინტერესო გამოდგა ჩელების დოკუმენტები, რომლის შესახებ, ფუთურიძე აღნიშნავს: ევლია ჩელების წიგნში უხვი ცნობებია. გურჯისტანის ვილაიეთი სანჯაყებად არ იყო დაყოფილი. იგი წერს საქართველოს იმ მიწების შესახებაც, რომელნიც XVII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში აღარ შედიოდა. ჩელები განათლებულ, დახვეწილ ადამიანს ნიშნავს. ჩელების „მოგზაურობის წიგნის'' I ტომში ვილაიეთებს შორის ცალკ-ცალკე ასახელებს „ჩილდირის, ანუ „ახალციხის ვილაიეთს '' და „გურჯისტანის ვილაიეთს''. „ჩილდირის'' ანუ „ახალციხის ვილაიეთი'': „დივანის მოხელეთაგან დავთარდარი და სხვანი არა ჰყავს. ალაი-ბეგი და ჩერი -ბაში ჰყავს. ცამეტი სანჯაყია: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ჭაჭარაქი, დიდი არტაანი, ფოცხოვი, მაჭახელა და ფინაკი. და ამათ გარდა ოთხი სანჯაყი. „გურჯისტანის ვილაიეთი''-აჩიკ ბაშის, შავშეთის, დადიანის, გურიელის და მეგრელისტანის ბეგები ყველანი ურჯულოები არიან, მაგრამ მურად IV-ის დროს ყველანი დამორჩილდნენ, საფარ-ფაშა და ამ მხარის მმართველნი.'' (ჩელები 1971: 33-35)

XVII-XVIII საუკუმის ოსამლური წყაროები ნათელ სურათს ქმნიან ოსმალების მიერ საქართველოში და ამიერკავკასიაში ლაშქრის შესანახი თანხების გაღების შესახებ: „ზიმაიეთი ჰუსეინისა. მზვარეს ნაჰიე. თიმარი ჰუსეინ ფეზევის ძისა-ჩრდილის ნაჰიე მცირე არტაანის ვილაიეთი. თიმარი-მეჰმედ მირზას ძისა, სოფელი ოკამი. თიმარი ალისა-ტრაპიზონის ლივაში, სოფ. თორია. თიმარი-მეჰმედისა, ყარსის'' (ეს ჯაბა დავთარი ქრონოლოგიურად მოიცავს 1685-1731 წლებს). ოსმალური დოკუმენტური წყაროები საუკეთესო მასალაა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის მრავალი საკითხის შესასწავლად-აღნიშნავს ავტორი. (ოსმალური წყაროები 1989: 12)

## 1.1. ნაშრომის ისტორიოგრაფია

ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარულ დღიური-წერილებში" განვითარებული ისტორიული მოვლენები დინამიკაში რომ შემესწავლა, შევეცადე გავცნობოდი როგორც მესხეთის, ასევე გვიანი შუა საუკუნეების ფეოდალური საქართველოს შესახებ არსებულ ისტორიოგრაფიას. როგორც ზემოთ ავღნიშნე, ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების" ვარიანტების შედარების შემდეგ, ამავე წყაროში დაცული ისტორიული ქრონიკები თემატურად ამოვკრიფე, დავალაგე და ისტორიული ანალიზი დავურთე. ამგვარად დისერტაციის პირველი ნაწილი ხელნაწერების შედარებითი სურათის ანალიზია, ხოლო მეორე ნაწილი დაიყო შემდეგ ქვეთავებად: სოლომონ პირველის, სოლომონ მეორისა და ახლციხის საფაშოს თემა; ერეკლე, სოლომონ პირველი და ახალციხის საფაშო; ლათინი კათოლიკების და სომეხი კათოლიკების ურთიერთობები; ლეკები და ახალციხე; ახალციხის საფშოს როლი, სტრუქტურა; სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დემოგრაფია, სამცხე-ჯავახეთის სოციალ-ეკონომიური ვითარება და მენტალობა. ბუნებრივია(ანუ თემატურად იმდენად მრავალფეროვანი აღმოჩნდა „დღიური-წერილები") დავამუშავე მეოცე საუკუნის თითქმის ყველა ისტორიკოსის ჩემთვის საინტერესო ნაშრომები. ამ ისტორიოგრაფიის მიმოხილვას ამ პრინციპით წარმოვადგენ.

„ისტორიის ფილოსოფია წარმოგვიდგება, როგორც ხალხის გონთა ცალკეული ფაზების ერთობლიობა. ყველა ეს ფაზა დროში რეალურად არასოდეს არ გვეძლევა. დროში გვეძლევა მხოლოდ ერთი ფაზა, მაგრამ ჭეშმარიტებაა ფაზათა განვითარების პროცესი, ფაზათა მთლიანობა. ჰეგელის თანახმად, ყოველი ფაზა წინა ფაზას მოხსნის და შეინახავს. ისტორიაში არაფერი არ იკარგება." (ჰეგელი 2001: 9)

ჰეგელისეული კონცეფციის მატარებელია წარმოშობით ბალტიისპირელი გიულდენშტედტის ნაშრომი. 1768 წელს მიუწვევიათ რუსეთში შემდეგი თხოვნით. მას უნდა შეესწავლა ევროპული რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქები ციმბირი და კავკასია. **უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იგი პირადად იცნობდა ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარულ დღიურ-წერილში" მოხსენიებულ სოლომონ პირველს, ერეკლე მეორეს, დავით აბაშიძეს, თამაზა მესხს.** ამ მეცნიერის მოგზაურობა კავკასიაში მთლიანად ემთხვევა რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების

**ომს. გიულდენშტედტის ღრმა განსწავლულობა, დაკვირვების ხარისხი მაღალია.** მისი მოგზაურობის ორტომეული უადავოდ იმსახურებს ნდობასა და პატივისცემას. მეცნიერი მშვენივრად ახერხებს თანაბარი სიზუსტით აღწეროს ქართველთა ეთნოკულტურის, გეოგრაფიული სირთულეების, პოლიტიკური ვნებათაღელვანის, ფლორისა და ფაუნის მთავარი მახასიათებლები: ზემო ქართლი, 200 წლის განმავლობაში ის იყო თურქთა ხელში. თურქ ფაშას, რომელსაც პორტა ჩვეულებრივ ირჩევს ამ პროვინციის ერთ-ერთი დიდებული გვარიდან, საჯდომი აქვს მთავარ ანუ საგუბერნიო ქალაქში-ახალციხეში, რომელიც მდებარეობს ზემოთ მტკვარზე. ისევე არის ნაცვალი გურიის იმ ოლქებისა, რომლების ახლა თურქებს აქვთ მიტაცებული და მდებარეობენ შავ ზღვაში ჩამავალ მდინარე ჭოროხზე. მხარე ჯავახეთი-არა გავაკეთი, არის ქართული მხარე, რომელიც ამჟამად მთლიანად თურქების ხელშია და ეკუთვნის ახალციხის გუბერნიას. (გიულდენშტეტდი 1962: 215)

ეცნობი დღეს უკვე ლეგენდად ქცეული ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობებს და ზუსტად ხვდები, გარდა მეცნიერული პასუხისმგებლობისა, მას კიდევ უფრო შორსმიმავალი, გეგმაზომიერი დამოკიდებულება სამხრეთ დასვლეთ საქართვლეოს ისტორიის აღწერისას. მესხეთის ისტორიის ძიებისთვის საინტერესოა გ.შარაძის მიერ შედგენილი ემიგრანტული ნაშრომები, „დაბრუნება''.

გ, ყაზბეგის თზულება ასევე ღირებული მატიანეა, როგორც თავად ამბობს „ოსმალეთის'', „თურქეთის'' საქართველო. გ. ყაზბეგის მოგზაურობის ჩანაწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის ადგილები, სადაც, ლაპარაკია ისტორიული საქართველოს პროვინციებზე, რომელიც, მაშინდელ რუკებზე ან სულ არ იყო, ანდა შეცდომით იყო აღნიშნული. გ. ყაზბეგის ნაშრომი ერთადერთია, რომელშიც საფუძვლიანადაა მოცემული ოსმალეთის მფლობელობისდროინდელი სამუსულმანო საქართველოს ტოპონომიკა. (ყაზბეგი 1995: 13-15) გ. ყაზბეგის თხზულებაში ნაჩვენები სოფლებისა და მხარეების უმეტესობა, ხოჯავანთ იოვანეს ქრონიკებშიცაა მრავალჯერ დაფიქსირებული სწორედ იმ სავაჭრო-ეკონომიკური თვალთახედვით, რომლის შესახებ თავად ყაზბეგი საინტერესოდ მსჯელობს, ხოლო ბათუმის მომავალს ასე ხედავს: ბათუმის გზატკეცილზე საუბრისას არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით, თურქეთის საქართველოს ისტორიაში ეს გზა ეპოქას შექმნის. (იქვე 1995: 107))

მესხეთის ისტორიული წარსულის ძიებისას უკლებლად ყველა მეცნიერის ნაშრომი მდიდარ მასალას გვთავაზობს. ეცნობი ეპოქალურ მიმოხილვას, ზოგად და

კონკრეტულ დასკვნებს, ხელოვნების ისტორიას, ეთნოგრაფიულ მახასიათებლებს, გეოგრაფიულ ცლილებებს, კონფესიების სიმრავლეს და რაც მთავარია, შენც ისევე განიცდი, გრძნობ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ბედს, როგორც ავტორები. ქრონოლოგიურად მიუყვები მათი ნამოღვაწარის შესწავლას. ისინი ცარიზმის, სამწლიანი დამოუკიდებლობის ზღურბლზე, საბჭოეთის პირველ წლებში თუ „დათბობის'' პერიოდში კინძავენ საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკურად დაკარგული, მაგრამ მაინც ქართული ცნობიერებით, წარსული მემკვიდრეობით გაჯერებულ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიას.

ჩემი ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ. თუ გიულდენშტეტდტი ქართველი მეფეების, განსაკუთრებით, ერეკლეს ხელშეწყობით დაუბრკოლებლად გადადგილდება საქართველოს კუთხეებში, გ. ყაზბეგი და ნ. ბერძენიშვილი უამრავ დაბრკოლებებს ხვდებიან და რომ არა მათი ერუდიცია და მიზანდასხულობა, მათი ნაშრომები ასე საინტერესო არ იქნებოდა თანამედროვეთათვის. მძიმე მდგომარეობაში მოგზურობდა გ.ყაზბეგი. იგი იტყვის:„ერთადერთი გამოსავალი ნახულის და გაგონილის დამახსოვრება, ან უკეთეს შემთხევაში შთაბეჭდილების სიტყვადაუმთავრებელი ჩაწერაა''. (ყაზბეგი 1995: 7)

ახალციხის საფაშოში არსებული კონფესიური სურათის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, მ. თამარაშვილის „ისტორია კათალიკოზობისა''. დისერტაციის ამ ქვეთავის დამუშავებისას გავეცანი ი. ტაბაღუას ნაშრომს „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში''. გამოკვლევა მდიდარ მასალას აერთიანებს XVII-XVIII საუკუნეების ევროპელი თუ ქართველი მისიონერების საქმიანობაზე, საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზე. მეხუთე ქვეთავში მოთხრობილია თეატინელ-კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლაზე საქართველოში. გამომდინარე იქიდენ, რომ ხოჯავანთ იოვანე- „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების'' ავტორი თავად არის კათოლიკე და ამიტომ საკუთარ ნაშრომში უპირატესად საუბრობს კათოლიკეთა მისიონზე, მათ ურთიერთობაზე ახალციხის ფაშებთან, დაპირისპირებებზე კილიკიელ და ნახჭევანელ ბერებთან. თამარაშვილისა და ტაბაღუას ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა ამ თემის მიმოხილვისას მნიშველოვანი დასაყრდენი იყო ჩემთვის. ასევე, უაღრესად საინტერესო გამოდგა რუსი მეცნიერის ნ. დურნოვოს „ქართული ეკლესიის ბედი'', თარგმნილი გაზეთ „რუსკოი სტიაგ-ის'', რედაქციის გამოცემიდან. მკვლევარი ისტორკოსის ობიექტური თვალით, ფაქტების არგუმენტირებული შედარებებით

ამხელს მეცხრამეტე საუკუნის რუსი ჩინოვნიკების შეურაცხმყოფელ ქცევებს, როგორც ქართული სახელმწიფოს, ასევე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ, ავტორი ეხება ჩვენს საძიებელ წყაროში აქტიურად წარმოჩენილ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, სომხურ-რუსულ გარიგებებს, მართლამდიდებელი ეკლსიის დაკნინების მცდელობებს მათი მხრიდან.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის, მესხების წარმომავლობისა და გეოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის „ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა'', ივ. ჯავახიშვილის, სურგულაძის,პროფ. ლისტის „ისტორიული რარიტეტები'','''

მესხების გენეზისის შესახებ დიდი მეცნიერული ინფორმაციის მატარებელია ს. ფირცხალავას „ქართველითა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40-50 სს. ძვ. წ.''

ამავე თემის კვლევისთვის შესანიშნავია ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორია'' და მისი შეხედულებები ქართველთა წარმომავლობის თაობაზე.

ზემო ქართლისა და მესხების გენეტიკური მემკვიდრეობისა თუ ზოგადად მათი ისტორიული გენეზისის ბრწყინვალე კრებულს წარმოადგენს გ. მელიქიშვილის „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის''. აღნიშნული ნაშრომი დიფერენცირებულად, ლოგიკური მეცნიერული არგუმენტაციით ერთად თავმოყრილს გვთავაზობს, ქართველი ერის გენეზისის ისტორიიდან, როგორც ევროპელი, ასევე ქართველი ისტორიკოსების შეხედულებებს, თან ურთავს საკუთარ კომენტარებს და საუცხოო, შემაჯამებელი სახის კრიტიკულ დასკვნებს აკეთებს.

სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული ისტორიის შესწავლისათვის უხვ ინფორმაციას გვაწვდიან შემდეგი ავტორები. დ. ბერძენიშვილი-„ნარკვევები''; „ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ''.(საქართველოს ისტორიის გეოგრaფიის კრებული. ტ-5) დ.მუსხელიშვილი-„საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები''. (ორივე ავტორი ეყრდნობა სომეხი მოსე ხორენელის გეოგრაფიას.)

მესხეთის ტოპონომიკისა და გეოგრაფიის ორიგინალური გააზრება აქვს მოცემული ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' გადამწერს ივანე გვარამაძეს. ხელნაწერთა ეროვმულ ცენტრში დაცული ქრონიკები, რომელიც წიგნის სახით არის წარმოდგენილი, თავად ხუცესის დღიურის შემდეგ, ივანე გვარამაძე მრავალ

საინტერესო მასალას გვთავაზობს. მათ შორის არის მისი მეცნიერული შეხედულებები მესხეთის გეოგრაფიული ისტორიიდან, სათაურით „სამცხე საათაბაგო''.

გარკვეული ისტორიული პარალელებისას ვისარგებლე ფლავიუს არიანეს „მოგზურობა შავი ზღვის გარშემო''. აღნიშნული ნაშრომი დიდ ინფორმაციას გვაწვდის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ქართული ტომების შესახებ.

ზემო ქართლის, კონკრეტულად კი სამცხე-ჯავახეთის ისტორიის დიფერენცირებული შესწავლისათვის ჩემთვის, როგორც მაძიებლისთვის, ნაყოფიერი გამოდგა გ. ტივაძის „ოსმალეთის დერვიშობა გლეხთა აჯანყებები XVI საუკუნეში''. ავტორი აანალიზებს ოსმალების დამანგრეველ სოციალურ პოლიტიკას მესხეთში. იკვლევს XX საუკუნემდე ახალციხეში და მის შემოგარენში არსებულ რელიგიურ მენტალობას, ქართული მევენახეობის დეგრადაციის ისტორიას ზემო ქართლში და მრავალ სხვა ფაქტორებთან ერთად, იძლევა სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული ვითარების ამსახველ სტატისტიკას. ნაშრომი დამეხმარა ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების'' მიხედვით XVIII-XIX საუკუნეების ახალციხის საფაშოს სოციალურ-ეკონომიური სურათის განხილვისას.

XVII-XVIII სუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი სტრუქტურული სურათის გასაცნობად, ვ. გაბაშვილის კვლევებიდან გამოვიყენე „სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხი გვიან ფეოდალურ საქართველოში''. წარმოდგენილი ნაშრომი სრულყოფილად გადმოსცემს ახალციხის საფაშოში არსებულ ისტორიულ-პოლიტიკურ რეალობას.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მკვლევართაგან გამორჩეულად მდიდარი თვისობრივი მახასიათებლებით წარმოგვიდგება შ. ლომსაძის მეცნიერული მოღვაწეობა.. შევისწავლე ლომსაძის ყველა ნაშრომი ლექსების კრებულით დამთავრებული. საკუთარი კუთხის-მესხეთის სიყვარულმა, მეცნიერულმა მოვალეობამ და ისტორიოგრაფის მიზანდასახულმა შრომამ შ. ლომსაძე გადააქცია XX საუკუნის მეორე ნახევრის მესხეთის ისტორიის გამორჩეულ მკვლევარად. მეცნიერის დიაპაზონი ფართოა და მისი კვლევის მაშტაბები მოიცავს:როგორც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი განვითარების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ასვე სოციალურ-ეკონომიკურ და რელიგიურ-კულტურული ცხოვრების დინამიკას მსოფლიო ისტორიასთან მიმართებაში. მისი, როგორც მაძიებელი ისტორიკოსის გონება, თანაბრი სიძლიერით მიმოიხილავს ისტორიული მესხეთის ბრძოლას ოსმალოთაგან

თავდასაღწევად, ახალციხის საფაშოს მმართველობით სტრუქტურას, სამცხე-ჯავახეთის საზღვრებს, საადგილმამულო ურთიეთობების პრობლემებს, ქალაქების სოციალურ-ყოფითი ხასიათის დეტალებს, კონფესიათა სიჭრელეს, ლათინურ-სომხური კათოლიკური ეკლესიების ჭიდილს-შერწყმულს ახალციხის საფაშოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან და სხვა. 2011 წელს შევსებული, გადამუშავებული გამოიცა მისი „სამცხე-ჯავახეთი'', რომელსაც აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ასე აფასებს: მიუხედავად საკვლევი თემის დიდი მნიშვნელობის, სამხრეთ საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესახებ არ არსებობს მსგავსი კვლევა''.

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას ვენობით, ფართო აუდიტორიისთვის ნაკლებად ცნობილ-1799 წელს პეტერბურგში გამოცემულ „Описание всехъ обитаюшихъ въ Россиском Гасударовъ Народовъ.'' წიგნი დაცულია ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმის ბიბილიოთეკის რარიტეტულ ფონდში.

სამხრეთ დასავლეთ საქართველოს და ზოგადად გვიანიფეოდალური საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს შეუძლებელია მკლევარმა არ ისარგებლოს საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულით, კონკრეტულად მისი მეოთხე ნაწილით. კომბინირებული, შეჯერბული, მეცნიერული ანალიზითაა თავმოყრილი ისტორიული ფაქტები, მოვლენები.

მღელვარებით აღვსილმა წავიკითხე ხალილ უმაროვ-გოზალიშვილის „მესხთა ტრაგედია''. ვერაფრით ვერ გავიზიარებ რანკეს ცნობილ თეზისს, რომ ისტორიკოსი გამომძიებელივით მხოლოდ ფაქტებს უნდა აგროვებდეს. რა საჭიროა ცარიელი სიტყვების გროვა, თუ მას დაბალანსებული, არგუმენტირებული გააზრება არ ახლავს თან. მოკლე ისტორიული მიმოხილვის ფონზე ავტორი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ჩარჩოებში მოქცეულ მესხთა უიღბლობასა და ტრაგედიად ქცეულ აწმყოზე გვიამბობს: ახალციხის საფაშოს ტერიტორია, ყოფილი სამცხე საათაბაგოს ტერიტორიასთან შედარებით, შესამჩნევად შემცირებული და ჩამოჭრილი გახლდათ. XVIII საუკუნეში კი მისი ისტორიული ტერიტორიის მნიშნველოვანი ნაწილი კარისა და ერზრუმის საფაშოთა შემადგენლობაში იყო მოქცეული. (გოზალიშვილი 2005: 40-41)

გამომდინარე იქიდან, რომ ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები'' 1763-1809-1842 წლების ისტორიის ამსახველი ქრონიკებია და მოცემულ

დროში ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური პოლიტიკა მეფის რუსეთის დიდი გეგმების განუყოფელი ნაწილი იყო, თემის ამ კონტექსტის ანალიზისთვის განვიხილე ა.სურგულაძისა და პ. სურგულაძის „საქართველოს ისტორია''. აგრეთვე მ. ვაჩნაძისა და ვ. გურულის „XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორია''. 1990-იან წლებში დაწერილი სურგულაძეების ნაშრომი იმ დროის უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორიოგრაფიის ერთერთი პირველი და საუკეთესო სახელმძღვანელო იყო. საბჭოთა პერიოდის დასრულების შემდეგ, ამ თვალსაზრისით გამორჩეულად საინტერესოა ვ. გურულისა და მ. ვაჩნაძის მეცნიერული კვლევები, რომლებიც ახალ საარქივო მასალებსა და დოკუმენტურ წყაროებს ეფუძნებიან. ასე რომ, წარმოდგენილი ავტორების ისტორიოგრაფიული ანალიზი ახალი და უახელსი ისტორიის პერიოდისთვის ერთმანეთს ავსებენ და რაც მთავარია, სოჯავანთ იოვანეს ''საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების'' თანადროული ვითარებისთვის მრავალფეროვან მასალას გვთავაზობენ.

დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საკვლევი თემის პოლიტიკური თუ სოციალური ანალიზის სრულყოფილებისათვის, სასურველი და აუცილებელია იმ ეპოქის საზოგადოებრივი მენტალობის შესწავლა, რომელიც სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელიც კი ხდებოდა ხოლმე. ამ თვალსაზრისით თემასთან მიმართებაში განვიხილე: გ. ყორანაშვილის „ილიას ფენომენი'', ვ.გურულის „ი. ჭავჭავაძე და ეროვნული ცნობიერება'', ილიას წერილები და „ქვათა ღაღადი''.

ისტორიის ფილოსოფიის კურსიდან განვიხილე გ. ჰეგელის, მ. ბლოკის, ფ. ჰაიეკის, დ. უზნაძის შეხედულებები და თეორიები, რომელნიც საინტერესოა ისტორიის ხაზის შესწავლის ლოგიკურობის, ბუნების ფილოსოფიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების პრიორიტეტების ცვალებადობის მიზეზების, ისტორიული ფენომენის ახსნის, ცნობიერისა და არაცნობიერის მიმართებების, თავისუფალი ადამიანის ჩამოყალიბების, ლიბერალიზმისა და ძალაუფლების და ზოგადად საძიებელი ეპოქის მახასიათებლების გაცნობისათვის.

ნაშრომს „საისტორიო ნარკვევები'', რომლის ავტორი რ. მეტრეველია, თვისობრივად ახლოსაა ისტორიის ფილოსოფიასთან. რ.მეტრველი აშუქებს სწორედ იმ ისტორიულ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების'' ამსახველი ქრონიკების მიხედვით, ჩემი საკვლევი

თემებია. ასეთებია: კავკასია და საქართველო: კავკსია, ცარიზმი, ოსმალეთი და ტოტალიტარიზმი; გლობალიზაცია და გვიანი შუასაუკუნეების საქართველო.

ნებისმიერი ისტორიული თემის განხილვისას წარმოუდგენელია გეოგრაფიის, კარტოგრაფიის გარეშე მკვლევარმა შეძლოს და დაინახოს ის პოლიტიკური ვნებათაღელვანი, სადემარკაციო ხაზების გადაადგილებანი, ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისა და დეგრადაციის თავისებურებანი, რომლენიც ასე თვალსაჩინოდ და ყველაზე ნათლად ასახავენ წარსულის ცვალებადობას, იმპერიათა სწორუპოვარ ორთაბრძოლებს, XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საზღვრებს-შეკვეცილს, უკვე უცხოეთად დაფიქსირებულს რუკაზე.(მხედველობაში ახალციხის საფაშო გვაქვს). სადისერტაციო ნაშრომს დანართის სახით ექნება: ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის" პირველი წიგნიდან(გამოცემა მოსე ჯანაშვილის) სამცხე-ჯავახეთის სოფლების ჩამონათვალი, სამცხის გერბი. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებულიდან ტ-V, ორი რუკა:1. ჯავახეთი შუაფეოდალურ ხანაში; 2. ჯავახეთი გვიან ფეოდალურ ხანაში. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", ტ-IV, სამი რუკა:1. გვიანიფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები 2. ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები XVIIIსაუკუნეში; 3.იმერეთის სამეფოს საზღვრები XVIIIსაუკუნის ბოლოს. ზურაბ ბატიაშვილის ნაშრომიდან „კაპადოკია"- ერთი რუკა: ქართველთა სახელმწიფოები და განსახლება VI ს.ძვ.წ. შევნიშნავ, რომ ნაშრომს „კაპადოკია", მესხების წარმომავლობის შესახებ დამუშავებულ ქვეთავში, განვიხილავ, როგორც ერთერთ წყაროს.

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში" მრავლადაა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მოსახლეობის უბრალო ყოფითი ცხოვრების, ადგილობრივი მენტალური თვისებების, გვარ-სახელების იუმორით დაფიქსირების, ლეკებისა და მათი ახალციხის საფაშოსთან ურთიერთობების ამსახველი ფაქტები. ჩამოთვლილი საკითხები ჩემს მიერ შეჯამებული სახითაა ქრონიკებიდან ერთად თავმოყრილი და მათივე შინარსის მიხედვით, თემატურად დალაგებული. ასეთი პრინციპით სადისრეტაციო ნაშრომზე მუშაობისას, ბუნვებრივია, საჭირო გახდა გარკვეული ტიპის მასალების მოძიება ისეთი ისტორიული დისციპლინიდან როგორიცაა-ეთნოგრაფია(ეთნოლოგია). თოფჩიშვილის ნაშრომში მთავარი ის არის, რომ მკითხველი იღებს თითქმის სრულ ინფორმაციას ზემო ქართლის-მესხეთის

ისტორიის შესახებ. ასევე, ს.ჭანტურიშვილის „ეთნოლოგია" მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ლეკების ისტორიული წარსულის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩემს მიერ დამუშავებულ „მისიონარული დღიური-წერილების" ანალიზისთვის, წარმოდგენილი ნაშრომით ვსარგებლობ. ამ კუთხით, საინტერსოა ნაშრომები რუსულ ენაზე:1) „Народы Кавказа", რომლის ავტორები არიან: კოსვენა,მ. ლავროვა, ლ. ნერსესოვა, გ. ხაშაევა,ხ. და 2) ს. ბრონევსკის ორტომეული, სახელწოდებით „Новейшія географическія и истортческія известіа о Кавказе". ბრონევსკი ეყრდნობა პეტერბურგის საარქივო დოკუმენტებს, ჩანაწერებს, მიმოწერებს, მეფის რუსეთსა და კავკასიაში მათ მიერვე გამოგზავნილ ჩინოვნიკების მოხსენებებს, ერეკლე მეფის, გიორგი მე-12-ის ცხოვრების პოლიტიკურ დეტალებს, ტრაქტატისა და მანიფესტის პირობებს, ახალციხის, თბილისის და ასევე კავკასიელების ეკონომიკურ-სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლელბს.

ზემო ქართლის ისტორიული ნარკვევების ძიებაში დამეხმარა ისეთი ღირებული ეთნოგრაფი-ისტორიკოსის წიგნი, როგორიცაა სერგი მაკალათიას „სამცხე-ჯავახეთი". ვინც მის ნაშრომებს კარგად იცნობს, დამეთანხმება, თუ რა დამაჯერებლობით, ანალიტიკური აზროვნებით გამოირჩევა იგი. საკუთარი ქვეყნის ისტორიის საფუძვლიან ცოდნაზეა დაფუძნებული მეცნიერის ყოველი კვლევა. ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში, მისი მთიანი ნაწილისა და სამხრეთ საქართველოს ისტორიული პროვინციების შესწავალას მან მართლაც დიდი ამაგი დასდო.

ძველი და ახალი თაობის ისტორიკოსები-არქეოლოგები თუ ეთნოგრაფები, ქართული ხელნაწერის მაძიებელნი თუ ხელოვნების ისტორიის მკვლევარნი, ყველანი მთელი სიგრძე-სიგანით გრძნობდნენ, თუ რა მტკივნეული საკითხების განხილვას შედგომოდნენ. ზუსტად იცოდნენ საქართველოს განაპირა კუთხეების: ეს იქნებოდა უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი თუ პირიქით-ჩრდილოეთი მთიანეთი-სტრატეგიულად რამდენად მნიშვლოვან როლს ასრულ;ებდნენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების გზაზე. სწორედ მათი მენაპირეობა იყო დროდადრო ერთიანი ქართული პოლიტიკიდან მათივე განდგომის მიზეზიც. ამიტომ კარგავდა, გან XVIII-XX საუკუნეების მანძილზე მესხეთის ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და შემოსეული-თუ დამკვიდრებული უცხო ძალების პოლიტიკის მიმღებნი და მსახურნი ხდებოდნენ.

ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების'' შესწავლის პროცესში, მასშივე არსებული მასალბის მიხედვით, მე მომიხდა XVIII-XIX საუკუნეების იმერეთის ისტორიის განხილივა. ხოჯვავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარულ დღიურ წერილებში'' უამრავი ცნობებია დაცული სოლომონ პირველისა და დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების, ერეკლე მეორისა და ახალციხის საფაშოს მიმდინარე პოლტიკური პროცესებისა.ამჯერად, მ. რეხვიაშვილის „იმერეთი XVIII საუკუნეში'' არის ჩემი მსჯელობის საგანი. 1767-1777 წლებში ხუცესი იოვანე ჰაჯი ალი-ბეგის მის სოფელ-უდეზე თავდასხმის გამო იმერეთშია გადახვეწილი, ხოლო, როგორც მისივე დღიურებით ირკვევა, იგი სოლომონ პირველის კარზე მიღებული ფიგურაა, უფრო მეტიც, დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებით აქტიურადაა დაკავებული. ეს მასალები დისერტაციის ერთერთ ქვეთავში მთლიანად მაქვს წარმოდგენილი.

მესხეთის ზოგადი კურსის ისტორიული ნაშრომებიდან საყურადღებოა ნ. ხაზარაძის კვლევები, კერძოდ „ვახუშტი ბატონიშვილი და მოსხური მთების იდენტიფიკაციის საკითხი''. ავტორი „მოსხური მთების'' ლოკალიზაციის საკითხის დადგენისას ერთმანეთს ადარებს ვ. ბატონიშვილის „აღწერა სამეფოისა საქართველოისას'' ეპიზოდებს აღნიშნულ თემასთან მიმართებაში ალ. ხახანაშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ს.ჯანაშიას, პ.ინგოროყვას შეხედულებებს. ნ. ხაზარაძის მიერ წარმოდგენილი კვლევა, ჩემთვის მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ იგი კარგად გააზრებული მესხეთის ისტორიული გეოგრაფიის თემაა. ამ ღირსებასთან ერთად, იგი დამეხმარა სადისრეტაციო ნაშრომის ქვეთავის „მესხების წარმომავლობის'' ანალიზისას.

ხოჯავანთ იოვანე „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების'' შემდგენელი ვაჭრის ოჯახიდან იყო. საკუთარი ოჯახის პრივატულ ამბებს და სავაჭრო-საქარავნო-სოციალური ყოფითი ხასიათის საკითხებს უხვად გვიამბობს თავის ქრონიკებში. ჩემს მიერ დამუშავებული თემის ერთი კონკრეტული თავი მთლიანად ეთმობა XVIII-XIX საუკუნეების ახალციხის საფაშოს ეკონომიურ ცხოვრებას და მის კავშირს გარესამყაროსთან.) ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების'' ქრონიკების მიხედვით, ამ საკითხების დამადასტურებელი ფრაგმენტები, რომლებიც მთელ დღიურშია გაფანტული, შეჯამებული სახით მაქვს წარმოდგენილი, ხოლო კვლევის დროს აქტიურად ვიყენებ იმ საინტერესო ისტორიულ მიმოხილვას,

რომლითაც ასე მდიდარია კრებული „მესხეთ-ჯავახეთი'', რომელიც 1965-67 წლებში მოპოვებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხების საერთო კრებულს წარმოადგენს. წიგნი გამოცემულია 1972 წელს. მის თავფურცელზე იკითხება „მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის'', თუმცა იგი ცილდება ეთნოგრაფიის კურსს და ამაზე თავად მისსავე ანოტაციაში ვკითხულობთ: „კრებული დაეხმარება ეთნოგრაფებს, არქეოლოგებს, ისტორიკოსებს და სხვა დარგის სპეციალისტებს. იგი გათვალისწინებულია ფართო მკითხველისათვის.'' (მესხეთ-ჯავახეთი.1972, 4) კრებული მოიცავს ფართო სპექტრის სოციალური ხასიათის მასალას. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიის თანამშრომლების მიერ სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული ცნობები, თავისთავადაა იგივე რეგიონისთვის დამახასიათებელი სავაჭრო-ეკონომიური თუ ყოფითი ცხოვრების ამსახველი ფაქტები. „მესხეთ-ჯავახეთი წარმოადგენს საქართველოს იმ შესანიშნავ კუთხეს, სადაც კულტურულ-გეოგრაფიულმა გარემომ ადამიანს უბიძგა მრავალგავაროვანი მეურნეობისაკენ. აქ ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ველური ჯიშებიდან ხორბლის კულტურული ჯიშები გამოეყვანათ. აქ უნდა ჩაყროდა საფუძველი დაკიბულ მეხილეობა-მევენახეობას. მიტოვებული ძველი ნასახლარი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი ვრცელფართობიანი საბძლებითა და პურის ორმოებით, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა მემინდვრეობის ნაყოფიერებასა და მასშტაბებზე. სამცხეში ძველთაგანვე მისდევდნენ მეცხვარეობას. შალის ნართის ღებვას ძირითადად მიმართავდნენ ოჯახებში, მაგრამ ძველ ქალაქებში არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამღებრო სახელოსნოები: ბარალეთში, ხერთვისში, ახალქალაქში, ახალციხეში და სხვაგან“. (მესეხეთ-ჯავახეთი 1972: 4)

ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები'', ქრონიკების სახით გვაწვდის ისტორიულ მასალას ერეკლე მეორისა და ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ურთიერთობებზე, როგორც იმერეთის სამეფოსთან და დასავლეთის სამთავროებთან, ასევე ახალციხის საფაშოსთან და მეფის რუსეთის მიერ გამოგზავნილ გენერლებთან. შეიძლება ითქვას, რომ 1767 წლიდან 1798 წლამდე ე. ი. ერეკლეს გარდაცვალებამდე აღნიშნულ ხელნაწერში დაცული ქრონიკების ძირითადი ნაწილი, სწორედ ერეკლე მეორის მოღვაწეობის, მის მიერ გამართული მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების მატიანე, ლეკებთან ბრძოლების ამსახველი წყაროა. გამომდინარე იქიდან, რომ „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების''

არსებული ხელნაწერების შედარებითი ხასიათის კვლევის შემდეგ, ბუნებრივად გამოიკვეთა ამავე ხელნაწერების მიხედვით, მის ქრონიკებზე დაყრდნობით გამეანალიზებინა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს სამეფო-სამთავროთა ურთიერთობები, მათი პოლიტიკური თანხვედრა თუ ერთგვარი შეჯიბრი ცარიზმისა და ოსმალეთის იმპერიებთან მიმართებაში. დავამუშავე ერეკლე მეორეზე არსებული გარკვეული ისტორიოგრაფია და XVIII-XIX საუკუნეების ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორია. გავეცანი:გ.ქიქოძის „ერეკლე მეორეს'', ი.ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძს'', თ.ბაგრატონი „ახალ ისტორიას'', რ.მეტრეველის „საქართველოს მეფენი და პატრიარქებს'', თ.ჯორდანიას „ქრონიკების'' მესამე ტომს, ს.კაკაბაძის „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის'', ს.ცაიშვილის ნაშრომის.

ერეკლე მეფემ შესანიშნავად იცოდა, ჩრდილო კავკასიელების, როგორც სტრატეგიული პარტნიორების როლი, რამდენად დიდი იყო ქართული პოლიტიკის მომავლისათვის. ამ კონტექსტშია გაანალიზებული „ქართული დიპლომატიკის'' მე-15 ტომში ე. კოპალიანის „საქართველოში ყაბარდოელების გადმოსახლების ისტორია''. ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები'' მოგვითხრობენ რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომის 1768-1774 წლების ისტორიის იმ ეტაპზე, რომელშიც ჩართულნი იყვნენ სოლომონ პირველი და ერეკლე მეორე. ქრონიკებში აღნუსხულია გენერალ ტოტლებენისა და სუხოტინის ავანტიურისტული პოლიტიკის დეტალები და ერეკლე მეორის გააქტიურება პროცესებთან მიმართებაში. ხუცესის მატიანეში მოხსენიებულნი არიან ყაბარდოელები, ქისტები, ჩერქეზები, აფხაზები, ლაზები, აჭარლები. ყაბარდოელები, რომელთა სკითხი 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ცარიზმის გამიზნული გეგმის ნაწილი იყო. როგორც ე. კოპალიანის ნაშრომიდან იკვეთება, ერეკლე მეფე 80-იან წლებში კიდევ უფრო ქმედით ღონისძიებებზე გადვიდა და 1782 წლიდან ყაბარდოელების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკა რუსეთისგან ფარულად აამოქმედა:

ოსმალურ-რუსული ძალების ჭიდილში XVIII-XIX სუკუნეებში ზემო ქართლი, განსაკუთრებით კი ახალციხის საფაშოს დაქვემდებარებაში მოქცეული მოსახლეობა არაერთგავროვანი, ჭრელი გახდა. ადგილობრივი ეთნიკური ქართულ სოფლებში ჩაასახლეს ოსმალური, სომხური თუ ბერძნული წარმომავლობის ხალხები. საბოლოო ჯამში სტატისტიკა დემოგრაფიული მანიშნებლით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საგანგაშო გახდა. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებზე'' მუშაობისას,

როდესაც ისტორიოგრია შევისწავლე, ბუნებრივად დადგა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაშუქების სურვილი. ამისკენ მიბიძგა ისტორიულ წყაროებში: გიულდენშტეტთან, ყაზგეგთან, ტივაძესთან, ბერძენიშვილთან არსებულმა მასალებმა. თუმცა ამოსავალი ბაზა ამ თვალსაზრისით გახდა ვ. ლორთქიფანიძის „ისტორიული მესხეთი" (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები)., აგრეთვე-მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემები მოვიპოვე, როგორც კავკასიის გუბერნიისა, ასევე, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ გაზეთ „დროებაში", №-4, რომელიც ცდილობს, ახლად ფეხადგმულ სტატისტიკურ მეცნიერებას განვითარება მისცეს საქართველოში. სამხრეთ საქართველოს დემოგრაფიაზე და ოსმალობაზე წერს აგრთვე „ივერია", 1877 წლის №32-ში, სათაურით „საპოლიტიკო მიმოხილვა". სტატია გამოირჩევა 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის, ევროპისა და რუსეთს დიდი დავისა და საქართველოს გვიანი ფეოდალური პერიოდის ისტორიის მიმოხილვით.

საკითხის შესწავლისას გამოყენებული მაქვს: ვ. მაჭარაძის „ასპინძის ბრძოლა", სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი", დ. გურამიშვილის „დავითიანი", ა. გელოვანის „რწმენა, ღმერთები, ადამიანები", მ. შეყილაძის „საქართველოს ისტორიის ატლასი". კ. ანთაძის "მსოფლიო ისტორია", ნ.ასათიანის, ვ.გუჩუას, მ. ლორთქიფანიძის, შ. მესხიას „საქართველოს ისტორია", ა. ბაქრაძის „ჯავახეთი, ჯავახეთი....".

ქართული ეროვნული პოლიტიკა და ცნობიერება, გენეტიკურ-სახელმწიფოებრივი განვითარების გზა საინტერესოდ აქვს განხილული გაზეთ „ბახტრიონში" გიორგი ლეონიძეს. იგი თავადაა ამ გაზეთის რედაქტორი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ამ სულსკვეთების სტატიას ის 1922 წელს აქვეყნებს.

ხოჯავანთ იოვანეს „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები" დეტალურად აღწერს რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ისტორიულ ფაქტებს, დატრიალებულს ახალციხის საფაშოში, ზებუთოვის სისასტიკეს. როდესაც ს.ჯანაშიას სახ. ბიბილიოთეკის რარიტეტულ ფონდში ვნახე, ვარაშავაში გამოცემული, სქელტანიანი, რუკებით სავსე, სამხედრო გეგმებით გაჯერებული „Историа военныхъ действий вЪ Азіиатской Турций въ 1828-1829 годахъ", მივხვდი, ასეთი ზუსტი გათვლებით, მიზანდასახულად მავალი რუსეთი, რატომ გახდა კაკვკასიის მბრძანებელი

და მსოფლიოში მძიმეწონიანი პოლიტიკური მოთამაშე ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. ნაშრომში აღწერილია რუსეთის გეგმები, სტრატეგიული გათვლები- ახალციხის საფაშოსთან მიმართებაში და მას კვლევაში ვეყრდნობი.

ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია, მეცხრამეტე საუკუნის მეფის რუსეთის მიერ, საქართველოში გამოგზავნილი გენერლების: ლაზარევისა და კნორინგის ოფიციალური მიმოწერები, თავმოყრილი ბერჟეს მიერ შეგროვილ ნაშრომში: Акты собранные Кавказскою Археографическою коммиссіею томъ-1 რაპორტების სახით, აღნუსხულია ის ისტორიული ფაქტები, რომლებიც, ასევე, იკითხება ივ,გვარამაძის მიერ გადაწერილ „ხოჯავანთ იოვანეს საისტორიო მისიონარულ დღიურ წერილების'', 1800-1803 წლების ქრონიკებში.

## თავი II.

## ავტორის ვინაობის საკითხისათვის-

ხელნაწერებზე მუშაობის დაწყებამდე, ბუნებრივია, დავინტერესდი დოკუმენტის ავტორის ბიოგრაფიით, რადგან როგორც ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: „ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული,არამედ, მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მედასეობა. თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერელის თვალსაზრისი, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლიერს დაღს ასვამს და ნება-უნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს, რომ „მაცდურ სოფელის'' მოძულე ბერი-მატიანე თავისუფალი აზროვნების და ყოფა-ცხოვრების სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პირუთვნელობას ვერ გამოიჩენდა, სათაკილო ამბების აღწერილობას თავის ნაწარნოებებში არ შეიტანდა...'' (ჯავახიშვილი 1977: 25-26)

„იოვანე, ქრონიკების დამწერი ხოჯავათი ანუ ხოჯაშვილი თავად ახალციხელი ქართველი კათოლიკე ყოფილა. იგი სომხურ-კათოლიკურ რიტზე იდგა. იგი თავის თავს ხუცესობით იხსენიებს. ხოჯევანი ანუ ხოჯასშვილი საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინია და არა გვარი. ხოჯა ქართულად მწერალს, მასწავლებელს ნიშნავს. იოვანე დაბადებულა ქალაქ ახალციხეში, რაბათში. სავარაუდოა, რომ 1763 წლისთვის 30-ოდე წლის უნდა

ყოფილიყო. ამ აზრის გამოთქმის უფლებას იძლევა, მისი ერუდიცია, სწავლის მრავალსახეობა. რომიდან დაბრუნებული, მღვდლად ნაკურთხი სოფ. უდეს ეკლესიის წინამძღვრად მუშაობდა.(ლომსაძე 1979: 850)

იოვანე, როდესაც ქრონიკებში მამაზე საუბრობს, სახელით არ მოიხსენებს: „1764წ.24 თიბათ.მამა არზრუმს წავიდა, გრძელი პოღოს ბიძაც თან გაჰყვა.'' (გვარამაძე 1892: 1) მამამისი ვაჭარი ყოფილა და არზრუმ-სტამბულს ხშირად სტუმრობდა. იოვანეს მამას 1765 წელს არზრუმიდან გამოგზავნილი დიდი ხარა(ნავაჭრი საქონელი)დაეკარგა. ამის გამო, ლოგინად ჩავარდნილა და 1766წ. 28 მარტს გარდაცვლილა. მამის ხელობას იოვანეს მომდევნო ძმა, ლუკა დაეპატრონა. იოვანე ძმას დოკუმენტში ხშირად ახსენებს აშკარა ფამილარული ტონით:''-27-ჩვენი ლუკა არზრუმითგან მოვიდა, ღთით'' (იქვე 1892: 3)

არც ხუცესის დედის სახელი ვიცით. იგი გარდაცვლილა 1776 წელს. ამ ამბავსაც, ხუ „დღიურ-წერილებში'' გადმოგვცემს:''-14-დედა ჩემის მიცვლა გამიმჟღავნეს წირვის მერმე,1. ენკენისა მიიცვალა.'' (გვარამაძე 1892: 31)

ორი და ჰყოლია: ეკატერინე, უფროსი და ელენე, რომელიც 1777წ. აწყვერელ ივანე საკაშვილზე გაუთხოვებიათ. როგორც ჩანს, ხუცესი „პროპაგანდა ფიდეს'' სასწავლებელში გაწვრთნილა სამღვდელოდ. მან ზედმიწევნით იცოდა: ლათინური, ფრანგული, იტალიური. იგი აღმშენებლობითი საქმიანობითაც გამოირჩეოდა:3-ქუთაისს საყდარს ფული მივართვით გასაკეთებლად. ვაკეში ჩაველ ავადმყოფი ბადოი ვნახე.'' (იქვე 1892: 10) (კათოლიკე მღვდლები აქიმობაშიც განსწავლულნი იყვნენ). იოვანე ხუცესს ხშირად იბარებდნენ ახალციხეში სხვადსხვა საეკლესიო თუ სამოქალაქო წერილების, ლიტერატურის თარგმანისათვის.

1767წ. 18 აპრილს სტამბოლიდან მოვიდა ქარავანი, რომელსაც მოჰყვა „პროპაგანდა ფიდეში'' განსწავლული ახალგაზრდა მოძღვარი გრიგოლ კრუხიჭამიანთი(ხურსიძე). როგორც ქრონიკებიდან ირკვევა, ხუცესსა და გრიგოლს შორის მეტად რთული, წინააღმდეგობრივი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. (ლომსაძე 1979: 86)

როგორც მიხეილ თამარაშვილი წერს, მიზეზი შემდეგი უნდა ყოფილიყო: გრიგოლმაო-ავტორიტეტის იარაღი ცუდად მოიხმარა. უმეცარი მღვდლები თანამდებობიდან გადააყენა, ხოლო მასზე მცოდნენი, როგორებიც იყვნენ: გრ. მაქანდარაშვილი, იოვანე ხუცესი, იოანე გარსევანიშვილი, იოსებ ორთავაშვილი

შეაჩვენა. ამის შემდეგ, ახალციხის კათოლიკე მოძღვარნი და ეკლესია ორად გაყოფილა. (იქვე 1979: 86) ერთ ფრთას სათავეში კრუხიჭამიანთ გრიგოლი ედგა, ხოლო მეორეს- ენერგიული, ახალგაზრდა იოვანე ხუცესი. (კრუხიჭამიანთ გრიგოლი სომეხი მღვდლის- ხაჩატურ არუპჯუმის გავლენას განიცდიდა.) საინტერესოა ის გარემოება, რომ კონსტანტინოპოლელი ეპისკოპოსი, თრაქეა, ვერ მორევია ამ განხეთქილების აღმოფხვრას. საკითხი, რომში წმინდა კრებას განუხილავს. რჩევის შედეგად, იოვანე ახალციხიდან უნდა წასულიყო, რასაც თავად არ დათანხმებულა.

იოვანე ხუცესის ცხოვრებაში არსასურველი სიურპრიზები ხდება, რომლის ისტორიას ვეცნობით, თავად მისსავე ქრონოკებში: „12-მაისს უდე აიყარა წავიდა ჩარნაგათისკენ.'' (გვარამაძე 1892: 4) ჩარნაგათისკენ გაქცევა, გამოიწვია ჰაჯი ალი ბეგის უდის ჭალაში დაბანაკებამ, რომელიც იმერეთზე გასალაშქრად ემზადებოდა. ამ დროიდან ქუთაისში უხდება დამკვიდრება და კათოლიკურ ეკლესიაში შეჩვენებიდან ახსნილი, კვლავ მოღვაწეობას შეუდგა. ქუთაისში იოავნე 1777 წლამდე ცხოვრობდა და ამიტომ, სოლომონ I-ის კარზე პოლიტიკურ ამბებს იგი მთელი სიზუსტით აღწერს თავის „დღიურ-წერილებში'': -12-მაისს მეფე სოლომონი მოვიდა ახალციხეს 19 თიბათ. წავიდა ჯარით იმერეთს რუსზედა.''(გვარამაძე 1892: 9) ან „8- დავით მეფე ლეკებით გურიისაკენ წავიდა, რომ იმერეთს ჩავიდეს დაჯდეს მეფედ, თუ ღმერთსა უნდა''. (იქვე,48) ხუცესის იმერეთის მეფესთან ახლო ურთიერთობა იგრძნობა შემდეგ ჩანაწერში: „14-მეფე სოლომონს ჩემი სკივრი მივართვი''. (იქვე 1892: 10)

1777წ. სომეხ მარტიორის დაბეზღებით,რომელმაც ამისათვის საკმაო ქრთამი აიღო, იოვანე **ათლწლიანი განშორების შემდეგ, ქუთაისიდან ახალციხეს დაბრუნდა.** მაგრამ, იქაც „ავ კაცთა'' წყალობით, სულეიმან ფაშას დაუპატიმრებია და მხოლოდ, 425 ყურუშის მიცემით გათავისუფლებულა:'-მივეცით ყურუში425, უფრო მეტიცა, ჩვენი ახალციხის ბეგებს''.

ამ მოვლენების შემდეგ, იოვანეს მისცეს მოსავლელად შორეული **არტაანის სანჯაყის კათოლიკე სოფლები: ველი, გუგუბო,ნაქალაქევი დ**ა სხვ. აქ მოღვაწეობისას იოანემ თავის თვალით ნახა, თუ როგორ თმობდა არტაანის ქართველობა თავის პოზიციებს მაჰმადიანების, გრიგორიანების, კათოლიკური და ბერძნულ- მართლმადიდებლური ეკლესიის სასარგებლოდ. (ლომსაძე 1979: 87)

1783 წლიდან ხუცესი ახალციხეს დაუბრუნდა და პოზიციები განიმტკიცა, თუმცა მისსავე მისიონარულ დღიურებში, დეტალურადაა აღნუსხული ყველა ის

დამამცირებელი ფაქტი, რომელიც ხშირად მრავალდღიანი პატიმრობით, ანუ „ზანჯირხანში'' გამოკეტვითაც სრულდებოდა ხოლმე.

1800 წელს მცირე ხნით მან პროვიკარის თანამდებობაც მიიღო, თუმცა კრუხიჭამიათ გრიგოლის სიკვდილის შემდეგ, მასთან შუღლსა და პაექრობაში **შაჰყულიანი ჩაერთო,** რომელმაც იოვანეს ეს თანამდებობა დაატოვებინა. მისიონარული დღიური მშვენიერი გზამკვლევია იოვანე ხუცესის დასახასიათებლად. კარგი მოქართულე, სხარტი აზროვნების,უცხო ენების მცოდნეა ხუცესი. მის ლიტერატურულ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე მიუთითებს ქრონიკის შემდეგი პუნქტი:''სულხან-საბას მიმოსვლა დავიწყე''. (გვარამაძე 1892: 24)

ხოჯავაანთ იოვანე მრავალმხრივ საინტერესო ადამიანია და შინარსიანი ცხოვრება აქვს: პირად საკუთრებაში წისქვილი, ფირაშვილების დუქანი, მისდევს მეფუტკრეობას და რაც მთავარია, ცალკე განხილვის თემაა მისი პედაგოგიური საქმიანობა, ახალციხის კათოლიკეთა ქვემო ეკლესიის სკოლაში. სამცხე-ჯავახეთის მუზ. ხელნაწერთა ფონდში დღემდეა შემორჩენილი მის მიერ მომზადებული გადსაცემი გაკვეთილების გეგმა-კონსპექტები, ნახაზები, მოსწავლეთა გვარები. იოანე ხუცესის მემკვიდრეობას ამდიდრებს: თეოლოგიური ხასიათის ვარჯიშობანი, კათოლიკური ლექციონარის თარგმანები, სოლომონ I-ის კარზე გამოცემული წყალობის სიგელები, მისი ქცევითი ხასიათის ჩანაწერები, გაკვეთილის შედგენილობა, ტექსტოლოგიური საწყისების შესწავლის ცდა. შ. ლომსაძე საყურადღებო აზრს ავითარებს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია, იოვანე იმერეთში უფლისწულთა და საერთოდ, სამეფო ოჯახის შვილთა აღმზრდელადაც ყოფილიყო მიწვეული. ასეთი საქმიანობით,იგი დაახლოებული ჩანს ახალციხის საფაშო სახლთან". (ლომსაძე 1979: 493-499)

ამ ადამიანმა თავისი ნახევარსაუკუნოვანი სამწერლობო-საისტორიო მოღვაწეობისას შეადგინა საქართველოს ისტორიის მეტად შფოთიანი, ამაღალვებელი ეპოქის ამსახველი დოკუმენტალური ხასიათის ქრონიკები, რომელთა უმრავლესობა მის თვალწინ ხდებოდა, ან მკვეთრად სანდო პიროვნებისგან ისმენდა.ხოჯავაანთ იოვანე 79 წლის უნდა გარდაცვლილიყო, როგორც ამას ქრონიკა ადასტურებს:1809. თიბათ. გარდაიცვალა ხოჯევანათ ტერ იოანე. ამ დღიურების დამწერი. ღმერთმა აცხონოს.''(გვარამაძე 1892: 89)

## 2.1 ივანე გვარამაძის ბიოგრაფიული ცნობები

ივანე გვარამაძე დაბადებულა 1831 წელს, ღვინობისთვეში პავლე გვარამაძის ოჯახში.(იხ.დანართი #-1,#-2) როგორც თავად ივანე იგონებს, მამამისი პავლე, ერთი ახალციხელი გლეხკაცი იყო. ხვნა-თესვა არ იცოდა. მეწვრილმანეობდა, იცოდა ქსელის ბეჭვდა და მექუდეობაცა, როგორც მაშინ ამბობდნენ „ფეხზედ ვაჭრობა''. ახალგაზრდობაში ძმასთან, იოსებთან ერთად, როდესაც ''ოსმალოს მფლობელობასა შინა'' იმყოფებოდნენ ახალციხის ფაშასთან სარაიდარადაც(მზარეულად)მუშაობდა. (ლომსაძე 1995: 11-12)

პავლეს მრავალი შფოთიანი ისტორია გადახდა, სახლ-კარიც დაუკარგავს ახალციხეში. ძირითადად ცოლის სოფელში, ვალეში ცხოვრობდა და ამიტომ ივანემ ბავშვობა, სწორედ დედულეთში გაატარა. დედამისი, მარიამი ვალელი ზაქარაშვილი გასპარას ქალიშვილი იყო, რომელიც დაქვრივებული ერთი შვილით შერთეს ივანეს მამას. ზაქარაშვილებს კულტურული ოჯახი ჰქონიათ და საკუთარ სახლში „ქალთა საკითხავი'' გაუხსნიათ. პირველდაწყებითი საფეხური აქ გაუვლია ივანეს, ხოლო შემდეგ **ნათლიას, მღვდელს-პავლე ხარისჭირაშვილს მიაბარ**ეს. ივანე იმდენად ბეჯითი მოსწავლე გამოდგა, რომ მოგვიანებით ცნობილ ხრონოგრაფსა და მოძღვარს, **სტეფანე ნავროზაშვილთან გადაიყვანეს (ეს უკანასკენკნელი ჩვენი ქრონიკების ერთერთი გადამწერია)** „საკითხავში''. როგორც შ. ლომსაძე აღნიშნავს, პატარა ივანეს მხატვრობის ნიჭიც ჰქონია და ეს ვალეში ყველამ იცოდა, „ორღობებზეც კი ხატავდა, საღამოობით კი კალიგრაფიაში ვარჯიშობდა, ქართულად ნაბეჭდი სახარება ისე გადაჰქონდა კალმით ქაღალდზე, რომ დაბეჭდილისგან ვერავინ არჩევდა. ილია ალხაზიშვილი წერს-როგორც ჩვენი წმინდა მამები სწერდნენ საღრმთო წიგნებს, ამისთანა მჭიდრო, წმინდა ხელით დაწერილი ექნება ათი ათას გვერდზე მეტიო''. (ლომსაძე 1995: 17)

როგორც ივანეს ბიოგრაფიიდანვე ჩანს, იგი მამას იმერეთში თუ სხვაგან სავაჭროდ წასულს, ხშირად თან ახლდა. ბუნებრივია, ივანეს ამ მოგზურობებმაც მრავალი საინტერესო ანახა, დააფიქრა. ჩვიდმეტი წლის როდესაც შესრულდა, პავლე შაჰყულიანის ცნობილ სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. მეტად განსწავლული მაგრამ მკაცრი, ახირებული ხასიათის შაჰყულიანთან შემთხვევითი გარემოების გამო გაძევებულია სასწავლებლიდან. ივანეს სტამბულში წასვლა დროებით ყირიმის ომმა

შეაფერხა და ივანემ ქუთაისში გადასვლა განიზრახა ყოფილ მასწავლებელთან-ხარისჭირაშვილთან, რომელიც კათოლიკურ ეკლესიაში დონ ანტონის ვიკარად მუშაობდა. მოცემულ პერიოდში შაჰყულიანსა და ხარისჭირაშვილს შორის დიდი უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი. **შაჰყულიანი სომხურ რიტზე იყო გადასული,** ხოლო პეტრე ევროპაში იღვწოდა და „ევროპელი მეცნიერებისა და ვატიკანის დახმარებით ქმნის ცალკე ქართულენოვან კონგრეგაციას, რომელიც 50-იანი წლების ბოლოს საქართველოსთან მეტი სიახლოვის მიზნით გადმოაქვს სტამბოლში და იქ ფრანგ კათოლიკეთა ძმობის მიერ ხარისჭირაშვილისა და ქართველებისათვის გამოყოფილ ადგილზე ფერიქვევში აარსებს ქართველ კათოლიკეთა ძმობას და აშენებს მონასტერს ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელზე, ქართული ტიპიკონითა და ქართულენოვანი მღვდელმასხურებით.’’(იქვე 1995: 33) (ამ თემას ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების” ე.წ. გაგრძელებაში აქტიური ადგილი უკავია და განვიხილავთ.)

ივანე გვარამაძემ სტამბულიც მოიარა და 1860 წ. დაბრუნდა. თბილისში სოლოლაკში ცხოვრობდა და კერესელიძის სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა. ამასობაში კი სასულიერო მმართველობამ იგი დაიკვნობაში აღადგინა. მალე ივანე გუმბრის სასაწავლებელში ჩაირიცხა, დაოჯახდა. ნაყოფიერი აღმოჩნდა გუმბრში სწავლების 4 წელი, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა სომხური საერო და სასულიერო ლიტერატურა, სომხური ისტორიოგრაფია, ძველი და ახალი სომხური ენა. 1865 წლიდან კი ახალციხეში იწყებს საერო სკოლის მასწავლებლად მუშაობას. დიდი პრობლემების მიუხედავად 1869 წელს ივანე მღვდლად აკურთხეს და სოფელ **ხიზაბავრში** მთავარი მღვდლის მოადგილედ დაინიშნა. ამ დროიდან **ივანე გვარამაძის-ვინმე მესხის თვალსაწიერს არაფერი რჩება შეუმჩნეველი, შეუფასებელი.** იგი მესხეთის 70-იანი წლების გამორჩეული საზოგადო მოღვაწეა: მუშაობს საერო სკოლაში, ჩართულია პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცდილობს გლეხთა პრობლემების მოგვარებას, თარგმნის სომხურ ლიტერატურას, იბრძვის მესხეთის დაცარიელებული სოფლების განაშენიანების, კვლავ გაქართულებისათვის.

**ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საკვლევ თემაზე მასალების მოძიებისას, აღმოჩნდა პირადი ხასიათის წერილი, გაგზავნილი ივანე გვარამაძის მიერ დიმიტრი ბაქრაძისადმი. მკითხველი საერთოდ რომ არ იცნობდეს გვარამაძის ცხოვრებას, აღნიშნული წერილი სრულებით საკმარია ივანესი, როგორც ღირსეული**

**მამულიშვილის, ეროვნულად მოაზროვნის, საკუთარი კუთხისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი დამცველის შესაცნობად.** ამ დოკუმენტს პირველად წარმოვადგენთ (ბეჭვდითი სახით):

31. ღვინ. **1888**. ქ. ახალციხე. პატივცემულ ბ. **დიმიტრი ბაქრაძეს**

მოგიკითხავთ საუფლო ლოცვაკურთხევით და თქვენს დღეგრძელობას მოწყალე უფალსა ღმერთსა ვსთხოვთ ჩვენს ნუგეშად.

მომილოცავს მშვიდობის მგზავრობა კონსტანტინოპოლისაკენ. კეთილი იყოს: მადლობა ღმერთს მშვიდობით წახველით და მშვიდობითვე მოხვედით. იმედი მაქვს საკმაო ისტორიულ წყაროებს მოიძიებდით **ჩვენი საცოდავი სამშობლოსას,** რომელიც დიდი სასიხარულო და სანუგეშო არის ჩვენთვის.

**ჩვენი სამესხეთო კი დავიწყებულია ამჟამად ყველასგან,** იქამდის, რომ უცხონი მოდიან გვითხრიან ძველ ნაშთძეგლებსა, ჯვარხატთა და მიაქვნან თავისუფლად თავიანთ ქვეყანასა. **მოწინააღმდეგე ხმის გამცემი არავინ არის.** განა სახელია კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოებისათვის. განა კავკასიის მუზეუმში არ უნდა იკრიბებოდეს მისთანა ნაშთნი თუ სადმე არს? სხვა ქვეყნებსა და სხვა მუზეუმებში რა ხელი აქვს ჩვენ ნაშთა და ჩვენ წინაპართა საკუთრებას? მაგრამ ხდება ბევრი ამისთანა დაქცევა ჩვენის ქვეყნისა ჩვენს საკითხავად და დიდად სამწუხაროდ. ''სოფელ ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთ!'' სწორედ ესრე,-იქამდის **უზრუნველი და უნაღველნი ვართ,** რომ მეორებით და მესამებით **ზიკიპინტების ჯღაბნას გაჰყოლიან** ჩვენი სწავლული ვაჟბატონები და **უპრიანე უპირველესი საგანი ისტორიის წყაროები უბედურ ეპოქის კორიანტელისა ქარიშხალთათვის მიგვიტოვებია, რომელნიც დღავანდლამდე იმუსრება, იტაცება და უჩინარდება.**

ერთ იმისთანა გონებაგახსნილ გულმოწყალე გაზეთის გამოამცემლებში არა გვაყვს, რომ ჩვენი შრომა დაბეჭდონ ხოლმე წყაროების გასამრავლებლად. **ყველანი იმადლებიან, ცხვირ პირს იგრეხენ, არაფრად სთვლიან და ამგვარად რა სიკეთე იქმნება და ან ვინ შეხალისდება ისტორიულ შრომაზედ კიდევ.**

განსვენებული ბ. სერგი მესხის დროს მე დავსწერე **დროებაში** მგონი წუნდის ეკლესიის ზედ წარწერა სწორედ როგორც იყო, მაგრამ ვარძიის მონასტრის ბერმამ. კალისტრატემ სხვაგვარად დასწერა **მწყემსში** თუ ის და თუ სხვა ჩემი **არქეოლოგიური ცნობები გადაასხვაფერა. დიდის სიამოვნებით მიიღო მ. ღამბაშიძემ იმის სიცრუე**

**სინამდვილედ. თუმც მეც ცხდად აუხსენ პასუხითა გარნა არ დაბეჭდილა.** მას და ზოგიერთ გაახლებთ ამასთან და განიხილეთ.

მარად თქვენი მლოცველი დავშთები უღირსი მონა

მესხი ივ. მღ. გვარამაძე." (ბაქრაძე 1888: 1)

ამ წერილის ფრაზებს მიღმა შეიცნობა ილია ჭავჭავაძისეული ფიქრები(**უპირველსი საგანი ისტორიის წყაროები მიგვიტოვებია, უზრუნველნი და უნაღვლელნი ვართ**), პარალელი უნებურად ხდება ნიკო ბერძენიშვილის ნააზრევთან (**ჩვენი სამესხეთო დავიწყებულია ყველასგან**), მკაცრი, თუმც დროული კრიტიკა თანადროულობისა (**ზიკიპინტების ჯღაბნა**), ივანესეული გეგმა-სიძველეთა გადარჩენისა (**კავკასიის მუზეუმის როლი**), და რაც მთავარია, **დიმიტრი ბაქრაძისადმი გამოვლენილი პატივი, ნდობა, იმედი-თავმდაბალი წერილის ავტორისა, სამშობლოზე ფიქრით დამძიმებულისა.**

ჩვენი  ხელნაწერი, ივ, გვარამაძეს, (როგორც ქვემოთ მოგახსენებთ), სხვადასხვა ისტორიულ და ფოლკლორულ ნაშრომებთან ერთად აქვს წიგნად გამოცემული. ყურადღება მიიქცია ქვეთავმა-„სამცხე საათაბაგო". XIX საუკუნის ცნობილი მოღვაწე ივანე გვარამაძე საკუთარ ანალიზს აყალიბებს მესხების წარმომავლობის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს საკითხი ჩვენს საკვლევ თემასთან კავშირშია, ვაქვეყნებთ (ბეჭვდითი სახით ასევე პირველად) დისერტაციის ბიოგარფიული ხასიათის ქვეთავში: „სამცხე საათაბაგოს აწყვერის შემდგომ იხსენიება ახალციხე უპირველეს ქალაქად. სწოდებია **სამცხე. მარდა. ლომსია და ახალციხე.** ჩვენს ქართლის ისტორიაში არ არის **რიგიანად** ცნობილი და ახსნილი **არც სამცხე არც მარდა და არცარა ლომსია,** თუ რა მიზიზისთვის სწოდებიათ, რომ ვიცოდეთ ბეჯითად. სამცხისათვის წერს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერთი თეატინი, რადგან სომხების მთები, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა ძველის გადმოცემით, ნოე თავის სამი შვილით კიდობნითგან ჩამოსვლისთანავე, რაც ნახეს ასეთი უხვი ქვეყანა დაბინავდენენ აქა, აღაშენეს სამი სახლი თვითეულმან თავისთვის და დასახლდნენ თავიანთის სახლობით. მათი სახლები ციხეებს წააგავდნენ. ამ მიზეზისათვის ამ ქვეყანას დღემდის დარჩა ეს სახელი სამცხე, რომელიც ქართულდა ნიშნავს სამს თავშესაფარსა. შემდგომ მათივე შთამომავლობა გარშემო ქვეყნებში გამრავლდა. (გვარამაძე 1892: 45)

იტალიელი მისიონერის დამოწმების შემდეგ (სამეგრელოს აღწერა. 1654წ. ჟურნ.მოამბე. №-4. 36-37 გვერდი) გვარამაძე **კრიტიკულად** მიმოიხილავს ქართულ ხელნაწერს და ასევე ამჟღავნებს სომხური ისტორიოგრაფიის ცოდნას: ჩვენი **ქართლის ცხოვრება** ასრე მოკლედ **ყრუდ** გადმოგვცემს და მუნით გარდმოვიდა ნასრი სამცხეს და შეიპყრნა სამნი ციხე ოძრხე. ჯვარის ციხე. და ლომსიანთა. გვარამისვე მამის აშენებული. **ლომსია ვახუშტის** მოწმობით ხომ **ახალციხეა.** სომხის მამათვარი **მოსეს ხორენელი** თავის გეოგრაფიაში. V. საუკუნეში **ახალციხეს სამცხედევე** ახსენებს აქვე ივანე გვარამაძე საგულისხმო მინიშნებას აკეთებს: მაშ ვისაც ჰგონია, ახალციხე გვარამ მამფალის დროს დაფუძნებული ციხით ქალაქი და ეკლესიებითა **დიდად შემცდარნი არიან (იქვე 1892: 47-49)**

ორიგინალობით გამოირჩევა გვარამაძის მეცნიერული ახსნა მესხეთის მეორე სახელწოდებასთან დაკავშირებით: **მეორე სახელი მარდა** არის. მესხ.ქართველნი არა თუ მარტო თავიანთს ქვეყანას იცავდნენ მტრის შემოსევათა აკელებისგან ისევე სხვა მეფეებსაც ჰშველიდნენ. იმ ბრძოლაში **ფასითა მათ მტრებზედა.** ქალდეველნი კავკასიის მთაში მცხოვრებნი, რომლებიც ჩვეულებისამბერ ფასით მსახურებდნენ **ასარასტანელებს** სამხედროში გარდასახლდნენ **ბაბილონისაკენ** და შეერთდნენ ძირითად მცხოვრებთა.(იმოწმებს **ქსენოფონტეს, შემოაქვს მსჯელობისას შუამდინარეთისა და სკვითების შესახებ არსებული მოვლენები**): გაუამხანაგდა **ნაბოპალასარი** ქურთების მეფე **კიაქსარს** უწყო ომი საარაკო (ქინალდან) ბოლო მეფეს ასარსასტანელთა. **რომ ნახეს სკვითებმან შეთხელებულ მცხოვრებთაგან საქართველო გადმოქელეს კავაკასია** და შეესიენ მცირე აზიას. **ნაბუპალასარს და კიაქსარს სკვითები გაუხდნენ თავში საცემად.** ბაბილონს დაუწყეს ამათ, როგორმე თავიდან მოშორება. ბევრი ომებისა და წყვეტა-ჟლეტის შემდგომ მიინდვეს, **როცა თავიანთი დღეობით ყოველგან მთვრალნი ეყარნენ. ჰკრეს ხრმალი და ამოსწყვიდეს მოიშორეს თავიდან.** შეცივდნენ სამცხეში თუმც ბევრი აწყდნენ მცხოვრებთაგან. მაგრა, უმრავლესი შეუერთდნენ მშვიდობიანობით ადგილობრივ მკვიდრთა გამრავლდნენ და გაძლიერდნენ და გააშენეს **- მ ა რ დ ა.** ქალაქს შეუერთეს წყალს აქეთ მთავრის სასახლე სასამართლოს. ეწოდა ხანა მარდა. მაშინდელი **ორალი, ჭარალი, არალი** და სხვა ქვეყნის გეოგრაფიული სახელები (გვარამაძე 1892: 47-50)

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა **მესხეთის მესამე** სახელწოდების შესახებ დაცული ივანე გვარამაძისეული თეორია:**მესამე არის წოდება ლომსია თუ ლომსია-**

**მთა.** ზეპირგადმოცემით მოხუცებულთა **ლომების** ძეგლების მდგარა კლდეზდ **ორი კაჟისა** ცხოვლად გამოკვეთილი წარმართობაში და ამის გამო სწოდებია ლომსია, ლომების საკუთრება. იმისათვის მეფობისა ამაში შეუტანიათ **მესხ-ქართველთა ლომები სახსოვრად, ორთა უერგულეს ძმათა თობელისა და მოსოქოს იაფეტის ძეთა,** რომ თავიანთი დღენი თავინთი ჩამომავლობითა არაოდეს არგაშორებიან ურთიერთსა, მისთვის საღრმთო წერილში **სამაგალითოდ ხსენებულნი არიან ეზეკიელის ესაიას და ამბაკუმის საწინასწრმეტყველოთა** (იქვე, 1892: 50)

ივანე გვარამძის „სამცხე საათაბაგოში" დაცულია ცნობა ალექსანდრე მაკედონელისა და სამხრეთ საქართველოს ისტორიული შეხვედრისა და შერკინების შესახებ: 300. წლის წინათ ქრისტეშობამდე მოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. ამათ დაამარცხეს ხერთვისი ხეობაში და მოსტაცეს ბუცეფალი-კუროს თავიანი ცხენი წაიყვანეს და დააბეს ამგვიტას. გაწყრა მეტად მაკედონელი და უწყეს კაფვა ბუცეფალის გამოსახსნელად, დამარცხებულ ადგილს **ქუნცა** ეწოდა აწ სოფელია, რომ მკვდრები გაძარცვეს. გაჩეხილ ტყის გზას ეწოდა **როკეთი.** რა მიიტანეს გზა ბუცეფალამდე, ესმა ხმა მაკედონელისა ბუცეფალს, წყვიტა **ავშარი** და გაიქცა გავიდა იქავ პირდაპირ მტკვარი დაწყლის პირ ჭალაში ძლივ დაიჭირეს. **ხიზაბავარას** ვენახების მახლობლად **ნიჯგორის** ქვეშ **დღესაც ამ ჭალას კუროს თავი ჰქვია**. სადაც დახოცილი 40. კაცის თავები გაჰკიდეს კოშკს ნიჯგორას ახლოს იმასაც **ორმოცი ჰქვია**. ეს ზეპირი გადმოცემა (კვნეტი კურცის) თანახმაა სრულიად. (გვარამაძე 1892: 51 )

XIX საუკუნეში ახალციხეში მოღვაწე მეცნიერის ივანე გვარამაძისეული თეორიები მესხების სახელწოდებისა და წარმომავლობის შესახებ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი გზამკვლევია ამ კუთხის წარსულით დაინტერესებული მკვლევარისათვის.ივ. გვარამაძისეულ ჰიპოთეზებს პირდაპრი კავშირი აქვთ ძველ ბერძნულ, შუასაუკუნეების ბიზანტიურ, სომხურ, ქართულ საისტორიო წყაროებთან. დასაფასებელია, ბატონი ივანეს თვალსაწიერი, მრავალმხრივობა, პრობლემის გააზრების უნარი, კრიტიკული აზროვნება, საინტერსო წერის კულტურა, ეროვნული მატერიალური წარსულის თანამედროვეობასთან შეჯერების მცდელობა და სხვა. დამაფიქრებელია, ივ. გვარამაძის ნაშრომში ალ. მაკედონელის შესახებ დაცული თხზულების ის ნაწილი, რომალშიც ავტორი ახერხებს **კავშირი დაინახოს მისთანადროულ ტოპონომიკასა და მაკედონელის ეპოქის მესხეთს შორის.**

დასახელებული სოფლები წარმოდგენილია ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში''. ასეთებია: არალი, ჭარალი, ბარალეთი, ხიზაბავარა. ავტორი, **კვნეტი კურცი,** რომელსაც გვარამაძე იმოწმებს, როგორც წყაროს არის **ლათინი** ისტორიკოსი **ვესპასიანეს** დროს, მან დასწერა ლატინურად დიდი ალექსანდრეს ისტორია. (იქვე 1892: 51) (თუ გავითვალისწინებთ, რომ ვესპასიანე რომს მართავდა 69-79 წლებში, კურცისმიერ შემონახული მასალის დამაჯერებლობა კიდევ უფრო სანდო ხდება.)

ივ. გვარამაძის დებულებამ მესხეთის მესამე წოდების-**ლომსიას** შესახებ, ისტორიული პარალელები გააცოცხლა ჩემს წარმოსახვაში: I-II საუკუნეების რომაელი ისტორიკოსის, არიანეს ნაშრომი „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო'', ვეცნობით: „შევედით მდინარე ფაზისში. ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ფაზისელი ქალღმერთის ქანდაკება. გარეგნობის მიხედვით ის **რეას** ჰგავს, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, **მისი სავარძლის წინ ლომები წვანან** და თვით ისე ზის, როგორც **ფიდიასის** ქანდაკება''. (არიანე 1961: 39) მნიშვნელოვანია, რომ არიანესა და კურცის მოღვაწეობა დროში ემთხვევა).

საგულიხსმოა, ივ. გვარამაძის ციტატა: „მესხ. ქართველნი არა მარტო თავიანთ ქვეყანას იცავდნენ მტრის შემოსევა აკლებისგან. ისევე სხვა მეფეებსაც ჰშველიდნენ იმ ბრძოლაში მათ მტრებზედა. ქალდეველნი ჩვეულე-ბისამებრ **ფასით მსახურებდნენ ასასრასტანელებს სამხედროში''**.(გვარამაძე 1892: 47) მართლაც, ქართული საისტორიო წყაროები გაჯერებულია მესხთა დახასიათებით: შეუპოვარნი, **ალაფისმოყვარენი, მეწინავანი**, ჩქარნი, მკვირცხლნი. ივ. გვარამაძის მიხედვით, **კი მარდად** წოდებულნი. ივანე გვარამაძე „სამცხე საათაბაგოში'' გადმოგვცემს, რომ ძველი ქალდეველნი ბაბილონისაკენ თავად გადასახლებულან, შერევიან მათ, ხოლო ნაბოპალასარისა და კიაქსარეს დროს სკვითებით შეწუხებულნი კვლავ დაბრუნებულან ბრძოლებით „ორი უერთგულესი ძმის **თობელისა და მოსოქის** იაფეტის ძეთა'' საუფლოთა. (იქვე 1892: 48)

ივანე გვარამაძეს ასეთი დატვირთვა ხელს არ უშლიდა ოჯახურ სიძლიერეში.(იხ.დანართი #3,4,5,6) მას ხუთი შვილი ჰყავდა (ქრისტეისია, კოტე, მზეჭაბუკი, ოქროპირი, თამარი), რომელთაგანაც გამორჩეული **კონსტანტინე** გვარამაძეა-მამისეული გზის გაგრძელებელი, მესხური კულტურის მოამაგე. „ხოჯავანთ იოვანეს საისტორიო მისიონარული დღიური'' წერილების სახელით ცნობილი

გვარამაძისეული ხელნაწერი ერთ პატარა, კოპწია წიგნად შეკრული, დადასტურებაა ივანე გვარამაძის ზოგადი განსაწავლულობისა, მეცნიერული აზროვნემისა, ლიტერატურისა და ფოლკლორის შემკრებლისა და სხვ.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერის **ავტორი-ხუცესი იოვანე** და მისი **გადამწერი ივანე გვარამაძე** XVIII-XIX საუკუნეების სამხრეთ დასავლეთი საქართველოს ისტორიის უშუალო მონაწილე, საზოგადო მოღვაწენი არიან. მათი შრომისმოყვარეობის შედეგია ის, რომ წარმოდგენილი ეპოქის საქართველოს ისტორიის კვლევა ფართო მასშტაბებს სთავაზობს მკითხველსა თუ მაძიებელს. (შევნიშნავ, კათოლიკობა ივანესნაირი პიროვნების შეფასებისას ოდნავი ხინჯის უფლებასაც კი არ იძლევა მართლმადიდებელი ადამიანისათვის, მკვლევარისათვის. **ივანე საქმით ჭეშმარიტი მართლმადიდებელია.** მაგრამ როგორც წერილიდან მოჩანს, ამ კუთხით პრობლემები არსებობდა თბილისსა და მესხეთს შორის, რაზეც დახმარებას დ. ბაქრაძისაგან მოელოდა.)

# თავი III.

# ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილი ხელნაწერის ახლანდელი მდგომარეობა

აღნიშნული ხელნაწერი **წიგნის** სახით არის წარმოდგენილი: (იხ.დანართი #7)

1. წიგნის სიგანეა-19სნ.
2. სიგრძე-12,50სნ;
3. წარმოდგენილია ორ ფერში: მუქი ყავისფერი, ღია შაბიამნისფერი;
4. გარეკანზე, ავთრათის სახით დაკრული აქვს თეთრი ქაღალდი, რომელზადაც მითითებულია ხელნაწერის შიფრი:H-2782-83;
5. ხელნაწერის პირველ, ოთხმოცდამეშვიდე და ოთხმოცდამათოთხმეტე ფურცელზე მოთავსებულია ბეჭედი (შტამპი), რომელზადაც რთულად, მაგრამ იკითხება:„საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი'', აქვს

მრგვალი ფორმა, ხუთი სმ. დიამეტრის, შუაში მოჩანს ნამგალი, ურო, ვარსკვლავი, 1958წ.

6. თ ა ვ ფ უ რ ც ე ლ ი:

საისტორიო

მისიონარული დღიური

წერილები

1763-1809

ხოჯავანთ მღვდლის

მამა იოვანესი

გადაწერილი მესხი ივ. მღვდლისგან

1892.

ქ. ა ხ ა ლ ც ი ხ ე ს.

„საისტორიო დღიურ-წერილებს'' მთლიანი წიგნის 107 გვერდი აქვს დათმობილი. 89-ე გვერდზე, გვაუწყებენ ხოჯავანთ იოვანეს გარდაცვალებას. შემდეგ შეინიშნება ტიხარი და ყოველგვარი დასათაურების გარეშე გრძელდება თხრობა ქრონიკების სახით, როგორც მისი გაგრძელება. (ხელნაწერებზე შედარებითი მუშაობისას, სწორედ, ეს გაგრძელება აღმოჩნდა საინტერესო თავისი დანართით, რადგან იგი შ. ლომსაძესთან და ნ. ბერძენიშვილის მიერ დამუშავებულ არქივში არ აღმოჩნდა შემონახული).

ხელნაწერი წიგნის მეორე თავი მოიცავს გვ. 108-122ს. ის არის „სამცხეში ხმარებული ზოგიერთი ანდაზები''.

გვ123-126-ის ჩათვლით, იკითხება - პატარა ნარკვევი „ძველი მღვდლების ავ-კარგი'', 1910წ. ქ.ახალციხე, ვინმე მესხი.

შემდეგ, რატომღაც 126 ნუმერაცია წყდება და ათვლა ხდება 1-დან. აქ განთავსებულია: „გაგრძელება ჩემგან შეკრული ლექსებისა სამესხეთოში''. მას უკავია გვ1-14.

გვ15-24ის ჩათვლით, წარმოდგენილია:„გამიჯნურებული ვაჟ ქალი'' ლექსის სახით,გვ25-32 „ახალციხელი ტერ საჰაკას წამება'';

გვ33-36 გვთავაზობს: „მოდი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახის'' ვერსიას.

გვ37-44 მოიცავს სხვადასხვა ლექსებს.

გვ45-56 „სამცხე საათაბაგო''. გამოდის, რომ H-2782-ით დაშიფრული ხელნაწერი, თავის თავში აერთიაანებს ზემოთ ჩამოთვლილ თემებს, თუმცა დასაწყისი დათმობილი აქვს და თან დიდი მოცულობით „საისტორიო მისიონარულ დღიურ-წერილებს''

ამის შემდეგ იწყება ახალი, მკვეთრად გამიჯნული წინა მასალისაგან, დაშიფრული წიგნი H-2783, რომელიც ასეა დასათაურებული:

ნარკვევი სახელდახელო

შეკრებილი მამა მიხაელ ჩამჩიანის

მხითარისტის სომხური

ისტორიისგან

საქართველოს ისტორიის უკეთ

გასარკვევად.

მესხი ივ.მღ.გვარამაძის მიერ

ქ. ა ხ ა ლ ცი ხ ე ს

1910. (ქვემოთ უცნაური ხელმოწერით)

გვ1-170-ის ჩათვლით განთავსებულია:

„ძველნი მიმთხრობნი''. (იგი იწყება უძველესი წყაროების დასახელებით და სომხეთის ისტორიის განხილვის ფონზე იკვეთება საქართველოს პოლიტიკური ვითარება. ნაშრომი შუა საუკუნეებს მიმოიხილავს).

ბოლოს ხელნაწერ წიგნს დართული აქვს საძიებელი 27 განმარტებით, გვ171-174ის ჩათვლით. **გადმოვცემთ ხელნაწერის დაზიანებების შესახებ:**

1. პირველივე გვერდი გარღვეულია 3,5სმ.
2. გვ -31-65-89 გარღვეულია 8 სმ-ის მოცულობით;
3. გვ 20-21 აშკარად იმ მელნითაა დასვრილი, რომლითაც ივ. გვარამაძე წერდა თავად, თუმცა ნაწერის გარჩევა შესაძლებელია. ასე გრძელდება 29 გვ-ის ჩათვლით, რომელზედაც უკვე უმნიშვნელოა ეს დაზიანება.
4. საერთო დასკვნის სახით, ხელნაწერი კარგ მდგომარეობაშია, მყარი გარე კანით დამშვენებული.

## 3.1.ივანე გვარამაძის „მისიონარული დღიურისა'' და შ. ლომსაძის „ახალციხური ქრონიკების'' შედარებითი დახასიათება.

კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ, ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა ბ-ნი შ. ლომსაძის წიგნი „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები'' და შეგვედარებინა „მისიონარული დღიური წერილებისათვის''. ლომსაძის წიგნი გამოცემულია 1979წ. გამომცემლობა „მეცნიერების'' მიერ. მოიცავს 261 ფურცელს''.(იხ.დანართი #-8) „ახალციხურ ქრონიკებს'' დათმობილი აქვს გვ 122-205-ის ჩათვლით. შემდეგ გვ 206-233-ზე გრძელდება სტეფანე ნავროზაშვილის, ხოლო გვ 234-235-ზე სტეფანე აბინაშვილის დღიური. **მოცემული მასალა შევადარე ივანე გვარამაძის მიერ გადაწერილ „ხოჯავანთ იოვანეს მისიონარულ დღიურ-წერილებს''. შედარებითი ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი დეტალები:**

1.ივ.გვარამაძის მიერ გადაწერილი „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები'' განთავსებულია 107 გვერდზე, თუმცა 89 გვერდზე, სადაც ვგებულობთ იოვანეს გარდაცვალების ფაქტს, მოსდევს ტიხარი, თხრობა ჩვეულ სტილში გრძელდება და მხოლოდ ამის შემდეგ დგება ხელნაწერის დასასრული 107 გვერდზე. **მეტი სიცხადისთვის შევნიშნავთ, 89-ე გვერდი სრულდება 1809 წლით, ხოლო, ტიხარის შემდეგ გაგრძელებული ვარიანტი-1842 წლით. ანუ, ხელნაწერს გარეკანზე მითთებული აქვს 1763-1809 წწ, რეალურად კი 1842 წლის ჩათვლით მოიცავს ქრონიკებს.** გადამწერი, ფრიად განათლებული ივანე გვარამაძე არსად არ უთითებს სათაურის (ქვესათაურის) სახით, რომ ტიხარის შემდეგი ჩანაწერები ეკუთვნის **სტეფანე ნავროზაშვილსა და სტეფანე აბინაშვილს.** ივანე, გვარამაძეს ეს **ხელნაწერი დადასტურებულად ხოჯავანთ იოვანესთვის აქვს მიკუთვნებული.** საინტერესოა, გადამწერს შეგნებულად აქვს ასე შესრულებული, უბრალოდ გამორჩა (რაც საეჭვოა), თუ მიიჩნევდა, რომ რადგან ამ გაგრძელებულ ვარიანტში იკითხება მათი გვარები, სრულიად საკმარისი იყო ვითარებაში გარკვევისათვის. მაგ: **„1839 ღვინობ. ნავროზათ სტეფანე მიიცვალა'', ან „1842 12-თებრვალი-გარდაიცვალა აბინათ სტეფანე ამ დღიურების დამწერი''**. ფაქტი უდავოა-ხელნაწერი დათარიღებულია **1763-1809** წლებით, მაგრამ მოვლენათა ჯაჭვი იგივე ხელნაწერში **1842** წლით სრულდება.

2. შ. ლომსაძეს სწორედ ეს მომენტი აქვს შენიშნული და მის მიერ გამოქვეყნებულ „ახალციხურ ქრონიკებში'' ხელნაწერის მისეული ვარიანტი **სამ ქვეთავადაა** წარმოდგენილი:ა)იოანე ხუცესის დღიური-წერილები; ბ) სტეფანე ნავროზაშვილს ქრონიკა; გ) სტეფანე აბინაშვილის დღიური. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რატომ მოგვაწოდა მეცნიერმა მასალის ასეთი ინტერპრეტაცია: ა) იმიტომ, რომ გამოესწორებინა

ივ. გვარამაძის „შეცდომანი''; ბ) იმიტომ, რომ სამცხე-ჯავახეთის უბადლო მკვლევარმა გულდასმით იმუშავა ახალციხის ხელნაწერთა ფონდში, საინტერესო მასალები მოიპოვა, დაამუშავა და ახლებური ვარიანტი დაურთო გვარამაძის ნაშრომს. თავად ლომსაძე წერს: დიდხანს ვეძებდით იმ წყაროს, საიდანაც ამოდიოდა თვით ივანე გვარამაძე. 1976 წელს ამ წყაროს მივაკვლიეთ სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ერთერთი წირვის დავთარზე (საქმე #-159) მუშაობის დროს. გაირკვა, რომ სწორედ იგი იყო პირველწყარო, საიდანაც ამოდიოდა თვით ივანე გვარამაძე. (ლომსაძე 1979: 95)

3. „დღიური-წერილებისა'' და შ. ლომსაძის „ახალციხური ქრონიკების'' 1763-1809 წლების განმასხვავებელი დეტალები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ორივე დოკუმენტი ძირითადი მასალის გამოყენების თვალსაზრისით იდენტურია ერთმანეთის, თუმცა, ხელნაწერის გვარამაძისეულ და ლომსაძისეულ ნაშრომებს **გვ 1-89-ის ჩათვლით** გარკვეული სხვაობებიც აქვთ. ყველაზე თვალშისაცემი განსხვავება ფიქსირდება **1794 წლის მოვლენების აღწერისას.** 55-ე გვერდზე 18 პუნქტი საერთოა. ამის შემდეგ მოდის 6 პუნქტი, რომელიც „მისიონარულში'' გარკვეული სხვაობებით იკითხება, ხოლო ლომსაძესთან დანართის სახითაა წარმოდგენილი: **„მისიონარული**''_ 7 მაისს გძელ პოღოს პიძას ველაპარაკე. ფაშას ფაშობის მოუვიდა მუყარლამა. იესას შვილი, მღებრის შვილი და სხვანიც წავიდნენ სტამბოლს. თიბათ. ყაფუჯმან ფაშობა მოუტანა. ბარბარ. არუთინა მიიცვალა. ტერ გაბრიელი მობარძანდა ჩემთან სანახავად. **ლომსაძის** „ახალციხური ქრონიკები'': 7 მაისს პოღოს ბიძას ველაპარაკე თათრებთან ჩვენსა. ფაშას ფაშობის მუუდა(მახარობელი)მოუვიდა. იესას შვილი, მღებრის შვილი და სხვანიც, წავიდნენ სტამბოლს. თიბათ. ყაფუჯმან ფასობა მოუტანა. ბარბარ. ავთანდილა მიიცვალა. ტერ გაბრიელი მობრძანდა ჩემთან სანახავად. ხოლო ეს ქრონიკა-ამ წელს აჭარის მთებზედ-მხოლოდ ლომსაძესთანაა შეტანილი.( სახეზეა განსხვავებები I,II,V და ლომსაძის VII ქრონიკასთან.) (ლომსაძე 1979: 175)

**როდესაც „დღიური-წერილების'' 89-ე გვერდი დასრულდა, ვფიქრობდი, საძიებელი ბევრი არაფერი არ მექნებოდა, რადგან ხელნაწერი 107 გვერდით მთავრდება. ამ საკითხზე შემდეგს წერს შ.ლომსაძე „ქრონიკების ყველა ვარიანტს დასაწყისი აკლია. შედარებისას გამოირკვა, რომ ყველაზე სრულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ვარიანტი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს გამოცემას. ვარიანტებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა, რაც უმთავრესად უნებლიედ დაშვებული შეცდომებითა და**

**კორექტურით განისაზღვრება. ჩვენ ამ სხვაობებს ახალციხურ ვარიანტთან ვაჩვენებთ სქოლიოში.'' (იქვე 1979: 84) მაგრამ, როგორც ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ, მკვეთრი განმასხვავებელი ფაქტორები, 89-107 გვერდებზე აღმოჩნდა განთავსებული. სწორედ ის გვერდებია, რომელიც შ. ლომსაძემ თავად შეავსო ახლად მოპოვებული მასალით და ამიტომ, ივ. გვარამაძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქრონიკისგან განსხვავებით, მის მიერ გადამუშავებული „ახალციხური ქრონიკის'' ნავროზაშვილისეული გაგრძელება სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა 1809-1842 წლების მიმოხილვისას, როგორც რაოდენობრივი, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით.** როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბ-ნი შ.ლომსაძე შესანიშნავად გაერკვა სტრუქტურულ ცვლილებებში, ამიტომ **ხელნაწერის პრინციპი დაარღვია** და ხოჯავანთ იოვანეს გარდაცვალების შემდეგ, გამყოფი ტიხარის ნაცვლად გამოაქვეყნა სტეფანე ნავროზაშვილის, სტეფანე აბინაშვილის დასათაურებით (შევსებული ახალი ინფორმაციით) **ქრონიკა-დღიური, რითიც აღნიშნულ ხელნაწერს ტრანსფორმირებული, განსახავებული სახე, ინტერპრეტაცია მიეცა. და რაც მთავარია, გასაგები გახდა ქვემოთ, ჩვენს მიერ შედარებითი ანალიზის დროს წარმოდგენილი განსხვავებების არგუმენტირებული მიზეზები თუ წარმომავლობა.**

ლომსაძისეული „ნავროზაშვილის ქრონიკა'' და „დღიურ-წერილში'' აღნუსხული პუნქტები შემდეგი სახის განსხვავებას გვაძლევს. შ. ლომსაძის მიერ შევსებული ნავროზაშვილის ქრონიკა იწყება 1770 წლის მოვლენებით, გვ 206-214 მოგვითხრობს ამბებს, რომელნიც 176 პუნქტს შეადგენს საერთო ჯამში და მხოლოდ ამის შემდეგ 1810 5 იანვარი-ჩემი ძმა მოვიდა არტაანითგან ხდება შეჯერება მსგავსებების ივ.გვარამაძის „დღიურ-წერილებთან'' არის პატარა სხვაობაც. ივ. გვარამაძის „მისიონარულ დღიურ-წერილში'' 1810წ. 5 იანვრით არ გრძელდება თხრობა. **მას წინ უძღვის 8 სრულიად სხვა შინაარსის პუნქტი:**26-აპრილს ხარისჭირათ პოღოსა წავიდა მღვდლად საკურთხებლად. 8-მარიობას მოვიდა მღვდლად ნაკურთხი ხარისჭირათ პოღოსა. 3-გიორგი იპოვქარი წავიდა ართვინს. 14-სელიმას მუსალიმი გააგდო ოჯახლიმ და გაუდგნენ ფაშას. 16-იპ-ვქარი მოვიდა. 28-იანღუნი იქმნა და ინომინოს ძმა დაიწვა. 29-არტან ბეგისშვილი მარფი მოვიდა მუსალიმათ. 18-ქრისტეშ.ჩემი ძმა(პეტრე)არტაანს წავიდა ბეგთან''. (გვარამაძე 1892: 89)

რადგან ივ.გვარამაძის „მისიონარულ დღიური-წერილების'' გაგრძელებულ ვარიანტსა და შ. ლომსაძის „ნავროზაშვილის ქრონიკას'' შორის **პირველივე ნაწილში**

ასეთი განსხვავება დამხვდა, კიდევ უფრო დეტალურად ჩავეძიე ორივე მათგანს. არსებული განმასხვავებელი ნიუანსები ასე გამოიყურება(**ციტატების წინ დასმული ციფრები ავტორისეულია და აღნიშნავს იმ თვის რიცხვს, როდესაც ჩანაწერი შესრულდა**) :

1. **„ახალციხური ქრონიკები''**:-15 სიძე წავიდა ფაშის წიგნით პეტერს გამოსახსნელათ,რომელი **ვარციხეს** იმერლებს დაეჭირათ. (ლომსაძე,1979,216) **„დღიური-წერილები**'':-15-სიძე წავიდა პეტრეს გამოსახსნელად **კაცხს** ფაშას წერილითა''. ჩვენს წინაშეა, ერთი და იგივე ამბავი, განსხვავებული გეოგრაფიული ადგილის სხვაობით.

2. „**ახალციხური ქრონიკები''**: №5 და №7 პუნქტები გამიჯნულია ერთმანეთისაგან, ხოლო **„მისიონარულში''**, პირიქით ერთ პუნქტადაა შეტანილი: -5-ენკენ. შარიფი მოვიდა ახალქალაქითგან. -7-ყიზილბაშის ორდი მოშალა რუსმან ახალქალაქს.'' (იქვე 1979: 216)საინტერესოა, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ კვლავ სხვაობა.

3. **„ახალციხური ქრონიკები''**: -11- ღვინობ. მამაი მოვიდა ართვინიდან. **''მისიონარული''**: -11- ღვინობ. მამაი **(ესაი)** მოვიდა ართვინიდან. (იქვე,,1979, 216)

4. **„ახალციხური ქრონიკები''**: -13- traqat gakoram sidedri dahkoda da tviton ahmad begtan gatatrda.. (იქვე,1979,216) **ეს ტექსტი „მისიონარულში'' შეტანილია ქართულად.**

5. ამის შემდეგ მოვლენათა ჯაჭვი ერთიდაიგივე ფაქტის შესახებ გვამცნობს. ესენია „სურგუნში'' წასვლა, მეფე სოლომონის იმერეთიდან გამოქცევა, 1810 წელს ტორმასოვისა და სიმოიონოვიჩის წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა შემდეგი ვარიანტით: **პუნქტები გადადგილებულია, ტექსტი საერთო, სიტყვათა წყობა სახვადასხვა, ''მისიონარული'' ერთ დიდ ეპიზოდად გვიყვება სოლომონის 150-კაციან დევნილობას,ხოლო „ნავროზაანთი'' პირიქით, დანაწევრებულად, ჩამონათვალის სახით გვაწვდის იგივე ინფორმაციას.**

6. **3 პუნქტი,** რომელიც **„ახალციხურ ქრონიკებში''** გვერდ 217-ზე იკითხება, არ გვხდება „მისიონარულ დღიურ-წერილებში''. ესენია:-1811წ-16. იანვარს-მეფე სოლომონი მოვიდა ერევნიდამ. -5- მარტი-სომხით საღდარი დაანგრიეს. -12-აპრილს-ქერი დღეს ჩემ ყანაში დავთსე 17 კოდი. (ლომსაძე 1979: 217)

217 გვერდზე ამის შემდეგ თანხვედრაა. მალე სურათი იცვლება: ''ნავროზაანთ ქრონიკაში'' აღნუსხული და „მისიონარულში'' არ შეტანილი პუნქტები: **-5-მარიობა-ხიზაბავარადან მოვედი ახალციხეს. -12- ჩვენი პავლე ავათ გახდა ჟამით წყრუთს.2-**

**საჰათზე მიიცვალა".** მომდევნო ჩამონათვალში ტექსტის შინაარსი საერთოა, პუნქტები გადაადგილებული.

შ.ლომსაძის-ნავროზაშვილის" №7-'„**მარიობ. ტყვედ ჩაგვყარეს ყაზახი პეტრეს ქალის საბაბით" და" №11- „სელიმ ფაშა აჭარას წავიდა. ჩახლოღლი ვალეს მოვიდა", -30- სიმინდი დავთესე ყანაში", „-4-მაისი-ხანუმისგან მამამ ფური მოგვიყვანა**"-არ არის შეტანილი „მისიონარულში". ამის შემდეგ 10 პუნქტი ორივე ვარიანტში საერთოა და 217 გვერდზე კვლავ განსხვავება:-9-**შავშეთია** მითითებული 'ნავროზაშვილთან", ხოლო „მისიონარულში"-**ოლთისი**.გვ.218,№6 ნავროზაშვილთან"**აბასთუმანია** გამოტოვებული. იგივე გვერდზე **№16 „სელიმის ჯარი წავიდა ლივანზედა"** „მისიონარულში" არ გვხდება. გვერდი 220, **№24 „მარდას ორი ყანა ვიყიდე", №30 ' „სახელი პისტიკა** ,,მისიონარულში" არ წერია. 221 გვერდზე მოვლენათა შინაარსი მსგავსია, თუმცა ამ შემთხვევაში პუნქტების გადადაგილებასთან გვაქვს საქმე, რაც კვლავ გაუგებრობას იწვევს. რატომ **უნდა იძლეოდეს ასეთ განსხვავებებს ერთიდაიგივე ავტორის თხზულებები.**

გვერდმა 221-მა ერთი განსხვავებაც მოგვცა: №27,№1, №13,№15, №16, №18 „ნავროზაშვილთან" დანაწევრებულია, ხოლო „მისიონარულ დღიურ-წერილებში" გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი. გრძელდება განსხვავებების სერია: გვ221, **№24 ღვინობისთ. აღზი აჩუღი წავიდა ხერთვიისს, „მისიონარულში"-ღვინობისთვე ბაბა ფაშა წავიდა ახალციხიდამ იკითხება. გვ 221,1817.8 აპრილი-დღეს ქალების ჩარდახი ჩამოწვა წირვაზე, ბევრი დაიტანა, მარა არავინ დაზარალებულა", „მისიონარულში" არ არის წარმოდგენილი. იგივე ეხება გვ221-ზე №24-ს"იაღზი აჩუღი მოვიდა"** მხოლოდ „ნავროზაშვილთანაა" შეტანილი.საინტერესოა, რომ გვ 222-ზე განსხვავებებს უკვე დათარიღებებშიც ვხვდებით. მაგ:"ნავროზაშვილი"-1820.20**კათათვე;** „მისიონარული"-1820.11**კათათვე;** „ნავროზაშვილი"-1821.21**იანვარი;** „მისიონარული"-1821წ. **ივნისი.**

გვ 223. შ.ლომსაძის-„ნავროზაშვილი":**1825 24-მაისი-ჰაჯი ყადიროღლი ოსმან ფაშა მოვიდა არზრუმიდან,** „მისიონარული"-**1825წ. 28 მაისს დღეს აზრუმიდან ჰაჯი ყადირ ოღლი ოსმან ფაშა მოვიდა მანსუფზედა. ახალციხეს.** (სახეზეა სიტყვათა გადადგილებები, დამატებები).

გვ 224 №30 -**გიორგობ, შაყულიანმა შფოთი მოახდინა ხარისჭირაზედ, სახარება მრუდედ რად გიჭირამსო** (ნავროზაშვილი), (მისიონარული) გიორგ. შაჰყულიანმა შფოთი მოახდინა საყდარში ხარისჭირ(ტერ პოღოსზედ სახარება ბრუდედ რად

გეჭირაო. მოვლენათა ჯაჭვი გრძელდება ჩვეული, თითქოს უმნიშვნელო განსხვავებებით და 225 გვერდის ბოლოს „ნავროზაშვილსა'' და „მისიონარულის'' თანხვედრაა. (აქ 1828 წელს, 24 მარტს, შაბათს დატრიალებულ ტრაგედიაზეა მოთხრობილი, რომელიც თავს დაატყდა ლოგინში მწოლიარე მღვდელს დევნა-დაპატიმრების სახით).

გვ. 230, №9 „(ნავროზაშვილი) „მარიობას-საჰათის 10-იდამ დაიწყეს ომი 2-გნივ დარბაზნებით და საჰათის თორმეტიდამ ამათმა ჯარმა დაიწყო ტალღულჯი. წყრუთის ხიდიდამ მოჰყვნენ ხანჯრის წვერამდი ომით საჰათის 11-ამდი და რუსმა აიღო ორდი, 30 ჩადრი, 4-ზარბაზანი''-**ეს მასალა „მისიონარულში'' კვლავ დაშლილი, დანაწევრებულია.** მომდევნო პუნქტებში განსახვავება აღარ არის, თუმცა გვ 230, №19 სიტყვები გადგილებულია, გვ 231, №19 „ქრისტესშობ. დღეს პეტრემ და გოგინათ ატომ სოფლები იყიდეს: ანდრიაწმინდა, საფარა, ნახევარი ღრელი და ლაშისხევი'', **„მისიონარულში'' გამოტოვებულია.** ანალოგიური სიტუაციაა გვ231, №27 „წყალთბილას დაჰკრა რუსმა. გოგო ვიშოვეთ.'' აქედან ორივე ვარიანტი ესადაგება ერთმანეთს, 231 გვერდზე „ნავროზაშვილთან''. №19, **არ იკითხება მხოლოდ „სწერს ნავროზანთ ტერ სტეფანი''**, ხოლო მომდევნო ჩანაწერი „ამაღამ ბაზისტანში შევედით და გამთიადსა აჭარელი სელიმ ფაშისშვილი აჰმად ბეგი მოვიდა ახალციხეზედ…'', გვ232-ის, №20-ის ჩათვლით **ორივე ვარიანტში სრულ თანხვედრაშია მოსული ერთმანეთთან.**

გვ 232, №29 (ნავროზაშვილი) 1, 5, 21, 22, 27, 15, 1, 21-ეს პუნქტები შეტანილია „მისიონარულში'', თუმცა №26-იდან „მისიონარულში'' უკვე **აბინათ ტერ სტეფანის დღიური იწყება.** „ნავროზაშვილის'' ლომსაძისეულ ვარიანტში ქრონიკები განსხვავებული თემებით გრძელდება. საერთო აქვს მას „მისიონარულთან'' გვ 232-ზე შემდეგი ჩანაწერით:**№21 „ჟამიანობაში შევედი დავასაფლავე მრავალნი მიცვალებულნი უდეს, არალს და ვალეს სოფლებში''. ამ პუნქტიდან დგება საინტერესო განხვავება. ჩანაწერის, რომელიც არ არის შეტანილი ლომსაძისეულ „ნავროზაშვილის'' და აბინაშვილის დღიურში. უფრო მეტიც, ამ მასალების შეჯერებისას მე ვიმუშავე იგივე ხელნაწერის ნიკო ბერძენიშვილისეულ ვარიანტზე (რომლის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებ) და გამოიკვეთა, რომ იგი არც მასთან არ იკითხება.** ანუ ლომსაძის „ახალციხური ქრონიკებისა'' და ნიკო ბერძენისვილის მიერ გადაწერილ ნაშრომში არ არის შეტანილი ერთი მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელიც დაფიქსირებულია, **როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ „მისიონარულ დღიურ-წერილებში''**. ეს ეპიზოდი

„მისიონარულში“ **დანართის** სახითაა წარმოდგენილი: „რუსმა **ახალციხე** რომ აიღო, აკლება აოხრების წინად, სალდათ თუ ყაზაღი გამოაგზავნა ქალაქის დასთვალიერებლად, ქვაშვლს. 12 ბოჭკა სავსე რომ ჰქონდათ, აჩვენა მან იმ ყაზაღებს, რომ ეყიდა ჯარს, ეგონა მშვიდობით დაიჭრენ ქალაქსო. შემოსევისა ჯარმან ასაკლებად ქალაქისა გამოცალა ის 12 ბოჭკა რომი და დაერია ქალაქის ქალ კაცისა და დაიწყო უწყალოდ წყვეტა. დუხმალის ერთ დიდი სახლში 3000 ქალი და სძალი შემაგრებულნი იყვნენ. ღა ვერ გასტეხეს კარები რუსებმან, მისცეს ცეცხლი და ერთიან ამოსწვეს, ასე ჰქმნეს სხვა უბნებში და ციხეშიცა; სადაც 5000 მოსახლე თავსდება. და ქონების აკლება აოხრებას ვინდობთ, **გადააქლაქეს, ერთიან რომ მტერსაც აეტირებოდა.** (გვარამაძე 1892: 105) ამ უწყალობას დაემატა **ბებუთოვის** სიბოროტე. მოიწვია თავის სასრგებლოდ სელიმ ფაშას შვილი აჰმად ბეგი აჭარლისა ჯარით თუ თურქმან ოსმალებისა და რაც დაშთენილი იყო დარნებ სამალოებში მცხოვრებთ საცხოვრებელი ქონება, ერთიან დათხარეს და წაიღეს **საეკლესიო ძვირფასი ოქრო მღვდლისა. შესამოსელნი, სამკაულნი ბარძიმ-ფეშხუმნი, ძვირფასნი ხატნი, წიგნები და მისთანები.** არა გაუშვეს რაიმეს გამო. იყარენენ და გაცვივდენენ **იმერეთსა და საქართველოში** დიდით წვრილამდის. კაცი ქალი. ახალციხის აკლება აოხრების შემდგომ რუსებისაგან, აღარა უწირიათ სამღვდელოებს თავიანთ წირვების დავთრებში. ჯავთაგში. 1830 წ. მკათათ. დღეს მოვედით ახალციხეს (გორითგან).“ (გვარამაძე 1892: 105) ამ პატარა, დოკუმენტალური ხასიათის ჩანაწერმა ნათლად გააშუქა სამცხე-ჯავახეთის ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული სინამდვილე, სინამდვილე-აღსავსე ურთიერთგამომრიცხავი, მაგარმ რეალური ფაქტებით გაჯერებული. დოკუმენტიდან იმზირება XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მტკივნეული შედეგები:

1.1801 წლის მანიფესტის მანდატით აღჭურვილი მეფის რუსეთი, საკუთარი იმპერიის განდიდების მანიით შეპყრობილი, „ერთგულად“ შეუდგა ჩანაფიქრის განხორციელებას და ამ გზაზე, ოსმალური მრავალსაუკუნოვანი უღლისგან შეჭირვებული საქართველო თავისმიერვე დახლართულ ომების უწყვეტ ქსელში გაახვია „მისიონარული“ დღიურის ეს მონაკვეთი მოგვითხრობს რუსეთ-თურქეთის **1828-29 წლების** ომზე, რომელიც **ადრიანოპოლის** დაზავებით დასრულდა და რომლის შედეგადაც საქართველოს დაუბრუნდა:**ფოცხოვი, ქვაბლიანი, ჩილდირი, ჭაჭარაქი, აბასთუმანი, ხერთვისი, ახლქალაქი, ფოთი.** რა დიდებული გამარჯვებაა, რომ არ

აფერმკათალებდეს მას, ის მთავარი შედეგები, რომლებიც ცარიზზმა ამ ომს მოაყოლა თან.

2.მეფის რუსეთი პრაქტიკული მფლობელი გახდა შავი ზღვის უდიდესი ნაწილის (**ბათუმის გარდა**); გაუქმდა გურიის სამთავრო, სოფიო გურიელი ოსმალეთს გადაიხვეწა თავადაჯერებულმა რუსებმა პასკევიჩისა და ზებუთოვის სახით, როგორც დოკუმენტი გვამცნობს, „მართლმადიდებელმა'' მთვრალმა გადამრჩენლებმა (მათი ჩვეული სტილი, 1804წ მთიულეთის მოვლენები) ერთიანად **გადაწვეს ახალციხე, მოსახლეობა, შეურაცხყვეს ეკლესია,** წმინდა ნივთები. ერთ სიტყვაშია გაცხადებული მთელი ის **ფარისევლური პოლიტიკა**, რომელსაც რუსეთი ჩვენი ქვეყნის წინაშე ანხორციელებდა-„**გადააქალაქესო**'', დასძენს მემატიანე. მითითებულ წყაროში, საფინალო ნაწილში იკითხება ფრაზა, რომელშიც ასევე გულისშემძვრელი სინამდვილეა ჩასაფერებული: „**იმერეთი და საქართველოო!**''

ვაგრძელებთ, იმ განსხვავებების ანალიზს, რომელიც „მისიონარულისა'' და ლომსაძისეულ ქრონიკებში 232-233-234 გვერდზე შევნიშნეთ. გვ.232, №28-დან თანხვედრაა შემდეგ პუნქტებში: 28, 9, 26, 27, 29, 1834წ, 1835წ, 6, 13, 1936წ 9ღვინობ.11, 13 და გვ 233-ის ეს მონაკვეთი გამოტოვებულია „მისიონარულში'': -15-მაისი ამანათი გავატანე სარიკონოთ თომასა 11 წყვილი წინდა, 1 წყვილი პაიჭი ეთეთოსი,3წყვილი წინდა, 2 წყვილი წინდაც საჩუქრად ნურაკანასთან. მას გარდა გავატანე 10 ურუმი ია და 10 მანათიც. თითონ მართებდა ამათში უნდა მიყიდოს ერთ ბინაში, 1 გიარ მასუდის საკაბე, 1 მელისე და ცოტა ბალახონი. ნახმარი ტოლამაც ეგების შეხვდეს.''

ანალოგიურად, „მისიონარულში'' არ არის და „ახალციხურშია'' გვ 233-ზე შემდეგი პუნქტები:-1-**ღვინობისთვ. ამაღამ საჰათის 12-ზე ნიკოლა პავლოვიჩი, ხელმწიფე რუსთა მოვიდა და დღის საჰათის სამზე წავიდა ახალქალაქისაკენ**'' (1837 წელს საქართველოში დიდი ზარზეიმით დახვდნენ ნიკოლოზ პირველს. )

გვ 233=1838 3-იანვარს შაჰყულიანმა ერთი გაჰყო ექვს ნაწილად „მისიონარულში'' ასე იკითხება: 1839 წ 31 იანვარს შაჰყულიანმა ერი გაჰყო ექვს ნაწილად. **ამ შემთხვევაში თარიღები სხვობას გვაძლევს, მოვლენის შინაარსი საერთოა.** ამას გარდა „მისიონარულში'' არ არის და „ახალციხურში'' შეტანილია: №9, №10 კათათვ. საყდარში ერს მოსვლა დაუშალეს ჭირის გამო, 42 ყურუში სელიმას ვასესხე, 2 მაისს პალიათ პეტროსას და სარი თომას გავატანე 20 წყვილი წინდა, 7-მაისს პატრი უმფროსმან სწირა წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასი და იქადაგა.''(ლომსაძე 1979: 233) და ბოლოს,

„მისიონარულ დღიურ-წერილებში" 106-107 გვერდზე 12 პუნქტი იკითხება, რომელშიც ვგებულობთ, როგორც ნავროზაშვილის, ასევე აბინათ ტერ სტაფანას გარდაცვალებას. რაც შეეხება, შ.ლომსაძის „ახალციხური ქრონიკის" დასასრულს, რომელიც გვ 234-ზეა განთავსებული სტეფანე აბინაშვილის დღიურის სახით, **შეტანილია 23 პუნქტობრივი ჩამონათვალი, რომელიც არ გვხდება „მისიონარულში"** გარდა: 1839 4 ღვინობით. ნავროზათ ტერ სტეფანი მიიცვალა" (ლომსაძე 1979: 234) და „1842 12-თებერვალი-გარდაიცვალა აბინათ ტერ სტეფანი ამ დღიურების დამწერი". **(იქვე 1979: 235) (შევნიშნავთ, რომ „მისიონარულში" 12 თიბათვ. იკითხება და არა 12-თებერვალი.)**

წარმოდგენილი შედარება, რომელიც ივანე გვარმაძის მიერ გადაწერილ ხელნაწერს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილებისა 1763-1809წწ" და შ. ლომსაძის „ახალციხური ქრონიკების" მიხედვით მივიღეთ, უფლებას გვაძლევს ამ ორ ნაშრომს შორის ჩვენს მიერ დანახული **განსხვავეებანი კიდევ ერთხელ სისტემური სახით** ჩამოვაყალიბოთ: 1. ივ.გვარამაძის „მისიონარული დღიურის" 107-გვერდიანი და შ. ლომსაძის „ახალციხური ქრონიკების" 111-ფურცლიანი ნარკვევი პირდაპირ გვაძლევს სხავობას **რაოდენობრივი თვალსაზრისით.** (მიუხედავად იმისა, რომ „მისიონარული" პატარა ფორმატის წიგნია, უაღრესად წვრილი კალიგრაფიითაა შესრულებული, სხვაობა მაინც თვალშისაცემია და როგორც უკვე ვთქვით, **ლომსაძის მიერ წირვის დავთარზე მოპოვებული ჩანაწერებითაა გამდიდრებული).** 2.პირველი მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის დგება, **1794** წლის მოვლენების თხრობისას, როდესაც „მისიონარულისა" და „ახალციხური ქრონიკების" 6 პუნქტი შინაარსობლივი თვალსაზრისით ერთმანეთს სცილდება. 3.„მისიონარულ დღიურ-წერილებში" მასალა **ერთ მთლიანობადაა შეკრული,** მხოლოდ 89 გვერდზე გვხდება გამყოფი ხაზი და ყოველგვარი ქვესათაურის, მითითების გარეშე, გადმწერი ივ. გავარამაძე ბუნებრივ რეჟიმში გადმოგვცემს ქრონიკათა ნუსხას. 4.შ.ლომსაძის „ახალციხური ქრონიკები" იგივე მასალას გვაწვდის **სამი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული სათაურების მინიშნებით:**ა) იოანე ხუცესის მისიონარული დღიური (გვარამაძესთან იკითხება-იოვანე); ბ) სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკა; გ)სტეფანე აბინაშვილის დღიური. 5.შ.ლომსაძის „ნავროზაშვილის ქრონიკა" **1770** წლიდან იწყებს თხრობას; 6.ივ.გვარამაძის „მისიონარულში" 89 გვერდიდან 8 განსხვავებული ქრონიკაა შეტანილი და ძირითადი მოვლენები **1810 წლის 5 იანვრიდან გრძელდება.** (ყველა ეს განმასხვავებელი პუნქტები, განხილულია ჩემს მიერ ზემოთ). 7. **მნიშვნელოვანი**

**განსხვავებები იწყება** ივ.გავრამაძის „მისიონარულის'' 89 გვერდსა და შ. ლომსაძის „ახალციხურის'' **ნავროზაშვილით** დასათაურებული გვ 206-დან. 8. განსხვავებების საერთო ჯამი 200-მდე პუნქტს ანუ ქრონიკებს შეადგენს. 9. შ.ლომსაძის „ნავროზაშვილის'' ქრონიკაში არ არის წარმოდგენილი გვარამაძის ხელნაწერის გვ105-ის მნიშვნელოვანი ჩანაწერი, რომელშიც მეფის რუსეთის ჯარის, **ბებუთოვის** სისასტიკის დეტალური მიმოხილვაა, თავს რომ დაატყდათ ახალციხელებს. 10. შემაჯამებელი თვალსაზრისით, ორივე ქრონიკის ნუსხათა ჩამონათვალი საერთოა 11. **ხელნაწერის სათაური 1763-1809 წლითაა წარმოდგენილი, რეალურად მოვლენები 1842 წლით სრულდება.** 12. ჩანაწერები, რომელიც **ივ.გვარამაძემ არ შეიტანა 1892** წელს მის მიერვე გადაწერილ ხელნაწერში, **1976-1979** წლებში **შეავსო შ.ლომსაძემ** და ამით **ხელნაწერის გაგრძელებულ ნაწილს ბუნებრივად განსხვავებული ფორმა და შინაარსი მიეცა.** ასე, რომ გვარამაძისეულ და ლომსაძის მიერ გადამუშავებულ ვარიანტებს შორის ძირეული განსხვავებები 1809-1842 წლებზე **მოდის, ხოლო 1763-1809 წლების ამსახველი ქრონიკები, (როგორც შ. ლომსაძეც მიუთითებს) პრაქტიკულად იდენტურია ერთმანეთის.**

შედარებითი ანალიზის საერთო სურათია: შ.ლომსაძემ თავის „ახალციხურ ქრონიკებს'' სიახლე შესძინა 1976-79 წწ. ახალციხეში მოპოვებული წირვის დავთრებზე დაყრდნობით გავრცობილი მასალით, რომელნიც თავის დროზე არ შეიტანეს არც სტეფანე ნავროზაშვილმა (ხოჯავანას დღიურის **გამგრძელებელმა**) და არც ივანე გვარამაძემ ('ხოჯავანას დღიურის **გადამწერმა)** „ხოჯავანთ იოვანეს საისტორიო მისიონარულ დღიურ-წერილებში''. ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა, რომ სტეფანე ნავროზაშვილის, ივანე გვარამაძისა და იოვანეს ნათესავების **შემდეგ შ.ლომსაძე ხუცესი იოვანეს ნაშრომის ახლებურად გააზრებული „ახალციხური ქრონიკების'' ვარიანტის შემდგენელი და თანაავტორია. ასეთი პრინციპით გამოდის, რომ გვიანი ფეოდალური ხანის მესხეთის ისტორიის ამსახველი ქრონიკების შემდეგი ჩამონათვლი არსებობს:**

**1. ივანე გვარამაძის** მიერ ახალციხეში 1892 წელს გადაწერილი „საისტორიო მისიონარული დღირი-წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი".(ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ფონდი H- 2782).

**2. იოვანეს ნათესავების** მიერ შესრულებული, 1933 წელს **ნ. ბერძენიშვილის** მიერ გადაწერილი „ხოჯა ჰავანას დღიური''.(ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მ. ბერძენიშვილის აღწერილობა, ტ-5, # 2527.)

**3. ივანე გვარამაძის** მიერ ახალციხეში 1892 წელს გადაწერილი „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები ხოჯავნთ მღვდლის მამა იოვანესი“ როგორც, შ. ლომასაძე წერს დაცულია სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში, ფონდი # 159 **(ამ ხელნაწერის ნახვის შესაძლებლობა არ მოგვეცა მუზეუმში 2011 წლიდან განხორციელებული და დღემდე არდასრულებული სარემონტო სამუშაოების გამო. ამიტომ, ჩვენი კვლევის საგანი, ქრონიკების ეს ვარიანტი არ არის. მასზე, მხოლოდ შ. ლომასძის გადამუშავებული „იოანე ხუცესის დღიური წერილების'' მიხედვით შეიძლება მსჯელობა).**

**4.** და ბოლოს, **შ. ლომსაძის მიერ 1979 წელს** გამოცემული „გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, იოანე ხუცესის დღიური წერილები''. ამ შემთხვევაში მეცნიერმა ახალციხეში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებულ ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილ ნუსხებზე იმუშავა. **მისი ყურადღების ობიექტი არ გამხდარა ნ, ბერძენიშვილის „ხოჯა ჰავანას დღიური“. ეს უკანასკნელი ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ, შევადარეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ივ. გვარამაძის ნაშრომს. მას ქვემოთ წარმოვადგენთ და განვიხილავთ.**

## თავი IV.

## ნ. ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკის'' დახასიათება.

„საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი'', სამი ხელნაწერის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. როგორც შ.ლომსაძე შენიშნავს, „სამივე მათგანის დედანი დაკარგულია''.(ლომსაძე 1979: 84) ჩვენ პირველწაყროს პრინციპით შევისწავლეთ: ივ. გვარამაძის მიერ 1892 წელს გადაწერილი დ ნ. ბერძენიშვილის მიერ 1933 წელს შესრულებული ვარიანტები. აგრეთვე, 1976-1979 წლებში სამცხე-ჯავახეთის ხელნაწერთა ფონდისა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული მასალების შეჯერებული, ასევე, იმავე წლებში ახალციხის მუზეუმის ფონდის **წირვის დავთარში მოპოვებული** და გამდიდრებული, შ. ლომსაძისეული გადამუშავებული „ახალციხური ქრონიკები, იოანე ხუცესის დღიური წერილები''. მათი შედარებითი ანალიზისას და ზოგადად საკვლევ თემაზე მუშაობის შედეგად დავადგინეთ, რომ **ნ. ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკა**'', დაცული ხელნაწრთა ეროვნულ ცენტრში #2527, **არ არის გამოქვეყნებული.** (განსხვავებით ივ. გვარამაძის ვარიანტისგან,

რომელიც გადამუშავებული, ფორმატით გამოსცა ბ-მა შ. ლომსაძემ). ვაქვეყნებთ ნ,. ბერძენიშვილის მიერ 1933 წელს ახალციხეში გადაწერილ ხელნაწერს და ვურთავთ ჩვენი კვლევის შედეგად მიღებულ ანალიზს. (იხ.დანართი #-8)

**ნ.ბერძენიშვილის ,,ახალციხური ქრონიკა".** (სტილი დაცულია, გარეკანი ასე გამოიყურება)

**№2527** (ტექსტი გამოსაცემად მომზადებულია ნ.ბერძენიშვილის მიერ) ნ.ბერძენიშვილი.

(1/15) ავტოგრაფი მელნითა და ფანქრით ნაწერი საერთო რვეულებისა(7ც) და სხვადასხვა ზომის ფურცლებზე. **მე-7 რვეული უცნობი ხელით ნაწერი.** აქვეა ჩანაწერები ამავე საკითხზე და შენიშვნები ავტორისავე ხელით თან ერთვის:1) რედაქტორის გ.მელიქიშვილის წარდგინება დასაბეჭდად და 2)„პასპორტი''. საქაღალდეს ნ. ბერძენიშვილის ხელით აწერია „ნ ბერძენიშვილი. „ახალციხური ქრონიკა".

287ფ.+1ც საქაღალდის ფრაგმენტი.(ეს წარწერები ფურცელზეა დაკრული და გარედან დაწებებული თეთრ კონვერტზე.ზომა 32-22სმ.)

ვადგენ დასაბეჭდავად

რედაქტორი:

ბერძენიშვილი ნ. ა.

„ახალციხური ქრონიკა''

/ხოჯა ჰავანას დღიური/

საექსპედიციო კომისიის

დასკვნას არ საჭიროებს.

შეიძლება გამოიცეს ღია

წესით.

დირექტორი: გ. მელიქიშვილი.

**რვეული №1.** მოიცავს გვ1-47. ამ რვეულის ბოლო გვერდზე წერია:

ლიტ. მატიანე, წიგნი 3-4

ლეონიძე ბესიკი, 358.

ამ დღიურის ავტორს „ხოჯავაანთ მღვდელს იოვანეს'' უწოდებს.

საქ. მუზ. ხელ. განყ.2782-H

**რვეული №1** არის გახუნებული ცისფერი, 48-ფურცლიანი, 18/21სმ ფორმატით.

(თავფურცელი)- „საერთო რევული".

ყდის ბოლო გვერდი:

ფასი55კაპ. აღნიშნულ ფასზედ მეტად

-------------- --------------------------------------

48 ფურცელი გაყიდვა აკრძალულია

-----------

---------------------

ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი

კამოს ქ. №40, ელსმენი 3-21-401

რვეულის ქაღალდის ფაბრ.

„სოკოლ"ყდის-ფაბრ.

„გეროი ტრუდა"

მთავალ.რწმ. №მ-495.

ტ ი რ ა ჟ ი

500.000.

-----

-----

ამ ფორმატით და ვიზუალობითაა წარმოდგენილი, მომდევნო: №2; №3; №4. №5 მათგან განსხვავებით მცირე ზომისაა და შედგება 12 ფურცლისაგან. №5 რვეული. იგი ასე გამოიყურება:

რ ვ ე უ ლ ი

----------------------------------------ათვის

------------სკოლის---------------------კლასის

რვეულის ბოლო გვერდი:

ფასი 18კაპ აღნ.ფასზე მეტად გაყიდ. აკრძალულია

---------------- -----------------------------------------------------------

12ფურცელი gost -204-41 არტიკული 612-62-21

(იკითხება გამრავლების ტაბულა)

--------

---------

თბილისის ჟოსერის ქ. №5. ტირაჟი 5.000.000. უე177 40

---

სახელგამის ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი

ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერების მე-7 რვეული 12-ფურცლიანია. არის გახუნებული კრემისფერი (ან გაცრეცილი ღია ყავისფერი). რვეული რუსული წარმოებისაა, გამოშვებვულია უკრაინაში, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-13 წლისთავაზე.'' რვეულის პირველი ფურცელი თავისუფალია, მეორე ფურცლიდან იწყება თხრობა შემდეგი სათაურით: „ვინმე მესხის მიერ გადაწერილი დღიურიდან 1763-1771. (გადმოწერილია).

თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შვიდივე რვეული თხელკანიანია, გაცრეცილი, გახუნებული ელფერი დაკრავთ, სხვა არაფერი დაზიანენებები არ აღინიშნება და მოცემული დროისთვის კარგ მდგომარეობაში გამოიყურებიან. მათზე მუშაობა ზედმეტ სიფრთხილეს არ მოითხოვს მკვლევარის მხრიდან.

მე დავინტერესდი ბ-ნ ნ ბერძენიშვილის 6-ტომიანი აღწერილობით, რომლის II ტომში დამხვდა არაჩვეულებრივი მასალა. ეს არის 1922-1933 წლებში ნ. ბერძენიშვილის მიერ ჩატარებული საექსპედიციო ძიების შედეგად მოპოვებული დეტალურად, სკულპლიოზურად, უდიდესი დაკვირვებით, შრომისმოყვარეობით აღწერილ-აღნუსხული ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება სამცხე-ჯავახეთისა, რომელსაც თემის ზოგადი მიმოხილვისას შევეხებით და წარმოვადგენთ „ახალციხურ ქრონიკსთან“ მიმართებაში.

შვიდივე რევეულის პირველადი გადაკითხვისთანავე (გამომდინარე იქიდან, რომ უკვე მქონდა დამუშავებილი ივ.გვარამაძის „მისიონარული დღიური'' და შ.ლომსაძის „ახალციხური ქრონიკა,'' იოანე ხუცესის დღიური წერილები'') მივიღე გადაწყვეტილება: 1) ერთმანეთისთვის შემედარებინა თავად ნ. ბერძენიშვილის პირველი ექვსი და ბოლო მე-7 რვეული; 2) ამის შემდეგ მომეხდინა დაკვირვება ივ.გვარამაძის „ხოჯავანთ იოვანეს მისიონარულ დღიურ-წერილებსა'' და ბ-ნ ნიკოს ხელნაწერზე. (შ. ლომსაძის „ახალციხურ ქრონიკებთან'' შეჯერება, ამ შემთხვევაში საჭიროებას არ წარმოადგენდა,

რადგან, იგი „მისიონართულთან'' სერიოზულ სხვაობას იძლევა არა იოვანე ხუცესის, არამედ **ნავროზაშვილისა და აბინაშვილის** ქრონიკებში).

## 4.1. „ახალციხური ქრონიკის'' ნიკო ბერძენიშვილისეული ვარიანტის შედარება ივ. გვარამაძისეულ ვარიანტთან, კვლევის ანალიზი.

**თავი პირველი:** 1.ბ-ნ ნიკოს ხელნაწერი მთლიანობაში შედგება შვიდი სხვადსხვა ზომის რვეულისაგან; 2.ამ რვეულებს შორის გამოიკვეთა მსგავსება-განსხვავებანი; 3. პირველი ექვსი რვეული დანომრილია1-დან 6-ის ჩათვლით, ხოლო ე. წ. **მე-7 რვეული უნომროა, ცალკე ნაშრომს წარმოადგენს;** 4. შინაარსი პირველი ექვსი და მეშვიდე უნომრო რვეულების იძლევა დიდ საერთოსაც და იმავდროულად განმასხვავებელ ეპიზოდებსაც. 5. მოცულობა, პირველი ექვსი და მეშვიდე რვეულებისა, ასვე სრულიად განსხვავბულია: პირველი ექვსი რვეული უამრავ პუნქტობრივ ქრონიკების დეტალურ ჩამონათვალს წარმოადგენს, ხოლო მეშვიდე რვეული შედგება 16 ფურცლისაგან და **ავტორი, რატომღაც წყვეტს თხრობას**. 6. მეშვიდე რვეულის ბოლო გვერდზე იკითხება ჩანაწერები:ა) წერილი სოლომონ მეფისა პატრონთა „წულუკიძეს კაცის კია პაატასა და ძმათა შენთა ბერსა და გიორგის სიგელში მოხსენიებულია როსტომ ერითავი. მას წარეთვა წულუკიძეების ძალით წართმეული მამული და ისევ წულუკიძეებს დაუბრუნდა.(სიგელი დაუწერიათ 1772.) ბ) წერილი (პატრის უნდა იყოს) „აფხაზ იმერთა მეფისა''. გ) სიგელი სოლომონ მეფის; 7. **აქვე შევნიშნვთ, რომ სახელწოდება „ახალციხური ქრონიკის'' სახით, შ.ლომსაძეს ნ. ბერძენიშვილის მიხედვით აქვს აღებული. 8)** ყურადღება მივაქციეთ ხელნაწერის შიფრის ისტორიას, რომელიც ნ. ბერძენიშვილს პირველი რევეულის ბოლო გვერდზე აქვს მითითებული: „საქ. მუზ. ხელ. განყ. 2782-H. (როგორც ვიცით, ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში ინახებოდა წლების მანძილზე ქართული ხელნაწერები და როგორც ჩანს, სწორედ, ჯანაშიას მუზეუმში არსებობისას მინიჭებული შიფრი-2782-H, 1958 წელს შექმნილ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (1958წ.) გადასულ „ხოჯავანთ იოვანეს მისიონარულ დღიურ-წერილებს'' უცვლელად შეუნარჩუნდა. დღესაც ამ შიფრით ხდება მისი მოძიება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. 9) ე.წ. მე-7 რევეული მცირე განსხვავებების მიუხედავად, შეიძლება, თამამად მივიჩნიოთ შ. ლომსაძის „ახალიხური ქრონიკებისა''

და ივ.გვარამაძის „მისიონარული დღიურის" იდენტურად, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 16 ფურცლისაგან და მინაწერისაგან შედგება; **10) რაც შეეხება, ივ.გვარამაძის „მისიონარულ დღიურ-წერილებსა" და ნ.ბერძენიშვილის პირველ ექვს რევეულ-ხელნაწერს, „ხოჯა ჰავანას დღიურს", შეპირისპირებითმა ანალიზმა მკვეთრი განსხვავებანი მოგვცა, რომელზედაც დეტალურად ვისაუბრებთ.**

**თავი მეორე:** ნ. ბერძენიშვილის ხელნაწერი ექვსი რვეულის გვერდებისა და სათაურების რაოდენობის ჩამონათვალი:

რვეული №1 გვ 1-47;

რვეული №2 გვ 49-95; იკითხება სათაური „ნაზაარანთ ქრონიკა".

რვეული №3 გვ 97-142, იკითხება „ნაზარაანთ ქრონიკა";

რვეული №4 გვ 144-189 იკითხება **„ნაზარანთ ქრონიკა"**

---------------------------------------

**„ხოჯა ჰავანას დღიური".**

რვეული №5 გვ 191-237; იკითხება „ნაზარანთ ქრონიკა", „ხოჯა ჰავანას დღიური".

რვეული №6 გვ 239-244, იკითხება „ხოჯა ჰავანას დღიური", ბოლო ექვსი გვერდი შეუვსებელია.

**რვეული, რომელსაც №7- არ აქვს არსად მითითებული, აშკარად ცალკე ნაშრომადაა ნ. ბერძენიშვილისმიერვე მიჩნეული. შედგება 16 ფურცლისა და რამოდენიმე ავტორისეული ჩანაწერისა.**

წარმოდგენილი მასალა, როგორც ვხედავთ, პირველივე შთაბეჭდილებით, განსხვავებას იძლევა:1).პირველ რვულზე არ გვხდება არავითარი სათაური; 2.)„ნაზარაანათ ქრონიკა" იკითხება **მხოლოდ №2, №3 რევეულებზე;** 3).№5 და №6 რვეულებზე, რატომღაც ერთდროულად აწერია: „ნაზარაანათ ქრონიკაც" და „ხოჯა ჰავანას დღიური". 4). სახელწოდება ზოგჯერ იკითხება „ნაზარაანთ ქრონიკა", ზოგ შემთხვევაში, მაგ:მე-4 რვეულზე აწერია: „ნაზარანთ ქრონიკა". 5).ყურდაღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ ხელნაწერის სახელწოდება ბერძენიშვილთან არის:„ხოჯა ჰავანას დღიური", ხოლო ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილ ნაშრომს ეწოდება „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები 1763-1809 ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი". **6.)უმნიშვნელო თითქოს, მაგრამ აშკარა სახესვაობა სიტყვებისა „ნაზარაანთ"-ნაზარანთ;**

**ხოჯა, ჰავანა-ხოჯავანთ.** 7).ივ. გვარამაძემ ხელნაწერები (ერთი ახალციხის მუზეუმის ფონდში, ხოლო მეორე-ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება) 1892 წელს გადაწერა. ნ. ბერძენიშვილმა კი 1933 წელს. (დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში), 8)კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, ხელნაწერი შესრულეულია არა ივ. **გვარამაძის, არამედ, იოვანე ხუცესის ნათესავების მიერ.** 9). ნ.ბერძენიშვილის ქრონიკების პირეველი ექვსი რვეულის დასათაურებებმა და ჩატარებულმა შედარებითმა ძიებამ დაგვანხა, **რომ ეს ექვსი დანომრილი რვეული წარმოადგენს საერთო კრებულს, შესრულებულს იოვანეს ნათესავების მიერ ვფიქრობთ, საკუთარი შეხედულებისამებრ შეჯერებულს-შერწყმულს ერთმანეთთან. გარკვეულწილდ ამ გარემოებათა გამოა იგი განსხვევბული, ივ გვარამაძის მიერ გადაწერილი ხელნაწერისაგან**. გარდა ამისა, ივ. გვარამაძის „ხოჯავანთ იოვანეს მისიოანარულ დღიურ-წერილებზე'' მუშაობისას შემხვდა შემდეგი ქრონიკა **„ბევრი მიწერია მაგრა აქ არ შემიტანია".(გვარამაძე 1892: 68) ამ ფრაზიდან იქმნება ალბათობა იმისა, რომ ხოჯავანთ იოვანე ერთდროულად რამოდენიმე ჩანაწერს აკეთებდა და გარკვეული პუნქტები არ შეჰქონდა ხოლმე.** ის ჩანაწერები, რომლებიც იოვანეს ნათესავებს გადაუწერიათ და რომელიც, ნ.ბერძენიშვილის პირად არქივშია დაცული, **ჩვენი აზრით, ის მასალაა, რომელსაც ავტორი, ხოჯავაანთ იოვანე გაცილებით სრულყოფილი, დეტალური სახით აღნუსხავდა.**

**თავი მესამე:** ნ. ბერძენიშვილის ხელნაწერისა და ივ.გვარამაძის „მისიონარული დღიური-წერილების'' შედარებითი ანალიზი მასალის რაოდენობისა და პუნქტობრივი თვალსაზრისით. 1.ნ. ბერძენიშვილისა და ივ.გვარამაძის „მისიონარულის'' შედარების დასაწყისშივე გამოიკვეთა: ბერძენიშვილთან წერია „წელსა უფლისასა''1762 3 დეკემბერი-სა[მშაბათი]. „მისიონარულში'' იკითხება; „1763.2იანვარს, თათრის ჯარი იმერეთიდგან მობრუნდა, სამშაბათს.''

2. 1764წ.-**დღიური**-§11; **ბერძენიშვილი**-§27; რვეული#1
3. 1765წ.-დღიური-§16; ბერძენიშვილი-§26;
4. 1766წ.-დღიური-§7; ბერძენიშვილი- §51;
5. 1767წ.-დღიური-25§; ბერძენიშვილი-§37;
6. 1768წ.-დღიური-§6; ბერძენიშვილი- §19;
7. 1769წ.-დღიური-§45; ბერძენიშვილი- §61;
8. 1770წ.-დღიური-§65; ბერძენიშვილი- §93;
9. 1771წ.-დღიური-§100; ბერძენიშვილი-§141;

10. 1772წ.-დღიური-§100; ბერძენიშვილი- §137;

11. 1773წ.-დღიური-126; ბერძენიშვილი-55;

(აქ მთავრდება პირველი რვეული);

12. 1774წ.-დღიური-§79; ბერძენიშვილი-96; რვეული №2

13. 1775წ.-დღიური-§65; ბერძენიშვილი- §75;

14. 1776წ.-დღიური-§74;ბერძენიშვილი- §107;

15. 1777წ.-დღიური-§74;ბერძენიშვილი- §89;

16. 1778წ.-დღიური-§40; ბერძენიშვილი- §48;

17. 1779წ.-დღიური-§34; ბერძენიშვილი- §51;

18. 1780წ.-დღიური-§20; ბერძენიშვილი- §31;

19. 1781წ.-დღიური-§23; ბერძენიშვილი- §24;

(აქ მთავრდება მეორე რვეული);

20. ბერძენიშვილი §7

21. 1782წ.-დღიური-§27; ბერძენიშვილი- §52; რვეული №3

22. 1783წ.-დღიური-§24; ბერძენიშვილი- §35;

23. 1784წ.-დღიური-§36; ბერძენიშვილი- §41'

24. 1785წ.-დღიური-§27; ბერძენიშვილი- §44;

25. 1786წ.-დღიური-§13; ბერძენიშვილი- §30;

26. 1787წ.დღიური-§13; ბერძენიშვილი- §33;

27. 1788წ.-დღიური-§26; ბერძენიშვილი- §34;

28. 1789წ-დღიური-§22; ბერძენიშვილი- §32;

29. 1790წ-დღიური-§46; ბერძენიშვილი- §64;

30. 1791წ.-დღიური-§54; ბერძენიშვილი- §71;

31. 1792წ.-დღიური-§56; ბერძენიშვილი- §66;

32. 1793წ.-დღიური-§46; ბერძენიშვილი- §48;

(აქ მთავრედება მესამე რვეული)

33. ბერძენიშვილი- §21

34. 1794წ.-დღიური-§62; ბერძენიშვილი- §88; რვეული №4

35. 1795წ.-დღიური-§57; ბერძენიშვილი- §93;

36. 1796წ.-დღიური-§69; ბერძენიშვილი- §105;

37. 1797წ.-დღიური-§67; ბერძენიშვილი- §94;

38. 1798წ.-დღიური-§70; ბერძენიშვილი- §98;

39. 1799წ.-დღიური-§59; ბერძენიშვილი- §88;

40. 1800წ.-დღიური-§58; ბერძენიშვილი- §52;

(აქ მთავრდება მეოთხე რვეული);

41. ბერძენიშვილი §62 (#5 რვეული);

42. 1801წ.-დღიური-§58; ბერძენიშვილი- §94;

43. 1802წ.-დღიური-§45; ბერძენიშვილი- §62;

44. 1803წ.-დღიური-§67; ბერძენიშვილი- §88;

45. 1804წ.-დღიური-§51; ბერძენიშვილი- §73;

46. 1805წ.-დღიური-§35; ბერძენიშვილი §59;

47. 1806წ.-დღიური-§37; ბერძენიშვილი- §48;

48. 1807წ.-დღიური-§61; ბერძენიშვილი- §94;

49. 1808წ.-დღიური-§43; ბერძენიშვილი- §14;

(აქ მთავრედება მე-5 რვეული)

50. 1809წ.დღიური-§8; ბერძენიშვილი §13;#-6-რვეული.

საერთო ჯამში, ივ გვარამაძის მიერ გადაწერილ „ხოჯავანთ იოვანეს მისიონარულ დღიურ-წერილებში'' იკითხება § 2147; ნ.ბერძენიშვილის „ახალციხურ ქრონიკებში''(ეს სახელი, ბ-ნ ნიკოს ეკუთვნის)-ფიქსირდება § 2971, 10) სხვაობა 824 პუნქტს შეადგენს. 11 )ეს არის ნ.ბერძენიშვილის პირველი ექვსი რვეულის შედარებითი სურათი ივ. გვარამაძის ხელნაწერთან. რაც შეეხება მეშვიდე რვეულს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ის ცალკე ნაშრომად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა მისი 16-ფურცლიანი რვეული, თითქმის, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა (ეხება დასაწყისს), მსგავსია „მისიონარულის''. გამოდის, რომ „მისიონარულ დღიურ-წერილებს'' და ნ.ბერძენიშვილის ე.წ. მეშვიდე უნომრო რვეულს შორის პირადპირი თანხვედრაა, რასაც ვერაფრით ვერ ვიტყვით, ბერძენიშვილის 1-6 რვეულსა და „მისიონარულის'' შესახებ.

**თავი მეოთხე:** თარიღებისა და პუნქტობრივი პარალელების კვალდაკვალ წარმოვადგენთ **თვისობრივი განსხვავებების** შემაჯამებელ ანალიზის:1).შედარებითი კვლევა გაკეთდა ნ.ბერძენიშვილის „ახალციხურ ქრონიკასა'' და ივ.გვარამაძის „ხოჯავანთ იოვანეს მისიონარული დღიური-წერილების'' 1-89 გვერდის ჩათვლით, რომლებიც უშუალოდ 1809 წლით სრულდება. 2) ერთმანეთს შევაჯერეთ 1764-1809 წლების ჩათვლით წარმოდგენილი ქრონიკები; 3) წლიდან წლამდე დავითვალეთ

პუნქტების რაოდენობა; 4 )1764წ, 1765წ, 1766წ, 1767 წლებში არის გარკვეული სხვაობები. პუნქტობრივი მონაცემებით **ლიდერობს** ბერძენიშვილის ხელნაწერი; 5)1768, 1775წ,1777წ, 1780წ, 1781წ, 1783წ, 1784წ, 1788წ, 1789წ, 1792წ, 1800წ, 1806წ, 1809 წლები-კი ძალზედ მცირე განსხვავებებს გვაძლევს; 6)1771წ, 1776წ,1787წ, 1791წ,1794წ, 1796წ, 1799წ, 1801წ, 1804წ, 1807წ,1808 წლები-პირიქით, **დიდ სხვაობას** აფიქსირებს; 7)1807 წელს ძირეული სახესხვაობა „მისიონარულთან'' ფიქსირდება გვ 235-236-ზე; 7)ნ.ბერძენიშვილის 1808 წლის ჩანაწერები **ბევრად ვრცელ ფაქტობრივ** მონაცემებს გვაწვდის, ვიდრე ხოჯავანთ იოვანესი; ვაზუსტებთ მნიშვნელოვან გარემოებას. **უდიდესი პუნქტობრივი სიმრავლე** დაწერილი ქრონიკებისა მოდის **ნ.ბერძენიშვილის ხელნაწერზე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ნ.ბერძენიშვილის მიერ გადაწერილი ვარიანტის ქრონიკების განსხვავებული თემები, მასთან ერთად, რაოდენობრივი სიუხვე ახალციხის საფაშოში გარდაცვლილი მოსახლეობისა და სოციალური პრობლემების შესახებ დაცული ინფორმაციებია. ივ. გვარამაძის ვარიანტი გარდაცლილ ადამიანებზე კი იუწყება, თუმცა, ნათელია, ხელნაწერის იგი გაცილებით მეტ დროს პოლიტიკური ხასიათის მოვლენებს უთმობს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ბერძენიშვილი თავის კომენტარებში მის მიერ გადაწერილ ვარიანტს, ერთგვარ ნაკლად უთვლის ზემოთქმულს და დასძენს: „ხოჯავანა საკუთარი ნათესავების მიმოსვლით და სოციალური საკითხებითაა დაინტერესებულიო''.(ბერძენიშვილი 1933: 4)**

საინტერესოა, რომ ნ.ბერძენიშვილის ხელნაწერის რვეული №6, რომლითაც ფაქტიურად სრულდება თემის მიმოხილვა, **არ გვხდება** ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორიცაა, **ხოჯავანთ იოვანეს გარდაცვალება. (განსხვავებით რვეულ №6-ისა, ე.წ. მეშვიდე რვეულში ეს დეტალი აღნუსხულია.)**

**გაურკვეველია სომხური ჩანაწერების ისტორიაც,** რომელიც მხოლოდ ნ.ბერძენიშვილის **პირველ რვეულში** გვხდება ამ სახით. (იქნებ ეს ჩანაწერი იოვანეს გადამწერ ნათასავებს ეკუთვნით? ან ენების მშვენიერმა მცოდნე იოვანემ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოამჟღავნა სომხურის ცოდნა?) **ფაქტია, რომ იოვანე ხუცესი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ „მისიონარულ'' ხელნაწერებში არ წერს არაფერს სომხურად.** ნ. ბერძენიშვილის ხელნაწერის №1 რვეულში, გვ 16 დაფიქსირებულია **სომხურ ენაზე** შესრულებილი პუნქტი, რომელიც არც შ. ლომსაძესთან და არც „მისიონარულ დღიურში'' არ არის შეტანილი. გთავაზობთ ამ ჩანაწერს: „მარიამობას-28-პა[რასკევი] კუდიანი ვარსკვლავი ვნახე სამი მხრიდან

აქუნდა კუდი(ამის შემდეგ სომხურ ენაზე წარწერა გაკეთებული. (**აქვე შევნიშნავ, რომ კუდიანი ვარსაკვლავის თაობაზე „მისიონარული" და ლომსაძის ქრონიკები გვიამბობენ მხოლოდ ქართულად.)** 1772 წლის ჩანაწერთან ბერძენიშვილის ვარიანტში, გვ 35 კვლავ ვხვდებით **სომხურ ენაზე** შესრულებულ ეპიზოდს. (არც ეს ფაქტია შეტანილი „მისიონარულსა" და ლომსაძესათან).

**ჩვენი ყურადრება მიიქცია ხელნაწერების წერითმა კულტურამ,** რომელიც რადიკალურად განსხვაბულია ერთმანეთისაგან. „მისიონარულში" ქრონიკები ერთმანეთისაგან გამიჯნულია მხოლოდ თარიღების სისტემატიზაციით, ხოლო ნ.ბერძენიშვილთან იკითხება: **წელი, თვე; რიცხვი, დღე. მაგ: „აპრილი-24-შა[ბათი]** ქუჩუქ აღანი პეტრეი და სხვანიც წავიდნენ სტამბოლს".1(გვ244) „მისიონარული" სრულიად ჩვეულებრივი მეთოდოლოგიით გვისახელებს ციფრებს, ხოლო ბერძენიშვილის ხელნაწერი კვირის დღეების აღწერისას პირველი 2 ან 3 ასოს შემდეგ აკეთებს ტიხარს[ ] და მასში ათავსებს მოცემული დღის დაბოლვებას. სამაგიეროდ, არ შეიძლება არ დავდასტურო ჩემი აღფრთოვანება, გამოწვეული ივ. გვარამაძის უბადლო კალიგრაფიის ხილვასას, რომ დამეუფლა. **უმცირესი სიგრძე-სიგანის, ულამაზესად გაკეთებული ბმულების, კომპაქტურად, მობილურად აღნუსხული, მშვენიერი, XVIII-XIX საუკუნის სალიტერტატურო თუ კუთხური კილოკავით დამშვენებული ხელნაწერი, ვფიქრობ, ფილოლოგების ჯეროვან ყურადღებასაც იმსახურებს.**11) ნ.ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკა" (პირველი ექვსი რვეული) პუნქტობრივი ანალიზით სხავობას გვაძლევს „მისიონარულთან" მიმართებაში; **მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განსხვავვებებით ხასითდებიან აღნიშნული ხელნაწერები, 1763-1809 წლების მოვლენების მნიშვნელოვანი ქრონიკები ორივე მათგანში დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, საერთოა.**

**თავი მეხუთე:** ნ.ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკისა" და „მისიონარული დღიური-წერილების" შედარების დროს, ყველაზე მეტი ყურადღება **№5-ე რვეულმა მიიპყრო.** „მისიონარულში" გვ71 § 30;31-იკითხება-„ჟამი გამოჩნდა", ხოლო №5 რვეულში გვ 191 ფიქსირდება **ჟამითგან-განსხავავებული 62 პუნქტი** და მოვლენები 1801 წლით გრძელდება. 231 გვერდიდან ნ. ბერძენიშვილის „ახალციხურ ქრონიკასა" და „მისიონარულ დღიურ-წერილებში" პუნქტობრივ სხვაობაზე მეტი შინაარსობლივი აღმოჩნდა. თუმცა **პირველი** მნიშვნელოვანი სხვაობაა მოცემული. მხედველობაში მაქვს შემდეგი გარემოება. სათაურში იკითხება „ვინმე მესხის მიერ გადაწერილი **დღიურიდან**

**1763-1771წ. გადმოწერილია". („მისიონარული"1763-1809 წწ აკონკრეტებს, როგორც ჩანს, თხზულების ბოლო გვერდები, დაკარგულია.)**

მიუხედავად იმისა, რომ ნ.ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკა" და შ ლომსაძის „ახალციხური ქრონიკა, იოანე ხუცესი დღიური წერილები" ერთ ისტორიულ მონაკვეთს ასახავს და ეყრდნობა სამცხე-ჯავხეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ მასალებს, გადაწერილს ივ. გვარამაძისა და იოვანეს ნათესავების მიერ, **ზებუთოვის მიერ 1829 წელს ახალციხეში ჩადენილი სისტიკის ამსახველი ქრონიკა, შეტანილია, მხოლოდ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებულ ფონდში №2782-H. ეს მასალა სხვა არცერთ ჩვენს მიერ შესწავლილ ხელნაწერში არ გვხდება.**

ნ.ბერძენიშვილის ე.წ. მე-7 რვეული დათარიღებულია 1763-1771 წლებით. მეშვიდე რვეულისაგან განსხვავებით **ბერძენიშვილის პირველი ექვსი რვეულის ხელნაწერი** ისტორია დათარიღებულია **1762-1809 წლებით;** „ხოჯავანთ იოვანეს მისიონარული დღიური-წერილები" სათაურში კი აფიქსირებს 1763-1809 წლებს, მაგრამ რეალურად **მთლიანობაში ხელნაწერი აღნუსხავს 1842 წლამდე მოვლენათა რგოლს.**

ივ გვარამაძის ხელნაწერი დასათაურებულია „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები სოჯავანთ მღვლის მამა იოვანესი". მხოლოდ ქრონიკების ბოლო ჩანაწერებში იკითხება **რიგითი მოვლენის სტატუსით** ნავროზაშვილისა და აბინაშვილის დღიური. შ. **ლომსაძესთან** ქრონიკები **მკვეთრადაა გამიჯნული** შემდეგი კვალიფიკაციით:1) იოანე ხუცესის დღიური წერილები, 2) სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკა; 3) სტეფანე აბინაშვილის დღიური; ნ.ბერძენიშვილთან ერთდროულად იკითხება:ა)ნაზარანთ ქრონიკა; ბ)ხოჯა ჰავანას დღიური".**(განსხვავებებია ხელნაწერების დათარიღებებისას, განსხვავებებია დასათაურების დროსაც))**

ამგვარად, ამხელა პუნქტობრივი ცვლილების მიუხედავად, ვაზუსტებთ, შინაარსობლივი თვალსაზრისით, ისინი ერთმანეთის მსგავსია. პრაქტიკულად ორივე ხელნაწერი (ბერძენიშვილისა და გვარამაძის), მთლიანობაში ერთიან სურათს ქმნიან, 1764-1809 წლების **სამცხე-ჯავახეთის პოლიტიკური-ეკონომიკური თუ რელიგიურ-ყოფითი ეპიზოდებისას.**

ნ.ბერძენიშვილის ხელნაწერზე მუშაობისას, აღმოჩნდა, რომ მის „ახალციხურ ქრონიკას" თან ერთვის თავად მეცნიერის ჩანაწერები.(კომენტარები პატარა **სხვადასხვა ფურცლებზე, რვეულის ყდებზეა გაკეთებული.** გარკვეულ ნაწილს მომდევნო

ქვეთავებში ისტორიული მოვლენების ანალიზისთვის ვიყენებ) აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ამჯერად, კრებითი სახით გთავაზობთ მათ.

## 4.2. ნ.ბერძენიშვილის-ჩანაწერები(ფურცელი №1)

ზეპირად რაც მაგონდება:-ხოჯავანა გაზრდილია ქართულად, ქართული მწიგნობარია.(საბა თუ სხვა მისთვის მშობლიურია. **შეიძლება საბას, როგორც კათოლიკეს ეთვისება?). ქართულად აზროვნებს** (ქართული ამ დროს მშობლიური ენაა: შერქმეული სახელები და სხვა.) თავს კი როგორც ქართველისაგან, ასევე სომეხისგან გამოყოფს. ქართველი და სომეხი მისთვის კონფესიური ცნებებია. სომხური კარგად იცის, თუმცა სომხური ენა მისთვის მშობლიური არ ჩანს: სომხური ტიპიკონის სახელები, რომელიც ამ კათოლიკეთ შემორჩათ გაქართულების ტენდენციას, შეიძლება გარომაელების ტენდენციას **უდარებს-შერქმეული სახელები წმინდა ქართული წარმოშობისაა.** აშკარაა, ეს სომხური სახელები ლათინურ (ლენურ) ეკლესიისითვისაა.

ხოჯავანა პოლიტიკური მოაზროვნე არაა. მას უპირატესად აინტერესებს თავისი ოჯახი და უახლოესი კათოლიკური წრე. კათოლიკობისთვის თავადადებულია. მშვიდად გადაიხედავს თავისი დროის გარეთ. **შეუშფოთებლად, გულშეუძვრელად სწერს** ზედმიწევნითი სიზუსტით ცნობებს, რომლებიც მის დღიურში შემოიჭრებიან.

იმერეთი პოლიტიკური ამბებით მდიდარია და ხოჯავანაც მრავლად აღნიშნავს მათ. სამწუხაროდ, ის მოულოდნელად ტოვებს იმერეთს და ისევ **პოლიტიკურად მოურჯულებულ ახალციხეში მოდის:** აჭარლების აჯანყებანი, იანიჩრების თვითნებობანი, თავის მოჭრანი, ლეკთა მიერ ქართლის რბევანი-**ესაა აქაური პოლიტიკა.** შესანიშნავია იმისათვის თუ როგორ იბრძვის ის ერეკლე ქართლ-კახეთის გარეთ; ან სოლომონი, საინტერესოა, რომ ხოჯავანას სოლომონი უფრო ახლოს ჰყავს, ვიდრე ერეკლე.**რუსი ხოჯავანასთვის უცხოა...** იშვიათი ცნობები, **ლეკი და თათარი არც თუ აგრე მტერი უჩანს მას.** ჩანს, სარწმუნოებრივად კათოლიკეებს არ ავიწროვებდნენ.

**ძეგლი შესანიშნავია ენობრივად მესხური ფოლკლორისათვის. კათოლიკური მოსახლეობის განფენილობისათვის, სახელები ხელოსნობისათვის.**

ნ. ბერძენიშვილის – ჩანაწერი, (ფურცელი №2.)

გაკათლიკებასთან „გაქართველელზის'' დაკავშირება შეუძლებელია. როგორც სომხებს, ისე ქართველებსაც თანაბრად სხვებად თვლიან...ეს კათოლიკები სრულიადაც არ ფიქრობენ, რომ გაქართველდნენ, ისე როგორც არ ფიქრობენ, რომ გასომხდნენ. ამ დროს არ შეიძლება დაუკავშირდეს გაკათოლიკების საკითხი.მათი ენა ყოვლად უკლებელია, **ქართულია მაშინაც კი, ვიდრე ისინი კათოლიკობას გაიზიარებდნენ.ვინ იყვნენ ისინი, ვიდრე კათოლიკობას მიიღებდნენ (XIII-XVIსს)-ამაზე პასუხი არც ისე ადვილია.** ენობრივად-ქართველები;კონფესიურად, უნდა ვიფიქროთ ''ქართველებად'' და ''სომხებიც'', ნათესავნი ასევე

ქალაქების მოსახლეობა უფრო სომხური წარმოშობისა უნდა იყოს.(ნაგვიანევი მასალის მიხედვით.) მაინც და მაინც ქალაქებში „სომხური'' ჭარბობდა. ამიტომაც იყო, რომ **სომეხი-ვაჭრის** შესატყვისად იხმარებოდა... **სოფლის მოსახლეობა უფრო „ქართული'' იყო.** ენობრივად, ორივე ქართველი იყო. გაკათოლიკება, რატომ უნდა შეხებოდა მხოლოდ „სომეხს''.(კონფესიურად სომეხს.)ოსმალობა სომეხს მეტად არ სდევნიდა, ვიდრე ქართველს... პირიქით შეიძლება იყოს...

საინტერესოა: მესხებმა სარწმუნოება შეიცვალეს და ენა დაკარგეს... (იქვე), **იმავე მესხებმა, სარწმუნოება შეიცვალეს და ენა კი დაიცვეს** და ეს იმიტომ, რომ: კათოლიკობა არ იყო აქ რომელიმე ენასთან დაკავშირებული, ისე. როგორც მაჰმადიანობა.მაჰმადიანობამ თურქები დაუახლოვა მესხებს, თურქი ცოლები მოიყვანეს და **ქვეყანაც გათურქდა.**''გაკათოლიკებით კი მესხები(?) ფრანგებს დაუახლოვდნენ, მაგრამ **ფრანგი შორს იყო** და ფიზიკური არევა შეუძლებელი იყო.. [საინტრესოა], **ქართველების რუსების ურთიერთობისთვის XIX საუკუნეში სარწმუნოებრივი ურთიერთობა უძლიერესი ფაქტორი იყო.**

**მოსალოდნელი იყო სრული გათქვეფა, რაც არაერთგან მომხდარა, ასეთი რამ შემდეგ საუკუნეებში.**

**ამ კონტექსტში გასაგებია, დიმიტრი ყიფიანის განცხადება:რუსისა და ქართველობის იგივეობის შესახებ.**

სომხებმა სცადეს, როგორც ჩანს, კათოლიკების ენობრივი გასომხება. [უეჭველია,სომეხთა ნაწილი გაკათოლოკდა]. მაგრამ ამას უნდა დავუპირისპიროთ ქართული ტენდენცია. [უკეთ ქართულ ენაზე მღვდელთმსახურების ტენდენცია.]

უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა კათოლიკური მოსახლეობის კულტურული ვინაობისთვის, განსაკუთრებით საინტრესოა, რომ **არაერთხელ სომეხს არ უწოდებენ, არამედ ქართველს.**

უეჭველია, „ქართველი'' ამ მისიონერთა ენაზე ან კონფესიური ცნებაა, ან ეროვნულ-კულტურული. [**ჩვენ, ვეყრდნობით, რომ ეს არის ეროვნულ-კულტურული ცნება-ნ.ბერძენიშვილი.**] წარმოშობასთან მას შეიძლება კავშირი ჰქონდეს, შეიძლება არა-საქართველოს სომხეთში-თავს ქართველს უწოდებდნენ.და ასე წარმოიშვა ორი ტერმინი:**სომხური-------------------------------რომაულ-კათოლიკური** ესენი თანდათან-ერონული სომხურისა და ეროვნული ქართულის სახეებით ჩამოყალიბდნენ.

**საინტრესოა, როგორც რუსები ქართლში მოვლენ, უმალ ელჩებს გზავნიან ახალციხეს...** (ფურცელი №7).

**ახალციხე-ოსმალების საყრდენი**-აქ მოდიან ლეკები საქართველოს სარბევლად. აქ მოდიან ტყვის მსყიდველები, აქ მოდიან იმერთა ბატონიშვლები თუ მეფეები დახმარებისათვის, **აქედან მიჰყავთ ლეკები ერთიმეორეს გასათახსირებლად,** აქ მოდიან ელჩები სტამბულს წამსვლელნი-ყველაფერი ეს აქაური ფაშა-ხონთქრის გავლით ხდება.-**ფაშა დიდად მნიშვნელოვანი პირია.(გვ. 251).**

**ნ.ბერძენიშვილის ჩანაწერი-(ფურცელი №3)**

„რომ ქართული ენა ამ კათოლიკეთათვის და უფრო მათი პიროვნებისათვის მშობლიური იყო ცხადია:არავითარი იმპულსი ქართულის შეთვისებისა გაკათოლიკებასთან დაკავშირებით არ არსებობდა... მეორე მხრით, ახალციხის მხარე. XVI-XVIIსაუკუნეებიდან ოსმალთა ხელში იყო, სულ უფრო და უფრო კარგავდა ქართულ იერს და ოსმალურს ითვისებდა. **ასე, რომ ქართულის ახლად გავრცელების პირობა არაქართულ მოსახლეობას შორის აქ აღარ იყო. დარჩა ერთადერთი ქართული ენა-მშობლიური ენა იყო უძველესი დროიდანვე ამ კათოლიკეების წინაპრებისათვის და ისინიც ინახავდნენ მას, ისევე, როგორც ადგოლობრივი გლეხები, ებრაელები...**

**გაკათოლიკება, შესაძლებელია, სომხურ ენას უკვლევდა გზას...(ბერძენიშვილი 1933: 253)**

ბუნებრივია, XVIII საუკუნის **მესხეთის** მოსახლეობის ეთნიკურ-მენტალური სიჭრელე. ეროვნული ცნობიერების **რღვევის პროცესი, ხომ ჯერ კიდევ 1483 წლიდან** დაიწყო. ამის შესახებ მოგვითხრობს თავად **ოსმალური წყარო:**ამა წელს **იაყუბ ფადიშაჰი**

ურიცხვი ჯარით საქართველოსკენ გაემართა. მარხვის თვეს ისლამის ჯარი საზიზღარ ურწმუნოთა ქვეყანაში მოვიდა, **ახალციხის** მიდამოებში დადგა და იმ ქვეყნის ციხეს გარს შემოერტყა, **ვინც მუსულმანი გახდა, ცხადია. ის უეჭველი გადრჩა,ხოლო, ვინც არ მიიღო ჭეშმარიტი სარწმუნოება, ის არყოფნის გზით გაეჩქრა(მოიკლა).** (რუმლუსი 1966: 17)

# თავი V.

# ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' მიხედვით, 1763-1842 წლებში სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკურ-სოციალური ვითარების მიმოხილვა.

სახელმწიფო არ შეიქმნება ხალხის შემთხვევითი კავშირისგან და არც ნებისმიერ დროს. ამიტომაც ისინი, რომლებიც თავის სახელმწიფოში, ან მის მეზობლად საცხოვრებლად სხევები მიიღეს, მათი აჯანყების მსხვერპლი გახდნენ. სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით, არისტოტელეს ყველაზე კარგ ქვეყნად მიწათმოქმედი ხალხისგან შემდგარი სახელმწიფოები მიაჩნია. (მალთუსი 2002: 40)

და ესრეთ განიყო სახელი **ზემო ქართლი სამად.** არამედ აწ ოძრახოსის წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ **სამცხეს**... ზაგრატიონთა მეფობსა შინა ყოველთა ამათ ალაგებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა **მ ე ს ხ ნ ი,** ხოლო ბრწყინვალე მეფემ გიორგიმ მისცა რა ათაბაგობა(ყვარყვარე 1334-1361წწ) და მის ქუეშე დააწესა ქვეყნის ერისთავნი, მიერით იწოდა საათაბაგოდ. ხოლო ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროიან-მთანი, კლდიანი, ტყიანი, შამბ--შროშიანი, მდინარიან-წყაროიანი-ტბიანი და მცირედ ველოვანი; ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი. ჰავით მშვენი და კეთილ, არამედ ზღვის კიდეთა არ ეგეთი. ნაყოფიერობს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაც... ხოლო არიან მრავალნი... პირუტყვი მრავალნი....წყარონი ტკბილნი, ტბანი თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი დიდნი და წვრილნი... ხოლო კაცნი დ ქალნი ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი შემართებულნი. (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: : 659-660)(იხ.დანათი #-9)

ვახუშტი ბატონიშვილის მსგავსად ქართული მიწის მადლზე წერს შემდეგი რუსული წყარო: З е м л я у нихъ весма плодородна такъ, что жители не могутъ ни когда имишъ г о л о д а. და იქვე ავტორი აკეთებს დასკვნას, პოლიტიკური და სოციალური არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ: Но жестокое обхождение с ними Крестъянами, и великие поборы, вынуждаемые держатъ ихъ нимешъ уныний и лености. Фабрики и Руkодельни ихъ вобще маловажны. (описание 1799 : 56)

XV-XVIII საკუნეებში ოსმალურმა და ყიზილბაშურმა ძალდატანებითმა, ვერაგულმა პოლიტიკამ შინაგნად დაშლილ-დანაწევრებულ საქართველოს არნახული ზიანი მიაყენა სოციალური და ეკონომიკური თვალთახედით, „საქართველოში გარკვეულად სუსტი აღმოჩნდა მომთაბრე დამპყრობთა ზემოქმედები ძალა. მთავარი ძალა, რამაც უზრუნველყო საქართველოს გადარჩენა, ეს იყო მისი სრულყოფილი და მყარი მიწისმფლობელობა, მაღალი სამეურნეო კულტურა, მეურნეობის აღდგენის სიადვილე და მოუშლელობა.” (ლომინაძე 1973: 818)

ივანე ჯავახიშვილი სამხრეთ საქართველოს დაუძლურების ფესვებს ჯერ კიდევ შორეულ წარსულთან აკავაშირებს და სრულიად ლოგიკურდაც: „რუმის თურქმანთა შემოსევა საყურადღებოა, როგორც საქართველოს სამხრეთ დასავლეთ სანაპიროზე თურქთა გაძლიერების პირველი დასაწყისი. მოვლენა, რომელსაც შემდეგში უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და თვით მესხეთისცვისაც საბედისწერო შედეგი მოჰყვა.” (ჯავახიშვილი 1966: 390)

„საისტორიო მისიონარული დღიური-წერილების” ავტორი ხოჯავანთ იოვანე, რომელიც ერეკლე მეორის თანამედროვე და სოლომონ პირველის კარზე ნამსახურები იყო, (1767-1777 წლებში) მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სამცხე-ჯავახეთის, კონკრეტულად კი ახალციხის საფაშოს ეკონომიკური ურთიერთობების და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ხელნაწერში დაცული ქრონიკები ემთხვევა რუსეთ-ოსმალეთის მეთვრამტე საუკუნის პოლიტიკურ ჭიდილს ახალციხის საფაშოსთან მიმართებაში. ხუცესი გვიყვება 1763 წელს აპრილში, როგორ წავიდა სტამბოლს ქარავანი, თუ როგორ დაბრუნდა ტრაპიზონიდან დავითი, რატომ დაიკარგა მამამისის აზრუმიდან გამოგზავნილი ხარა, ძმის ლუკას სავაჭრო მიმოსვლებს აზრუმში, იოანე ბერძენის რუსეთს წასვლას, „ქუთაისში ხულების მეიდანში გამოდგმის ისტორიას” და სხვ.

გთავაზობთ ამონარიდებს „მისიონარული დღიური-წერილებიდან" რომელნიც ასახავენ XVIII-XIX საუკუნეების ახალციხის საფაშოს ეკონომიურ ცხოვრებას: 1.1778 18-იანვარს ქარავანის **სტამბოლს** წასვლა; 2. სტამბოლის ქარავანში აწყვერელი სკანდარასშვილი იოანეს მოსვლა 3. სტამბოლის ქარავანთან ქაჩუხაათ სიმონას წასვლა; 4. ყალაიჯისშვილის **აზრუმს** წასვლა; 5.პირველი და მეორე ქარავნების სტამბულს წასვლა; 6. პოღოს ბიძას სტამბულიდან მოსვლა ახალციხეს; 7. **აზრუმს**ქარავნის წასვლა; 8. ხაზინადარის დანიშვნა, **ერეკლესთან მოსვლა;** 9. ბიძათხანუმაის და სტეფანეს სტამბოლს წასვლა; 10. სტეფანეს **ქუთაისში** წასვლა **და ბამბის** ვაჭრობისთვის „ზანჯირხანში" ჩაყრა; 11. ლუკას და სიმონას აზრუმიდან მოსვლა; გორითგან თამაზაის მოსვლა; 12. ოჰანჯანას აზრუმს წასვლა; 13. საერისფოხო ანგარიშების ისტორია; 14. ვარდაპეტ ნურიჯიანის აზრუმს წასვლა;15. სიმონას და სტეფანეს მიმოსვლა ქუთაისს; 16. **ერევნიდან** მომავალი ქარავნის ისტორიას, როდესაც ოჰანესა ღამე ქარავანს გარეთ დარჩენილი"ტბის რაღაც ბორცვზედ მომკვდარიყო"; 18. იაკობის დუქნის დაბეჭვდას; 19. არუთინას სტეფანეს ძის მიცვლას **სტავროპოლს 30მაისს 1801**წ;20. ღვინობ-ფაშის ხაზინადარი მუსტაფა აღას მოსვლა; 21. ჰაჯი სული ბეგის ტყვეებით სტამბოლს წასვლა; 22. ერთდროულად **შავშეთს, ქუთაისსა და აზრუმს მიმოსვლას;** 23. ჩვენი სტეფანეს იმერეთითგან მოსვლა; 24. მესარკიანთ ატაის, ნარიბეგას და ჩვენის სიმონას აზრუმს წასვლა; 25. 1807წ 4იანვარს-ჩვენის სტეფანეის და დათიკაის აზრუმს წასვლა; 26. ჯუხრუკაანთ მუთაველის სტამბულითგან მოსვლა; 27. დათიკას საპალნებით **ქუთაისს** წასვლა; 28. ოჰანჯანას მანზილით არზრუმს წასვლა; 29. ჩვენი სიმონას **არტანუჯითგან მო**სვლა; 30. დურგლიშვილი გრიგოლის აზრუმითგან მოსვლა; 31. მოსული საპალნე პაქსის გაგზავნა ახალციხითგან-ახალქალაქს; 32. ბალღამაათ ოსოის კიდევ **იმერეთს** წასვლა; 33. კენჭიანთ ანტონას სტამბულს წასვლა; მამაჯანას სტამბულს წასვლა; (გვარამაძე 1892: 5-45-67-99-104)

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ერთი შეხედვით, ყოველდღურ რუტინულ ყოფას გადმოგვცემს, მის ცნობებში მრავლად მოიპოვება მასალა ეპოქის სოციალ-ეკონომიკური სურათის რეკონსტრუქციისთვის. ბ-ნ ნ.ბერძენიშვილი თავის ჩანაწერებში ბრძანებს: „ხოჯავანას საკუთარი ნათესავების მიმოსვლა აინტერესებსო".(ბერძენიშვილი 1933: 371) ჩვენი შეხდეულება საკითხისადმი შემდეგია: ხოჯავანთ იოვანეს მშობლიური ოჯახი, გარემოცვა, უახლოესი ნათესავები მთლიანად სავაჭრო აღებ-მიცემობის „ხელოვნებით" იყვნენ დაკავებულნი. ვაჭრობა-მეწვრილმანეობა მათი პროფესია იყო. ამის გამო,

ბუნებრივია, საქარავნო-სავაჭრო თემების მიმოხილვისას, იოვანეს ქრონიკებში, მის ნათესავებს დიდი ადგილი უჭირავთ. ისინი 1763 წლიდან 1809 წლამდე ახალციხის საფაშოს ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტენსიურად არიან ჩართულნი; 2. გარდა ნათესავებისა, ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ პუნქტებში იკითხება სრულიად განსხვავებული გვარ-სახელები, როგორიცაა: **მუსტაფა აღა, მესარკიანთ ატაი, ნარიბეგა, დათიკა, ოჰანჯანა, ჯუხრუკა, დურგლიშვილი, ბალღამათ იოსები, კენჭიანთ ანტონა და სხვ;** 3. საკუთარ ნათესავებს, ხუცესი განსაკუთრებული ფამილარული ტონით მოიხსენიებს: ჩვენი ლუკა, **ჩვენი სტეფანეი. სხვების მიმართ, ამგავარ შინაურობას არ მიმართვს ხოჯავანა.** ფაქტია, ხოჯავანთ იოვანე, ცდილობს აღნუსხოს სხვათა სავაჭრო ცხოვრებაც, როგორიცაა, უეცარი გარდაცვალებანი ერევნისა და სტავროპოლის გზაზე დამდგარი ვაჭრებისა, განიხილავს მოზდოკის თემას, 1808 წ. ტყვეთა სყიდვის სამარცხვინო ეპიზოდს. საქართველოს ისტორიაში, ეს შავი ლაქა, როგორც „ახლაციხური ქრონიკებიდან" ირკვევა, XIX საუკუნეში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩებოდა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის.

„მისიონარული დღიური-წერლები", თუ „ახალციხური ქრონიკები" თანაბარი სიზუსტით ადასტურებენ ეკონომიკურ-სავაჭრო სამიმოსვლო ურთირთობების არსებობას, რომელიც აკავშირებდა ახალციხის საფაშოს: **აზრუმთან, სტამბულთან, მოზდოკთან, ერევანთან, ქართლთან, იმერეთთან, უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან.**რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმის არგუმენტად გამოდგება, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს არარსებობისა და „გაოსმალების" გზაზე დამდგარი სამცხე-ჯავახეთი, XVIII-XIX საუკუნეების გზაგასაყარზე, დიდი პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად, გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობებს ეწეოდა.

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებისა" და „ახალციხური ქრონიკის" შეჯერების შედეგად გამოიკვეთა ის **ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური სახის თანამდებობები, პროფესიები თუ ტიტულები,** რომლებიც მოქმედებდა XVIII-XIX საუკუნის **სამცხე-ჯავახეთში.** ქრონიკებიდან ჩვენ ისინი ამოვკრიფეთ და გთავაზობთ შემდეგი ჩამონათვალის სახით:1) **მეწვრილმანეების** დუქანი. §8,გვ123.2) **თერძი**-სიმონიშვილი.§20, გვ125 .3) **მხატვარი**-სილიბისტრე. §5, გვ125. 4) მამუკა მდივანი.§7, გვ126 5) **ყასაბი** მაჰმუდი. §22, გვ126. 6) **მენახირიაანთ** პოღოსა. §26, გვ126. 7) **მეზვერე მემი.** §15, გვ127. 8) ფრა დიონისე. §4, გვ128. 9)პატრი იაკობი. 426, გვ128. 10) გუსარი იოვანე. §15, გვ134.11) ჟენერალი სუკატინა. §26, გვ135. 12) თავადი ციციშვილი. §25,

გვ135. 13 )მოქალაქე ასლანა. §28, გვ135 14) **დავით მღებარი.** §29, გვ137. 15) რუსის **დოქტორი**. §10, გვ137. 16) მეხიდური იოანე, ხიდის **მებაჟე.** 43, გვ138. 17) **მესაკლავიანთ** ჰოროველა. §28, გვ139. 18) **მეჩითე გოგია.** §12, გვ140. 19) გოგია **ბინბაში**. §24, გვ146. 2) .სომხის **მხატვარი.** §21, გვ150.**21) მღებარი პეტრესშვილი.** §2, გვ146. 22) ფაშის **ხაზინდარი.** §5, გვ152. 23) **ქურქჩიბაში** იოანე. §17, გვ155. 24)არაბი **სალახორი**. §30, გვ157. 25) ჩვენი **პროვიკარი.** §16, გვ158. 26) **მამასახლისი.** §11, გვ159 .27) **დელიბაშები**. §28, გვ161. 28) **მედავლენი.** §13, გვ163. 29.) **დალაქი.** §19, გვ172. 30) **მეკურტნე** ზურაბასშვილი. §7, გვ172. 31) **თვანქჩიბაში.** §9, გვ176. 32) **ჟამკოჩი.** §14, გვ177. 33) **გამომძიებელი.** §19, გვ184 34) **ექიმბაში**. §15, გვ194. 35) **მესაათე** იოსება. §28, გვ198. 36) **შუბაში**. §4, გვ202 37) **დურგალი** ბეროი. §26. ვ202. 38) **მებამბე** ანტონასშვილი. §13, გვ182. 39) **მესარკე** ატაი. §16, გვ198. 40) **ყვინჩი იოანე.** (ლომსაძე 1979: 123-198)

როგორც ბ-ნ ნ.ბერძენიშვილი შენიშნავს თავის კომენტარებში, ძეგლი შესანიშნავია, **მესხური ფოლკლორისათვის, სახელები ხელოსნობისათვის.** საინტერესოა მურჯახეთას სასაფლაოს ბერძენიშვილისეული ჩანაწერი: ვერძი მოკაზმული, ქვევრი, ჯამი, რაღაც დისკოს მსგავსი./აქვე გამოქანდაკებულია მამაკაცი/. ამიხსნეს გაუჭირვებლად, ეს მღებარი მამკაცი იქნებოდა სოფელში სამღებრო ჩვენც გვახსოვსო. დიდ ქვევრში წყალს ჩაასხამდნენ,წამალს ჩაყრიდნენ.ქვევრი სანახევროდ მიწაში იყო ჩაფლული. ცეცხლი ქვევრისგან მოშორებით იყო გაჩაღებული. ცეცხლიდან მილი ქვევრისკენ იყო გაყვანილი და ის წყალს ათბობდა. წყალში ნართს ავლებდნენ, ღებავდნენ. სამღებროების არსებობის შესახებ ჩვენში XVIII საუკუნის საბუთები მრვალად მოგვეპოვება. სამღებროთა რიცხვი გარკვეული იყო და მისი აგება ყველგან და ყველას მიერ არ შეიძლებოდა. ის საკმაოდ მსხვილი შემოსავლის წყარო იყო ფეოდალის მამულში (ბერძენიშვილი 1933: 26)

მესხეთის გვიანი ფეოდალური ხანის სოციალური საკითხების გასაცოცხლებლად, ჩვენს ხელნაწერთან ერთად, საინტერესოა, გარკვეული ისტორიოგრაფიული მასალის განხილვა, რომელიც მესხეთის სოციალური ყოფიერების ცვალებადობის არგუმენტებს მოიცავს.

XVI-XVII საუკუნეებში განსასაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებოდა სამცხე-საათაბაგო და დასავლეთი საქართველო. სამცხესა და აჭარაში ოსმალების გაბატონებამ საფუძველშივე შეარყია აქ ქართული ფეოდალური წყობილება და ეკონომიკა. (ასათიანი;ლორთქიფანიძე 1988: 24) ოსმალებს ათეული წლები დასჭირდათ

იმისათვის, რომ მოეხერხებინათ მისიწმფლობელობაში თიმაროიტული სისტემის დანერგვა და სამცხე-საათაბაგოში არესბული მიწის საკუთრების ფორმების შეცვლა. ჯერ კიდევ ხშირად ნახსენებია მთელ რიგ სოფლებში ვენახები, მათი დამუშავების პირობები. ამონაწერებში ნახსენებია სოფელი სხვილოსი, საზღვარზე ქ. ახალციხიდან 8 კმ. დაშორებით(ტივაძე 1945: 132-156) დროთა განმავლობაში დამკვიდრებული ოსმალური წყობილება ქართულ სოციალურ პრინციპებსა და ტრადიციებს იგერიებდა, თურქული წესების გავრცელება თანდათანობით ხდებოდა. XVII ს-ში სოფლის მეურნეობის სახეობაც მეტ-ნაკლებად იცვლება. მევენახეობა, მეღვინეობა, მეღორეობა კვლავ განაგრძობენ თავის არსებობას, მაგრამ სხვა ფორმით. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ოსმალების ვერაგი, ექსპანსიური პოლიტიკის იმ მეთოდზე, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ზემო **ქართლში მეღვინეობისა და მევენახეობის კულტურის გაქრობა:** ვენახების არსებობა დასტურდება დავთრის მიხედვით: ჭაჭარაქის, ხერთვისის, ბუზმარეთის, თმოგვის, ნიალისყურის, მზვარეს, პეტრეს, ფინაკის სოფლებში. თუმცა უნდა ითქვას, რომ თავის თავად **მევენახეობა მეღვინეობისაგან მოუწყვეტით.** თურქებისათვის არამცთუ აუტანელი არ არის, არამედ როგორც ყურძნისა და განსაკუთრებით ე.წ. ქიშმიშის (ჩამიჩის) მომწოდებელი აუცილებელიცაა. **თურქები ფართოდ მისდვევნ ვენახების მოშენებას მეღვინეობის უარყოფით(ტივაძე,1945, 153)**

ზემო ქართლის ეკონომიურიმდგომარეობის შესახებ წერს გ.ყაზბეგი ჯერ კიდევ ხუცესის ქრონიკების დროს: „წიფელი, არყი, თხმელი, მუხა, ხეხილიდან კი-მსხალი და ვაშლი, კაკალი და წაბლი, **ცოტა ქვემოთ-ვაზი.** აქ დიდი გამოყენება აქვს მარხილის კავს. სხვილოს შემდეგ საუკეთესო გზები დიდ აჭარას და ბეღლეთის ხეობებზე გადის. ყველა ეს გზა ახალციხეში მიდის. არსიანის გადასასვლელის მიმართულებით, მთელი გზა უღელტეხილის ჩათვლით,მოხერხებულია მძიმე საპალნე ოთხთვალასათვის, ამიტომ **მას საქართველოს გზას ეძახიან**''.(ყაზბეგი 1995: 56-57-88)

ს.ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმის თანამშრომლების მიერ შეგროვილი ისტორიული მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს მესხეთში წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებებს. მათ მიერ სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული ცნობები, თავისთავადაა იგივე რეგიონისათვის დამახასიათებელი სავაჭრო-ეკონომიური თუ ყოფითი ცხოვრების ამსახველი ფაქტები. სამცხეში ძველთაგანვე მისდევდნენ მეცხვარეობას, შალის ნართის ღებვას ძირითადად

მისდევდნენ ოჯახებში, მაგრამ ძველ ქალაქებში არსებობდა **საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამღებრო-სახელოსნოები: ბარალეთში, ხერთვისში, ახალქალაქში, ახალციხეში** და სხვ. (მესხეთ-ჯავახეთი 1972: 4) ამავე კრებულში იკითხება: სამცხის სიძლიერის ხანაში ახალციხის გარდა ხელოსნობის მრავალი დარგი ვითარდებოდა მცირე ქალაქებშიც. **თვით ახალციხე წარმოადგენდა ლითონის დამუშავების დიდ უბანს**,საიდანაც მეზობელ რაიონებსა და ქვეყნებში გაჰქონდათ აქაური მჭედლობის, ნალბანდობის, ოქრომჭედლობის, მესპილენძეობის, **ყვინჩებისა და ჩილინგრების** ორიგინალური ნახელავი. (მესხეთ-ჯავახეთი 1972: 7)

მეცხრამეტე საუკუნეში სამცხის ისტორიაში მყარად მოიკიდა ფეხი ცარიზმმა. მიუხედავად იმისა, რომ ახალციხე საომარ ვითარებაში იმყოფებოდა, (რომელსაც ჩვენი ხელნაწერიც ადასტურებს), 1837 წელს შემდგარი სტატისტიკური ცნობები ასეთია: 1) მჭედელი-27; 2) მეიარაღაე-2; 3) თოქმარი-11; 4) მესაათე-3; 5) ოქრომჭედელი-10; 6) ხარატი-2; 7) მკერავი-32; 8) მეწაღე-22; 9)ზეინკალი-5;) 10) კალატოზი-25; 11) მკინძავი-1; 12) დურგალი-6; 13) ხურო-32; 14) პურის მცხობელი-15. ხელოსნური წარმოების ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად მაინც **ახალციხე** ითვლებოდა. მეცხრამეტე საუკუნის სამცხე-საათაბაგოში **მრეწველობა სახლხო მეურნეობის ყველზე უფრო ჩამორჩენილ დარგად** ითვლებოდა. (ტივაძე 1945: 193) თუ შევადარებთ ერთმანეთს „მისიონარული დღიური-წერილების **1763-1809წწ ქრონიკებსა და 1837** წლის სტატისტიკურ მონაცემებს, შევნიშნავთ, მიუხედავად დროის სიმცირისა, ახალციხის საფაშოში სოციალური ვითარება **შეცვლილია ეპოქის ცვალებადობის კვალდაკვალ.** ქალაქების მოსახლეობა უფრო **სომხური** წარმოშობისა უნდ იყოს(ნაგვიანევი მასალის მიხედვით). მაინც და მაინც ქალაქებში „სომხური" ჭარბობდა. ამიტომაც იყო, რომ სომეხი ვაჭრის შესატყვისად იხმარებოდა.... **სოფლის მოსახლეობა უფრო „ქართული"** იყო. (ზერძენიშვილი 1933: 2) ბერძენიშვილის დაბალანსებული შეფასების მიღმა, იკითხება ის ეთნიკური სიჭრელე, რომელიც მესხეთის განვლილი პოლიტიკური ცხოვრების ანარეკლი და არსებული სოციალური დეტალების მიმანიშნებელია.

სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიური ვითარება მეოცე საუკუნეში, რომ კიდევ უფრო დამძიმებულია, ამაზე მოგვითხრობს ბერძენიშვილის ტრაგი-კომიკური ხასიათის ჩანაწერი:პატარა ხანჩალი მეტად ღარიბი სოფელი ჩანს. ამის მიზეზი მისი ახალი მოსახლეობაც უნდა იყოს. ძველი საფლავის ქვებს ვათვალიერებ. ვხედავ მოშორებით ვიღაცას ასაფლავებენ.მივედი-ვიღაცა ბავშვი სუდარაში გახვეული უკუღმა

დევს სამარში. გარშემო ქვებს უწყობენ, ქვებზე კ ე ვ რ ს სდებენ.(ეთნოგრაფიული მასალები). დაინტერესებულმა ვიკითხე მისი აზრი. უგემურად მიპასუხა იქვე მდგომმა: ლურსმანი არაა, ხე არაა, დასაწყლებული ვართ, მიცვალებულს დაუმარხავს ხომ ვერ დავტოვებთ. ე ს  კ ე ვ რ ი ზემოდან მიწას მაინც შეაკავებს. „შემრცხვა-ვინ იცის რა თეორიები არ იშვებოდა, რომ ვინმეს მიცვალებული უკუბოდ, კევრგადაფარებული ეპოვა, **ისეთ სამიწათმოქმედო ქვეყანაში, როგორც ჯ ავ ა ხ ე თ ი ა. (ზერძენიშვილი 1933: 3)**

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა აჩვენებს, რომ ზემო ქართლისთვის დამახასიათებელი მიწათმოქმედების ტრადიციული კულტურა მივიწყებულია. ადგილობრივები და ჩამოსახლებულები ძირითადად **მეწვრილმანეობა-ხელოსნობით** ირჩენენ თავს. ცდილობენ მიჰყვნენ ახალი დროების, იმპერიების მოთხოვნებსა და **ტრანსფორმირებული ეკონიმიკური ცხოვრების რთულ გზას.** თემასთან მიმართებაში მრავლისმთქმელია ეს ეპიზოდი:**მესხები-ოდითგანვე საქართველოში მოსახლე ხალხი,** თურქთა შემოტევებისაგან იცავდნენ სრულიად საქართველოს, მსხვერპლად ეწირებოდნენ, სარწმუნოებას კარგავდნენ **თურქების მუქარით,** მაგრამ ამით დანარჩენ საქართველოს ეწეოდნენ. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს თავისი ტრაგიკული ისტორია. ჩვენი წინაპრების ხელით შექმნილ-ნალოლიავები, ოდესღაც მოყვავილე, ახლა კი გაუდაბურებულ-გაუკაცრიელებული ტერსაები თანამედროვე საქართველოს სირცხვილია. (გოზალიშვილი 2005: 105-182)

„საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები'' ერთგვარად ავსებს XVIII-XIX საუკუნეების გზჯვარედინზე მყოფი ახალციხის საფაშოს პოლიტიკური თუ სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის ეპიზოდებს, სოციალურ-ყოფით მახასიათებლებს, სამცხე-ჯავახეთის მღელვარე, სიჭრელით გამორჩეულ იმ რეალობას, რომლებიც თვით ადგილზე დამკვიდრებულ დეფინიციებშია ჩადებული.(ჟამკოჩი, ყვინჩი, ჩილინგარი, ზინზაში, თვანთქჩიზაში და სხვ.) ხელნაწერი პირმშოა იმ ეპოქისა, რომელშიც ცხოვრობდა მისივე ავტორი, ხოჯავანთ იოვანე.

## 5.1. სამცხე-საათაბაგოს ქართველობა და მათი მენტალობის საკითხი ქრონიკებში შემონახული გვარ-სახელების მიხედვით.

კავკასიური ცივილიზაცია თავისი ხასიათით ლოკალურია, ის შემთხვევაა, როცა ლოკალურობა უნივერსალიზმის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. კავაკასიური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილის იდეოლოგიას ქრისტიანობა განსაზღვრავდა, მეორე ნაწილი ისლამის მიმდევარი იყო. როგორც ერთმა, ისე მეორე რელიგიამ დიდი როლი შეასრულა ცივილიზაციური პროცესების წარმართვაში.(მეტრეველი 2009: 51)

საინტერესო ხედვაა კავკასიელების დასახასიათებლად. თუმცა თავისი არსებობის განმავლობაში, კავკასიელებისა და კონკრეტულად, ქართველი ერის ცხოვრებაში, აზიიდან და მახლობელი აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ურდოები უზარმაზარ კვალს ტოვებდნენ, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ასევე კულტურულ-მენტალური თვალსაზრისით. გვიანი ფეოდალური ეპოქის სამხრეთ-დასავლეთი საქართველო სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის, გენეზისის, სულიერების შეჯახების ასპარეზად გადაიქცა. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ოკეანეში გასული ხომალდივით ეხთქებოდა იმპერიული ზრახვებით დატვირთულ უკიდეგანო ტალღებს, რომელთაც ბევრი წაართვეს, ბევრიც დაავიწყეს იქაურებს, უპატრონოდ შთენილებს, ბედისგან დაჩაგრულებს.

ხოჯავაანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' პირველი გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქრონიკებში მოთხრობილი ამბების დიდი ნაწილი, გვარები, სახელები, ტიტულები არაქართული წარმომავლობისაა. უცხო სურნელი მოსდევს თითქოს ქართულ ფრაზეოლოგიას. ის სურნელი, ძალდატანებით, იარაღის ჟღარუნით, სისხლიანი მეთოდებით რომ შემოიჭრება ხოლმე, ჩვენნაირი პატარა ერების ცხოვრებაში. საბედნიეროდ, ქრონიკებზე დეტალურმა მუშაობამ ეს განცდა დაჩრდილა, გააქრო და საბოლოო სურათი, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ქართველობისა თუ მენტალობისა საპირისპიროდ წარმოაჩინა.

ნ. ბერძენიშვილი, რომელიც 1933 წელსვე ახალციხეში გადაწერს იოვანე ნათესავების მიერ შესრულებულ „საისტორიო მისიონარულ დღიურ-წერილებს'', მრავლისმთქმელ ჩანაწერს დაუტოვებს მკითხველს: ჯაყისმანი-ჯაყელების სამშობლო. ქ უ რ თ ე ბ ი ს სადგომი, ოსმალური კულტურა. ადიგენი-ქართული სახეები, უ ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ. ზარზმა-ჩავუარეთ, ვერ შევჩერდით. ბასილი ზარზმელის მონათხრობი შეიძლება სავსებით გაცოცხლდეს (ეს უნდა ვცადო ოდესმე) ეკლესიები, ციხეების ნანგრევები შეუსწავლელი. **აქეთ უნდა წამოვიდე მესხურ დავითის ქრონიკით, სერაპიონ**

**ზარზმელის ცხოვრებით და გობრონის წამებით. მთვარე განსაკუთრებით კაშკაშებს. „მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა''. (ზერძენიშვილი 1942: 2)**

ბ-ნ ნ. ბერძენიშვილის შეხედულებები უმნიშვნელოვანეს არგუმენტებად შეიძლება მივიჩნიოთ როდესაც „ახალციხური ქრონიკების'' ანალიზისას სამცხე საათაბაგოს მოსახლეობის წარმომავლობის, ეთნოკულტულური მახასითებლების, განვითარების თავისებურებების განხილვას ცდილობ. ღრმად მოაზროვნე ისტორიკოსი ახალციხის მოსახლეობის „ქართველობის საკითხის''შესახებ შემდეგ თეზისებს აყალიბებს:1. **შერქმეული სახელები წმინდა ქართული წარმოშობისაა;**2.ძეგლი შესანიშნავია მესხური ფოლკლორისათვის; 3.ენობრივად-ქართველნი არიან; 4.სოფლის მოსახლეობა უფრო „ქართულია''; 5. ქართული ენა ამ კათოლიკეთათვის და უფრო მათი პიროვნებისათვის მშობლიური იყო. 6.XVI-XVIIსაუკუნეებში ახალციხის მხარე სულ უფრო და უფრო კარგავდა **ქართულ იერს, ოსმალობას იძენდა.** 7. ასე რომ ქართულის ახლად გავრცელების პირობა არა-ქართულმოსახლეობას შორის აქ აღარ იყო. (ბერძენიშვილი 1933: 1) ისტორიკოსის მახვილი თვალი არ ღალატობს დიდ მეცნიერს. მართლაც, იოვანე ხუცესის დღიურიდან იმზირებიან ოდნავ იერშეცვლილი, მაგრამ გადარჩენილი, მრავალჭირვარამგამოვლილი **ქართული ცნობიერების წიაღიდან ამოზრდილი გვარ-სახელები,** კნინობით-შერქმეული ზედმეტსახელები და რაც ყველაზე მეტად ყურადსაღებია ისაა, რომ **მათი რაოდენობა კათოლიკურ-ოსმალურ ჩამონათვალს ბევრად აღემატება რაოდენობრივი მაჩვენებლით.** გასაოცარია, რომ XIII საუკუნიდან მოყოლებული ამდენი გაუცხოების, გადაჯიშების ინტენსიურ გარემოში, სამცხე-ჯავახეთი, საბედნიეროდ **XVIII-XIX საუკუნეებში** ჯერაც ყოფიერი ქართული ხასიათით, მენტალური თვისებებით სუნთქავდა.

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' ქრონიკები გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ დიფერენცირება გვარ-სახელებისა და თანამდებობებისა, რომელნიც თავის მხრივ თვალსაჩინო არგუმენტად, მაგალითად გამოდგება XVIII-XIX საუკუნეების ახალციხის საფაშოში უკვე მყარად დამკვიდერებული, ფეხმოკიდებული ეთნიკურ-სოციალური მახასიათებლებისა.

**სომხური და კათოლიკური სახელები:** 1. პოღოს ვარდაპეტი, გოჰარათ არუთენა, ყალფახჩიან გრიგოლი; 2. პატრი იაკობი, ქირიქჩიანი, ტერ ვოღორმენი; 3. არუთენა, ზაქარიან ტერზანე, ყულახსიზიან პეტროსი; 4. ტერ სარქისი;ტერ თომა, ტერ პეტროსი, ტერ პოღისი; 5. დონ ანტონი, დონ კარლოო; 6. პატრი ვნჩენცინე, პატრი

ჩელერინო, პატრი ფრამჩისკო; 7. პატრი ვენდელინო, 8. პატრი დომინიკე, პატრი მაერო, პატრი ბერნარდინე; პატრი ბონავეთურა, პატრი ნიკოლა; 9.ტერ ხაჩატური, არაქელი, ტერ მინასა, ტერ სააკა; 10. გეორგ ვარდაპეტი; მამუანთ სარქისა, ფალოშათ პოღოსაი; 11. პაპი კლიმენტი; 12. ტერ ხაჩატური, ტერ სტეფანი, ტერ ანტონი, ბეთანიან ტერბანე.

**თურქული სახელები:**1. სარი ფაშა; 2. ჰასან ფაშა; 3. მაჰმუდა; 4.კიკინ იენიჩარ აღაფაჰლევან აღა; 6. შაჰნაზარაი; 7. მაჰმად ბეგიანთი; 8. სულტან ჰემიდი; 9. სელიმაღა ხიმშიაშვილი; 10. იეგან აღა,სარი ქეჰა; 11. იგდიჩ ხანი, ჰაჯი ალი ბეგი 12. უსუფ ვაზირი 13. შერიფ ფაშა; 14. ზაბით ფაშა; 15. არტან ბეგი; 16. ისმაილ ეფენდი; 17. კორხ აღა; 18. ქამალ ბეგი; 19.ჰამათ ფაშა; 20. ჰამით ბეგი 21.რაჯაბ ფაშა 22. გოლა ფაშა; 23. სულთანი მუსტაფა; 24. ჰაჯი ყადირ-ოღლი; 25. შაჰყულიანი; 26. ადრიან ფაშა; 27. აღზა ბეგი; 28. ბაბა ფაშა, 29. ჰაჯი შაჰანაშვილი; 30. აბაგარაი ბეჟან ოღლი

**ქართული გვარ-სახელები:**1. დარეჯო; 2. მოკლიაშვილი 3.ლაზარე; 4. ჩიგიანთ მოძღვარი; გარსევანიშვილი იოანე; 6. ბალახათ ანტონა; 7. ლუკა; 8.კრუხიჭამიათ გრიგოლი; 9. ბალღამაი სიმონა; 10.ნარიბეგასშვილები; 11. მეფისათ იოსები12. სიმონაშვილი ლაზარა; 13. სილიბისტრე; 14. თეიმურაზი; 15. სოლომონი; 16. იოსები; 17. ავთანდისაშვილი; 18. როსტომაშვილი 19. პაპუნა; 20. პაატა; 21. სიმონგულა; 22. მამუკა; 23. დათუკა; 24 გოდერძა; 25. დადიანი; 26. ერეკლე; 27. იოსლიანი; 28. ქაიხოსრო წერეთელი; 29. როსტომ ერისთავი; 30. პაპაშვილი გაბრიელი; 31. გონგაძე 32. მურადაშვილები; 33. არჩილ ბატონიშვილი; 34. თამაზა მესხიშვილი; 35. ყანდინათ სტეფანე; 36. წულუკიძე; 37. გარსევანა; 38. იესე თირისშვილი; 39. კეჟერაძე; 40. ბეგილა; 41. გიორგა; 42. დავით ერისთავი; 43. ამილახვარი; 44. ბერომელათ პოღოსა; 45. ბუჭუა; 46. ბისტიაშვილი 47. ცაგარელი; 48. აბაშიძე გიორგი; 49. ხიჩუასძე მაქსიმე; 50. ნიკოლოზ აბაშიძე; 51.გივი ციციშვილი; 52. მალაქია; 53. ბალასშვილი ასლანა; 54. ცოცოხლაშვილი; 55. თიროშვილი; 56. გორელი ქოსა მანუჩარა; 57. გოდიაშვილი ალექსანდრე; 58.ზაქარია მოძღვარი; 59. ქაიხოსრო აბაშიძე; 60. ცხელიშვილი; 61. ბადიში დოჭიკაშვილი; 62. ბერუკაშვილი ბატონჯანა; 63. კიკიანის ბუში; 64. ჰოროველა; 65. ზუბალაანთი; 66. გიორგასშვილი; 67. ფარსადანა; 68. დავით ერისთავიშვილი; 69. გოდერძასშვილი; 70. ხეჩინაშვილი; 71. თუთულაშვილი; 72. პაატაშვილი; 73. გოგია; 74. ქორქათ ზურაბაი; 75. ხოსიელა, აგვისტინე; 76. ელიავა; 77. პაატა წულუკიძე; 78. პაპუაშვილი იოანე; 79.

მურადაშვილი გრიგოლი 80. ამირაჯიბი 81. დავით მესხი; 82. ატისაშვილი კოსტა; 83. ბესარიონი; 84. პაპუა, გერმანე; 85. კიკნაძეები; 86.მეთოდე, გაბუნია; 87.ქაიხოსრო აბულაძე, ბერუკა; 88. ზუბალაშვილი; 89. პეტრესშვილი; 90. ჭილიმუზაშვილი; 91. გურიელი გიორგი; 92. მერაბ ნიჟარაძე; 93. ბრუციანი დავითა; 94. თადეოზა, ჩილაშვილი; 95. ჰოროვალაშვილი; 96.საკაშვილი; 97. ელენე, ჭოჭუათ იოსები; 98. სკანდარათ იოსები; 99. მირზა, ფირალათ იოსები; 100. ხუციანთ იოსები; 101. აივაზას დაი, კუსი ანნა; 102. გოგორასშვილი; 103. ელიოზაშვილი; 104. შოშიაი, ქაჩუხათ იოანე; 105. გოგიტაი, ბარბარიანთ იოანე; 106. კანდელაკი; ჭოჭუაშვილი; 107. გძელისშვილი; 108. ჩიტათ ქალი, ხიზინა პაპაი; 109. თამარა, ბეროი; 110. ნებიერათ ვაჟი; 111. აბულაძე, ოთარაშვილი; 112. იოსებაშვილი; 113. ჯიჯავაძე ვახუშტი; 114. ტიტიანთ ოჰანესა; 115. ტინტიკანთ მამჯანა; 116. ზალიანთ იაკობა; 117. ვეზინდარისშვილი; 118. ტეტიაშვილი; 119. სურმანიძე; 120. შაქარაი, ბადაი; 121. ნადირათ ხანუმაი; 122. მღებრიშვილი; 123 ქეთევანაი,ილა124. ეფრიკაშვილი;125. გუჯუაშვილი; ნავროზაშვილი; 126. დალუჯიშვილი; 127. წალდაძე; 128. ნარუანათ გრიგოლი; 129. მარინე, ბარილუსანთ სტაფანე; 130. ქორქასაშვილი, მუმუნა; 131. ყაფლანიშვილი; 132. ელეშიშვივლი; 133.დათა, ფილო; 134. თაყინათ იოსება, ალექსანა; 135. ჩახმახიშვილი; 136. ტარაღჩიშვილი; 137. თოფლიშვილი;138. გოგინაშვილი; 139. გოგიტაშვილი; 140. ყვინჩი იოანე; 141. ჯუხრუკათ მუთაველა; 142. კენჭიანთ ანტონა. 143. ბაბუნათ დედუნა; 144. მამიდა მარიამი; 145. მელაზარათ ანტონი; 14. ყიფიანი; 147. ჯაშიტაი; 148. გოკიელის ცოლი; 149.ზოზოს ქალი; 150. სადათერათ სიმონაი, გაბრიელაი; 151. ფუფულათ სტეფანე; 152. ლალფირუზაი; 153. იანუღიშვილი, ქურქჩიბაშვილი;

**სხვადასხვა სახელები(რუსული,ებრაული, კავკასიური):** 1. ელისაბედი; 2. ეკატერინე; 3. ჯენერალი სუკატინა (სუხოტინი); 4. ურია აბრამაი; 5. ლეკი მურაი; 6. რაჯიბ ლეკი; 7. პავლე იმპერატორი.

წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, ბ-ნ ნ.ბერძენიშვილის შეხედულებებს ხოჯავანთ იოვანეს ხელნაწერთან მიმართებაში უტყუარად ადსტურებს. მართალაც, XVI-XVII საუკუნეებში იმდენი გარეშე ფაქტორი იყო ამუშავებელი, სამცხე-ჯავახეთში ქართველთა გასათურქებლად თუ „გასაფრანგებლად", ვის ეცალა, ან როგორ შეძლებდა ქართულის შესწავლას. ზემოთჩამოთვლილი გვარ-სახელები შესანიშნავი არგუმენტებია ახალციხის საფაშოს მოსახლეობის ქართულობისა, ეროვნული ეთნიკური მეხსიერებისა,

ჩვეული კუთხური კილო-კავისა, კნინობით-ალერსობით აზროვნების არსებობისა. რა ლამაზად ჟღერს: **ბაბუნათ დედუნაი, ლალფირუზაი, ილა, ხიზინა პაპაი, მირზა, ბერუკა, ძუძუნა.** ან რა მშვენიერი, მოსწრებული ქართულითაა ნათქვამი: **ბრუციანი დავითა**. ერთგვარი მენტალური ხედვაა ჩადებული შემდეგ სახელებშიც: **სიმონგულა** (დიდი გულის პატრონი), კიკიანის **ბუში** (უკანონოდ ნაშობი), **ნებიერათ** ვაჟი (გაზულუქებული გვარი), **ფირალათ** იოსები (როგორც ჩანს, ყაჩაღობა ქართველთათვის უცხო არ იყო), **ბალღამაი** იოსები (გულღრძო, ბოროტი, ჯიში) **კრუხიჭამიათ** იოსება(საინტერესოა,ნუთუ დედობისთვის შემზადებულ ფრინველს არ ინდობდნენ?), **ბადიში** დოჭიკაშვილი (ხოჯავანა, როგორც ბერძენიშვილი იტყოდა „ქართულად აზროვნებს''. შვილთაშვილის ულამაზესი სინონიმია-ბადიში, იმერულ-დასავლური კილოთია გაჯერებული).

მუსულმანური სახელების სიიდან რამოდენიმე ქართულია წარმომავლობით: აბგარაი ბეჟან ოღლი, ჰაჯი შაჰანაშვილი, სელიმ აღა ხიმშიაშვილი, მაჰმადბეგიანი, შაჰნაზარაი, კიკინ იენიჩარ აღა.

ალბათ, არ იქნება ურიგო, ე.წ. სომხური სახელების წარმომავლობასაც თუ განვიხილავთ: ფალოშაი პოღოსაი, მამუანთ სარქისა, ტერ ლაზარე და სხვ. „**გაკათოლიკება შეიძლება სომხურ ენას უკაფვდა გზას**''- ბერძენიშვილის საუცხოო ხედვა, ახალციხის საფაშოს პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური აღრეულობისა. „უნითორების ორსაუკუნოვანმა საქმიანობამ მესხეთის კათოლიკეთა სოციალურ-ეთნიკურ ყოფას თავისი საკმაოდ ღრმა კვალი დააჩნია. ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში შემოღებულმა სომხურენოვანმა რიტმა, უპირველეს ყოვლისა, გავლენა იქონია მრევლის ონომასტიკაზე. ონომასტიკური მონაცემები კი თავიდან ბოლომდე ეკლესიის ხელში იყო. სომხურენოვანი ტიპიკონით მონათლულ ბავშვს სახელიც შესაფერისი, ამ ტიპიკონის წესისამებრ შედგენილი სიის მიხევით, უნდა დარქმეოდა. სომხურ ტიპიკონში რა თქმა უნდა ისტორიულად ჩამოყალიბებული სომხური სახელები იყო შერჩეული. ამ წესს უნდა დამორჩილებოდა აგრეთვე, სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველი კათოლიკეც. XIX საუკუნეში მოიძებნა XVII საუკუნის ნათლისღების დავთარი. როგორც ჩანს უნითორებში ქართული გვარები უხერხულობას იწვევდა, ამიტომ გვარებს ზოგჯერ ბოლოს აკვეცდნენ და მათთვის შესაწყნარებელ ფორმას აძლევდნენ (ხუციშვილი-ხუციანოი). ხშირი იყო ამა თუ იმ ხელობათა გაგვარების შემთხვევა: **მესარკოვი, ქურქჩიბაშოვი.** მათ შეიძლება „**ნოვო კათოლიკონი**'' ვუწოდოთ.

XII-XVIII საუკუნეში მესხეთში ეროვნული გადაგვარების თვალსაზრისით მძიმე პროცესები მიდიოდა." (ლომსაძე 1979: 48-49)

არანაკლებ საინტერესოა ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის კარზე მიღებული, წარმოშობით ბალტიისპირელი, ცარიზმის სამსახურში ჩამდგარი გიულდენშტედტის შეფასება, რომლის მოგზაურობა საქართველოში ემთხვევა ხუცესი იოვანეს ქრონიკების აღწერის დროს. მასთან თითქოს შეჯამებულია მესხეთის მოსახლეობის რელიგიურ-მენტალური მრავალფეროვნება: ზემო ქართლი 200 წლის განმავლობაში იყო თურქთა ხელში. თურქ ფაშას, რომელსაც პორტა ჩვეულებრივ ირჩევს ამ პროვინციის ერთერთი დიდებული გვარიდან, საგდომი აქვს მთავარ ანუ საგუბერნიო ქალაქში-ახლციხეში, რომელიც მდებარეობს ზემოთ მტკვარზე. ისევე არის ნაცვალი გურიის იმ ოლქებისა, რომლებიც ახლა თურქებს აქვთ მიტაცებული და მდებარეობენ შავ ზღვაში ჩამავალ მდინარე ჭოროხზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველებია და რადგან თურქებმა მათ დაუტოვეს ეკლესიები, უმეტესობა ჯერ კიდევ ქრისტიანია... მცირე რაოდენობა გამაჰმადიანდა და ყველა ესენი არიან თავადები და აზნაურები. ქართველთა შორის ბევრნი არიან თათრები, ამიტომ ქართული და თათრული, უმეტესად კი პირველი ენა იხმარება სალაპარაკოდ. თათრების გარდა ბევრი სომხებიც არიან, ამათთაგან კი ბევრია კათოლიკე. ესენი თავის რელიგიას ადგანან, ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე და მხოლოდ ზარების რეკვაა აკრძალული ყველა ქრისტიანისათვის. აქ არიან აგრეთვე ებრაელებიც. (გიულდენშტეტდტი 1962: 215)

ისტორიული ფენომენის სრული ახსნა არასოდეს ხდება იმ მომენტის შესწავლის გარეშე, რომელშიც მას ჰქონდა ადგილი. ეს მართებულია, როგორც ჩვენი, ასევე სხვების ცხოვრების ევოლუციის ყველა ეტაპისათვის. ძველი **არაბული** ანდაზა ამბობს: **„ადამიანები თავიანთ დროს უფრო ჰგვანან, ვიდრე საკუთარ მამებს"**. ამ აღმოსავლური სიბრძნის დავიწყების გამო, მეცნიერებას წარსულის შესახებ არაერთხელ დაუკარგავს ნდობა. **აწმყოს გაუგებრობა ფატალურად მომდინარეობს წარსულის არცოდნიდან.** (ბლოკი 2007: 25-31)

ამ ეპიზოდებიდან ორი მნიშვნელოვანი რეალობა მოჩანს. **პირველი**-ილია ჭავჭავაძის სიბრძნე:"დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულითა და ხორცით, მოშლისა და წარწყმედისა.... **მეორე**-XVIII-XIX საუკუნეების სამცხე-ჯავახეთის **ეთნიკური მენტალური იერსახე იმ პოლიტიკური კატაკლიზმების ლოგიკური შედეგია, რომელიც გამოიარა ადგილობრივმა მოსახლეობამ გვიან ფეოდალურ ხანაში.**

საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესი, ერთი დიდი ჯაჭვია, რომლის პატარა რგოლების ურთიეთკავშირით, შეიძლება ისტორიული წარსულის გაცოცხლება. საუკუნეთა შორის პარალელებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს წარსული და დღევანდელობა. ხუცესის ქრონიკები და ჩვენს მიერ წარმოდგენილი ისტორიული მიმოხილვა ასახავს იმ დროის სამხრეთ დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნიკურ-მენტალურ რეალობას.

# თავი VI.

# კათოლიკეთა საკითხი ახალციხის საფაშოში, სომეხი უნითორი, ლათინ-კათოლიკური ურთიერთობები და რელიგიური დაპირისპირებანი. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებიდან.''

„განუზომელია რელიგიის როლი კაცთა მოდგმის ისტორიაში. ეს როლი მხოლოდ უარყოფითი როდია. განა იუდეველთა სარწმუნოების ნაყოფი არაა „ბიბლია'', ადამიანის გენის უნიკალური შედევრი? განა ბუდისტური, ინდური, ქრისტიანული რელიგიების კარნახით და მფარველობით არ შეიქმნა მარად ცოცხალი ხელოვნების უთვალავი ხელთუქმნელი ძეგლი, ეპოსი,ოპერა, სიმღერა? **რელიგიის ისტორიას აქვს თავისი შუქი და ჩრდილი, პეტრეს ტაძარი და ბართლომეს ღამე''. (გელოვანი 1990: 5)**

ქრისტიანულ რელიგიაში არსებული დაპირისპირებანი IV საუკუნეში მთელი სიცხადით წარმოჩინდა. მონოფიზიტურ-დიოფიზიტური მიმდინარეობების ჩამოყალიბება მკვეთრ წინააღმდეგობებში გადაიზარდა. მსოფლიო საეკლესიო კრებებმა ვერ გადალახეს ბარიერი, რომელიც შეარიგებდა ორად გათიშულ ქრისტიანულ სამყაროს და საბოლოოდ 1054 წელს, მოხდა მათი წესების, დოგმების სრული გაყოფა. შეხედულებათა განსხვავება განსაზღვრა დასავლეთისა და აღმოსავლეთ იმპერიებს შორის არსებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა განსხვავებებმა, პირველობისაკენ მისწრაფებამ. კათოლიკური ეკლესიის წიაღში შეიქმნა მესამე

ძირითადი განშტოება, მიმართულება-პროტესტანტიზმი. ყველა განშტოებით (ლუთერანობა, კალვინიზმი, ჰუგენოტები, ანგლიკანები). კათოლიკობის საქართველოში გავრცელებას ერთგვარი პოლიტიკური მოსაზრება ჰქონდა. ევროპა მოგვევლინებოდა მხსნელად, მაგრამ ამას წარმატება არ მოჰყოლია''. (იქვე 1990: 85-86)

„პირველი მისიონერები ჩვენში ჩნდებიან XIII საუკუნის 20-იან წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დამდეგს. მისიონერთა პირველ რაზმს შეადგენდნენ ფრანჩისკანელთა ორდენის წევრები, ე.წ. მინორიტები, რომლებიც აქ მოვიდნენ 1229-1230 წლებში, მღვდელ-მონაზონ იაკობ როსაგნელის წინამძღოლობით. საქართველოში მოსვლისთანავე და დამკვიდრებისთანავე ისინი უკავშირდებიან სამეფო კარს და ებმებიან ქვეყნის დიპლომატიაში.'' (თამარაშვილი 1902: 12-16)

„პირველი მისიონერები ჩვენში ჩნდებიან XIII საუკუნის 20-იან წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დამდეგს. მისიონერთა პირველ რაზმს შეადგენდნენ ფრანჩისკანელთა ორდენის წევრები, ე.წ. მინორიტები, თურქთა ძლევამოსილი წინსვლა საშიშ ხასიათს ღებულობდა. „საბერძნეთის იმპერატორმა იოანე პალეოლოგმა დასავლეთთან კავშირის აღდგენა გადაწყვიტა და პაპ ევგენი IV-ს მიმართა. ასე შედგა 1439 წელს ფლორენციაში კრება, სადაც ოფიციალურად იყო მიწვეული საქართველოს ეკლესია, მიტროპოლიტ გრიგოლის მეთაურობით. ფლორენციაში მოკამათენი გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდნენ ძირითად საეკლესიო დოგმებში და კრება ჩაიშალა.'' (თამარაშვილი 1920: 38-39)

1453წ. ბიზანტიის იმპერიის დაცემამ რადიკალურად შეცვლა XV საუკუნის მსოფლიოს პოლიტიკური მომავალი. მათ შორის ჩვენი ქვეყნისაც. 1494 წლის ტორდესილასის ხელშეკრულებით, აზიის და დასვლეთ ნახევარსფეროს მიწები, თავისი წარდგინებით, თანაბრად გაყო ამ ორ ქვეყანას შორის. მართლაც, ძალისა და დაყაბულების გზით, ევროპელმა მისიონერებმა დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრები მილიონობით ადამიანი აზიარეს ქრისტიანობას.''

ფიქრობ, პარალელებს ეძებ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დაზუსტებას ცდილობ და ხვდები, თუ რა რთული-მეტად რთული გზა გამოიარა სამხრეთ საქართველომ და მასთან ერთად **სამცხე-ჯავახეთმა მართლმადიდებლობის, ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, გადასარჩენად თუ არდასავიწყებლად. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში'' კათოლიკობის თემას და სომხურ-ლათინურ-ქართული ურთიერთობების წარსულს ასე ვრცლად იმიტომ ვშლით, რომ**

**ჩვენი საკვლევი ხელნაწერის ავტორი და თანაავტორნი, კათოლიკეები არიან და ეს თემა წამყვანი ისტორიული პასაჟია „მისიონარული დღიური წერილების ქრონიკებისა." მათი გაკათოლიკებაც , სწორედ, ამ ისტორიული წარსულითაა განპირობებული.**

კათოლიკურ სამყაროსთან დიპლომატია ლაშა-გორგის, რუსუდანის დროს შეინიშნება, ხოლო XVII-XVIII მკვეთრადაა გააქტიურებული: 1. „ნიკიფორე ინზახის ელჩობა ევროპაში; 2. პაპი ურბან VIII-ის წერილი იმერეთის მეფეს გიორგის; 3.პაპ ურბან VIII-ის წერილი ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს; 4. პაპი ურბან VIII-ის წერილი გურიის მთავარს კათალიკოს მალაქიას; 5. პაპი ურბან VIII-ის წერილი კახეთის მეფეს თეიმურზ პირველს; 6. თეიმურაზ მეფის წერილი ურბან VIII-სადმი; 7. ნიკოფორეს მიერ პაპისადმი წარდგენილი სურვილები; 8. წერილი ნეაპოლის ვიცე-მეფეს ნიკიფორეს შესახებ 9. დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე; 10. დონ პიეტრო ავიტაბლი-თეიმურაზ მეფის ელჩი რომის პაპთან 11. თეიმურაზ მეფის წერილი კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს 1629წ. 5 იანვარი; 12. ზაქარია კათალიკოსის წერილი პაპი ურბან VIII-ისადმი; 13.დონ ჯუსტო პრატოს წერილი გაგზავნილი გორიდან რომში 1631წ. 14 ივლისი;" (ტაბაღუა 1987: 230-231). კათოლიკე მისიონერთა ნუსხას შეიძლება მივამატოთ: იუველირ შარდენის, არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორე კასტელისა და სხავათა მოღვაწეობანი. ქართველები გზას უკაფავდნენ მისიონერებს, თუმცა ეს ფაქტი შეუმჩნეველი არც მუსულმანებს რჩებოდათ, და რაც მთავარია ქვეყნის შიგნით ამ მოვლენის მიმართ არაერთგვაროვანი აზრი დომინირებდა.

მახლობელ აღმოსავლეთში XV საუკუნიდან „რომის კაცების" გარეშე დარჩენილ კათოლიკურ ტაძრებს, მათ მიერ გახსნილ სასწავლებლებს ნაწილს მართლმადიდებლური ეკლესია შეიერთებს, ხოლო ის ნაწილი, რომელიც შეინარჩუნებს კათოლიკობას, ლათინი პატრების ნაცვლად **კილიკიიდან და ნახჩევანიდან** ჩამოსული სომეხი ბერების ზეწოლის ქვეს მოექცნენ. აი, საიდან იწყება ქართველთათვის (თუნდაც კათოლიკე) ყველაზე მტკივნეული ისტორია, **განსაკუთრებით ეს ტენდენცია ახალციხის საფაშოში მძლავრობდა და ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები" მოგვიანებით ამ დეტალებზე რეალურ წარმოდგენას შეგვიქმნის.** სომხურ-ქრისტიანული, **ლუსავორჩაკანი,** ანუ როგორც ვემახით-გრიგორიანული ეკლესია, ხშირად, სომხური სახელმწიფოს არარსებობის პირობებში მის ფუნქციასაც ასრულებდა. სომხური და ლათინურია(კათოლიკური) ეკლესიების პირველ შეხვედრებს ადგილი

ჰქონდა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, როცა XIIს. „ბერძნულ-ლათინური ეკლესიები დაობდნენ **კილიკიის სომხური** ეკლესიის დაუფლებისა და შეერთებისათვის.''(ლომსაძე 1979: 19) **სომხებით დასახლებული კილიკია**-საფეოდალო სამეფოდ გამოაცხადეს, მისი მმართველი ლეონი-მეფედ დასვეს 1199წ. ამ სამეფომ 1375 წლამდე იარსება. დამარცხებულ კილიკიაში ფართო მუშაობა გაშალა რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ფრანჩისკანელთა და დომინიკანელთა ორდენების მისიონერების სახით. მათ ადგილობრივ კათოლიკეებთან ერთად ჩამოაყალიბეს ლათინურ-სომხური ძმობა (UNITOR). არაბულ-თურქული რაზმების თარეშის პირობებში მისიონერები მისაღები იყვნენ. **სომხებმა მაღწიეს იმას, რომ მღვდელთმსახურება სომხური რიტით იქნებოდა.** ეს დებულება სომხური პოლიტიკისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანი იყო. **სომხური ეკლესია დარჩა სომხურად, დაემატა მხოლოდ სიტყვა-ლათინური.** (საინტერესოა, რომ იგივე პროცესები მიმდინარეობდა ყირიმის ნახევრკუნძულზე, სადაც გენუელთა კომპანიის მფარველობის ქვეშ დაარსდა სომეხ კათოლიკეთა კოლონია.)(ლომსაძე 1979: 21-23)სომეხი საეკლესიო თუ პოლიტიკური მესვეურების წარმატებულ გზას შემდეგი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავდა. თურქეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე არნახულად გაიზარდა **სომეხ ვაჭარ-მრეწველთა** და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ავტორიტეტი. თურქეთის ტერიტორიაზე გაფანტული სომეხი ვაჭრები, გამორჩეული ვაჭრული ნიჭის წყალობით სულთანთა კარის, პოლიტიკის რჩეულებად იქცნენ, **ოსმალები საკუთარი პოლიტიკური კურსის დასაყრდენ ძალად თვლიდნენ მათ**, რაც არაერთხელ დადასტურდა კიდევაც სომეხთა მხრიდან.

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, ოსმალებმა დაიწყეს ფიქრი მესამე ძალის ძიებაზე, რომელიც დაუპირისპირდებოდა კონსტანტინოპლის საპატრიარქოს, ბზარს შეიტანდა მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამ კონკრეტულმა ფაქტმა, ყველაზე მეტად განსაზღვრა სამომავლოდ სომეხი უნითორი ბერების აგრესიული ქმედებანი ახალციხის საფაშოში. მეჰმედ მეორის კარმა (1451-1481წწ) არჩევანი თურქეთში მცხოვრებ სომხებზე შეაჩერა. ოსმალეთის საიმპერიო კარის გადაწყვეტილებით, ბერძნული და სომხური ეკლესიები-ნომინალურად დაემორჩილებოდნენ სულთნის კარს თანაბარი უფლებებით. 1461წელს კი ამას რადიკალური გადაწყვეტილება მოაყოლეს-მცირე აზიის სომხური კოლონიების ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი იოაკიმი-აღამაღლეს პატრიარქის ხარისხამდე. ასე გაჩნდა თურქეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე, კონსტანტინოპოლის

საპატრიარქოს გვერდით-სომხურ-გრიგორიანული საპატრიარქო ცენტრალური ხელისუფლებით. (იქვე 1979: 23) თურქი პოლიტიკოსების „სასახელოდ'' უნდა ითქვას:ა) ჯერ უფლებებრივად დააკანონეს სომხების რელიგიური უფლებების არსებობა მცირე აზიაში. თითქოს ამის საწინააღმდეგო არავის უნდა ჰქონოდა; ბ) შემდეგ მიანიჭეს გაერთიანებული კოლონიების პატრიარქის სტატუსი; გ) თუ გავიხსენებთ ახალციხის საფაშოსა და მცირე აზიაში არსებული სომხური კოლონიების **ტერიტორიულ სიახლოვეს,** მივხვდებით, რა დიდი პოლიტიკურ-რელიგიური სწრაფვა ჰქონდა ჩადებული ოსმალეთს, როდესაც ზემოთქმულ გარდაქმნებს გეგმავდა. დ)სომხურ-კათოლიკური ეკლესია, **რომელსაც არ დაგვავიწყდეს,** კონგრეგაციისგან დამტკიცებული ჰქონდა **სომხურენოვანი რიტი**(ტიპიკონი)შეეცადა, ჩვენს ქვეყანაში **მღვდელთმსახურება სომხურ ენაზე აღესრულებინა;** ე)სომხური წირვა-ლოცვა დროთა განმავლობაში სრული **გასომხების** საწინდარი იქნებოდა. ვ)კონფესიურად გასომხებული მოსახლეობა **პოლიტიკურადაც ნიჰილისტი** გახდებოდა. პათეტიკური არ იქნება **დიდი ილიას** მოშველიება: მამული, **ე ნ ა,** სარწმუნოება-ეს სამი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან და რაღა ხალხი ვიქნებით, თუ არ მოვუარეთ მათ. (არადა 1204 წლიდან გიორგი მეხუთის ჩათვლით, მცირე აზიაში ტრაპიზონის იმპერიის არსებობა მომდევნო საუკუნეებშიც რომ გაგრძელებულიყო, ვინ იცის, რამდენ პოლიტიკურ ქარტეხილს აგვარიდებდა თავიდან).

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში'' იკითხება შემდეგი ქრონიკა:„აჭარლებმან ლაზები მოიყვანეს''.(გვარამაძე 1892: 56) მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტრაპიზონის იმპერიად წოდებულ ტერიტორიაზე, როგორც ცნობილი რუსი ბიზანტიოლოგები უსპენსკი და კუნინი შენიშნავენ, მოსახლეობა ქართულია-ლაზურია. ბედის ირონიით, ეს ლაზები ჯერ „გაბერძნებას'' იწყებენ, ხოლო XV-XVI საუკუნეებიდან-„გათურქების'' გზას დაადგნენ. ქართული მენტალობის მიუხედავად, პოლიტიკურ დონეზე მათი ენა ბერძნული იყო. „ქათიბ ჩელების ცნობით, XVIIIს. 40-იანი წლებისათვის ლაზეთში სარწმუნოების თვალსაზრისით, უკვე ორი რიგის ლაზი არსებობდა: ლაზი მუსლიმი და ლაზი გიაური.'' (ლომსაძე 1979: 41) განგებამ, იმპერიების ამბიციურმა ვნებათაღელვებმა არჩევანი თავად შესთავაზეს ლაზებს-არჩევანი, ალტერნატივის გარეშე! ყველა ზემოთთქმული წინაპირობების გამო, ქართული ეკლესია შემწყნარებლურ პოლიტიკას იჩენდა მოსული მისიონერების მიმართ, შემდეგი სრულიად მისაღები მოსაზრებების გამო: 1) ევროპასთან დაახლოების

სურვილი; 2) ოსმალური აგერსიის გამო დამდგარი შედეგების აღმოფხვრა; 3) მისიონერების ქართულ ენაზე მღვდელთმსახურება; 4) მათი განმანათლებლური საქმიანობა ახალგაზრდებში; 5) მისიონერების სახით, შეფარული პოლიტიკის წარმოება დასავლეთთან და სხვ.

ივ.გვარამაძის „მისიონარულ'' თხზულებაში პოლიტიკური თუ ეკონომიკური ამბების გადმოცემისას, პარალელურად იკვეთება, საკმაოდ ვრცლად, დეტალურად **ახალციხის საფაშოში ლათინ-კათოლიკეთა და სომეხი უნითორი მღვდლების** მტრობამდე მისული დაპირისპირებების კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ ისტორიულ ფაქტებშია ასახული. მოვლენათა ეპიცენტრში რამოდენიმე ადამიანის გვარი ფიგურირებს. განსაკუთრებით საინტერესოა **შაჰყულიანიას და ხარისჭირაშვილის, შაჰყულიანიასა და მაქანდარაშვიილის, შაჰყულიანისა და ნავროზაშვილის დაპირისპირებების ისტორიები.**

პავლე შაჰყულიანის მოღვაწეობა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში დადებით კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. „1733 წელს დიდი დავის შემდეგ, ახალციხეში დაარსდა კაპუცინების მისიონი, რომლის უფროსად ისპაჰანის ეპისკოპოსმა დანიშნა ნიკოლო ჯერჯენთი და „აღაშენა საყდარი ახალციხის მოქალაქეთა წარსაგებელით''. (ლომსაძე 1979: 38)ახლად შენებულ ეკლესიას, სადაც მღვდელთმსახურება ლათინურ-ქართულად მიმდინარეობდა, მრევლი მრავლად ჰყავდა. მაგრამ XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან, მესხეთში გამოჩნდენენ უცხოეთში სომხურენოვან ტიპიკონზე ნაკურთხი მოძღვრები:სტეფანე ვარამაშვილი, ანტონ ფირალიშვილი, პავლე ასლანიშვილი. ნიჭიერი, ახალგაზრდა შაჰყულიანი დროთა განმავლობაში აშკარა, თავგადადებული დამცველი გახდა სომხურენოვანი რიტისა, რის გამოც უამრავი უსიამოვნო ურთიერთობები ჩამოყალიბდა მასსა და ლათინ პატრებს შორის. მოცემული პერიოდისთვის ახალციხის საფაშოში რუსეთის პოლიტიკური გავლენა იზრდებოდა. **მეფის რუსეთის გეგმებში მიზანდასხულად შედიოდა ლათინი მოძღვრების დევნა-შევიწროვება.** არქიმანდრიტი პ. შაჰყულიანი, რომლის მიზანს შეადგენდა ახალციხეში საეპისკოპოსოს გახსნა, მიხვდა, რომ ამ მიზნის მიღწევა არსებულ ვითარებაში შეიძლებოდა მხოლოდ **სომხურენოვანი რიტის მხარდაჭერით.** „ამიტომ იგი დაუპირისპირდა როგორც ქართულენოვანი რიტის შემოღებას, ასევე კაპუცინების მისიონს ახალციხეში.'' (იქვე 1979: 65) ახალციხის საფაშოს რუსეთთან შერთების შემდეგ, მას მოქმედების ფართო არეალი გადაეშალა და მისი ყველაზე დაუნდობელი ბრძოლა

ლათინ-კათოლიკეებთან ზენიტს, სწორედ რუსეთ-თურქეთის ომის 1828-1829 წლების პერიოდში აღწევს.

საბოლოოდ, კათოლიკური ტიპიკონისა და ერობრიობის საკითხებზე ახალციხეში ორი გარკვეული ჯგუფი ჩამოყალიბდა: შაჰყულიანისა და მისი ყოფილი მოწაფის პეტრე ხარისჭირაშვილსა.(იხ.დანართი #-10) ხარიჭირასშვილის პოზიციაზე დადგნენ პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში განსაწავლული გრიგოლ მაქანდარაშვილი, რომელსაც გვერდში დაუდგა აგრეთვე რომში განსწავლული გრიგოლი ბატონჯანის ძე (კრუხიჭამიაშვილი). ხოჯავნთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში'' ვკითხულობთ პუნქტს: „-18-აპრილ. სტამბოლს ქარავანი მოვიდა, რომელში იყვნენ დონ ანტონი და დონ კარლო ბავთისტანი და კრუხიჭამიათ გრიგოლი. ესენი იყვნენ ფროფაგანდა ფიდეში საკითხავად (ნაკურთხნი მღვდლად.)'' (გვრამაძე 1892: 16) ეს ქრონიკა 1767-1768 წლებშია განვითარებული. მოვლენები დროდარო მძაფრდებოდა და ყოველივეს ქრონიკების ამონარიდებიდან შევიტყობთ:1) ფაშამ ტყვედ ჩამაგდო ზანჯირხანში თათოშვილის დაბეზღებით ტყვილ უბრალოდ 2) ზანჯირხანიდან გამოვედი და წამოვედი, უკვე, ყურუში, ღმერთმან ადღეგრძელოს ყველანი, მრავალს გაისარჯნენ, უმეტესად ქურქჩიბაში პარუნ იოანე და მისი ძმა სტეფანეი 3) ამ ქალის გულისათვის პროვიკარი მაქანდარაანთ გრიგორი, მოქალაქე ტერ სტეფანა და სკანდარათ ტერ პოღოსა ცისესი ჩასვეს ქეჰა ბეგთან, ყადთან და მუვთან 4) 1790წ. 7 იანვარს=დესპოტი ტყვედ ჩააგდეს. დესპოტი პეტრე ტყვედ ზანჯირხანში ჩააგდეს 5)1789წ. 17იანვარს ხოჯევანთ ტერ იოვნე ტყვედ ჩააგდეს და ჯარიმის წიგნი გამოატანეს. 6) უმფროსი ტყვედ ჩააგდეს ზანჯირხანში პატრის მიზეზით 7) ღვინოზ. შუბაშთან ტყვედ ვიყავით. 8) ხუცები ერთიან ტყვედ წაგვიყვანეს 9) შუბაშმან ჩვენი საყდრები დაბეჭდა (გვარამაძე 1892: 77-78-83) 10) შუბაშმან ყველა საყდრები დაჩხრიკა,ყურუში აიღო. 11) თიბათ.შუბაშმან რაბათის კაცები ტყვედ ჩააგდო. ათასს ყურუშს ითხოვდა (იქვე 1892: 87) 12) 1809წ 7 თებერვ. ტერ იოსები დაიჭირეს და ტყვედ წაიყვანეს პურისა და ქერის გაყიდვისათვის. დავაკვირდეთ პროცესები რა საინტერესოდ ვითარდება. 1763-1809 წლებში კათოლიკურ რიტზე მდგარ ახალციხელ მღვდლებს ოსმალები ავიწროვებენ, სომეხი უნითორების მეშვეობით. ზემოთჩამოთვლილი პუნქტები ახალციხის საფაშოში ტარდიციად ქცეული მექრთამეობის ფაქტებსაც გვამცნობს. ლათინი მღვდლების დაკავებისა და მათი ე.წ. ზანჯირხანში ჩაგდების მოტივი ნებისმიერი ფაქტი შეიძლებოდა გამხდარიყო: პურის გაყიდვა, ქალი, დაბეზღება და სხვ.

როდესაც „მისიონარული დღიურის'' XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიას ეცნობი, პარალელებს ავლებ წინა ეპოქასთან, მაშინვე იკვეთება სომეხი უნითორების დამცველი შაჰყულიანის „წარმატებების'' მთავარი მიზეზები. გზას ცარიზმის პოლიტიკასთან მივყავართ. ჩვენს თვალწინ ხოჯავანას ქრონიკებში თვითდინებით ჩაენაცვლება მესხეთში ოსმალურ მტაცებლურ პოზიციას, მეფის რუსეთის ასევე, ქართველთათთვის საზიანო შედეგების მომტანი რელიგიური ქმედებები.

1801 წლიდან მოყოლებული კათოლიკეთა ბედი საგრძნობლად შეიცვალა სამცხე-ჯავახეთში. XVII საუკუნიდან აღორძინებულ მისიონს ცარიზმი დაუფარავი ცინიზმით შეხვდა. ცნობილია, ოსმალების ხელში მესხები, როგორ ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. თითქოსდა რუსეთის აქ დამკვიდრების შემდეგ, ქართველებს და ზოგადად ქრისტიანებს ამ მხრივ გასაქანი უნდა მისცემოდათ, მაგრამ ცარიზმი საპირისპირო ღონისძიებებს ახორციელებდა. ქართული კულტურის კვალის აღმოფხვრას ამ არემარეში რუსეთმა მოაყოლა სამცხეში, ჯავახეთში, არტაანში თავის დასაყრდენად რუს სექტანტთა, სომხებისა და ქურთების ჩასახლება.''(სურგულაძე 1999: 16-17-19) ექსპანსიონიზმის დიდოსტატმა, ცარიზმმა, როგორც „მისიონარული დღიური-წერილებიდან" ვეცნობით, მესხეთში რადიკალურად განსხვავებული მეთოდი შეიმუშავა კათოლიკების განდევნა-შევიწროვებისათვის. რუსეთმა კარგად იცოდა, რომ XV-XVIII საუკუნეებში გათურქებულ-გაკათოლიკებულ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული სახე, XIX საუკუნის გარიჟრაჟზე არ უნდა ჰქონოდა კათოლიკური დასავლეთისაკენ სწრაფვის სურვილი. **ეს ცარიზმის სტრატეგიულ ინტერესებს სრულიად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ რუსეთმა, თუ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს „თვითმწყემსობის'' უფლება დააკარგვინა და ამით ქართველების „გარუსებას'' წარმატებულად მიჰყო ხელი, პირიქით, ახალციხის საფაშოში-ხელი შეუწყო სომხურ-კათოლიკური(და არა ლათინი) ეკლესიის მიმდევართა გაძლიერებას და ამ დაგეგმარებით სამხრეთ-დასავლეთის ისედაც რელიგიურ გაურკვევლობაში მცხოვრებ ქართველებს პრაქტიკულად ძალით „ასომხებდა''. (კიდევ ერთი-მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას: XV-XIX საუკუნეებში სხვადასხვა დროს, სახვადასხვა დამპყრობლების ხელში, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, როგორ ეტაპობრივად ოსმალდებოდა, სომხდებოდა და ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, იქაურები, ძველი და ახალი თაობის ასიმილირებულ, დიფერენცირებულ მოსახლეობად შეიძლება მივიჩნიოთ. )**

ბ-ნ ნ. ბერძენიშვილი ასეთ საინტერესო მეცნიერულ შეხედეულებას გვათავაზობს ამ საკითხთან დაკავშირებით: „მაჰმადიანობამ თურქები დაუახლოვა მესხებს. თურქი ცოლები მოიყვანეს და გათურქდნენ. გაკათოლიკებით კი მესხები(?) ფრანგებს დაუახლოვდნენ, მაგრამ ფრანგი შორს იყო და ფიზიკური არევა შეუძლებელი იყო. საინტერესოა, ქართველების რუსების ურთიერთობებისათვის XIX საუკუნეში სარწმუნოებრივი ურთიერთობა უძლიერესი ფაქტორი იყო. მოსალოდნელი იყო სრული გათქვეფა, რაც არაერთგან მომხდარა, ასეთი რამ შემდეგ საუკუნეებში.'' (ბერძენიშვილი 1933: 3) მშვენიერი დასკვნაა. თუ ჩვენ ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებს'' ჩავუღრმავდებით, ყველა ზემოთქმული მოსაზრებანი ნათელი გახდება მკითხველისათვის. გასაკვირია, მაინც რა იყო ის მთავარი ნიში, რომელმაც ამდენი გადაჯიშების მცდელობების მიუხედავად გადაგვარჩინა. **მთავარი მისია-ქართველებად არ დავრჩენილიყავით-ვერცერთი ჯურის დამპრობელმა ვერ აღასრულა.**

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ივ.გვარამაძის „მისიონარული დღიური-წერილების'' მიხედვით 1763-1809 წლებში, როგორ ხდებოდა ოსმალებისა და სომეხი უნითორების მხრიდან მესხეთის კათოლიკური მოსახლეობის დევნა. გავაგრძელებთ მოვლენების ანალიზს იგივე წყაროზე დაყრდნობით. ამჯერად, მისი დამატების 1809-1842 წლის ქრონიკების სახით, რომლებშიც თვალასჩინოდაა აღნუსხული ქრისტიანი ცარიზმის, ოსმალებისაგან არგანსხვავებული, თითქმის იდენტური მიდგომა ახალციხის საფაშოს კათოლიკე მოსახლეობის მიმართ. „მისიონარული დღიური-წერილები'', შაჰყულიანისა და ხარისჭირაშვილის დაპირისპირების შემდეგ, დეტალურად გვიამბობს, შაჰყულიანის უსაზღვრო გაძლიერებას, რუსეთის მხრიდან მის მიმართ მნიშვნელოვან მხარდაჭერსა და სტეფანე ნავროზაშვილთან (ამ დღიურის გაგრძელების ავტორი) ერთად ოციოდე კათოლიკე ხუცესის შევიწროვება ,დაპატიმრებისა და ცემის ფაქტებს:1) 1820. მკათათვ.კათოლიკე სომხებს ერთობის წიგნი მოუვიდათ; 2) 30 გიორგობა. ეპიზკოპოზის წიგნი და კრების წიგნები მოუვიდა შაჰყულიანს დაყენებისა; 3) 6.ქრისტეშობ. შაჰყულიანი დადგა-გუშინ სწირა გლისპობით შაჰყულიანმა. 4) 1827წ,18 თებერვალი-შეჩვენებული წვრთნა ჰქმნა შაჰყულიანმა. 5) თიბათვ.შაჰყულანს მოუვიდა წიგნები კრებისა. ეკენისთვ. წერილები მივეცით კრებისა შაჰყულიანსა. 6) გიორგობისთვ. შაჰყულიანმა შფოთი მოახდინა ხარისჭირაზედ, სახარება მრუდედ რად გიჭირამსო. 7) კათოლიკობაზედ ტფილისს დევნულობა ითქვა. (გვარამაძე 1892: 67-78-80-85)

ცარიზმისგან ფრთებშესხმული შაჰყულიანის საქციელი მომავალში კიდევ უფრო თავხედური, აგრესიული ხდება 1828 წლიდან: „მისიონარული დღიური-წერილები'' შემდეგს გვიამბობენ: სომეხმა მწვალებლებმა 1828 წლის 24 მარტს ლოგინიდან წამოაგდეს ნავროზაანთ სტეფანე. საყდარი დაუბეჭდეს. ასევე მოექცნენ უდელ მღვდელს აღოშათ ტერ-სტეფანესაც და „დიდშაბათს ''ტყვედ შევარდნილან ციხეში''. მას შემდეგ დიდ პარასკევს, იგივე ბედი სწვევით ახალციხის სხვა კათოლიკე მღვდლებსაც. „აღდგომას უფლისას სატყვეოში ვიყავითო''. მოგვიანებით სხვა სანჯაყებიდანაც მოურეკავთ მღვდლები. (1628 წელს თურქებმა სამცხეში ათაბაგობა გააუქმეს და ახალციხეში დასვეს სულთნის მოხელე-ფაშა. ახალციხის საფაშო დაიყო 14 ადმინისტრაციულ ერთეულად-სანჯაყად.) „ამჯერად დავყვავით საპყრობილესა შინ 43 დღე „-ყვება ტერ-სტეფანე. აქვე დასძენს, რომ ''ყალიბ ფაშა მწვალებლებისაგან დაქრთამულია 500 ქესამდინო'' დარდისაგან მუცელა შეჰყრია. 43 დღის შემდეგ 20 იასაულის თანხლებით აზრუმისაკენ წაუყვანიათ მღვდლები.''სატყვეოსა შინა სიცხისგან ვიხარშებოდით-გარეთ გამოვიდოდით სატყვეოსაგან სიცივისგან ვკანკალებდითო.'' (გვარამაძე 1892: 98) დიდის უპატიურობოთ უტარებიათ. ამ ფაქტის გამო „ახალციხე დიდზარსა და შეწუხებასა შინა ჩავარდა, რომ მეტად ტიროდნენ კათოლიკენი''-იხსენებს ხუცესი. ნავროზაანთ მღვდელი დაწვრილებით აღწერს მოგზაურობის ეპიზოდებს, რომელშიც იკვეთება ტყვეობაში მყოფი ხუცესების გადადგილების მარშრუტი. ეს გზა 26-დღიანი ყოფილა. მათი ჩამონათვალია: **ინმქი----ბანჯროთი-----ფიქლობი-----ვალე----ოლთისი-----ახალციხე.** ოლთისში ცუდად გამხდარა სტეფანე, „ათთხუთმეტ'' დღესა და მერმე''უფლის მადლით სიმრთელე მინიჭებია''. ბოლოს ჩამოთვლის ექსორიაში მყოფი მღვდლების გვარებს, რომელთა **ნუსხა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ჩვენს თვალწინ იშლება, მესხეთის რეგიონში განფენილი კათოლიკური სოფლების სრული ჩამონათვალი:**1.**ოცხელი** ტერ ლაზარიანი; 2. შაჰუყლიან პოღოს ვარდაპეტი; 3 მეფისა ტერ სტეფანი; 4. აბინიან ტერ სტეფანი 5. მღებრიან ტერ სტეფანი; 6.ჭრელოთ ტერ ანტონი; 7. შილაგანთ იოანე; 8.**ხიზაბავრელი** ტერ ანტონი; 9. მაზმიან ტერ სტეფანი ივლიტისა; 10. ხარისჭირათ ტერ პოღოსი ვანისა; 11. აღოშიან ტერ სტეფანი უდისა; 12. ზაქარიან ტერ იოანე არტანის ველისა; 13.ყულახსიზიან ტერ პეტროსი ველისა; 14. **გათენიან** ტერ იაკობი შავშეთისა სათლელი იერლი; 15. **ფხიკიურელი** ტერ პეტროსი; 16. ყაზანჯიან ტერ პოღოსი არტანუჯისა იერლი; 17 ბათანიან ტერ იოანე; 18. ტერ თომა **კორბულისა** ხოტაჯურისა; 19. ტერ

პოღოსი იესეშვილი **ართვინისა** იერლი; 20. ყალფახჩიან ტერ გრიგორი; 21. მეფისან ტერ გრიგოლი **ივლიტელი; 22. მე უღირსი ტერ სტეფან ნავროზიანი ახალციხისა არლის მღვდელი.** „მარიობა 20-ში ძლივს გაღებულა დაბეჭდილ-დახშული ეკლესიები და მაშინ ღირსებიათ მხოლოდ მღვდლებს ეკლესიაში წირვა-ლოცვა."(იქვე 1892: 86) „მისიონარული დღიური-წერილების" **ქრონიკების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას ჩამოვაყალიბოთ მასალის კვალდაკვალ ისტორიული მიმოხილვა:** 1) აშკარაა 1828-1829 წლების და ზოგადად XIX საუკუნის პირველი ნახევრის საომარი წარმატებების შედეგად, ახალციხის საფაშოში უკვე მყარად ფეხმოკიდებული ცარიზმის პოლიტიკური კურსი; 2) თავად წყაროში მრავლად გვხდება ასეთი ციტატა( რუსის და ფაშის გარიგება ითქვა) ამ სიტყვების მიღმა, სწორედ იმ ტიპის გარიგებები ხდებოდა უმეტესად, როგორიც იყო, ვითომდა ფაშის ბრძანებით, აღდგომის პერიოდში სამცხე-ჯავახეთიდან სტეფანე ნავროზაშვილისა და სხვა ლათინ-კათოლიკე მღდლების 69-დღიანი „უპატიო ტყვეობა", სომეხი უნითორი ხუცესების ხელით განხორციელებული, შაჰყულიანის მფარველობით კალთაგადაფარებული. 3) ესქორიაში მყოფი მღვდლების გვარ-სახელები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ამ ადამიანების წარმომავლობის თემის სირთულეს, ხოლო მათი მოღვაწეობის გეოგრაფიული განშტოებები ნათელ სურათს ქმნის არტაანის მხარის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ლათინ-კათოლიკური სარწმუნოებრივი ხედვის შესახებ.

ამ ისტორიული პერიოდის აღმწერი სტეფანე ნავროზაშვილი იოანე ხუცესის თანამედროვე ყოფილა. მათ ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება ჰქონიათ. ივ.გვარამაძის „მისიონარული დღიური-წერილებიდან" ირკვევა, რომ მესხეთის ლათინ-ქრისტიანი მოსახლებისათვის თურქების ბატონობის განმავლობაში ტყვეობა, აყრა-გასახლება, ექსორიაში ყოფნა სისტემური ხასიათის გამო, თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. XIX საუკუნიდან ამ მხარეში რუსეთის შესვლამ, **მესხებს ორი ბატონი გაუჩინა. ის რაც ომებით მოიპოვა რუსეთმა, გარკვეული იყო, ხოლო სხვა დანარჩენს, ახალციხის ფაშა და ცარიზმის ჩინოვნიკები ფარული დიალოგებით ანხორციელებდენენ. ხშირად კულისებიდანაც გამოდიოდნენ, ქართველები კი მრავალი ფაქტორის გამო, ქრისტიანი რუსეთის მხარეს ვრჩებოდით.**

თუ ხოჯავანთ იოვანეს ქრონიკების ბოლო ნაწილი რუსი სალდათებისა და ზებუთოვის მიერ ჩადენილ უმსგავსობებს გვიყვება, ამავე დღიურის ნავროზაშვილის ნუსხა იგივე ახალციხელების თავზე დატრიალებულ ტრაგედიას წარმოგვიდგენს,

ამჯერად ოსმალების მიერ განხორციელებულს:„ამასღამ ბაზასტანში შევედით და გამთიადსა აჭარელი სელიმ ფაშისშვილი აჰმად ბეგი მოვიდა ახალციხეზედ, უნდა აეღოთ ციხე. ჩვენ მრავალი ხალხი ბაზასტანში დავემწყვდიეთ. ამ დღეს და შუადღისა ქურქჩების ბაზასტანის ჩარსი კარისკენ მოგვადგნენ ოსმალოს ჯარით და მრავალი შიში გავსწიეთ, რომ ფანჯრებში თოფებს გვესროდნენ. მრავალი შიშის მერე მე და მღებრიანთ ტერ სტეფანმან ერთი სავარდო ვთქვით სიხარულისა. იქითა კარზე მრავალი ხალხი იყო შეგროვილი. სავარდოს თქმის შემდეგ დიდის სისწრაფითა გარდავედით, კარი გავაღეთ და გავიქეცით ციხის წინა ზედანში. ხშირ დაბინდებამდის მრავალი მწუხარება გამოვიარეთ, ასე რომ ჩვენს თვალწინ ორი-სამი კაცი მოგვიკლეს თუ ქართველისა თუ ჩვენი. დაბინდებისა ციხეში გადავედით ზოგი კიბით ზოგი თოკით. 20 თებერვალს 500 სულზე მეტი იქ დავყავით ათ-თორმეტო დღე და ამდენ ხანს ციხეს ადგა ოსმალოს ჯარი და მრავალი შიში, შიმშილი და შეწუხება გამოვიარეთ. გარე ქალაქი ერთიან აგვიოხრეს მთელი სახლის ყოფა-საცხოვრებელი ტანისამოსი, საგებელი, ავაჯეულობა, საქონელი, ერთიან მტერმან წაიღო, 80-მდეს ტყვე ქალ-ვაჟი და ციხე კი ვერ აიღო''. (გვარამაძე 1892: 99) დოკუმენტი აფიქსირებს, რამოდენიმე მნიშვნელოვან დეტალს: 1) აჭარაში პროთურქული ორიენტაციის არსებობას; 2) საჭიროების შემთხვევაში ოსმალების მიერ **აჭარლების გამოყენებას მესხების წინაღმდეგ;** 3) **კათოლიკე ნავროზაშვილი თავს ქართველად არ მიიჩნევს.** 4) ნაჩვენებია ტყვეთა სყიდვის არსებობა. 5) კიდევ ერთხელ ხდები მოწმე მუდმივ ტანჯვაში მყოფი ახალციხელებისა, რომელთა **„ერთიან აოხრებასა'' თუ „გადაქალაქებაში'' ასე გულმოდგინედ ეცილებოდნენ ერთმანეთს რუსები და ოსმალები.** საუკუნეთა ჭიდილი, პოლიტიკურ-რელიგიური შენიღბული მეთოდები, გადაღლილი, გაორებული, მრავალჯერ ნირწამხდარი მესხების მწარე ისტორიული ხვედრი. დევნა, სულიერების შეურაცხყოფა, პიროვნულობის აღრევა უცხო სამყაროსთან, გენეტიკური მეხსიერების გაქრობის საშიშროება. ალბათ, პატარა ერებისთვის თანამდევი ტკივილიანი რეალობაა ყოველივე, რაც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ გამოიარა XIII საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით. ლათინურ-კათოლიკური, სომხურ-ლათინური ეკლესიების პაექრობებს, დაპირისპირებებს, რომელთაც ასე უხვად გვიყვება ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები''.

კათოლიკური ცენტრების არსებობა თუ თანაცხოვრება საქართველოში დაფიქსირებულია: თბილისში, გორში ქუთაისში, ონში და სხვ. მაგრამ მათი ყველაზე

მრავალრივხოვანი და დღემდე არსებული თემებით, მაინც ახალციხის რაიონია გამორჩეული. „ამასობაში დრო იხელთეს „კეთილგანწყობილმა'' იეზუიტემა მამებმა და თავიანთი მისიის შესრულებას შეუდგნენ. გაექცნენ ჩვენი სინოდის დევნას, ორმა ქართველმა მღვდელმა და რამდენიმე ერისკაცმა კათოლიკობა მიიღეს. ამის მსგავსი არასდროს მომხდარა საქართველოში, თუ არ ჩავთვლით პატრების მიერ XVII საუკუნეში იმ ქართველების კათოლიკეებად მოქცევას, რომლებიც თურქების ბატონობის ქვეშ იყვნენ ახალციხის და ახლქალაქის მაზრებში. რ ო მ ი, თურქეთსაც, ჩვენ სინოდასც ერთნაირად სტაცებდა „დაჩაგრულებს''. მხოლოდ ჩვენ ვერ ვხედავთ ამას. (დურნოვო 1917: 13)

კვლავ დიდი **მეცნიერის ნ.ბერძენიშვილის კომენტარები დამიდგა თვალწინ: „რაც შეეხება მისიონებს, ჩვენ ვეყრდნობით, რომ ეს არის ეროვნულ-კულტურული ცნება.''** (ბერძენიშვილი 1933: 2) ნათელია, რას გულისხმობდა მეცნიერი: მისიონის **ქართული წარმომავლობის** მოღვაწეები, მართლაც, **რაღაც გარკვეული კატეგორიის, მენტალობის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ინტერესების მატარებელნი არიან. რაც შეეხება ხოჯავანას, იგი 1809 წელს გარდაიცვალა. ბუნებრივია, რუსთან მისი გაუცხოების მომენტი, ხოლო ახალციხის საფაშოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ომების გადაწყვეტილებების მიუხედავად, მაინც ბუნდოვანი მოჩანს.**

საინტერესოა, რომ ქართველ კაცს შუასაუკუნებიდან დღემდე არასდროს დაუკარგავს სურვილი ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობისა. ეს სწრაფვა იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენი მეფეებისა და დიპლომატების ქმედებანი, თუ წმინდა მარლმადიდებლური ტიპიკონიდან ვიმსჯელებთ, მიუღებელიც კი იყო. დადიოდნენ ქართული სამეფოების მანდატით აღჭურვილი ელჩები შორეულ დასავლეთში, ჩრდილოელ მეზობელ-რუსეთში, არ ერიდებოდნენ ახალციხის საფაშოსთან ფარულ გარიგებებსაც, მაგრამ შედეგი, რომელიც საქართველოსთვის პოლიტიკურად მომგებიანი იქნებოდა, ვერ მოიპოვეს. სამწუხარო რეალობაა სომხები და რუსები „შეხმატკბილებულნი'' მოქმედებდნენ: „1894 წლის ქართველების მიერ სინოდის წარდგენილ წერილში ნათქვამია, რომ რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა ქართული ეკლესია და მისი საეკლესიო განძეულობა გადააქციეს შემოსავლის წყაროდ. სომხურ ეკლესიას დაუტოვეს კათალიკოსი და მისცეს საკუთარი თვითმმართველობა. **არ ამცირებენ სომხური ეკლესიების რიცხვს, ყოველნაირად მფარველობენ სომეხ ხალხს. სომეხ ხალხს კავკაისიის ადმინისტრაცია ყოველთვის მეტ**

**უპირატესობას აძლევდა ქართველ ხალხთან შედარებით.** ამის წყალობით, მთელი საქართველო თითქმის **სომხებს** ჩაუვარდა ხელში. თურქეთიდან გადმოსახლებული 2000 ათასზე მეტი სომეხი დასახლებული იქნა საქართველოში და მათ დაიკავეს **სამცხეს, ბორჩალოს,ახალქალაქის, ახალციხის** მაზრები. მათ ხარბი **ექსპლოატატორი-სომხები** შეუსია. ამ საქმეში მას **წინასწარ ჩაფიქრებული მიზანი ამოძრავებდა**-ხელოვნურად დაემსხვრია ქართველთა და თურქულ-თათრული წარმოშობის ხალხთა კომპაქტური მასა და ამგვარად შეექმნა თითქოსდა საჭირო უპირატესობა ადგილობრივი აბორიგენებისა. **ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, რომლებიც ამჟამად ზემო ქართლის გულს წარმოადგენენ, სომხების დასახლების შემდეგ, ქართველებისათვის დაკარგული აღმოჩნდა. ასეულობით გადარჩენილი ტაძარი და მონასტერი, ქართველი ხალხის საუკუნებრივი სიმდიდრე, ათასობით ნახევრადიავარყოფილი სოფელი-წილად ხვდა ვიღაც უცხო მოსულებს.** (დურნოვო 1917: 12)

ამ არეული რელიგიური თუ პოლიტიკური შერკინებების ასპარეზად იყო ქცეული მესხეთი. კათოლიკე ხოჯავანამ, მისი დღიურის გამგრძელებელმა ნავროზაშვილმა აღწერეს ყოველივე „მისიონარულ დღიურ-წერილებში'' მაქანდარაშილის, ნავროზაშვილს, ხარისჭირაშილსა თუ შაჰყულიანის ურთიერთობების გადმოცემით, რომაელი პატრების მოღვაწეობით.

# თავი VII.
# XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის იმერეთის სამეფო ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' ქრონიკების მიხედვით

დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის ვასალად ითვლებოდნენ, მაგრამ იმერეთის სამეფოსა და სამთავროების სათავეში პირდაპირი მემკვიდრეობის პრინციპის დაცვით ქრისტიანი მეფე-მთავრები იდგნენ. ვასალობის ერთადერთ რეალურ გამოხატულებას ხარკი და ძღვენი წარმოადგენდა. თითოეული ქართული სამეფო-სამთავრო ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელ სახელმწიფოს

წარმოადგენდა. დასავლეთი საქართველოს სამთავროები აღიარებდენენ იმერეთის მეფის უფროსობას, მაგრამ ეს რეალურ შინაარს მოკლებული იყო. მოცემული ხანის მეფეების ხელისუფლების ასეთ ხასიათს ხსნის ვახტანგ VI-ის შემდეგი სიტყვები: „საქართველოს მეფენი... ზევრჯელ, ჟამთა და დროთა ცვალებით, ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა-როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ''. (ვახტანგVI 1955: 47) საქართველოს პოლიტიკური და მორალური დაქვეითება ამ პერიოდში არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ადგილობრივი ვითარებით. ეს დაქვეითება განპირობებული იყო ეპოქალური ცვლილებებით.(იხ.დანართი #-11)

ივ.გვარამაძის „მისიონარული დღიური-წერილები'' ასე იწყება: **„1763წ. იანვარს თათრის ჯარი იმერეთითგან მობრუნდა სამშაბათსა**''.(გვარამაძე 1892: 1) 1763 წლის იანვარში იბრაჰიმი 13 000-იანი ლაშქრით ორ ტალღად შეჭრილა იმერეთში. იმერეთის ჯარს ქვეყნის სიღრმეში დაუხევია. მტერს აუღია სამხრეთის უბანი(სებეკას) მხარე. საინტერესოა, რომ მტერს გვერდში ამოსდგომია **როსტომ რაჭის ერისთავი.** თურქთა ჯარში არსებული დაპირისპირების გამო უსარგებლიათ ქართველებს და მტრისთვის მუსრი გაუვლიათ. დამარცხებული ფაშა ახალციხისკენ გაბრუნებულა. (რეხვიაშვილი 1982: 7)

1767 წლის ქრონიკებში ხოჯავანა წერს: **„16.ჰასან ფაშა გამოცვალეს; 12.მაისს.უდე აიყარა, წავიდა ჩარნაგეთისაკენ.**'' წარმოდგენილი ციტატები შემდეგი თვალსაზრისითაა საინტერესო: ჰასან-ფაშამ 1763-1766 წლებში, როდესაც მას სტამბულის მთავრობამ სერასკირის თანამდებობაც კი უბოძა, ინტენსიური თავდასხმები აწარმოვა **სოლომონ I წინააღმედეგ.** უფრო მეტიც, მან მოახერხა და სოლომონი ტახტიდან გადააყენა, ხოლო მეფედ მეფის ბიძაშვილი-იმერეთიდან დევნილი თეიმურაზ მამუკას ძე დასვა. სოლომონ მეფემ თავი შეაფარა თავისი ერთგული წერეთლების საძმო ციხეს- „მოდინახეს'', რომელიც ქაიხოსრო და ნიკოლოზ წერეთლებმა გადასცეს მას. ქართული წყარო სოლომონ პირველს ასე ახასასიათებს: „ესე სოლომონ იქმნა მეფედ იმერთა,კაცი მხნე, ახოვანი და მამაცობსა შ-ა ქებული... ჟამსა ამას მძლავრობდნენ იმერეთს ოსმალნი და ეპყრათ იემერეთსა შინა ოსმალთა სიმაგრენი ციხე ქუთათისა, შორაპნისა, ცუცხვათისა და ბაღდადისა და დამძლავრობდნენე დიდათ.... დიდად წინააღმდეგობდა სოლომონ ოსმალთა, მრავალთა სვრიდა, მრავალთა ხოცდა და

მრავალთა ატყვევებდა და ოსმალნიც მრავალჯერ გადააგდებდნენ მეფობიდამ. (კაკაბაძე 1914: 84-85)

ჩარნაგეთიდან სოფელ უდეს აყრა, გამოწვეული იყო ჰაჯი ალი ბეგის თავდასხმით და მოცემული დროიდან „მისიონარული დღიური-წერილიბის'' ავტორი ხოჯავაანთ **იოვანე იმერეთში განაგრძობს მოღვაწეობას.** სწორედ ამ ფაქტის გამო ხდება იგი იმერეთის სამეფო კარის მოვლენებში ჩართული, რამაც თავისთავად **განსაზღვრა მის ქრონიკებში 1767-1777 წლებში სოლომონ პირველის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების განხილვა-აღნუსხვა. თეიმურაზსა და სოლომონს შორის დავა 1767 წლამდე გაგრძელდა.** იმერეთი თეიმურაზს ვერ გუობდა. 1766 წლის ერთ სიგელში, რომელშიც საურის და საუდიეროს თემებია წარმოდგენილი, სიგელს ხელს სოლომონიც აწერს, ხოლო მინაწერში ნათქვამია, პატრონი თეიმურაზ ვამტკიცებ. (კაკაბაძე 1913: 9) **ხოჯავანას დღიურში** კი იკითხება:26.თეიმურაზ მეფე შეურიგდა სოლომონსა და კიდეც ქუთაისითგან წავიდა მის სანახავად.''(გვარამაძე 1892: 3) 1767 წელს იმერეთ-თურქეთს შორის ზავი დაიდო. ძველი მოხარკეობა აღსდგა, მაგრამ სოლომონი არ ჩქარობდა ამ პირობის შესრულებას. ხოლო სულთანმა მუსტაფა III 1768 წლის აგვისტოში სოლომონ მეფის მიმართ წყალობის ფირმანი გამოსცა, რომლის ძალითაც ქრისტიან მფლობელთა შორის სახელგანთქმულ სოლომონს იმერეთის მეფედ აღადგენდა.(თუმცა სოლომონმა ამ სიგელამდე ხმლით დაიბრუნა კუთვნილი მეფობა).

როგორც ვხედავთ 1768 წლიდან იმერეთის მეფე სოლომონი კვლავ ოსმალთა მიერ „კურთხეული'' მეფეა. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები'' აგრძელებს მოვლენათა ქრონიკას. მაგ: „1769წლის 28 იანვარს მეფე სოლომონი რაჭას წავიდა''.(გვარამაძე 1892: 16) ხუცესი იოვანე ამის შემდეგ ასევე მშვიდად გვაუწყებს:„მეფე სოლომონის ძმა იოსები გელათს კათალიკოსად აკურთხეს.'' (იქვე 1892 16) ცნობილია, რომ 1768 წელს სოლომონმა გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა მოწინაღმდეგე დასავლეთის მთავრებს ჩხარის მახლობლად *ცხრაწყაროსთან.* მეფეს ერთგული იმერლები და დაქირავებული ლეკები ეხმარებოდნენ. თეიმურაზის მხარეს იბრძოდნენ: დადიანი, გურიელი და რაჭის ერისთავი. მეფემ ყველა დაამარცხა, იმერეთი შემოიმტკიცა, თეიმურაზ ბატონიშვილი მუხურას ციხეში გამოკეტა, საიდანაც ცოცხალი აღარ გამოსულა. (ჩხატრაიშვილი 1973: 646) ეს ბრძოლა საბოლოოდ გადაწყვეტს რაჭის ერისთავისა და სოლომონ პირველის ურთიერთობების ქიშპიან ეპოპეას. ხოჯავანასთან სწორედ ეს თარიღია დაფიქსირებული. 1769 წლის 28 იანვარს სოლომონ მეფემ რაჭის

საერისთავოს შეუტია. ერისთავმა ახალციხის ფაშასა და ყაზარდოელებს მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. სოლომონთან დაზავებულმა ახალციხის ფაშამ მეფისადმი ერთგულების ნიშნად იქ მისული მოღალატე ბესარიონი კათალიკოსი ციხეში გამოკეტა. ამ მომენტში რაჭაში მყოფმა სოლომონმა რუსეთის ელჩები მიიღო ხოჯვანა წერს: „4. რუსის ჯარი იმერეთს მოვიდა შორაპნის ციხესთან.'', ამიტომ მეფემ ერისთავთან შერიგება ამჯობინა. ამჯერად იგი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ მოღალატე ბესარიონის ნაცვლად საკუთარი ძმა იოსებ გენათელი დააყენა. (იქვე 1973: 647) ქრონიკების ჩამონათვალიდან ერთი რამ ნათელია, ხოჯავანთ იოვანეს იმერეთში ცხოვრების დროს არცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის ფაქტი არ დაუტოვებია უყურადღებოდ. თუმცა ავტორი, ზედმეტ კომენტარს ან საკუთარი მოსაზრების ციტირებას არსად არ აკეთებს. მოგვიანებით, 1769 წელს სოლომონმა ძმის კათალიკოს იოსების შუამდგომლობით მოახერხა ვარციხეში მას, იმერთა მეფეს ხლებოდა რაჭის ერისთავი თავისი შვიდი ვაჟიშვილით, შემდეგ იაშვილების მამულში კურდღლებზე სანადიროდ მიიწვია, დააპიტმარა რაჭველები და სასტიკად გაუსწორდა. **სოლომონ მეფემ რაჭის საერისთავო გააუქმა და ანდერძი დატოვა,** როსტომ ერისთავის შთამომავლობს აღარასოდეს მიეცემოდათ რაჭის მემკვიდრეობა-„დასდვა წერილი წყევით და შეჩვენებით მსოფლიოთა პატრიარქთაგან „რათა დასარულამდე ქვეყნისა ძენი და ძის ძენი და შთამომავალნი არღარა მიღებულ იქმნენ მემკვიდრედ რაჭას.'' (რეხვიაშვილი 1982: 94) ასე დასრულდა 17-წლიანი ბრძოლა სოლომონ პირველსა და რაჭის ერისთავს შორის.

ხოჯავანთ იოვანე „მისიონარულ დღიურ-წერილებში'' სოლომონ პირველისა და რაჭის ერისთავის დაპირისიპირების შესახებ ვფიქრობთ, მეტად საინტრესო კომენტარს აკეთებს მისთვის ჩვეული სიდინჯით 8, **ენკენისთ. როსტომ ერისთავს და მის შვილს უღალატა მეფე სოლომონმან ვარდის ციხეს. ხონს მეორედ მოსხმული ტყემალი ვნახე.**'' (გვარამაძე 1892: 4) დასაფიქრებელია, რა არის ღალატი: **რაჭის ერისთავების განკერძოებული ყოფა ერთიანი ქართული პოლიტიკიდან თუ სოლომონის მიერ ბარძიმზე მიცემული ფიცის გატეხვა**, რომელიც მორალური ხედვით, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში განიხილება, ხოლო მეფე-პოლიტიკოსის ჩანაფიქრიდან გონიერი, ძლიერი ხელისუფლის მიერ, მისთვისაც ერთობ მტკივნეული მაგრამ, არსებული რეალური ფაქტორების გამო გადადგმული ნაბიჯი იყო. **წინააღმდეგობრივია დიდი პოლიტიკა**. ის ადამიანურ-ქრისტიანულ მორალს ხშირად გაურბის. ალბათ

ამიტომაც, ჩვენ ჩვეულებრივ მოკვდავთ გვიჭირს ავხსნათ, გავიგოთ თუ მივუტევოთ ჩვენს მეფეებს მათ მიერ განხორციელებული „პოლიტიკური შეცოდებანი". საუკუნეების შედეგ ვმსჯელობთ: **სახელმწიფოებრივად გამართლებულია, მაგრამ ზნეობრივად, ქრისტიანულად?** დიდი სიფრთხილეა საჭირო ასეთი ფაქიზი თემის განხილვისას. და მაინც, თუ **შედეგობრივი თვალსაზრისით** მოგებული სახელმწიფოა, ქვეყნის მესვეურთა მხრიდან უმკაცრესი მოთხოვნები, მიმართული თავნება ფეოდალებისა თუ განდგომილი ერისთავების მიმართ (ასეთი მაგალითებით აღსავსეა XI-XII საუკუნეებიც), უცილობლად დადებით, წარმატებულ ფაქტორად აღიქმება მსოფლიო დიპლომატიაში. „ისტორია განსაკუთრებული მეცნიერებაა. მას არა აქვს ცალკეული გამოყენებითი შედეგები. იგი თავისი არსით მთლიანად გამოყენებადია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ყოველ ეპოქასა თუ ყოველ საზოგადოებაში ისტორიის შესწავლა თუ შემეცნება, ისე, როგორც ყოველგვარი სოციალური საქმიანობა, ექვემდებარება მოცემული დროისა და ადგილის გაბატონებულ ტენდენციებს." (მეტრეველი 2007: 96)

ასე რომ, გვიანი შუა სუკუნეების პოლიტიკურ სარტყელში მყოფი დასავლეთი საქართველო მაშინდელი მსოფლიო ხალხებისაგან არავითარი განმასხვავებელი ნიშან-თვისებებით არ გამოირჩეოდა. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში" 1769 წლიდან მოვლენები გრძელდება. ამჯერად **ხუცესი დადიანისა და სოლომონ პირველის** ურთიერთობებს მიმოიხილავს. სოლომონ მეფემ ორი დიდი სათავადო გააუქმა **(აბაშიძეებისა და ერისთავის)** და მათ ადგილზე ისევ ორი სათავადო შექმნა **(წულუკიძეებისა და წერეთლების),** მაგრამ ამ ახლადწარმოქმნილი სათავდოების თვისობრივი იერსახე და ფუნქციური მნიშვნელობა რადიკალურად განსხვავებული იყო წინამორბედთაგან. ამჯერად, მთავარი ციხეები და ტერიტორიები მეფის განკარგულებაში იყო, ხოლო თავადები მასზე დამოკიდებულნი და დამორჩილებულნი. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ დადიანი რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ კიდევ უფრო დიდ დაპირისპირებაში შევიდა სოლომონთან. ოდიშის მთავარი არ აღიარებდა იმერეთის მეფის უპირატესობას. იგი ისევ ძველ გზას დაადგა და იბრძოდა ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლობისათვის. ამ მოცემულობაში ყველაზე საინტერესო და გულსატკენი იყო ის, რომ სამეგრელოს ამბიციური მთავრის სათავისოდ გამოყენებას, ერთდროულად ცდილობდა როგორც მეფის რუსეთი, ასევე ოსმალეთი. **პოლიტიკური სიბეცით შეპყრობილი დადიანი კი ხან ერთის ნება-სურვილის, ხანაც მეორის**

**კაპრიზების შემსრულებელი, ქვეშევრდომი ხდებოდა და ყველაზე არსებითი, უზენაესი ავიწყდებოდა-სამშობლოს ინტერესები.** მეფე- მთავართა შორის უთანხმოება იქამდე გაღრმავდა, რომ **კაცია დადიანმა ოდიში ეკლესიურადაც ცალკე გამოყო.** ბესარიონი, რომელიც სოლომონ მეფემ კათალიკოსობიდან გადააყენა 1769 წლის 10 მაისს, **ოდიშში** გაიხიზნა. **კაცია დადიანმა იგი ოდიშის კათალიკოსად დანიშნა.**''ამგვარად, დასავლეთ საქართველოში ორი კათალიკოსი გაჩნდა-იმერეთში მეფის ძმა იოსები და ოდიშში-როსტომ ერისთავის ძმა ბესარიონი. ორხელისუფლებიანობა მალე დასრულდა, რადგან 1773 წელს ბესარიონი გარდაიცვალა''. (რეხვიაშვილი 1982: 98)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები'' შემდეგ დეტალურ ჩანაწერებს გვაცნობს დადიანისა და სოლომონ პირველის დაძაბული ურთიერთობების შესახებ 1770 წლიდან: 2.ღვინობ. დადიანისგან გავიქეცით ქვიტირს; 5.ხონი და მის ახლო სოფლები დაათარეშა დადიანის ჯარმან. მეფე სოლომონი დადიანს მივიდა ნამაშევს; 17. დადიანი გაიქცა მეფე სოლომონისგან მათხოჯს. რუსეთ-თურქეთის (1768-1774წწ) ომის დროს დადიანმა თურქეთსაც ზურგი შეაქცია რუსეთთან დიპლომატიური კავშირის დამყარებას შეეცადა. ხუცესი იოვანეს ქრონიკა: 14. ანაკლია (ანიკრია) და რუხის ციხების დადიანმან და რუსებმან აიღეს. აქვე იკითხება 17. მეფე გურიითგან მობრუნდა და დიდი გურიელი მარტო გარიგა. მოცემული ციტატები ნათლად ასახავენ დადიანის გარიგებას რუსთან და გურიელის მიმბაძველობას, სოლომონისადმი ურჩობას. 1771 წლის ქრონიკაში ვხვდებით:6იოსებ კათალიკოსი წავიდა მათხოჯს ქუთაისითგან დადიან მეფესთან გასარიგებლად, კათალიკოსი ქუთაისს მოვიდა. დადიანს ვერ გარიგებოდა. მეფე და ჯენერალი დადიანითგან მობრუნდნენ. ხოჯავანთ იოვანე 1771 წლიდან 1773 წლის ჩათვლით არცერთ ინფორმაციას აღარ გვაწვდის ამ დაპირისპირებებზე, თუმცა 1773 წლის ბოლოს ვკითხულობთ:14მეფემ ჯარი შეყარა და დადიანზედ ოდიშს წავიდა. ამ დილას თქვეს დადიანის ჯარით მოსვლა ცხენის წყალზედა. ტყვილი გამოდგა. (გვარამაძე 1892: 13-14-15-16-18)

ხოჯავანთ იოვანეს გვაუწყებეს, რომ რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ანუ 1769 წლიდან 1774 წლამდე იურიდიულად გაუქმებული სამთავროს (სამეგრელოს) მბრძანებელი, თავად მეფის, სოლმონის სიმამრი კაცია დადიანი ერთი წუთითაც არ აპირებს დანებდეს სოლომონ მეფის განჩინებას. **ამავე ქრონიკებიდან, 1774 წლის ჩანაწერები ცხადყოფს, რომ იმერეთის მეფე ურჩ დიდებულთან გარიგებას კვლავაც კათალიკოსის მეშვეობით ცდილობს**:2 თიბათ.კათალიკოსი იოსები წავიდა დადიანთან;

7.მეფე ქუთაისით ხონს წავიდა დადიანის გასარიგ-შესაყრელად. (იქვე, 56)და **როგორც იქნა მეფე სოლომონისა და დადიანის დიდი ხნის მეტოქეობის შემდეგ, მათი შეხვედრა შედგა:**23. მეფე და დადიანი ხონს შეიყარნენ.(იქვე 1892: 57) ეს შეხვედრა ნაყოფიერი არ გამოდგა, რადგანაც ჩვეული დაპირისპირება დადიანმა შემდეგშიც გააგრძელა. 1776 წლის ფაქტები გადმოგვცემენ:28. მეფე გაღმა დადიანის მამულში გავიდა და გორდის ციხეს შემოადგა. ამის შემდეგ, მეფე ფაღავებსაც ამარცხებს და ამავე 1776 წელს საბოლოოდ გატეხა იმერთა მეფემ დადიანის წინააღმდეგობა. ოდიშის მთავარი 1776 წლის მორიგების საფუძველზე სოლომონს დაემორჩილა. აღნიშნულ ეპიზოდს **ხუცესი იოვანე ასე გადმოგვცემს:**24.მეფე ნამაშევს მოვიდა ოდიშითგან ჯარით და **ჯარიც დაშალა და დადიანსაც გაურიგდა.** (იქვე 1892: 61) ამავე დროს იმერეთის მეფე აღწევს სასურველ შედეგს გურიელთან მიმართებაშიც. ხოჯავანა გვაუწყებს:4.,მაისს. კათალიკოსი გურიითგან მოსული ავად გახდა და სანავარდოს დაწვა. გურიელი გიორგი მეფეს გაურიგდა და შვილები მძევლად მისცა. (იქვე,63)

„1771 წელს პანინისადმი მიმართვაში კაპიტანი იაზიკოვი წერს: მეფე სოლომონისა და დადიანის შერიგება შეუძლებელია. მე რომ იმპერატორის სახელით არ გამეფრთხილებინა სოლომონი, იგი აუცილებლად გაანადგურებდა მთავარ დადიანს, ვინაიდან ახლა სოლომონი გაძლიერებულია და მთელი იმერეთი მის ხელშია". (რეხვიაშვილი 1982: 124)

ივ.გავრამაძის ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები" გასაოცარი სიზუსტით მოგვითხრობენ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ ბატალიებს, მეფესა და მთავრებს შორის რომ წარმოებდა. მშვენივრად იკვეთება ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, **იმერეთის კათალიკოსის - იოსების როლი მათი მორიგება-შერიგების საქმეში,**იმდენად დიდი იყო ოდიშის მთავრის ძალაუფლება, რომ რვა წელი დასჭირდა მის შემორიგებას. დადიანის შიშით, ქუთაისი რამოდენნიმეჯერ აყრილა და გაქცეულა, სხვათაშორის თხზულებიდან ირკვევა **თავად მეფის სოლომონსა და კათალიკოსს შორის** არსებულ გარკვეულ დაპირისპირებაზეც.:24.კათალიკოსს გაუწყრა მეფე. „მისონარული დღიური-წერილები" გვიამბობს **კათალიკოსის ბოლო დღეებისა და გარდაცვალების შესახებ:**11. კათალიკოსი ქუთაისს მოიყვანეს ავადმყოფი სანავარდოთგან. 13. კათალიკოსი იოსები მოკვდა ქუთაისს მწვანე ყვავილში. 17.კათალიკოს იოსების გვამი გელათს წაიღეს

დასაფლავად.18.კათალიკოსი იოსები გელათს მიწაში მიიღეს, ექვთიმე გენათელი აკურთხეს . (გვარამაძე 1892: 62-63)

იოვანე ხუცესის თხზულება გადმოგვცემს სოლომონ პირველის ოჯახურ ამბებს, ბატონიშვილთა დაპირისპირებებს, იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფო შტოების დინასტიური ქორწინებების დეტალებს: არჩილ ბატონიშვილი ლეკებთან ოდიშს წავიდა. 6. არჩილმან მეგრელები დახოცა ივანდიდს და მრავალნიც იშოვეს. 20. არჩილმან ცოლი-მეფე ერეკლეს ქალი მოიყვანა თავის ალაგას. 5. თეიმურაზ მეფე მკვდარი მოიტანეს გეალთს დასაფლავად. 3. არჩილ ბატონიშვილი ქუთაისს მოვიდა.13. ბატონიშვილი დაჭიკა ჩვენს საყდარზედ მოვიდა სანახავად. 11. ბატონიშვილი ალექსანდრე ჩემთანა. 27. დარეჯან ბატონიშვილს ქალი ეყოლა. 14. გიორგი ბატონიშვილი მოკვდა -ეს ჩანაწერები ასახავს 1770-1774 წლების მოვლენებს. 1774 წლის ქრონიკები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან ის გვაუწყებს სოლომონ პირველისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ურთიერთობების დაპირისპირების, დაძაბვის შესახებ:12. ალექსანდრე ბატონიშვილი თავის მამას გაეპარა და ლეჩხუმს წავიდა. 6. ღვინობისთ. არჩილ ბატონიშვილი იმერეთს კაცხს მოკვდა. 8.არჩილ გელათს მოიტანეს დასაფლავად, მაგრამ არ დაფლეს, შეჩვენებული იყო. 1777 წლიდან 1784 წლამდე ხოჯავანთ იოვანე იმერეთის პოლიტიკურ პროცესებს აღარ უთმობს ყურადღებას სრულიად გასაგები მიზეზის გამო-**მეფე სოლომონმა სომხის ვარდაპეტის დაბეზღებით ხოჯავანას იმერეთი დაატოვებინა. მაგრამ ახალციხის მოვლენების კვალდაკვალ გვერდს ვერ უვლის ფრიად ყურადსაღებ ფაქტს:27.მეფე სოლომონის სიკვდილის ამბავი მოვიდა, წერს იგი და იქვე დასძენს: 2 მაისს. მეფედ დაუჯდენიათ თავით გიორგი ბატონიშვილი.** (საინტერესო მინიშნებაა-დაუჯდენიათ და არა დაჯდა). კიდევ უფრო ყურადსაღებია ხუცეს იოანეს 1789 წლის ჩანაწერი:14. დავით მეფის გაქცევის და არჩილ მეფის შვილის გამეფების ამბავი მოვიდა. ამ ფაქტის შემდეგ ერთხელ იუწყება ხუცესი დავით მეფის ახალციხეს სტუმრობს და მხოლოდ 1795 წელს აფიქსირებს ასეთ ეპიზოდს:1795წ. 11. იანვარს დავით მეფე აქ ყვავილით მოკვდა, ახალციხეს ქრისტესიას სახლში. დავით გიორგის ძის გარდაცვალებას ეხება მწერალი, რომელიც 1789 წლიდან იმერეთის ტახტს უამრავი პოლიტიკური ფაქტორის გამო, დავით არჩილის ძის სასარგებლოდ, იძულებით ტოვებს და როგორც ჩანს, ახალციხის საფაშოს შეფარებული, ალბათ უკან დაბრუნების მოლოდინით, ვინმე უბრალო ქრისტეისიას სახლში პოვებს აღსასრულს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1778 წლის

იმერეთის ერთადერთმა ჩანაწერმა:16. ბატონისშვილი მეფეს გაადგა სახლთუხუცესით და თამაზა მესხით, გიორგი ბატონიშვილის დავით ბატონიშვილი დაკოდეს და დაიჭირეს ალექსანდრე ბატონისშვილმან და მის კაცებმან. ეს ციტატა იმერეთის სამეფოში დატრიალებულ ოჯახურ ტრაგედიას ეხება. „1778 წელს გარდაიცვალა სოლომონ მეფის მეორე მეუღლე-კაცია დადიანის და მარიამი; იმავე წელს მეფემ ცოლად შეირთო ბერი წულუკიძის და გულქანი-აზნაურ ქაჯაიას ნაცოლარი. იმერეთის ფეოდალების ერთმა ნაწილმა, რომელიც მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო და მორიგ შემთხვევას უცდიდა სოლომინის წინააღმდეგ გამოსასვლელად, ამ შემთხვევით ისარგებლა, მათ თავის მხარეს გადაიბირეს ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი და მეფეს განუყენეს. შეთქმულების ორგანიზატორები იყვნენ (ზემოთ დასახელებული) სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და თამაზა მესხი. შეთქმულებაში მრავალი პირი ღებულობდა მონაწილეობას: მერაბ ნიჟარაძე, ევგენი აბაშიძე, სვიმონ მიქელაძე, ალექსანდრე უფლისწულის მამიდაშვილები: ბეჟან, ვახუშტი, გიორგი, დოსითეოს და ქველი წერეთლები.”(რეხვიაშვილი 1982: 143) (ამ აჯანყებამ განაპირობა მომავალში იმერეთის ტახტის მემკვიდრეობისთვის ბრძოლა 1784-1789 წლებში).

„მისიონარული დღიური-წერილები” თავს უყრის მასალას, სადაც რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომზე და მასში ქართველი მეფეების მონაწილეობაზეა მოთხრობილი. 1769 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ: 14. მეფე სოლომონი ქართლს წავიდა ირაკლი მეფის სანახავად. (გვარამაძე 1892: 3) მართლაც, 1769 წლის 21 მაისს თბილისში, ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. ერეკლე რუსეთში ა.ანდრონიკაშვილს აგზავნიდა, სოლომონი კი დ.კვინიხიძეს.(რეხვიაშვილი 1982: 651) ზოგადად ჩვენი ხელნაწერში მრავლად იკითხება, ინ დროის რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ. ხუცესის ჩანაწერები: 2. მკათათ. რუსის ჯარი ბაღდათს მოადგა. 9. რუსები ზარბაზანს და ყუმბარას ესროდნენ ციხეს. 25. მეფის ჯარი, სოლომონი, კათალიკოსი და სხვა ქართველებიც რუსის ჯარს შემოსწყრნენ. 22. რუსებმან ეკატერინეს ლხინი ჰქმნეს. 10. რუსის ჯარის ფოთის ციხითგან მობრუნების ამბავი მოვიდა. რუსებმან თავიანთ ხელმწიფის დღეობა ჰქმნეს, მრავლის თოფებისა და ზარბაზნების სროლით. (გვარამაძე 1892: 4) ტოტლებენმა ფოთში დამარცხებას, ხელმწიფის დღეობა ჩაანაცვლა, თუმცა მისი ბედი გადაწყვეტილი იყო: 3. რუსეთითგან ახალი მოსული ჯენერალი ქუთაისს მოვიდა.(იქვე 1892: 6) განაგრძობს ხოჯავანა

მოვლენათა ნუსხას, სადაც გრძელდება მეფის რუსეთის ახალი გენერლისა და ქართველი მეფეების თითქოსდა დამტკბარი ურთიერთობების ისტორიები: 26. ჯენერალი სუკატინა გუსარის ჯარიანად ფოთითგან ქუთაისს მოვიდა. 28. ჯენერალმან საჭმელ-სასმლის მაზანდა მისცა ქუთაისს. 17.ამ კვირაში მეფემ და ჯენერალმან სამჯერ ივაზირეს. 5. რუსის ჯარი ჯენერლიანად სულ ყველაფრით ქუთაისითგან წავიდნენ.19.ფოთისკენ ხომალდების მოსვლა ითქვა. 5. მარიობ რუსის და ხვანთქრის გარიგება თქვეს.

ეკატერინე II თურქეთის წინააღმდეგ ომში ერეკლეს მონაწილეობით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო, რადგან კავკასიის ფრონტზე სოლომონ პირველის ძალები საკმაო არ იქნებოდა. 1769 წლის ოქტომბერს ეკატერინემ განკარგულება გასცა, რომ საქართველოში რუსეთის 3700 მეომარი გაეგზავნათ. (მაჭარაძე 1957: 42-71) რუსეთის მიერ დანიშნულ გენერალს ერეკლე სტეფანწმიდნის ხეობაში თავად შეხვდა და გარკვეული, ფრთხილი მოთხოვნების შემდეგ გაუხსნა გზა იმერეთისაკენ. არასასურველი ბიოგრაფიის მქონე გერმანელი **ტოტლებენი** ერთობ ავანტიურისტულ გეგმებს დახლართავს. რუსეთის საიმპერიო კარისაგან მას ისედაც, მხოლოდ ქართველთათვის შეტევითი ბრძოლის მაგალითი ევალებოდა. მან, საკუთარ თავში დარწმუნებული გენერლის სტატუსი მოირგო და რაც, ცარიზმის მიერ წარმოებულ ევროპულ ფრონტზე დაკარგა, როგორც სამხედრო ჩინოვნიკმა, იმ ყველაფრის ანაზღაურებას, მისთვის, ალბათ სრულიად უმნიშვნელო კავაკასიაში ცდილობდა. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები'' გადმოგვცემენ: 16.ამილახვრი და ერისთავი წავიდნენ ქუთაისითგან. გრაფი ტოტლებენი ქუთაისითგან რუსეთისკენ წავიდა. (გვარამაძე 1892: 3) ეს ჩანაწერი 1771 წლითაა დათარიღებული. 1769 წლიდან 1771 წლამდე ყველაზე წარმატებულად რაც განახორციელა ტოტოლებენმა იყო ის, რომ იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეთა შორის ურთიერთობები დაძაბა, მათი შეთანხმებული გადაწყვეტილებები უარყო და ქართველთა შორის სრული უნდობლობა მოიპოვა. ფოთის ისტორიამ წერტილი დაუსვა ტოტლებენის საქართველოში განუკითხავ პარპაშს. პეტერბურგში განიხილეს შექმნილი მდგომარეობა იაზიკოვის მოხსენების საფუძველზე. ეკატერინე მეორის კარზე დარწმუნდნენ, რომ ტოტლებენი რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სახელს, ამიტომაც გადაწყდა მისი საქართველოდან გაწვევა და მის ნაცვლად გენერალ სუხოტინის დანიშვნა. (ჩხატარაიშვილი 1973: 656) 1770-1772 წლებში გენერლებმა ტოტლებენმა და სუხოტინმა

რამოდენიმეჯერ მკვეთრად დააპირისპირეს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფენი. მაგრამ საღი აზროვნების მეფე-პოლიტიკოსებმა რუსეთის საექსპედიციო კორპუსის წასვლის შემდეგ „დაივიწყეს ურთიერთწყენა და 1758 წლის ხელშეკრულება განაახლეს. 1773 წლის 23 ივლისს სოფ, სანგარში სახმხედრო კავშირის ხელშეკრულება დადეს, რომელიც შვიდი მუხლისაგან შედგებოდა.'' (რეხვიაშვილი 1982: 136)

სუხოტინმა 1771 წლის 29 ოქტომბერს რუსეთს შესთხოვა: „ბედმა მიმდინარე კამპანიაში მთელი ჩემი საქმე გაანადგურა; ავადმყოფს, რომელიც ძლივსღა ვსუნთქავ, არც კორპუსის მეთაურობისა და არც მტრის წინააღმდეგ მოქმედების თავი არა მაქვს. ისე მძიმე ავადმყოფი ვარ, რომ ჩემს გამოჯამნმრთელებას დიდი დრო უნდა.'' (მაჭარაძე 1957: 121)1772 წლის 5 მაისს სუხოტინის პატაკის საფუძველზე რუსის ჯარმა ქუთაისი დატოვა-მოგვიანებით ქართლიც. ასე რომ, ცარიზმის ორმაგი სტანდარტების ფონზე ამბიციური რუსი გენერლების სტრატეგიულად წამგებიანმა პოლიტიკამ ვერც საიმპერატორო კარს მოუტანა წარმატება კავკასიის ხაზით, ხოლო საქართველოს მეფეებს უამრავი ახალი თავსატეხი გაუჩინა მომავალში. გულგატეხილი დარჩნენ კახელი და იმერელი მეფენი, რომელთა შესახებ კაპიტანი იაზიკოვი წერდა: „ტოტლებენს არ სურდა მეფეებთან ერთად მოქმედება, თავიდან იცილებდა მათ; შეურაცხყოფდა მეფეებს-სოლომონს „თურქს'' ეძახდა, ერეკლეს „მოღალატეს.'' (რეხვიაშვილი 1982: 122 )

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში'', ნავროზაშვილის ქრონიკის სახით ჩვენს წინაშე იშლება **იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II** და მის დროს საქართველოში მყოფი რუსი ჩინოვნიკების ურთიერთობები. სოლომონ II ქართულ პოლიტიკურ სივრცეში 1789 წლის ცნობილი თათბირის შემდეგ დაიკავებს სამეფო ტახტს, რომელიც, მისი პაპის, ერეკლე II კარზე შედგა. ამ ფაქტზე ხუცესის ქრონიკებიც გვიყვება და ჩვენ ის ზემოთ განვიხილიეთ. 1800-1809 წლების ისტორიული ამბების აღწერისას ხოჯავანა, იმერეთის სამეფო დეტალებს, რუსეთის საქმიანობას მხოლოდ რამოდენიმეჯერ ეხება. საერთოდ ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებს'' ახასიათებს ამდაგვარი რამ. ავტორი 1777 წლიდან აქტიურად აშუქებს ახალციხის საფაშოში მიმდინარე პროცესებს, ხოლო იმერეთის ცხოვრებიდან ქრონიკების სახით აღნუსხავს მხოლოდ დასავლეთი (თუ ზოგადად) საქართველოს ცხოვრებაში მომხდარ ყველაზე მეტად ყურადსაღებ, მნიშვნელოვან ეპიზოდებს. მაგ: 25. რუსის ელჩი მოვიდა ფაშასთან . ეფრიკაშვილთან დადგა. 22. რუს

ხელმწიფის პავლე პეტროვიჩის სიკვდილის ამბავი მოვიდა. 20. რუსის ელჩი მოვიდა ქალაქითგან. 17. რუსის წასვლა ითქვა ერევანზედა. 25. ფოთს რუსების ყალიონების მოსვლა ითქვა. 15.რუსის გამარჯვება თქვეს ერევანს ზედა ყიზილბაშთან. 7. მკათათ. რუსის გამარჯვება თქვეს ყიზილბაშზედა. 27. რუსებისგან ყიზილბაშის, ლეკის და ალექსანდრის ჯარის მოშლა თქვეს განჯის იქით. 6. ხეჩინათ სიმონი მოვიდა რუსებისგან ფაშასთან ელჩად. 9. რუსების განარჯვების ამბავი მოვიდა ახალქალაქითგან. 16. რუსების სამი ზარბაზანი და სამიც ჯაბა ყუთი მოიტანეს. ზარბაზნების და ხელთოფების სროლით შადლუღად იქინდის დროს ფაშაც მოვიდა. 6.კემხელს ყალიონ ხომალდებით მოსვლა თქვეს რუსებისა. 21. ბათუმისკენ რუსების ტანანმას გამოსვლა თვქეს ზღვაში. 29. რუსის და თათრის ხელმწიფის შერიგების ამბავი მოვიდა ყარსითგან. 12. რუსის წამოსლა თქვეს ახალციხისაკენ და ამ ქრონიკის შემდეგ გვხდება იმერეთის სამეფოს უკანაკნელი დღეების მთავარი მომენტი: 20. მეფის დაჭერა თქვეს რუსებისგან. სტამბოლითგან მოსული ზარბაზნები წაიღეს ახალქალაქს. (გვარამაძე 1892: 84-88) (სოლომონ II დაჭერის წელსვე აღესრულა ხოჯვაანთ იოვანეც. ამიტომ სოლომონ მეფის დევნილობის შესახებ ჩვენ „მისიონარული დღიური-წერილების'' ე.წ. გაგრძელების, ანუ **ნავროზაშვილის ქ**რონიკებით ვიმსჯელებთ)

დავაკვირდეთ: დღიური-წერილების მოვლენათა ნუსხაში შევხდით ეკატერინე II დღეობას გადახილს, რუსის ჯარის მიერ საქართველოში. აქვე ინახება 1801 წლის 12 მარტს მეფის რუსეთის სასახლეში მომხდარი შეთქმულების მსხვერპლ პავლე I-ის მკვლელობის ამბავი. ხუცესის ნაწერში მშვენივრად იკვეთება ცარიზმის განსაკუთრებული დაინტერესება შავი ზღვით. ქრონიკა იუწყება, ამჯერად (ოსმალეთის შემდეგ) ირანთან საომარ ვითარებაში მყოფი დიდი იპერიის წარმატებების მატიანეს და რაც მთავარია, ხუცესი იოვანე აფიქსირებს ჩვენთვის მტკივნეულ ისტორიულ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, მიღებულს მეფის რუსეთის მხრიდან. ეს არის იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II დაპატიმრების დეტალი, რასაც საბოლოოდ დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონთა დამხობა მოჰყვა შედეგად. კვლავ ნ. **ბერძენიშვილის კომენტარი: „საინტერსეოა, როგორც რუსები ქართლში მოვლენ, უმალ ელჩებს გზავნიან ახალციხეს''.**(ბერძენიშვილი 1933: 3) საგულისხმოა დიდი მეცნიერის მინიშნება -XVIII ს-ში რუსული პოლიტიკის კავკასიაში გაძლიერების შესახებ.

ხოჯავანთ იოვანეს თხზულების 1800-1809 წლების ჩანაწერები და მისივე გაგრძელება „ნავროზაშვილის'' ქრონიკის სახით ინფორმაციულად დატვირთულ

პოლიტიკურ სპექტრს გვთავაზობენ სოლომონ II და საერთოდ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს თავს დატრიალებული ეპოქალური ცვლილებების შესახებ. ივ.გვარამაძის „მისიონარული დღიური-წერილების'' ჩანაწერების მეორე, გაგრძელებული ნაწლი უშუალოდ 1842 წლით სრულდება. სოლომონ II-ეს თვისობრივად სრულიად ახალ პოლიტიკურ გარემოში მოუხდა მეფობა და რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ საქართველოში განხორციელებული დიპლომატიური მანევრი მეფის რუსეთის მხრიდან იმერეთის მეფისთვისაც მრავალი უსიამოვნების მომტანი გახდა. ხოჯავანთ იოვანეს ქრონიკას მეფის, სოლომონის დაპატიმრების შეახებ ლოგიკურად აგრძელებს „ნაზარაანათ'' დღიური. (როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი იტყოდა.) მაგ:1810,19, მეფე სოლომონი მოვიდა აქა.19. ივნისს-თათრის ჯარით მეფე სოლომონი წავიდა იმერეთს რუსზე.7. მოშალა ყიზილბაშის ორდი რუსმან ახალქალაქითგან. 12. თათრის ჯარი წავიდა იმერეთისკენ. 25.თათრის ჯარი ცარიელი მივიდა იმერეთითგან. 29. მეფე მოვიდა სვირსა, აჰმად ბეგი მოვიდა.1. გიორგობა. მეფე სოლომონი იმერეთითგან გამოქცეული მოვიდა 150 კაცით არტაანს და იქითგან ერევანს.13. იმერეთის ჯარმა აბასთუმნიდან ჩამოიწია თურბისაკენ და წყრუთისაკენ. 18. დილას საღამოს 10-ზე დაიწყეს დიდი სროლა, ასრე რომ ცა ჩამობნელდა. შუადღემდი დიდი ყვირილი იყო. 1. მათარისი აიღო რუსმან უსარგებლოდ. ბევრი რუსი გაწყდა თათრისგან. 26. რუსებმა ჩაიწიეს ტავშანთაფისკენ. გაუდგა თათრის ჯარი და მობრუნდნენ ესენი მოშლილნი და რუსისად წავიდნენ. ამის შემდეგ იკითხება უკანასკნელი ფრაზა მეფე სოლომონის შესახებ: 1811, 16.იანვარს მეფე სოლომონ მოვიდა ერევნიდამ. (გვარამაძე 1892: 101-102)

დღიურში დაცული ფაქტები საშუალებას გვაძლევს გარკვეული მოსაზრებები გამოვთქვათ იმერეთის სამეფოს ბოლო პერიოდის სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესახებ: 1)დოკუმენტში აღწერილი მოვლენა სოლომონ II-ის ახალციხეში ჩასვლის შესახებ ემთხვევა ტორმასოვის მიერ მოტყუებით დაპატიმრებული მეფის 1810 წლის 11 მაისს ტყვეობიდან გაპარვას და ახალციხეში ჩასვლას, სადაც მას წინასწარ გაგზავნილი სოლმონ ლიონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი ელოდნენ. 2) მომდევნო პუნქტები გვიამბობენ ფრაგმენტული სახით 1810 წლის სექტემბრის ბოლომდე მიმდინარე ბრძოლების შესახებ, რომლის მეშვეობითაც სოლომონ II ტახტის დაბრუნებას ცდილობდა. 3) სოლომონ პირველის დროისგან განსხვავებით, (რომელიც აღწერა ხოჯავანამ) ნავროზაშვილი თითქმის არაფერს არ გვიყვება სოლომონ II-ის

დაპირისპირებებზე გრ. დადიანთან და ქაიხოსრო გურიელთან მიმართებაში. 4) წყარო კიდევ ერთხელ ადასტურებს ახალციხის საფაშოს აქტიურ ჩართულობას საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ, რომ ხშირად, სწორედ ჩვენი მეფენი მიმართავდნენ მათ შექმნილი, გამოუვალი მდგომარეობის გამო. 5) და ყველაზე საინტერესო პუნქტი: 1811, 16, იანვარს მეფე სოლომონი მოვიდა ერევნიდამ. (გვარამაძე 1892: 102) ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ: 1810 წლის სექტემბრის ბოლოს დამარცხებული სოლომონი ახალციხეში გაიქცა. იმერეთის სამეფოს აღსასრულის შესახებ ერთერთი ჟამთააღმწერელი ასე მოკლედ გვაუწყებს:"ქკს უჟ (1810წ.) აქა რუსთა დაიპყრეს იმერეთი". (დუმბაძე 1973: 865) ამის შემდეგ მეფე ყველას ერევანში ეგონა, როგორც ამას ტორმასოვის წერილიც ადასტურებს და ის რომ სოლომონი თითქოს 1810 წლის შემდეგ საკუთარ სამეფოში აღარ ყოფილა **დასტურდება** ნავროზაშვილის ქრონიკითაც, რომელიც **ახალი 1811 წლის დასაწყისში, 16 იანვარს იუწყება იმერთა უკანასკნელი მეფის გასაიდუმლოებულ ვიზიტს ახალციხის ტერიტორიაზე.**

რა თქმა უნდა, ამ ყოველივეს იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები განაპირობებდა:1)შური-„შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა, რამეთუ ენებოს მოსპობვა კეთილმოქმედისა მის მოყვასისა; რამეთუ კეთილი ნახოს მოყვსისა, წადილით მსგავსა მისსა ქმნას და ეგრე იქცეოდეს. (ქართული ლექსიკონი 1993: 310)" ეს სტრიქონები კი უპირობოდ შეიძლება მივიჩნიოთ XVIII-XIX გზაჯვარედინზე მყოფი საქართველოს დამღუპველ თეზისად. „კახელების აღმახნული ქართლელებმა დაღმა ფარცხესო-". „ველიკორუსული" იმპერიული ზრახვებით აღსავსე რუსეთის სურვილი, გაბატონებულიყო სტრატეგიულად მომგებიან კავკასიაში ზღვასა თუ ხმელეთზე, მათივე თანამიმდევრული დიპლომატიის წყალობით და ზემოთჩამოთვლილი პუნქტების გათვალისწინებით წარმატებით დაგვირგვინდა. „კეთილისმსურველის" ძიებაში (როგორც აიეტი იტყოდა) ჩვენი ქვეყნის ბედი ასე გადაწყდა:სოლომონ მეორის იმერეთიდან გაძევებითა და დასავლეთ საქართვლოში რუსული მმართველობის დამყარებით 1810 წლიდან შემდეგი ვითარება XIX საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი სამხედრო-თავდაცვითი ხაზი „შავი ზღვის სანაპირო ხაზი" გაგრძელდა სამხრეთისკენ. 1828-1829 წლების ომის შედეგად, ადრიანოპოლის ზავით რუსეთის იმპერიამ ახალციხის საფაშოს 24 სანჯაყიდან მიიღო 8 სანჯაყი: ახალქალაქი, ხერთვისი, აწყური,

აბასთუმანი, ადიგენი, ახალციხე, ქვაბლიანი, რომელიც გაერთიანდა ახალციხის ოლქში და ამ სახით 1840 წლამდე იარსება. ამვე ომს მოჰყვა შედეგად გურიის სამთავროს გაუქმებაც. (გურული 2004: 7)

1804-1829 წლებში რუსეთის მიერ წარმოებული ყველა ომისა თუ მოგებული ბრძოლების შესახებ გადმოგვცემენ, როგორც „მისიონარული დღიური-წერილების" პირველი ნაწილი, ასევე ნავროზაშვილის ქრონიკები. ნავროზაშვილთან 1836 წლის ჩანაწერში იკითხება ასეთი ფრაზა:9.ღვინობისთვე-მთავარმართებელი როზენი მოვიდა.11.მთავარმართებელი როზენი წავიდა ასპინძისაკენ.

ჩვენი ხელნაწერი თავისი ისტორიული ქრონიკებით გაგრძელებაა პატარა ქართული სახელმწიფოს დიდ პოლიტიკასთან და დიდ იმპერიებთან ჭიდილისა, სახელმწიფოებრივი და რელიგიური შუღლისა, ქრისტიანობის შენარჩუნება-გადარჩენისა. „რა იყო ის, რომ საქართველომ ქრისტიანობა დააბერა? ქრისტიანობას მან შეუტია მაგარი ეროვნული ენერგიით. ამ ძალით ქრისტიანობამ ჩვენში თავის სოციალურს და უნივერსალურ მნიშვნელობას მიაღწია. ამიტომ ქრისტიანობამ მოაშურა საქართველოს, როგორც კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეს. შემდგომში საქართველომ ქრისტიანობა ეროვნული ფაქტებით გააღრმავა. საქართველოში დახარჯულ ცრემლებმა დააყენა ბაზალეთი, როგორც ზღვა მეწამული. შიგ წევს ქართლის მესია-პატარა ბავშვი, ისე, როგორც ებრაელების მეფეთა წიგნშია გამოცხადებული. (ლეონიძე 1922: #18)

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი დღესაც მრავალ კითხვას ბადებს, პოლიტიკური „ბაზალეთი" მძლავრობდა ხოჯავანთ იოვანეს მოღვაწეობისას. თუ XVIII-XIX საუკუნეში ოსმალებსა და ყიზილბაშებს განვერიდეთ და მეფის რუსეთი ავირჩიეთ, დღეს **რუსეთისგან** ვცდილობთ თავდახსნას და შველას კვლავ **უცხოეთისგან** ველით, ვითხოვთ. იმერეთისა და ქართლ-კახეთის გონიერი მეფენი, ცდილობდნენ, მტკივნეული ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, გამოეხსნათ ქვეყანა დიდი შეჭირვებისაგან, დაემყარებინათ იმერსა და ამერს შორის მყარი დიპლომატიური ურთიერთობები, მაგრამ პოლიტიკური სიჭრელით აღსავსე, მზაკვრული აგენტურული ინტრიგების ქსელმა, ნაკლებად მისცა ჩვენს მეფეებს ამის განხორციელების უფლება თუ საშუალება.

## 7.1. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერლების'' მიხედვით, ერეკლე II-ის ურთიერთობების რამოდენიმე საკითხი იმერეთთან, მეფის რუსეთთან და ახალციხის საფაშოსთან

„მისიონარულ დღიურ-წერილებზე'' მუშაობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, ისტორიული ჩანაწერები რაოდენ ძლიერი და სათუთი ფიქრების, მოგონებების, შეფასებებისა თუ აღწერების კოლაჟია. ეს იყო ერთ-ერთი საინტერესო და გამორჩეული ეტაპი გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში. პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობდნენ ერეკლე II და სოლომონ I. დამაფიქრებელი, გაორებული, პატივმოყვარე გრძნობებით მინელებული ურთიერთობები ქართველ მეფეთა, რომელთა შორისაც ჩამდგარიყო საუკუნეებგამოვლილი ფეოდალური შუღლი, განრისხებული ოსმალეთი და ირანი, ახლად დაფრთიანებული იმპერიული მეფის რუსეთი.

ყველაზე მძიმე მდგომარეობა თურქთა მიერ დაპყრობილ მესხეთში იყო: „ოსმალეთის ხელში მყოფი მესხეთი საბოლოოდ ჰკარგავდა ქრისტიანობას და ამასთანავე შორდებოდა დანარჩენ საქართველოს კულტურულად. ამიტომ სამცხე-საათაბაგოს შემოერთების საკითხი გადაიქცა ერეკლე II-ის პოლიტიკის მთავარი მნიშვნელობის საკითხად. (კაკაბაძე 1920: 108)(იხ.დანართი #-12)

ერეკლესა და სოლომონ I აერთიანებდათ სამცხის სამთავროს საკითხი. სამცხისა, ჯაყელების დინასტიით სათავეში, XVI-XVIII საუკუნეებში ცილობის საგნად რომ გადაიქცა უცხო ძალებსა და ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის. 1535 წელს იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-ემ დადიან-გურიელთან ერთად მოაწყო ლაშქრობა საათაბაგოს დასაპყრობად. ბრძოლა მოხდა ახალქალაქთან ახლოს-მურჯახეთთან. ბაგრატმა გაიმარჯვა. როსტომ გურიელის რაზმმა ათაბაგი ყვარყვარე III მეფეს მიჰგვარა. მადლიერმა ბაგრატ III-ემ კი გურიელს უბოძა ჭანეთი და აჭარა. ამავე დროს ლუარსაბ I-მა ჯავახეთი დაიმორჩილა. როგორც ჩანს, ლუარსაბი და ბაგრატ III შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ ოსმალეთის მხრივ მთავარი საფრთხე მთელ საქართველოს სამცხე-საათაბაგოს გზით ემუქრებოდა. ეს ისტორიული მონაკვეთი მრავლისმთქმელია: 1.ახლადდაშლილმა „საქართველოებმა'', იმერეთისა და ქართლის თაოსნობით, სამცხე გაინაწილეს. ჯავახეთი, როგორც ქვემო ქართლთან მოსაზღვრე კუთხე-ლუარსაბს (ქართლს) დაემორჩილა, ჭანეთი და აჭარა, როგორც უახლესი

მომიჯნავე მხარე-გურიელს მიეკუთვნა, თუმცა იმერეთის მეფის გადაწყვეტილებით და იმერეთისვე გავლენის ქვეშ. 2. აღნიშნული გახდება მომდევნო პერიოდში უწყვეტი ბრძოლის საგანი იმერეთის მომდევნო მეფეებსა და გურიელ-დადიანს შორის. 3. იგივე ფაქტორი ამოქმედდება ამასიის დაზავებისას(1555წ) ირანსა და ოსმალეთს შორის. 4. XVIII საუკუნეში ერეკლე II და სოლომონ I პრეტენზიებს სამცხე-საათაბაგოსთან მიმართებაში კვლავაც XVI საუკუნის პროფილიდან განიხილავდნენ და სამცხეს ორივე თავისად მიიჩნევდა.

ბაგრატ III-ისა და ლუარსაბ I-ის დაუღალავი ხმლის ქნევანი წყალში ჩაიყარა, თუმცა **ამ მეფეთა ტანდემი მნიშვნელოვნი ხიდია, მომავალში სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის მეგობრობის გზაზე.**. მალე დამპყრობელთა სიას მეფის რუსეთი დაემატა: მებრძოლი ქართველი ხალხი ირანს **ფოცხვერს** უწოდებდა, ხოლო თურქეთს **ბაბრს** (ბაბრ-ჯიქი), ამ ორი სიტყვით გამოსთქვამდა **ერეკლე მეორე** ქართველი ხალხის მიზანს უცხო დამპყრობელის წინააღმდეგ საუკუნოებრივ ბრძოლაში. მაგრამ საქართველოს გამოხსნა და აღდგომა ცარიზმის მიზნებში არ შედიოდა. **ცარიზმის მოხელეები და ოსმალური ბნელეთის აგენტები, ქართველი ერის გამთლიანების წინააღმდეგ შეთანხმებულნი იყვნენ.** (ბერძენიშვილი 1942: 5-6)

ერეკლე II ერთ-ერთი ის უკანასკნელი ქართველი მეფე იყო, რომელი ამ ფატქს არ აღიარებდა და მთელი შეგნებით იბრძოდა სამცხის გამოსახსნელად. მას 1768 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებიდანვე, ჰქონდა გეგმები სამცხე-საათაბაგოს გათავისუფლებისა. „რეალურად მესხეთის კულტურის, ენის, საწმუნოების ნამდვილ დამცველად და ერთარდეთ მემკვიდრედ ქართლ-კახეთის სამეფო, ამ შემთხვევაში, ერეკლე გამოდიოდა და ამ თვალსაზრისით ქვეყანა, მისი იყო. ''(ლომსაძე 2011: 78)

ამ პროცესს კი შედეგად უნდა მოჰყოლოდა ჭარ-ბელაქნის გათავისუფლება და ლეკთა საკითხის გადაჭრა. „ერეკლეს რუსეთ-თურქეთის (1768-1774წწ) ომში, ტერიტორიული თვალსაზრისით ორნაირი პროექტი უნდა ჰქონოდა შედგენილი-მცირე და დიდი. მცირე თემას, რომელიც ისტორიული საქართველოს (ფართო გაგებით) შემადგენლობაში შედიოდა. „საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუსთ''-ო და რომელიც ამჟამად ირანს და ოსმალეთს ჰქონდა დაპყრობილი. ასეთ ისტორიულ ქართულ ტერიტორიებად ერეკლე თვლიდა სამცხე-საათაბაგოს (ქართლის ნაწილს, ზემო საქართველოს) და ჭარ-ბელაქანს, რომელიც კახეთის მამული იყო. 1769 წელს ერეკლეს დავალებით შედგენილ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების მოკლე აღწერაში

ნათქვამია: „ახალციხის ქვეყანა არის ქართლის ქვეყნისა ნაწილი ერთი, რომელიც უჭირავს ახლა ხონთქარსა ძალით, რომელიც სინამდვილეში „საქართველოს მიწა არის" და „ჩვენი სამეფოს ნაწილს" წარმოადგენსო-უხსნიდა რუსეთის სახელმწიფო კარს მეფე. (ლომსაძე 2011: 66)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში" ერეკლე II-ის შესახებ პირველი ფრაზა: 1771 წელს: -2-ერეკლე II-ეს თავადი ციციშვილი მოვიდა. იაკობი მივუყვანე. გივი ციციშვილი წავიდა. -1772.5. მარტს მეფე ერეკლესგან ცხენი მოუვიდა ჯენერალს ქუთაისში. 1772. 4-მკათათვე. რუსის და ერეკლე მეფის ჯარის შეყრის ამბავი ითქვა. (გვარამაძე 1892: 5)

გააქტიურებულია მეფე ერეკლე იმერეთის სამეფოსთან ურთიერთობაში. 1769 წლისთვის დაწყებულია რუსეთ-თურქეთის პირველი ომი, რომელშიც თავად რუსეთისვე ძალისხმევითა და ქართველი მეფების ინიციატივით, ერთდროულად ჩართულნი არიან სოლომონ I და ერეკლე II. 1769 წლის ივნისი, ერეკლე მეფის წერილი ნ.პანინისადმი-ჩვენი დიდი სასურველი არის ოსმალთანა ბრძოლა, ამაზედ განმზადებულნი ვართ მეც და სოლომონიც. ხუთი პოლკი გამომიგზავნე, ჩვენ იმ ჯარის შეწევნით, რომელიც რომ არარატის მთის გარშემო, ანუ ახალციხისა, ანუ ყარსის გარშემო ქრისტიანენი არიან და იგინი ოსმალთა მონობისა ქვეშე იმყოფებიან და კუალად რომელიც შავი ზღვის გარშემო ჩვენ კერძო ადგილს უჭირავს, შესაძლებელი არის, რომ ყოველივე ძალითა ღვთისათა მიუღოთ." (ლომსაძე 2011: 65-66)

წარმოდგენილი დოკუმენტები დღეს უკვე საკამათოს აღარაფერს ტოვებს. მართალია, ერეკლეს დროინდელი საქართველო სახელმწიფოებრივი ცენტრალიზებული გზიდან დიდი ხნის გადასული იყო, მაგრამ შინაგანად იმდენი ძალა ჯერ კიდევ შერჩენოდა, რომ რუსეთის რეალური სამხედრო მხარდაჭრისა და შიდა ძალების ერთობისას, ოსმალეთისა და ირანისათვის საკადრისი პასუხი გაეცა: „ეს ლევან ასეთი რამ ყოფილა,თუ რომ მისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყო, საქართუელო დღეს ამაღლებული იქნებოდა ბაგრატიონების გვივგვინის ქვეშ. ეს სამი საკვირველი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონ ქათალიკოზი და ბატონიშვილი ლევან სამნიმ ხშირათ იყვნენ ერთად და საქართველოს საქმეს აწყობდნენ. მაგრამ მეფე ირაკლის საიდუმლოს მტრებს არ იამებოდათ, რა ქნან, როგორ ქნმან, როგორ მოშალონ იმათი თათბირობა! აი მოიგონეს: ლევან ბატონიშვილი მოკლეს, საწამლავით საიდუმლოთ მოკლეს!" (კაკაბაძე 1914: 11-12)

ერეკლემ გაიმარჯვა შაქი-შარვანის მფლობელ აჯი-ჩალაბთან, თავრიზის გამგებელ აზატ ხანთან, ავარების ბელადთთან ნურსალ ბეგთან, ამშვენებდა ასპინძის დიდებული სახელი. ქართლ-კახეთის მეფე ამიერკავკასიაში ძლიერი, პატივდებული, ანგარიშგასაწევი ფიგურა იყო. ერეკლე II-ეს სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული სოლომონ პირველთან. მისი და ელისაბედი ცოლად ჰყავდა კაცია დადიანს, ქალიშვილი ელენე კი მიათხოვა სოლომონის ძმას არჩილს. მოხერხებული მეფე ყველა მეთოდს მიმართავდა დასავლეთ საქართველოსთან დაახლოებისა და მის შიდა საქმეებში მშვიდობიანი ჩარევისთვის. ოჯახური ქორწინებებით ამზადებდა ნიადაგს. ამის დადასტურებაა ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებიც".

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების" 1773 წლის ჩანაწერები არაერთ ინფორმაციას გვაწვდის ერეკლე II-ისა დ სოლომონ პირველის აქტიურ თანამშრომლობაზე. მაგ: 1773. 18. გვარდიის კაპიტნის და დავით ერსითავიშვილის მოსვლა თქვეს ერეკლე მეფისგან კვახშირის-მეფე სოლომონთან. 1773. 14. ერეკლე მეფის კაცები და წიგნი მოვიდა მეფესთან, რუსის მოსვლა თქვეს. 1773. 22. ირაკლი მეფისგან ლეკის და თათრის დახოცვა თქვეს. 1773წ. 7. ერეკლე მეფის ჯარის დახოცვა თქვეს. ერეკლე მეფის გამარჯვების ამბავი მოვიდა. 1773. 30. მეფე ქართლითგან მობრძანდა. 1773. 4. ერეკლე მეფის კაცმან გამოიარა დადიანითგან. მეფე ქართლს, სურამს გადავიდა. მეფის შეყრა თქვეს სურამს. 1773. 10. ირაკლი მეფე და სოლომონ მეფე ჯავახეთს მოვიდნენ, ჯავახეთს გარიგება თქვეს. (გვარამაძე 1892: 23)

ხოჯავანას ქრონიკის 1774 წლის ჩანაწერები გვიყვება: 1774.1. მეფე სოლომონმა თათრის და ლეკის ჯარი დახოცა და გააფუჭა სრულად. 1774.7.რაჯაბ ლეკი მეფემ ერეკლე მეფეს გაუგზვნა. 1774.24. ერეკლის გოგია ბინბაში ქუთაისს მოვიდა მეფესთან. ამ ფრაზების თვისობრივი ისტორია ასეთია. ჯავახეთის ლაშქრობის საპასუხოდ ახალციხის ფაშამ სოლომონ მეფის წინააღმდეგ 1774 წლის იანვარში 4 000-იანი ლეკ-ოსმალთა ჯარი გამოაგზავნა იმერეთში. იგი წინსაწარ შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარს. ვახანის ციხის მფლობელებმა-აბაშიძეებმა მეფეს უღალატეს და მტერს გზა გაუხსნეს. სოლომონმა შველა ერეკლეს სთხოვა. ერეკლემ სწრაფად გააგზავნა ქართლ-კახეთიდან 2 000-იანი ლაშქარი. სოლომონმა გაიმარჯვა, ხოლო დატყვევებული ლეკთა ბელადი-რაჯაბა, ქართლ-კახეთის მრავალგზის დამრბევი ერეკლეს გაუგზავნა საჩუქრად. (რეხვიაშვილი 1982: 138)

**ივანე გვარამაძის** მერ გადაწერილი იოვნეს ქრონიკების მომდევნო ჩანაწერში შევხვდით შემდეგ ლექსს: **რაჯაბ ბელადი** ჩიოდა, ნახეთ რა ვუყავ თავსაო

არ მამკლა **სოლომონ** მეფემ, მიმცა **ერეკლე** ხანსაო,

ერეკლეს ხელზედ ვაკოცე, ნუ მამკლავ შენსა მზესაო,

**რაჯაბავ!** როგორ არ მოგკლა, შენ ხომ **მითხრიდი თემსაო!**

მიკლებდი და მაოხრებდი ქალაქს, სოფელს, მთა-ბარსა;

არ მასვენებდი **დღე ღამე,** მივლიდი ყველგან კარასა.

**ტყვეებს იჭერდი, მიყიდდი, ხან არტაანს, ხან ყარსასა;**

**წააქეზე მთლად ლეკობა, გვიტეხენ ერდო-კარასა". (გვარამაძე 1892: 65)** ამ საკითხის სირთულეზე შემდეგი წყაროც მიუთითებს:მისი ენერგია, რაღაც არაადამიანურ ზომას აღწევდა. ძილისთვის ოთხი-ხუთი ყოფნიდა. დანარჩენ დროს სახელმწიფო საქმეებს ანდომებდა. მას ხშირად საუზმის შეწყვეტა უხდებოდა, რათა, მაგ. მატყროფსა ან ავჭალიდან გაერეკა ლეკების მოთარეშე რაზმები, რომელნიც სადილობის დროს დიღომში ჩნდებოდნენ, ხოლო ვახშმის დროს ტაბახმელაში. (ქიქოძე 1958: 90)

1774-1778 წლების ხოჯავანას ქრონიკები ერეკლე მეორეზე ინფორმაციას აღარ გვაწვდის, თუმცა 1779 წლიდან ქართლ-კახეთის მეფე კვლავ თანამშრომლობს ახალცხის ფაშასთან: 1779. 2. მარიობ. მეფე ერკლის ელჩი თარხნისშვილი მოვიდა ფაშასთან. ბუჭუა მდივანიც თან ახლდა. 1784. 22. თბილი ქალაქიდან რუსის ელჩი მოვიდა სულეიმან ფაშასთან. ფაშა ჯარით მიეგება, ციხეში დააყენეს. 1784. 18-19. რუსის ელჩი მოვიდა თბილისითგან, რუსის ელჩი წავიდა. (გვარამაძე 1892: 30)

ჩვენი შეხედულება შემდეგია ზემოთ წარმოდგენილ ქრონიკებთან დაკავშირებით:1)ქართლ-კახეთის მეფის სერიოზული ჩართულობა სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკაში, რუსეთ-თურქეთის პირველ ომთანაა კავშირში და მოიცავს 1769-1774 წლებს; 2) ერეკლეს დიპლომატია 1779 წელს ახალციხის საფაშოში ელჩ თარხნისშვილის გაგზვნა, ემთხვევა იაკობ რაინეგსის ჩამოსვლას მის სამეფო კარზე და გარკვეულ ფიქრებს ბადებს; 3) ერეკლემ 1781 და 1782 წლებში ორჯერ სთხოვა ავსტრიის იპერატორ იოსებ მეორეს ფულადი სესხი ლაშქრის გასადიდებლად, მაგრამ უარი მიიღო. (ჯავახიშვილი 1919: 23) 4) ამის შემდეგ იგი იძულებული იყო ისევ ოსმალეთისთვის მიემართა.5)„ერეკლეს ელჩის გამოჩენის შესახებ ხონთქრის კარზე რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა პეტერბურგს აცნობა და თან შეატყობინა, რომ სულთანმა მას წყალობის თვალით შეხედა და რომ ერეკლესა და მას შორის სამეგობრო და

სამოკავშირეო ტრაქტატი დაიდო. (რეხვიაშვილი 1982: 158) 6) სახეზეა, რუსეთის შეშფოთება ერეკლე მეფის მრავალწახნაგოვანი აშკარა თუ ფარული, ხან სრულიად დამოუკიდებლი, ზოგჯერ კი ცარიზმთან შეთანხემული საგარეო პოლიტიკის შესახებ. 7) საბოლოოდ ერეკლემ 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავაკასიის რუსულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში დადო ტრაქტატი ეკატერინე II-ის რუსეთთან, თუმცა ამით ხელი არ ეშლება, რომ იგივე 1784 წელს, როგორც „მისიონარული დღიური-წერილებიდან" ვგებულობთ, სულეიმან ფაშასაც აახლოს ელჩი. ყურადღება გვინდა შევაჩეროთ, 1783 წლის მოვლენებთან ახლოს მდგარ ერთ ფაქტორზე, რომელიც, მეფე ერეკლე II-ს, მრავალმხრივად საინტერესო დიპლომატად წარმოაჩენს. გეორგიევსკის ტრაქატატის დადების წინა პერიოდში, იმდენად დიდია სურვილი ქართლ-კახეთის მეფისა, ჰყავდეს რეგულალური არმიის მსგავსი შენაერთი (მოგვეხესნება, 1781 წელს ლევან ბატონიშვილის უეცარ გარდაცვალებასთან ერთად დასამარადა „მორიგე ჯარის" საკითხი), რომ ერკლემ გადაწყვიტა, ესარგებლა 1781 წელს ყაბარდოში დაწყებული მღელვარებებით და ყაბარდოელებს საქართველოში გადმოსახლებას სთავაზობდა. მეფე გამოდიოდა ჩრდილო კავკასიაში შექმნილი რეალობიდან და არა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლის სურვილებიდან. (კოპალიანი 2011: 82)

ერეკლე მეფის დიდი ფიქრების მიღმა, მძიმე რეალობა იყო ჩასაფრებული. მეფის რუსეთისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო გაძლიერებული, მტკიცე ქართლ-კახეთის ხილვა. ცარიზმი 1483-91წ, 1564წ, 1587-89წწ, 1639წ, 1720წ, 1735წ, 1752წ, 1772 წლებში დადებულ დიპლომატიური ხელშეკრულებების რეალიზებას, დიდი დაჩქარებით, მხოლოდ 1779-1783 წლებში მოახდენს. „XVIII საუკუნეში, პირველ ოცწეულში, რუსეთმა დაიპყრო ბალტიისპირეთი, პოლონეთისა და ფინეთის ნაწილი, დაამთავრა მრავალწლიანი ბრძოლა ყირიმის შემოსაერთებლად. XIXს. დამდეგიდან რუსეთის იმპერიის მფობელობაში აღმოჩნდა კავკასია. ამავე საუკუნის შუა წლებიდან რუსი დამპყრობლები ინტენსიურად მიიკვლევდნენ გზას შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ. (სურგულაძე 1991: 15)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში" ერეკლე II-ის შესახებ დაცული ქრონიკები **1771-1795** წლებშია მოქცეული. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეფის რუსეთის მიერ გამომოგზავნილ ჩინოვნიკებზე, ძლიერ განაწყენებული იყო, ბოლომდე ინარჩუნებდა წონასწორობას. მეფის წყენას ჩრდილავდა ის პოლიტიკური წარმოსახვანი, რომელიც „რუსთა მფარველობის ქვეშ ერეკლეს „დიდ" პროექტს

გულისხმობდა: არარატის მთის გარშემო სომეხთა მიერ დასახლებულ ადგილებს, ყარს-არზრუმის რაიონებს, აგრეთვე აღმოსავლეთ კახეთს, სამცხე-საათაბაგოსა და ტრაპიზონის მხარის განთავისუფლება-შემოერთებას. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული ტერიტორიების შემოერთების საკითხის დასმისას, ერეკლე ისტორიული კუთვნილების თვალსაზრსზე დგას და მის დაბრუნებას თვლის სამართლიან აუცილებლობად.'' (ლომსაძე 2011: 67)

როგორც ვხედავთ, 1781. 1782, 1783 წლებში მეფე ერეკლე მეორე, ერთდროულად აშკარა თუ ფარული დიპლომატიის გზით ეხმიანება: ავსტრია-უნგრეთს, ყაზარდოს, ახალციხის ფაშას, მეფის რუსეთს. ვერაფრით ვერ ვერ ვიტყვით, რომ ქართლ-კახეთის მეფე სწორხაზოვნად, მხოლოდ რუსეთზე იყო ორიენტირებული, ან მათ ცბიერ პოლიტიკას ვერ ამჩნევდა. მაგრამ უადვოა ისტორიული არგუმენტები: 1783 წლიდან მრავალნაცადმა პოლიტიკოსმა საბოლოო არჩევანი მეფის რუსეთზე შეაჩერა.

და გრძელდება თხრობა ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებში'':1784წ.27. ენკენისა. მეფე ერეკლე და ფაშა გარიგდნენ. 1789.5. გიორგობ. მეფე ერეკლეს მოსვლა ითქვა. 1792წ.7. მეფე ერეკლეს თარაქამის ჯარი მოვიდა მოსახმარებლად ისახ ფაშისა. 1792.10. ლეკები მოშლილან ქართლში. 1793. 16. თბილისითგან ელჩი მდივანი მოვიდა, რომ სტამბოლსაც აპირებს წასვლას. **1794**.1.მარტს. მეფე ერკლეს ელჩი გაბრიელთან, პოღოსთან და ჩილაშვილთან სტამბოლს წავიდა. კორხის არაჩნორდი მოვიდა. (გვარამაძე 1892: 38-39)

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები, მშრალი ინფორმაციის მიღმა შემდეგ ისტორიულ პერიპეტიებს მოიცავენ:1)გეორგიევსკის ტრაქტატი შედგებოდა პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 სეპარატიული მუხლისგან ანუ არტიკულსიგან. „სეპარატიულ არტიკულებში'' აღნიშნული იყო ერეკლესა და სოლომონ მეფის შერიგების შესახებ, რაშიც რუსეთი „მომრიგებლის''' როლს კისრულობდა. აქვე იყო ნათქვამი საქართველოში რუსთა ჯარის ჩაყენების, საგარეო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისა, თუ საგარეო ომის შემთხვევაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ზრუნვის შესახებ. (დუმბაძე 1973: 691) 2)1783 წელს დადებულ ხელშეკრულებაში ერეკლეს ტიტულატურაში ნათქვამი იყო: მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ს ა მ ც ხ ე -ს ა ა თ ა ბ ა გ ო ს ი,(იხ.დანართი #-13) მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილუსი, მთავარი კაკისა, მთავარი შამახიისა და მთავარი შირვანისა. მფლობელი და

მბრძანებელი განჯისა და ერევნისა. (ლომსაძე 2011: 94-95) 3) უაღრესად შთამბეჭდავი ტიტულატურის  გარდა ერეკლს რეალური, სერიოზული სამხედრო დახმარება არ მიუღია რუსეთისგან. 4) ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მდგომარეობა დღე-დღეზე უარესდებოდა, განსაცდელში ჩავარდნილი ერეკლე თავის მფარველს დამატებითი ჯარის გამოგზავნას თხოვდა, მფარველი კი ისმენდა და ყურს არ იბერტყავდა-ხელსაყრელ სიტუაციას ელოდა ადრედასახული მიზნების განხორციელებისავის. (დუმბაძე 1973:  699) 5) ამ დროის მანძილზე ქვეყანამ  გადაიტანა (1785წ) ომარ ხანის შემოსევა და მოხდა რუსეთ-თურქეთის მეორე ომი (1787-1791წწ), დასრულებული იასის დაზავებით, რუსეთის ყირიმზე გამარჯვებით. 6) იმედგადაწურული მეფე 1786 წლის 12 სექტემბერს ახალციხის საფშოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას აფორმებს. მოკავშირეები ამიერიდან ხელს იღებდნენ ერთიმეორის მტრობაზე. ახალციხის ფაშასთან ასეთი დაზავებით ერეკლემ ერთმანეთთან შეათავსა რუსთა ჯარის ყოფნა თავის სამეფოში და სამშვიდობო ურთიერთობის დამყარება ოსმალეთის საფაშოსთან (იქვე 1973: 709) მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე 1793-94წწ,  როგორც ამას ხოჯავანა იუწყება, სტამბულში აგზავნის ელჩს და ისახ ფაშასაც გაურიგდა. ამ დროს, ოსმალეთი თვითონ აქეზებდა აღა-მაჰმად-ხანს ქართლ-კახეთში ირანის ძველი ბატონობის აღდგენისათვის. ოსმალეთს აღმოსავლეთ საქართველოში სუსტი ირანის გავლენა ერჩია, ვიდრე ძლერი რუსეთის გაბატონება. (იქვე 1973: 755)

1795.12 ენკენისთვ. მეფე ერეკლეს მოშლა თქვეს და შვილების დახოცვა. 1795.3. ღვინობის. მეფე ერეკლეს გამოჩენა და გორს მოსვლა თქვეს. 1795.23. ერეკლეს ელჩი მოვიდა ფაშასთან. 1796. 18. რუსის და ერეკლე მეფის ელჩები მოვიდნენ. რუსმან ფაშა ნახა. 31. რუსის ელჩი წავიდა. 6. თებ. ქართლის ელჩი არზრუმს წავიდა. 31. ქართველი ელჩის დახვდომა თქვეს. 1797.15. რუს ხელმწიფის ეკატერინეს სიკვდილი ითქვა. 1797.8 ელჩი მოვიდა ქართლითგან.  გურიელი, ერისთავიც მოვიდა. გადმოვარდნილი (გვარამაძე 1892: 65)

1795 წლის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა. ახალციხის სულეიმან ფაშამ, რომელიც საქართველოზე ლაშქრობის დროს სურსათით ესხმარებოდა აღა-მაჰმად ხანს, გამარჯვებული მაჰმად ყაჯარისაგან საჩუქრად  მიიღო ქართველი ტყვეები. რუსეთის გულგრილი ქცევით შეფიქრიანებული ერკლე II, როგორც ხუცესის  „მისიონარული დღიური-წერილებიც'' ადასტურებს, საჭიროდ მიიჩნევს, სერასკირთან გამართოს მიწერ-მოწერა. ერთხნას იგი იძულებულიც

გამხდარა დათანხმებოდა ოსმალეთს მის მფარველობაში შესვლასა და მისგან სესხის მიღებაზე. (ლომსაძე 2011: 101)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიური წერილებიდან'' ირკვევა, როგორ გააქტიურდნენ ქართლ-კახეთიდან ჩასული ელჩები ახალციხის საფაშოს კარზე: 1800. 16. რუსის ელჩი მოვიდა. 1800. კაცით თბილისითგან. 1801. 25. რუსის ელჩი მოვიდა ფაშასთან. ეფრიკაშვილთან დადგა. 1800. 1. რუსის ელჩი წავიდა და ქეჰა თან გაჰყვა. 1803. 1. რუსის ჯარი გადმოვიდა კოთელიას. 1803. 4. რუსის ჯარის მოსვლა თქვეს ასპინძას. თათრის ელჩები წავიდნენ რუსთან ასპინძას. 1807.9. სულეიმან ფაშა უქეიფოდ შეიქმნა. რუსის ელჩი და ხეჩინაშვილი გაბრუნდნენ. 1807. მარტი. ჩვენი სტეფანე ქუთაისს წავიდა. რუსის ელჩი მოვიდა. რუსის ელჩი წავიდა. რუსის გამარჯვების ამბავი მოვიდა თათრებზედ განძას.

ხოჯავანას ქრონიკების 1800-1809 წლის ჩანაწერების მიღმა ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს უფერული პოლიტიკური ისტორია იწერებოდა. მეფის რუსეთის განსაკუთრებულ დაინტერესებაზე ქართლ-კახეთის მიმართ მეტყველებს მეფის მოხელის მუსინ-პუშკინის მოხსენების შემდეგი ამონარიდი: 1.შემოვიერთებთ ბუნებით მდიდარსა და უხვ ქვეყანას. 2. მთიელებს ავლაგმავთ და ამით დაცული იქნება კავკასიის ხაზი. 3. შეიქმნება ფართო ასპარეზი სპარსეთთან და თურქეთთან ვაჭრობისათვის. 4. თურქეთთან განხეთქილების შემთხვევაში რუსეთს საშუალება მიეცემა აღმოსავლეთიდან დაემუქროს როგორც თურქეთს, ისე ირანს. 5.ქართლ-კახეთის შემოერთება გამოიწვევს იმერეთისა და სამეგრელოს შემოერთებასაც. (ლომაშვილი 1992: 20) მუსინ-პუშკინის გაწერილი პუნქტები პირადაპირი მხილებაა მეფის რუსეთის ნამდვილი პოლიტიკური გეგმებისა საქართველოსთან მიმართებაში. ზოგჯერ მგონია ერეკლე II-ეს სულაც რომ არ დაედო ის ავადსახსენებელი გეორგიევსკის ტარქტატი, ჩვენი ქვეყნის ბედი, მაინც რუსეთს დაუკავშირდებოდა.

„პოლიტიკურად მოურჯულებულია ახალციხე. [საინტერესოა], ქართველების რუსების ურთიერთობებისათვის XIX საუკუნეში სარწმუნოებრივი ურთიერთობა უძლიერესი იყო. მოსალოდნელი იყო სრული გათქვეფა, რაც არაერთხელ მომხდარა, ასეთი რამ შემდეგ საუკუნეებში. ამ კონტექსტში გასაგებია, დიმიტრი ყიფიანის განცხადება რუსისა და ქართველობის იგივეობის შესახებ.'' (ბერძენიშვილი 1933: 2)

ერეკლეს სიკვდილის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს შემოერთების საკითხი ისე აქტიურად ვეღარ იდგა. რეალურ ძალას გიორგი XII ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც

ქვეყნის გარეთ, მაშინ ვეღარ ხედავდა. ისტორიული მიწა-წყლის შემოერთებისათვის ბრძოლის გზაზე საქართველოს სახელმწიფო ნადგურდებოდა. 1801 წლის 8 აგვისტოს იმპერიის სახელმწიფო საბჭოზე, სადაც საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი იხილებოდა, აღიარებულ იქნა, რომ ერთ-ერთი მიზეზი ამ ქვეყნის დაცემისა იყო 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა. დასაფიქრებელია, როდის საუბრობდა რუსული იმპერიული საზოგადოება მართალს: მაშინ, როცა კოჩუბეი და ჩარტორიისკი აკრიტიკებდნენ კნორინგის დებულებას ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების შესახებ, თუ 1801 წელსვე 8 დეკემბრის აღიარებისას. მაშინ, ეკატერინე II ერეკლეს მონაწილეობას თურქეთთან წარმოებულ ომებში გადამწყვეტ როლს რომ ანიჭებდა, თუ როდესაც იაზიკოვი რუსეთში გაგზავნილ პატაკში „მოღალატედ" მოიხსენიებდ ჩვენს მეფეს.

მართლაც, ამ საკითხში სახელმწიფო საბჭოზე გამოთქმული მოსაზრება სიმართლეს მოკლებული არ იყო. (ლომსაძე 2011: 103) ერეკლე II ძალისხმევით დადებული ტრაქტატი ნამდვილად არ იყო საუკეთესო სამრთლებრივი აქტი. ის თავის თავშივე ბადებდა ორაზროვან კითხვებს. ბაგრატიონი მეფის სამართლებრივი ძალის მქონე აქტით,(როგორც მომავალში გაცხადდა) ცარიზმს ქართველი ხალხის მანდატით, გზა ხსნილი ჰქონდა არა მარტო ქართლ-კახეთში, არამედ მთელ საქართველოსა და კავკასიაში. ისტორიამ და ვერაგმა პოლიტიკამ ერეკლე მეორე გეორგიევსკის ტარქტატამდე მიიყვანა, იმ ტარქტატამდე, რომელიც დღემდე პოლემიკის, კრიტიკის, მკაცრი განსჯის თემაა ისტორიულ საზოგადოებაში.

„მართლშეგნება და სამართლებრივი ნორმები, რითაც ხელმძღვანელობდნენ საქართველო და რუსეთი ტრაქტატის დადებისას, დამახასიათებელი იყო ფეოდალური ეპოქის საერთაშორისო სამართლისათვის. ეს იყო ხელშეკრულება ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს მფარველობაში უფრო სუსტი სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შესვლის შესახებ." (პაიჭაძე 1983: 7) და მაინც, ერკეკლე მეორე თავისი დროის გამორჩეული საზოგადო მოღვაწე იყო. გ.ქიქოძის ნაშრომში ერთადაა თავმოყრილი შემდეგი გამონათქვამები ერეკლეზე: 1. ე მ ი ნ ი-ის ძლიერია სულითაც და სხეულითაც. მასთან საუბარი ისეთივე სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელი იყო, როგორც ინგლისელ ჯენტლმენთან. არსასდროს არ ტრაბახობდა... 2. ბ უ ტ კ ო ვ ი-ერეკლე მეფემ თავისი წარჩინებული გონებით ისეთ მნიშვნელოვან სიმაღლეზე აიყვანა საქართველო, რომ ეს ქვეყანა ცნობილი გახდა მეზობელ სახელმწიფოებისთვის. 3. ლ ე ს ი ნ გ ი-ერეკლე

დაისახა მამაც ვაჟკაცად, რომელმაც სპარსეთი მოსდრიკა და დღეს თუ არა ხვალ თურქეთის კარიბჭეში შეიჭრება. (ქიქოძე 1958: 134-135)

პროგრესულად მოაზროვნე, თავისუფლების მოსურნე მეფე ერეკლე, მიუხედავად მისი განსაკუთრებული დამსახურებისა ქართველის ხალხის წინაშე, დამარცხდა არა მარტო კრწანისში, არამედ დიდ პოლიტიკაშიც. ერეკლე მეფის გარდაცვალებაზე „მისიონარულ დღიური-წერილებში'' ვკითხულობთ:24. გოლა ფაშა ქეჰათ შეიქმნა.მეფე ერეკლეს სიკვდილი თქვეს.(გვარამაძე 1892: 97) ლექსები და თქმულებები ერეკლე მეფეზე უხვად მოიპოვება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ჩვენ მათზე მსჯელობას არ ვაპირებთ. თუმცა, თემაზე მუშაობისას იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძის'' შესწავლისას, ყურადღება შემდეგმა ეპიზოდმა მიიქცია: „ღმერთმან განამრავლოს მეფის ერეკლეს დღე და მიაგოს მრავალი კეთილი აქაცა და საუკუნოსაცა. რაც მან ჩემზე მოწყალება ჰქმნა, სხვას ვის უქმნია! ხათრი ჰქონდა დედისა...ასე მეპყრობოდა ამ სამ წელიწადს, რომ არც ის გააჯავრა და არც მე ამ ქვეყნიდამ დასაკარგავად ვემეტებოდი. საცოდავოაო და ვიცი, რომ რუსეთს დაიკარგება, მუდამ მეთხოვებაო, და ჩვენს ქვეყანას რაღა კაცის დაკლება უნდა. (ქართული პროზა 1983: 604)ერთი შეხედვით უბრალო ფრაზა, მრავლისმთქმელია და ერეკლე მეორის ხასითის მთავარ ასპექტზე მიგვანიშნებს. მრისხანე მხედართმთავრისა და მკაცრი ხელისუფალის გვერდით, მადლიანი, საკუთარ ხალხზე შეყვარებული ერეკლე მოჩანს. (ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსიდან ციტატა გამახსენდა უნებურად „საქართველოვ, შენ, ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი!'') მართლაც, უცხო ქვეყნების მოხარკეობის გამო, ვინ მოთვლის რამდენი ასეული ქართველი მხედრის სისხლია დაქცეული. ჩვენისთანა პატარა ერისათვის ბევრია, ძალზე ბევრი. მათი სიმამაცე და შეუპოვრობა, მათსავე სამშობლოს რომ მოხმარებოდა, იქნებ, ერეკლეც არ დამარცხებულიყო კრწანისში ასე საბედისწეროდ, სავალალოდ.

საქართველო მიენდო რუსეთს, როგორც სულიერად მონათესავე ქვეყანას, თორემ იგი არასაოდეს არ შემოუშვებდა რუსებს ამიერკავკასიის მთებში, რუსებისთვის არ დაღვრიდა თავისი შვილების სისხლს. (დურნოვო 1917: 2) სოლომონ I და ერეკლე II, მათ ხელში ფაქტიურად მარიონეტ მეფეებად ქცეულნი, თავადვე უწყობდნენ ხელს დიდი ხნის ნანატრი „ოსმალურ-ყიზილბაშური'' ბატონობის აღსასრულს და მეფის რუსეთის „მშვიდობის ეგიდით'' დამდგარ ძალადობას.

კავკასიაში ჩვენ უკვე მოვედით საფლავში ჩასაწოლად... არტახებში დავიწყეთ რწევა, რადგან ჩვენ კიდევ მოვიგონეთ ჩვენი დემონური ორბის სიჭაბუკე; აქედან იწყება

ჩვენი მეტეფიზიკური გენეალოგია... მაგრამ ამ ქვეყანაში სამუდამოთ დაშინდა რასის ხერხემალი და შეიქმნა ფსიქოლოგია გადარჩენის. შემდეგში საქართველოს ერთი პოლიტიკა ჰქონდა-პოლიტიკა გადარჩენისა... მაგრამ უკანასკნელი მესსიანისტური ხმალი იყო ირაკლი მეორე, რომლის მეფური სახელიც იმპერატორმა ფრიდირიხ თავის ფულზე მოაჭრევინა. ეს იყო უკანასკნელი ლომი, ს ა დ ა ვ ი თ ო სისხლიდან მყვირალი. მისი აზატხანის დამმარცხებელი ბაირახი, იყო დროშა ქართული მესსიანიზმისა. (ლეონიძე 1922: #-18)

საქართველომ XVIII საუკუნეში, რაზედაც გვიამბობს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვნესი'', **სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორის** დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საკუთარი ძალებით ვერ შეძლო სანუკვარი მიზნის მიღწევა-**მესხეთის** ისტორიული ტერიტორიების შემოერთება. **ალბათ, ჩვენი მეფეების მთავარი მისია, ფსიქოლოგიურად დაშინებული რასის პოლიტიკური ხერხემლის გადარჩენა იყო მართლაც.** მიგვაჩნია, პატარა ქვეყნისთვის- ეს უკვე **გამარჯვების ტოლფასია.** ზესახელმწიფოთა შორის დაპირისპირებათა კატაკლიზმებში, საქართველო გამუდმებით **ბეწვის ხიდზე** გადიოდა. ყოველი ახალი პოლტიკური არჩევანი, ასევე ახალ სირთულეებს ახვედრებდა ქართველ მეფეებს- ცალსახად გამართლებული დიპლომატიური გზა არსად ჩანდა! ეს იყო ჩვენი სამშობლოს ბედისწერა-არჩევანი ცუდსა და არჩევანი უარესს შორის. ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი მეფის რუსეთს დაუკავშირდა და არა მარტო სამცხის, საქართველოს ბედიც XIX საუკუნემ გადაწყვიტა.

# თავი VIII.
# ახალციხის საფაშოს როლი XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებისა'' და გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის მიმოხილვის ფონზე

გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებისა და ზრდის პროცესში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა კულტურებისა და ცივილიზაციების **დიალოგის** პრობლემამ. თვით ტერმინმა დიალოგმა უკანასკნელ ხანს გარკვეული ტრანსფორმაცია

განიცადა. თუ კი ადრე „დიალოგი"განიხილებოდა, როგორც ინფორმაციის გაცვლა, დღესდღეისობით იგი მიჩნეულია, როგორც რთული შემოქმედებითი პროცესი ორი სხვადასხვა შეგნების, ღირებულებათა მთავარი სისტემის, სხვადასხვა იდეური პოზიციების მქონე ურთიერთობებისა, რომლის შედეგადაც, შესაძლოა პრინციპულად ახალი კულტურული ფენომენის აღმოცენება. დიალოგის სუბიექტად გამოდიან არა მხოლოდ ინდივიდები, არამედ თაობები, ეთნოსები, კონფესიები, სახელმწიფოები, კულტურები და ცივილიზაციები. ( მეტრეველი 2009: 85)

„დიალოგი" და თანაც მრვალმხრივი, მართლაც მიმდინარეობდა საუკუნეების მანძილზე, ქართველებსა და ოსმალეთის მანდატით აღჭურვილ ახალციხის საფაშოს შორის, რომლის ორაზროვანი, ფრიად დამღუპველი როლი მიმართული იყო საქართველოს დასაღუპად, საზიანოდ. „მე-17 საუკუნეში საქართველოს სამხრეთის კარიც მოეშალა, ვინაიდან სამცხე-საათაბაგო ნაწილობრივ გამაჰმადიანდა და თურქეთის იმპერიის უბრალო ადმინისტარციულ ნაწილად იქცა". (ქიქოძე 1958: 90)

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, სამცხე-საათაბაგო 8 სანჯაყად (ლივა) იყო დაყოფილი: ახალციხე, ფოცხოვი, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩილდირი, პეტრა, ფანაკი და დიდი არტაანი. ლივების მიხედვით ხდებოდა რაიონებად დაყოფა: 1. ახალციხის ლივის რაიონები: მზვარე, ჩრდილი, უდე, ქვაბლიანი, აწყური, ალთუნყანა, ოცხე, ასპინძა და ჭაჭარაქი. 2. ხერთვისის--ხერთვისი, ტყიანი-ჯავახეთი, ბუზმარეთი; 3. ახალქალაქის--აკშეჰირი, თმოგვი, ნიალისყური; 4. ჩალდირის--ჯანბაზი, ქანარბელი, მგელისციხე; 5.ფოცხოვის--მზვარე, ჩრდილი; 6. პეტრას-პეტრა, ქაშვეთი; 7. ფანაკის--ფანაკი, ქიამხისი, ფანასკერტი; 8. დიდი არტაანის--მზვარე, ჩრდილი, ტყიანი რაიონი. სულ დავთრის მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში 1160 სოფელი შედიოდა. (სვანიძე 1973: 151)

ასე რომ, „გურჯისტანის ვილაიეთის" აღწერა და მისი რეესტრში გატარება აშკარად მოწმობდა, რომ ოსმალებმა საქართველოს ამ მხარეში თავიანთი წესები შემოიღეს. სწორედ ეს იყო ეროვნული ტრაგედია-საქართველოს გამაერთიანებელ და გამთიშველ ძალთა ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში, როცა ოსმალო დამპყრობთა და ფეოდალ-მოღალატეთა სახით ჩვენმა ქვეყანამ თავისი მიწა-წყლის ერთი მესამედი დაკარგა, მისი ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა. (გუჩუა 1973: 155)(იხ.დანართი #-13,#-!4,#15,)

ივ.გვარამაძის მიერ 1892 წელს, ახალციხეში გადაწერილი „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი" აღწერს XVIII-XIX ს-ის ახალციხის საფაშოს ყოფიერებას, როგორც დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში. „მისიონარულ დღიურში" უამრავი ჩანაწერი გვხვდება ერეკლე მეორეზე, ლეკთა თარეშზე, ახალციხის ფაშების უფლებამოსილ ქმედებებსა და საერთოდ, იმ დროისათვის დამახასიათებელ, ერთმანეთთან გადახლართულ სეპარატიულ თუ დიპლომატიურ გარიგებებზე. ხუცესი იოვანე,[1] პირადად იცნობდა ახალციხის ფაშებს, 1767-1777 წლებში ჰაჯი ალი ბეგის თავდასხმების გამო, იმერეთის მეფე სოლომონის კარზე მსახურობდა, 1777 წლიდან კი ახალციხის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული და ყოველდღიური ქრონიკების სახით აღწერს მესხეთში შექმნილ ვითარებას.

მნიშვნელოვანია, ყურადღება შევაჩეროთ იმ გარემოებაზე, რომ XVI საუკუნეში შექმნილი „ახალციხის საფაშო", დროთა განმავლობაში დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელიც ხდებოდა რეგიონში. XVIII საუკუნეში, ახალციხის ფაშები გარკვეულ მომენტებში, თითქმის აღარ ასრულებდნენ ცენტრიდან მიღებულ დირექტივებს. შევეცდებით, ახალციხის საფაშოს პოლიტიკური ისტორია ქრონოლოგიურ დინამიკაში წარმოვადგინოთ, რათა ერთგვარი შეჯამება მოვახდინოთ საკითხის გარშემო დაგროვილი ფაქტებისა. გავაანალიზებთ ხუცესის ქრონიკებს და პარალელურად შევაჯერებთ სხვა ისტორიულ ნაშრომებთან.

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები" 1763 წლის ქრონიკით იწყება. პირველივე გვერდის ისტორია ახალციხეში ჰასან ფაშას გამოჩენასთანაა დაკავშირებული: -24-ივნისსა. ახალციხეს კოკონათ იანღუნი იქმნა. -10-მკათათ. ჰასან ფაშა და ჰაჯი ალი ბეგი ჯალითგან მთაზედ ავიდნენ. -16-თებ. ჰასან ფაშა გამოცვალეს, წავიდა ახალციხიდან ჰასან ფაშა.(გვარამაძე 1892: 1) ცნობილია, რომ ჰასანი, ახალციხის ფაშად სულთანმა ჰაჯი-აჰმედის სიკვდილით დასჯის შემდეგ დანიშნა ჭირვეული სოლომონ პირველის წინააღმდეგ ბრძოლებში განცდილი მარცხისათვის. ჰასან ფაშას დროებით იბრაჰიმ-ფაშა ჩაენაცვლება, მაგრამ 1762 წლიდან პოსტს კვლავ ჰასან ფაშა უბრუნდება. ოღონდ მან დაარბიოს „დიდი და პატარა საქართველო" სტამბულის მთავრობამ სერასკირობაც კი უბოძა. (რეხვიაშვილი 1982: 72)

[1] როგორც შ.ლომსაძე უწოდებს,რადგან ის კათოლიკე მღვდელია. ნ.ბერძენიშვილი **ხოჯა ჰავანად**, ხოლო შ. ლომსაძე-**ხუცესად** მოიხსენიებენ.

ხოჯავანას ისტორიაში 1769 წლიდან ფიგურირებს სულეიმან ფაშას სახელი, რომელიც აქტიურობს ახალციხეშიც და იმერეთშიც:-26-მკათათ.სულეიმან ფაშა ქეჴიანად ახალციხეს წავიდა. -15-თიბათ.სულეიმან ფაშა, ქეჴა, მეზვერე მემი სხვანიც ქუთაისითგან ბაღდადს წავიდნენ. (გვარამაძე 1902: 2)

როგორც უკვე ვიცით, 1767 წლიდან ამ ქრონიკების ავტორი ხუცესი იოვანე იმერეთში გადადის საცხოვრებლად. ამიტომ, ამ დროიდან 1776 წლამდე, ხოჯავანა იმერეთისა და რუსეთის ურთიერთობების დეტალებს აღწერს, ხოლო 1776 წლის ნუსხაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს:-18-კათალიკოსი იოსები გელათს მიწაში მიიღეს. სახლთუხუცესი დავით აბაშიძე მეფე სოლომონისგან წავიდა ახალციხეს ფაშასთან გასარიგებლად.-5-სულეიმან ფაშის ხაზინდარი ქუთაისს მოვიდა ხვანთქრის ფარვნითა და ფაშის საჩუქრით. (იქვე 1892: 3-4) რა მნიშვნელოვანი ფრაზაა. რუსეთ-თურქეთის პირველი ომი (1768-1774წწ) სულ ორი წლის დასრულებულია და შეფიქრიანებული სტამბული წერილს, ხოლო ახალციხის ფაშა საჩუქარს აახლებენ სოლომონ პირველს.(ქუჩუკ კაინარჯის 23-ე პუნქტით ამ დროისთვის იმერეთიდან ოსმალეთში ხარკი აღარ იგზავნებოდა,ხოლო თავად იმერეთის სამეფო ოსმალეთის ფორმალურ ვასალად რჩებოდა).

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' მიხედვით, 1776 წლიდან 1782 წლამდე პერიოდში, ახალციხის საფაშოში განსაკუთრებული ძვრები არ შეინიშნება. მაგრამ სურათი მკვეთრად უარესდება 1782 წლის ქრონიკებში, რომელნიც გვიაბობენ ახალციხის საფაშოს დიდგვაროვან ჩინოვნიკებს შორის დაღვრილი სისიხლიანი ურთიერთობების ისტორიას. მაგ:-15-სულეიმან ფაშას იერლიმ უღალატა ციხე წაართვეს და ოლქობა შექმნეს. -21- სელიმ აღა მოიშალა ფაშას ჯარისგან. -1-გიორგ. ყარსელი ორი ოჯახლი მოვიდა ფაშისგან შესარიგებლად. -7-ფაშა ციხეში შემოვიდა. სულეიმან ფაშას ოჯახლებს თავები დასჭრეს. კიკინ იენიჩაღარს, ფაჰლევი აღასა და ყოჩაღი ტატაშ აღას სხვილისსა. -13-ნახევარ სულეიმანის შვილის სახლი ზასმიშათ ჰქმნეს. (გვარამაძე 1892: 8)

ხუცესი იოვანე, 1784 წელი:-22-თბილი ქალაქიდან რუსის ელჩი მოვიდა სულეიმან ფაშასთან. ფაშა ჯარით მიეგება, ციხეში დააყენეს. (იქვე 1892: 12) ამ თითქოსდა უბრალო ციტატის მიღმა ქართლ-კახეთის მეფის ორსტანდარტიანი პოლიტიკა მოჩანს: 1) ახალი გარდაცვლილია სოლომონ პირველი, რასაც ხოჯავანაც გადმოგვცემს; 2) უკვე დადებულია გეორგიევსკის ტრაქატატი რუსეთსა და ერეკლე

მეორეს შორის; 3) კიდევ ერთხელ დასტურდება რუსული დიპლომატიის მრავალმხრივობა მახლობელ აღმოსავლეთთან და კავკასიის საკითხთან მიმართებში.

1787 წლის მატიანე აფიქსირებს:-23-**სულთან ჰემიდის** სიკვდილი და სულთან **სელიმის** დაჯდომა თქვეს.8.თებერვ. ხვანთქრმან ფაშისგან ვეცხლი ითხოვა და საყდრებითგანაც. (იქვე 1892: 15) 1791 წელს გარდაცვლილა სულეიმან ფაშა, მუფთი და ყაფუჯი სტამბულს წასულან ამბების გასარკვევად და რიცხვ 22-ში საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით:-**22-ჰასან ფაშის შვილს ფაშობა მოსვლია.** (იქვე 189: 16) როგორც ჩანს, 1765 წლის დასავლეთი საქართველოს ისტორიაში აქტიურად ჩაბმული ჰასანის დამსახურება ოსმალეთმა მის მემკვიდრეებზეც განავრცო. „მისიონარული დღიური-წერილებიდან" ვეცნობით, თუ რა შემართებით მოივლის ახალი ფაშა ოლთისს, არტაანს, ახალციხეს. როგორ დადის ქორწილებში სტუმრად. 1793 წლიდან მას ჩეანაცვლა **ისახ ფაშა,** ხოლო 1795 წელს კვლავ ფაშის გამოცვლა თქვესო გვაუწყებს ხუცესი იოვანე:-21-ჩვენი ფაშის სილასტარი მოვიდა სტამბოლითგან და ადანის ფაშობის ფარვანი მოიტანა.-23- ზაბით ფაშამ ფარვანი წაიკითხა და დივანი ჰქმნა.-28-აბდალ ჰაფსი მოლა **ზაბით ფაშამ** აწყვერს მოაკვლევინა. (იქვე 1892: 17) როგორც დოკუმენტური წყაროდან მოჩანს, ეს **ზაბით ფაშა** საკმაოდ რისკიანი, შფოთიანი მმართველია. მისივე ბრძანებით ჰარიბაჯის ხელით მოკლულა სარი ქეჰა. 1798 წლიდან ახალციხის მმართველნი დიდ დაპირისპირებაში არიან ერთმანეთთან. XVIII საუკუნის ბოლო წლები ახალციხეში გართულებული შიდაფეოდალური ომებისა და შეთქმულების წლები იყო. სასახლის ხშირმა გადატრიალებებმა და ბოლომოუღებელმა შუღლმა ისე დაამძიმა მდგომარეობა, **რომ ახალციხეში რიგიანად ვერც კი გაიგეს, როგორ გაუქმდა 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო და როგორ შეუერთდა იგი რუსეთს.** (ლომსაძე 2011: 104)

არსებობს რაპორტები ლაზარევის მიერ მიწერილი გენერალ კნორინგისადმი ახალციხის ფაშების ერთმანეთთან დაუნდობელ ბრძოლებსა და თვითნებობაზე: Побъежденный Сабидъ-паша писалъ изъ сего мъестопребыванія своего письма къ Баталъ-пашъе,- яко главному въ Анатоліи, въ коихъ жалуясь на вновь прибывшаго Шерифъ-пашу и прописывая, яко-бы онъ Шерифъ, пришелъ въ Ахалцихъ безъ всякаго султанскаго фирмана,-проситъ отъ Баталъ-паши пособія.(Акты 1866: 697)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები" კიდევ უფრო საინტერსო ხდება 1801 წლის მოვლენების აღწერისას, რადგანაც სამცხე-ჯავახეთის პოლიტიკურ ვნებათაღელვაში შემოდის, ისტორიულად ასევე დამაფიქრებელი კუთხის-**აჭარის** თემა. ქრონიკები მოცემული დროისთვის გადმოგვცემს შარიფ ფაშას, აჭარელ სელიმ აღასა და ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ **ზაბით ფაშას** დაპირირსპირებების ამსახველ ისტორიულ ფაქტებს: -20-შარიფ ფაშა წავიდა ზაბიდ ფაშაზედა. აჭარელი სელიმა აღას მოსვლა თქვეს; ზაბიდ ფაშა ოლთისის ციხითგან გაუშვეს. აჭარელი სელიმ აღა კვლავ მობრძანდა. ზაბით ფაშის გაქცევაც თქვეს. მაისს აჭარელის გადმოსვლა თქვეს, **შერიფ ფაშას ფაშობისა ახალციხეს მახარობელი მოვიდა. (გვარამაძე 1892: 69)** როგორც ხოჯავანას მატიანედან ირკვევა, ამ დაპირისპირების დროს აჭარელი სელიმ აღა შერიფ ფაშას უჭერდა მხარს და მისი გამარჯვების შემდეგ თავადაც შესულა ახალციხეში ციხისთვის. (იქვე 1892: 63) შერიფ ფაშაგან გაქცეული ზაბიდ ფაშა კი ვკითხულობთ ქრონიკაში:-3-თიბათ. ზაბიდ ფაშის რუსთან წასვლა თქვესო (იქვე 1892: 70) რა შეფასება შეიძლება მიეცეს მოვლენათა ასეთ განვითარებას? ეს არის ისტორიისთვის ჩვეული პოლიტიკური სიბეცე, როდესაც თანამდებობის მაძიებელი, რადიკალურად იცვლიან ნებელობას და ახალი ქარის ქროლვსთან ერთად, დაუსრულებელი სახელმწიფოებრივი ავანტიურის მსხვერპლნი ხდებიან თვითონაც და ის ქვეყანაც სადაც „მსახურებენ". მისიონარული დღიურის 1803 წლის მატიანე გვამცნობს, რომ სელიმ აღა არ ჩამოსულა პოლიტიკური ავანსცენიდან და გარკვეული წარმატაბებისთვისაც მიუღწევია:-19-აჭარელი სელიმ აღა დიდის ჯარით წავიდა ახალციხითგან; -16-აჭარელი სელიმაღა კლდეს მობრძანდა ჯარით, რუსს ელაპარაკა და ლეკები გაისტუმრა თავიანთ ალაგას; -17-აჭარელი სელიმა აღისთვის ყიფიანისა თქვეს ფაშობის და ხალასობის მოსვლა; (გვარმაძე 1892: 72) 1801-1803 წლების ახლციხის ფაშობის მაძიებელთა ნუსხას 1803 წელს შეემატა სელიმ აღა ყიფიანი. მან,როგორც ''დღიური-წერილიბიდან'' ირკვევა, სამტროდ გადაკიდებულ ზაბიდ ფაშასა და შერიფ ფაშას შორის ჭიდილში მოიგო „რუსის გული". ის უფრო მისაღები კანდიდატი აღმოჩნდა სტამბულისთვისაც:-19-ყიფიანს მოუვიდა მუსალიმობა აჭარელი ფაშისგან; -8- ენკენის. შარიფ ფაშის მოშლა თქვეს. -21-სელიმ ფაშას თუღები და მუყარლამა მოუვიდა. (გვარამაძე 1892: 73)

„მისიონარული დღიური-წერილები" 1804 წლიდან მოვლენებში კვლავ დიდ ადგილს უთმობს ახალციხის ფაშის და აჭარლების ურთიერთობებს, თუმცა სელიმ აღას

ბედი მეტად უკუღმართად წარიმართა. აშკარაა, 1805 წლისთვის, ის როგორც ჩინოვნიკინი აღარ ესაჭიროებათ ოსმალებს. უფრო მეტი, მასში საშიშ მოწინააღმდეგეს ხედავენ და ხუცესის თხზულება გვაუწყებს: -17-1805. სელიმ აღა ყიფიანი ფაშამ მოაკვლევინა თვანგჩებს. გულო აღა მოიყვანეს და დადა აღა იმერეთს გაიქცა. (იქვე 1892: 76) ჩვენს ხელთ არსებული ხუცესის მატიანე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ბედკრული საქართველოს ბედკრული შვილების ისტორიას, დროებით რომ ხდებოდნენ რჩეეულნი, ოსმალურ-რუსული პოლიტიკის ბრძოლის გზაზე და რომელნიც, სინამდვილეში არცერთ მხარეს არ სჭირდებოდა გრძელვადიანი დიპლომატიის სარბიელზე. (ციტატის ბოლო ორი სიტყვაც მრავლისმთქმელია: „იმერეთს გაიქცაო''). 1808-1809 წლებში ქრონიკების მიხედვით, ახალციხეს სელიმ ფაშა მართავდა. ეს უკვე რადიკალურად განსხვავბული დროებაა. ახალციხის საფაშოში-მათივე ნებისა თუ **მათივე სურვილის** საწინააღმედგოდ რუსი მყარად, ძალიან მყარად გაიდგამს ფესვებს.

XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორია და თავად ხუცესის 1763-1809 წლების წერილები ცალსახად აღიარებენ **ახალციხის საფაშოს ორიგინალურ როლს** ქართველთა ცხოვრებაში. **ის ერთდროულად ებრძვის იმერეთის მეფეებს და პირიქით, იფარავს მათ დევნილობაში მყოფთ. დიდ გარიგებებში შედის ერეკლე მეფესთან და იმავდროულად, გაურბის ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.** ახალციხის ფაშების ყოფა ერთ თეატრალურ წარმოდგენას ჩამოგავს, რომლის რეჟისორს თავად ვერ გაუგია, რომელი **როლია** უფრო მნიშვნელოვანი: 1) ოსმალოფილური?! 2) პროქართული?! 3) იქნებ არცერთი და არც მეორე, **რაღაც უფრო ბუნდოვანი, მანკიერი,** შერყვნილი, „ოცდაათ''ვერცხლად შეფასებული, მდაბალი სეპარატიული სურვილებით გაჯერებული.

ხოჯავანას დღიური წერილების განხილვის ფონზე, წარმოვადგენთ, ერთგვარ ისტორიულ ქრონომეტრაჟს, თუ, რა წინააღმდეგობრივი ურთიერთობები არსებობდა იმერეთის მეფეებსა (სოლომონ პირველს, სოლომონ მეორეს) და ახალციხის საფაშოს შორის:1758 წელს იმერეთის დასალაშქრად გადმოვიდა ოსმალთა, ხუნძების და ლეკების ჯარი. მათ „გააოხრეს მთელი იმერეთი, ხოლო ქმედებამ ძარცვის ხასიათი მიიღო. ახალციხეში ბატონიშვილი სოლომონი მოვიდა საჩივრებით, რომლებიც იმერეთის მცხოვრებთ ბაღდათისა და ქუთისის გარნიზონების მიმართ ჰქონდათ. (რეხვიაშვილი 1982: 67) ამჯერად, ახალციხის ფაშის სტატუსი მშველელის როლში გვევლინება, ხოლო 1759 წელს ამ პოლიტიკურ თამაშში გამოწრთობილმა სოლომონმა, **ახალციხის ახალ**

**ფაშას იბრაჰიმს** საჩუქრები გაუგზავნა და მოლაპარაკება დაუწყო ზავზე. მოლაპარაკებას აწარმოებდა სოლომონის მეუღლე მარიამი, მეტად შორსმჭვრეტელი და გონიერი ქალი.

იმერეთის პატრიოტი მეფის **სოლომონ პირველის** ცხოვრებაში შემდეგი მახასიათებლებით გამოირჩეოდა ახალციხის საფაშო:სოლომონმა **ახალციხეში** გაქცევით უშველა თავს, ხოლო როდესაც იგი მოგვიანებით აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავის წინააღმდეგ იბრძვის, **პირიქით, ამ უკანასკნელთ** ეგულებათ **დასაყრდენად ახალციხე**. მეფემ პოლიტიკური მოსაზრებით დაიმოყვრა დადიანი, ხოლო გურიელი შემოირიგა; ამრიგად, მან ორი დიდი მოწინააღმდეგე-აბაშიძე და ერისთავი გაიმარტოვა. მიერიდან, მათ მხოლოდ **ახალციხის ფაშის** იმედიღა ჰქონდათ." **(იქვე 1982 : 53)**

თუ სოლომონის გაძლიერებამდე, ახალციხის ფაშა ინტერვალებით სთავაზობს ქართველ მეფე-მთავართ თავშესაფარს, ხრესილის ბრძოლაში, იმერთა მეფეს ახალციხე კოალიციური პრინციპით ეომება: „ამ ბრძოლაში თურქეთის ჯარის მხედართმთავრები გოლ-ფაშა, ქემხა ახალციხის ფაშა და ბაშა-აღა დახოცეს ქართველებმა."(იქვე 1982: 62)

და გრძელდება ეს ისტორიები: მაშინ, როცა კაცია დადიანი ბესარიონ კათალიკოსს სოლომონის წინააღმდეგ ახალციხის ფაშასთან აგზავნის. იმ დროს, საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ, მთელი კავკასიის მაჰმადიანობა რომ შეაშფოთა და **ახალციხის ფაშამ, ნამანმა** ელჩი გამოაგზავნა ერეკლესთან მოსარიგებლად. ახალციხე კვლავ **„ერთგული" ნავთასუყედელია არჩილ** ბატონიშვილისთვის, სოლომონსა და მის ძმებს შორის ჩამოგდებული შუღლისას. არჩილმა კავშირი გააბა **ახალციხის ფაშასა** და კაცია დადიანთან და მათ თავისი სამსახური შესთავაზა. ასევე დიდად **შეშფოთდა** ახალციხე, როდესაც შეიტყო, თუ 1773 წლის 27 ივლისს სოფ. სანგარში როგორ დადეს სამხედრო კავშირის ხელშეკრულება სოლომონმა და ერეკლემ. „ამიტომ **ფაშამ** იმერეთის წინააღმდეგ **დადიანი და აფხაზები** აამხედრა, ქართლ-კახეთს **ხუნძახის** ბატონი და **ჭარელები** დაასხა თავს, ქართლის სოფლებს ახალციხის მხრიდან **ლეკთა** რაზმები შეუსია." (რეხვიაშვილი 1982: 137) ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი არავითარ ანალიზს არ საჭიროებს. **ახალციხის საფაშოს გამოკვეთილად მოღალატური ფუნქცია სრულიად ნათელია.**

1790 წელის 11 ივლისს დავით მეფე ოსმალეთისა და ლეკთა ჯარით (ახალციხის ფაშის ხელშეწყობით) ისევ შემოიჭრა იმერეთში. სოლომონ II მომხდურს მიეგება, მაგრამ ზოვრეთის ბრძოლაში დამარცხდა და წერეთლების სათავადოს შეფარა თავი. სხვათაშორის, ეს დავით მეფეა, რომელზედაც ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ

დღიურ-წერილებში’’ ვკითხულობთ: 1795წ. 11 იანვარს დავით მეფე აქ ყვავილით მოკვდა, ახალციხეს ქრისტესიას სახლში. (გვარამაძე 1892: 58)

საინტერესო დაგვირგვინებაა სოლომონ II-ისა და ახალციხის საფაშოს ურთიერთობების ბოლო დრო, როდესაც რუსების წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს ხანის წყალთან 1500-კაციანი რაზმი მოუვიდა ახალციხის ფაშისგან. მაშინაც, როდესაც დამარცხებულ მეფეს ახალციხე ჩირაღდნებით განათებული დაახვედრეს და ხაზინიდან ფულიც გამოუყვეს. ახალციხეში შთენილი მეფე წერილებს აგზავნიდა ხონთქართან, იმერეთში, ირანში, ნაპოლეონ პირველთან. „იმერთა მეფე ჩივის, რომ რუსეთის იმპერატორმა უსამართლოდ და უკანონოდ ჩამოართვა მას სამეფო, სოლომონი სთხოვს ნაპოლეონს, ვითარცა უნივერსალურ არბიტრს გამოსარჩლებას და მფარველობას.’’ (რეხვიაშვილი 1982: 302)

იმერთა უკანასკნელმა მეფემ სული 1815 წლის 10 თებერვალს ტრაპიზონში დალია. მისი საფლავის ძეგლის მეორე მხარეს ეწერა: „განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა, ტომისგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად საქართველოს იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ შენდობას. (დადიანი 1962: 205) (ნაპოლეონ პირველი არ იყო უნივერსალური მსაჯული, სოლომონი იყო სამშობლსაგან შიშველი, ხოლო სად იყო ამ დროს სრულიად საქართველო საერთოდ, ძნელი ამოსაცნობია, თუმცა პატრიოტი სოლომონ მეორე მაინც სრულიად საქართველოს ხელისუფლად თვლიდა თავს)

აღმოსავლეთში ცარიზმის ექსპანსიური პოლიტიკა საქართველოს სინამდვილეში განმათავისუფლებელ ბრძოლად იქცა, რასაც ართულებდა რენეგატი ფაშების, რუსი მოხელეების თვითნებობა და შიდაკონფლიქტური სეპარატიზმის არსებობა. XIX საუკუნეში ახალციხის საფაშოსთვის ბრძოლის საკითხი რამოედინემე ეტაპად გამოიკვეთა:1807,1810, 1816 წლების მოვლენები, ხოლო ადრიონოპოლის 1829 წლის მოვლენები მესამე რგოლია მესხების ცხოვრებაში, თუმცა მოპოვებული წარმატებები არ პასუხობდა არც ფრონტზე მოპოვებულ წარმატებას და არც ისტორიულ სამართლიანობას. (ლომსაძე 2011: 189)

1828 წლის 16 აგვისტოდან 1829 წლამდე არსებობდა ახალციხის **ორი საფაშო:** 1) ტრადიციული **ჩილდირის**, ახალციხის საფაშო **თურქეთის** სახელმწიფოში, რომლის ფაშა იყო **ახმედ ხიხმშიაშვილი** და დროებით **ხულოში** იჯდა; 2) ახალციხის საფაშოს

დროებითი მმართველობა **რუსეთის** მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ცენტრით **ახალციხეში,** რომლი უფროსადაც დაინიშნა **ვასილ ბებუთოვი.** ბებუთოვის მმართველობის პერიოდი ხასითდება ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტით, აყრა-გდასახლებით, მათი მამულების ყიდვა-გასაჩუქრებით. (იქვე 2011: 251) ვასილ იოსების ძე ბებუთოვი (ბებუთაშვილი)(1789-1858წწ). 1809-1811 წლებში მსახურობდა საქართველოს მთავარმართებელთან, მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. 1817 წელს ახლდა ა.ერმოლოვს სპარსეთში ელჩობისას. 1825 წელს დაინიშნა იმერეთის მმართველად. 1828 წელს მონაწილეობდა (ი.პასკევიჩთან) ერთად ახალციხის აღებაში. მის შემდეგ ახალციხის მმართველად დაინიშნა. (მეტრეველი 2011: 638) (ბებუთოვის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები ახალციხის აღებისას დაწვრილებითაა განხილული ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების'' დეტალური მიმოხილვისას ჩვენს დისერტაციაში. )

შ. ლომსაძე თავის ნაშრომში ახდენს ახალციხის ფაშების შტოს შეჯამებას XVIII-ს. 40-იანი წლებიდან 1829 წლამდე:

1)ისაყ ფაშა ჯაყელი-1718—1737წწ;

2)იუსუფ ფაშა ჯაყელი-1737—1744წწ;

3.)ისაყ ფაშა ჯაყელი-1744—1745წ;

4)ჰაჯი-აჰმედ ფაშა ჯაყელი-1745—1758წწ;

5)ჰასან ფაშა ჯაყელი-1758—1759წ;

6)იბრეჰიმ ფაშა ჯაყელი-1759—1760-61წწ;

7)ჰასან ფაშა ჯაყელი-1761—1767სს(მეორედ);

8.)სულეიმან ფაშა ჯაყელი-1767-1769(პირველად);

9)ნომან ფაშა-1769—1770წწ;

10)სულეიმან ფაშა ჯაყელი-1770-1791წწ;

11)ისაყ II ფასა ჰასან ძე ჯაყელი-1791-1792წწ;

12)შერიფ ფაშა სულეიმანის ძე ჯაყელი-1792-1796წწ(პირველად);

13)იუსუფ ფაშა ჯაყელი-1796-1797წწ;

14)საბოდ მეჰმედ ფაშა ჯაყელი-1797—1801წ;

15)შერიფ ფაშა ჯაყელი-1801—1802წწ;

16)სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი-1802—1803წწ (როგორც მუსალიმი)

17)რაჯიბ ფაშა-1802-1803წწ;

18) სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი-1803-1809 (მეორედ);

19)შერიფ ფაშა ჯაყელი-1810—1812წწ (მესამედ);

20)სელიმ ფაშა ხიხშიაშვილი-1812—1815წწ (მესამედ);

21)მამედ რეშიდ ბეგი თურქი-1815—1816წწ

22)ლუფტი ალი ფაშა ჯაყელი-1817-1818წწ

23)სივასის-ჰაფიზ-ალი ფაშა-1818-1819წწ;

24)შაჰან ალი ფაშა ბანდარლი(წინ წამოსწია აჭარული ელემენტი-1819-1821წწ;

25)იჩელო აჰმად ფაშა ჯაყელი-1821-1824წწ;

26)ჰაჯი სალეჰ ფაშა ჯაყელი-1824—1825წწ;

27)ჰაჯი ყადირ ოღლი ოსმან ფაშა-1825-1826წწ;

28)რაჯებ ფაშა ჯაყელი(?)-1826-1827წწ;

29)იზმაილ ფაშა ჯაყელი(?)-1827-1828წწ;

30)ახმედ ფაშა ხიხშიაშვილი-1828—1829წწ

როგორც ამ ტაბულიდან ჩანს, სამი-ოთხი შემთხვევის გარდა, ახალციხის საფაშო ტახტზე თითქმის უცვლელად სხედან **ჯაყელთა ს**ახლის რენეგატი შთამომავალნი. შემოერთების შემდეგ **ჯაყელთა ერი შტო ქვაბლიანის სანჯაყში** დარჩა. ეს ჯაყელები XIX საუკუნეში **ათაბაგ - ქობლიანსკობით იხსენიებოდნენ. (ლომსაძე 2011: 253)**

სხვა ჟღერადობისაა „ქობალიანსკი". ჯაყელების უკომპრომისო და კეკლუცმა გვარმა XIX საუკუნეც. „მოიშალა ახალციხის საფაშოს ტახტი. ამ ტახტმა საუკუნეების განმავლობაში აწამა საქართველო. მას 600 წლის განმავლობაში ჯაყელთა გვარი ფლობდა. „ეს ტახტი ჯერ მენაპირეობდა, შემდეგ მონღოლთა კალთა გადაიფარა და ულუსიანი გახდა, მერე საათაბაგოდ იქცა და საქართველოს ცენრტალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდა. XVII საუკუნეში თურქთა მონობა მოიმკო. თურქებმა ამაყი ფეოდალები გატეხეს, მაჰამდიანობა მიაღებინეს და თავიანთ მოხელეებად (ფაშებად) აქციეს. ჯაყელების ბოლო მოდგმაც კი განდგომილი იყო ქართული პოლიტიკისაგან. 1828 წლიდან ისინი ისტორიული არენიდან ქრებიან. მათი ტახტი ფელდმარშალმა **პასკევიჩმა, როგორც რელიქვია თავის მამულში-მოგილევში გააგზავნა, სადაც დღემდეა დაცული." (ლომსაძე 2011: 177)**

1831 წლის მარტში მოხდა ახალციხის საოლქო მმართველობის გადახალისება, ხოლო 1840წ. 10 აპრილს გარდაქმნების შედეგად შეიქმნა საქართაველო-იმერეთის გუბერნია და კასპიის ოლქი.(იქვე,2011,250) გაუქმდა ახალციხის საფაშოს დროებითი

მმართველობაც. 1840წ. 10 აპრილიდან შეიქმნა ახალციხის მაზრა, რომელიც დაიყო სამ უბნად: ახალქალაქის, ხერთვისის და აბასთუმნის. ახალციხის მაზრა საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა (იქვე 2011: 254)

მეფის რუსეთის კოლონიზაციური მმართველობის უაღრესად მავნე ექსპანსიური მხარე იყო ის რომ: 1) პასკევიჩმა 1828-1829 წლებში ირანის აზერბაიჯანიდან ამიერკავკასიაში ჩამოასახლა 8249 სომეხთა ოჯახი. იმავე პასკევიჩმა თურქეთის საფაშოებიდან 1829-31 წლებში ამიერკავკასიაში გადმოასახლა ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების 6000-ზე მეტი ოჯახი. ისინი ახალციხე-ახალქალაქისა და წალკის მიწა-წყალზე დასახლდნენ. (სურგულაძე 1991: 23)

ამ საკითხზე დაფიქრებული წერს ნ.ბერძენიშვილი: ბოლოსდაბოლოს მესხეთის გამაჰმადიანებული ქართველები ერთიმეორისგან ვეღარ ანსხვავებდნენ სარწმუნოებასა და ეროვნებას. ქართველი მათთვის ქრისტიანული რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა. ამის საპირისპიროდ თავიანთ თავს ეძახდნენ მუსლიმს, ან თათარს, რა თქმა უნდა ეს „თათრობა'', რომელიც გამორიცხავდა „ქართველობას'', არ ნიშნავდა „თურქობას''. თავის ვინაობის გამოსაცალკევებლად გამონახა კიდეც უფრო დაკონკრეტებული ცნება „იერლი''-ადგილობრივი ან „ბინალი'' ამ ქვეყნის ბინადრი. ვინც იერელია, მან იცის, რომ „ის არც თურქია, არც ქურთი, არც თარაქმა, არც **ქართველი''- ი ე რ ლ ი ა**''. (ბერძენიშვილი 1956: 131)

ახალციხის ფაშების ცნობიერების შეფასებასთან ახლოსაა ვ.გურულის დასკვნა: ილიას პირველი ნაწერებიდანვე აშკარად ჩანდა, რომ მას ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდა გააზრებული ყოველივე ის, რაც დამღუპველი იყო ქართული ცნობიერებისათვის. ერთიანი საქართველოს დაშლამ, ძნელბედობის, მუდმივი ომებისა და რბევა-დაწიოკების, ფიზიკური გადარჩენისათვის დაუსრულებელი ბრძოლის ხანგრძლივმა პერიოდმა ქართული ცნობიერება ძლიერ შეცვალა. ერის ცნობიერების ასეთი ცვლილებები, ცხადია, ათასი ჯურის მტერთან იძულებითი თანაცხოვრების შედეგი იყო. (გურული 2000: 16-17)

ჩვენი ხელნაწერის, ივანე გვარამაძის მირ გადაწერილ წიგნად ქცეულ ნაშრომში, ერთი ქვეთავი ეთმობა სამესხეთოში დაწერილი ლექსების კრებულს. ხალხში მოარული, ფოლკლორული ხასიათასაა თითქმის ყველა. ახალციხის საფაშოსა და მისი ფაშების პოლიტიკურ დატვირთვაზე, ხშირი ცვალებადობის ჩვეულ მიზეზებს ვკითხულობთ მათში:

**„სოლოღა** სტამბოლს წავიდა,თავის სიმამრას ზარზედა,

ოცი დღე და ღამ იარა, ჩავიდა **ხვანთქრის** კარზედა;

სოლოღა **ჰკოცნის კალთაზედ,** ხვანთქარი ჰკოცნის თავზედა,

მეცა მყავს ერთი არაბი, განთქმული ქვეყანაზედა,

შენ,თუ იმას ეჯირითე, **თუღებს** დაგადგამ თავზედა;

**ფ ა შ ო ბ ა ს ხელში მოგცემ, იმ ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს კარზედა.''** (გვარამაძე 1892: 64) **სოლოღა ზოგადი სახელია** ყველა იმ ქართველისა, რომელნიც ოსმალეთის კარის მსახურნი, მედროვენი და ტახტის მაძიებელნი იყვნენ.

**1.ხოჯა ჰავანა, ჩვეულებისამებრ, ახალი ფაშის შემოსვლისას ქვეყნის აკლებას ელის. 2. რუსი** ხოჯავანასთვის უცხოა, **ლეკი და თათარი** არც თუ აგრე **მტერი** მოჩანს; **3. ახალციხე-ოსმალების საყრედენია;** 4. ყველაფერი **ფაშა-ხონთქრის** გავლით ხდება. **(ზერძენიშვილი 1933: 351)** ლაკონური და იმავდროულად, მრავლისმთქმელია ნ.ბერძენიშვილის კომენტარი

მშფოთვარე ისტორიებით გამოირჩეოდა ახალციხის საფაშო-საინტერესო, დაბადებული ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში, შერწყმული ოსმალურ ცნობიერებასთან, განზე მდგარი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული. **ისტორიული მესხეთისა და ჯაყელების მასთან თანაცხოვრების ისტორიამ ცხადყო, ადრე თუ გვიან, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მავალთა ხვედრი, ისეთივე მკაცრი და დაუნდობელია, როგორც მათ მიერვე განვლილი ცხოვრებისეული გზა.**

## 8.1. ახალციხის საფაშოს მმართველობის სტრუქტურის საკითხისათვის

ფილოსოფიის ძირითადი დისციპლინებია---ონტოლიგია, გნოსეოლიგია აქსიოლოგია. ონტოლოგია შეისწავლის ყოფიერებას. გნოსეოლოგია იკვლევს ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების პროცესს, ადგენს მის თავისებურებას. აქსიოლოგიის შესწავლის ობიექტია ადამიანის შეფასებით-ღირებულებითი დამოკიდებულება სამყაროსთან. ღირებულებები და იდეალები განსაზღვრავენ ადამიანის საქმიანობის მიზანსა და დანიშნულებას. მაშასადამე, ყოფიერების, შემეცნების და ღირებულების

პრობლემები მოიცავს ფილოსოფიურ პრობლემატიკას. (ერქომაიშვილი 1998: 194) როდესაც ახალციხის ფაშები „მუხლჩაუხრელ" საქმიანობას ეწეოდნენ, არცერთი ზემოთჩამოთვლილი დისციპლინების შესახებ არაფერი არ იცოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ქართველნი ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ვიცნობდით „ნეოპლატონიზმის" უმთავრეს თეზისებს, ყოფიერებარეული, შემეცნებას გადაჩვეული და ღირებულებების გამთელი ვნებანი მომაკვდინებლად ზობოქრობდნენ გვიანფეოდალური საქართველოს შვილთა ცხოვრებაში.ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები" უხვი ისტორიული წყაროა ამ თვალსაზრისით. ქრონიკებში იკითხება თითქმის ყველა დიდი და მცირე თანამდებობა, რომელნიც წმინდა ოსმალური წარმოშობისანი არიან. „ოსმალური იმპერია ლენური სახელმწიფო იყო, ქვეყნის სათავეში იდგა **სულთანი**-თავი სამხედრო არისტოკრატიისა, რომლის ხელთ იყო საერო და სასულიერო მართვის სადავეები." (გაბაშვილი 1951: 135-136)

ოსმალეთის ფეოდალური სახელმწიფო სამხედრო სისტემაზე იყო აგებული, ქვეყანაც ლენებად დაყოფილი. მთელს პორტაში მხარეების მიხედვით იყო შექმნილი ფრონტების თავისი სარდლებით-**სერასკირით.** სერსაკირი აღებულ მხარეში სულთანის მოადგილედ-**„ვალად"** იწოდებოდა. სერასკირს ემორჩილებოდნენ ბეგლარ-ბაგები (ბეილარ-ბეგები.) მაგალითად, ანატოლიის მხარის ფრონტის სერასკირი არზრუმში იჯდა. **არზრუმის სასერასკიროში შედიოდა ახალციხის მხარეც.** ოსმალეთის სახელმწიფოში მმართველობის ძირითად ერთეულს შეადგენდა ეიალეთი (ვიალიეთი.) ვილაიეთის სათავეში იდგა სამხედრო და სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი **ფაშა,** რომელსაც **ორი ან სამი თუღი** ჰქონდა. სამთუღიანი ფაშა **ვეზირის** უფლებებით სარგებლობდა და ვეზირადაც ითვლებოდა. ჩილდირის (იგივე ახალციხის) ვილაიეთის ფაშებს XVIII-ს-ის დასაწყისიდან უმეტესად სამ-სამ- თუღი ჰქონდათ. ზოგი მათგანი დიდი ვეზირად(ბოაორგ, კოჯა) და მცირე(ქუჩუკ) ვეზირად იწოდებოდა. სამთუღიანი ფაშები იყვნენ ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში" მოქმედი პირები: XVIII საუკუნეში ისაყ-ფაშა და XIX საუკუნეში სელიმ ხიმშიაშვილი. (ლომსაძე 2011: 190)

ახალციხის ფაშას ორი რეზიდენცია ჰქონდა. **მათგან მთავარი იყო ქ. ახალციხე.** „მეორე საჯდომი ათაბაგისა" იყო **ოლთისი,** „ქალაქი კარგი... ციხე მაგარი დადფიდშენი". კოლა ფაშას რეზიდენცია იყო "მცირე ქალაქი კოლა, ხოლო ჯავახეთს ფაშა კი იჯდა ნიჯგორს (ხერთვისის მახლობლად მტკვარზე), ცნობილი, მაგალითად,

შავშეთის ბეგი ჭილოვანის ხევის სამხრეთით ცხოვრობდა, აჭარის ბეგი კი „მცირე ქალაქის მზგავს დაბა"ქედაში.(ჩხატარაიშვილი 1973: 489)

ფაშას მუდმივად ჰქონდა შემოსავალი სანჯყებიდან. მაგალითად: XIX საუკუნის დასწყისში, აწყვერიდან-854 ყურუში, ხერთვისისდან-2500, ახალციხიდან-2212, ასპინძიდან-432 ყურუში დასხვა ტიპის გადასახადები. საკმაოდ მდიდარი ფაშები ხშირად არ **ემორჩილებოდნენ სერასკირებს.** (ლომსაძე 2011: 193)

წარმოვადგენთ ხუცესის დღიურში დაფიქსირებულ ოსმალურ თანამდებობებს.(თანდართული ციფრები აღნიშნავს თვის რიცხვებს): 28, ორ[შაბათი] სულეიმან **ფაშა ქეჰიან გორუჯიანათ** ქუთაისიდგან ახალციხეს წავიდა; 6 შა[ბათი] **ყაფიდანს** და აბრამ აბრმიანს ცხენი გამოეგზავნა;12 ორ/შაბათი/ **ჩერიბაში** აჭარას წავიდა;14 ოთ/ხშაბთი/ თულუმბა ქეჰას ოჯახლი ზორბათ აუდგნენ;15 ხუ/თშაბთი/ **თულუმბა ქეჰა** ჯარით წავიდა ახალქალაქისკენ;19 ხუ/თშაბათი/ ახალქალაქისეკნ შიში ჩამოვარდა რუსისა და ახალქალაქიდგან ჯარი ღამით **წავიდა ქეჰა და სხვა;**15 კვ/ირე/ სული ბეგის შავშეთს მოსვლა თქვეს;16 ორ/შაბათი/ ახალციხის **ოჯახლის** ჯარი ფაშასთან ფოცხოვს წავიდა;4 შა/ბათი/ **შუბაშმან** და **იენიჩარ აღას** კაცებმან სულ ყველა საყდრები დაჩხრიკეს ათათი ყურუში და მეტიც აიღეს;28 სამ/შაბათი/ იუსუფ ფაშა **ჩოხადარი** მოვიდა;6 კვ/ირე/ სალახორი მოვიდა;27 სამ/შაბათი/ **აზრუმის შაჰარ ქეჰა** და ყამზიშვილი/?/ სომხები არტანიდგან მოიყვანეს;4 კვ/ირე/ ფაშის **ხაზინადარი** მუსტაფა აღა მოვიდა;31 კვ/ირე/ ფაშის **დელი და თვანგჩი** წავიდნენ; 8 ხუ/თშაბათი/ დელების თაინი აიღეს მიჰლებიდგან;8 კვ/ირე/ ყაფუჯი მოვიდა;**28 სამ/შაბათი/აბდალ ჰაფისი მოლა ზაბით ფაშამ აწყვერს მოაკვლევინა;**17 ოთ/ხშაბათი/ ფაშის **დელიბაშმან** და წინა ჯარმან დაიწყო წასლუა ახალციხითგან ახალქალაქისკენ ( ) და არტან ბეგი მუსალიმათ დააჯდინა;ოთხშბათი/ **ხვანთქარმან** ფაშისგან ვერცხლი ითხოვა და საყდრებიდანაც/?/;15 ხუ/თშაბათი/ სამთუღიანს ხალილ ფაშას მიეგება ჩენი ფაშა ბათუმის ფაშას;16 პა/რასკევი/ კრუხიჭამიათ ტერ გრიქორ პროვიკართან გავრიგდით;28 პა/რასკევი/ ფაშამ დელიბაშები მიიყვანა;**7 ორ/შაბათი/ სულეიმან ფაშამ ოჯახლებს თავები დასჭრა კიკიანს იენგიჩარ აღასაც;**12 სამ/შაბათი/ ჩვენს ფაშას **სარასქირობა** მოუვიდა;9 ორ/შაბათი/ დელები და თვანქჩები მოვიდნენ;31 პა/რასკევი/ **სულთან სელიმის** გადაგდება ითქვა და სულთან მუსტაფას დაჯდომა.

შესაძლებელია, **იერარქიული სქემის** ჩამოყალიბება ახალციხის საფაშოს მმართველობის სტრუქტურასთან დაკავშირებით:

1) პირველი ადგილი ეკავა **ახალციხის ფაშას** რომლის შემოსავალი XVIIს.უდრიდა 925 000 ახჩაზე მეტს.

2) ვილაიეთის უფროსის შემდეგ თავისი ღირსებით **პირველი** ადგილი ეკავა **თახტე ალაი ბეგს.** (იგი ითვლებოდა საფაშოში ყველა ალაი ბეგის, უმთავრესად სანჯაყების ბეგების უშუალო უფროსად;)

3 ) **თახტე ალაი ბეგი** ცხოვრობდა ფაშის სასახლეში;

4) ამ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ **უმეტეს შემთხვევაში საფაშო სახლის წევრები;**

5) იგი ფაქტიურად ახალციხის საფაშოს – **პირველი ვეზირი იყო;**

6) მისი სახელო აერთიანებდა **ორ** ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ-საფინანსო სფეროს: ა) იგი იყო სამხედრო საქმის გამგებელი-**ქეჰა ანუ სალახორი; ბ) დეფტერდარი ანუ ხაზინადარი;**

7) მას, როგორც სარდალს ჰქონდა საბრძოლო ოპერაციების დროს: **შეუვალი უფლებები, ხოლო როგორც სარდალს ჰყავდა თავისი ჩერიბაშები, იუზბაშები(ასისთავი), ყალაბაშები სხვა აღები.**

8) ცალკე განყოფილებად რჩებოდა: **იანიაჩარ აღა, ჯებეჯიების აღა, ცხენოსასნთა ლაშქარი, თოფჩების აღა (მეთოფეთა უფროსი).** ამ ჩამონათვალში უპირველსი---იენიჩარ აღა იყო

9) მნიშვნელოვანია, რომ **ომიანობის დროს იენიჩარ აღა ემორჩილებოდა მთავარსარდალ---თახტე ალი ბეგს**

10) სანჯაყები იყოფოდა **ლენებად** ანუ **თიმარებად;**

11) დიდი, საშუალო და პატარა თიმარი;

12 ) დიდი თიმარის სათავეში იდგა---**ზემაეთის ბეგი;**

13) ბეგის ღირსების მოპოვება შეიძლებოდა **ა) პირადი დამსახურებით, ბ) მემკვიდრეობით, გ) ყიდვით, თუ რა თქმა უნდა ფაშის ნებართვაც-„თეზეკერეც" იქნებოდა.**

14) სანჯაყები უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად **ნაჰიებადაც** ანუ **კაზებად** იყოფოდა. მის სათავეში - **სიფაჰი იდგა.**

15) ადმინისტრაციის საყურადღებო წარმომადგენელი იყო, მხარის მთავარი, **მოსამართლე - ყადი.**

16) მას ეხმარებოდა **სასულიერო პირი - მუფტი.** (ისინი უმეტესად სტამბულიდან იგზავნებოდნენ და **მზვერავების** როლსაც ასრულებდნენ.)

17) ხაზინადარებს ემორჩილებოდნენ: **ემინები, ქეთხუდები, ქათიბები.**

18) ქალაქს ჰყავდა **--მამასახლისი და მელიქი**. (ისინი ქალაქის საქმეებს განაგებდნენ.) (ლომსაძე 2011: 195-202)

ახალციხის საფაშოში დამკვიდრებული მმართველობის იერარქიული კიბე და ოსმალური სახელმწიფოებრივი მმართველობის დაგეგმარება უაღრესად გონივრულად

არის დიფერენცირებული. **ხელისუფლების გადანაწილების პრინციპი** შესაშური მიზანდასახულობითაა განსაზღვრული, რაც ვილაითების მართვის, მისი წეს-წყობილების **სიმყარისა და რეჟიმის კონტროლის საშუალებას იძლეოდა.** მკაცრად მოქმედებდა თანამედროვე სამართლებრივი ტერმინით-**ტერიტორიული ორგანიზციის ნიშანი,** რაც შემდეგს ნიშნავს: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, ვრცელდება ამ სახელმწიფოს მოქალაქეებზე და მის ტერიტორიაზე მუდმივად თუ დროებით მყოფ ყველა სხვა ადამიანზე.'' (შუშანაშვილი 1998: 3) მიუხედავად იმისა, რომ ფაშა პოლიტიკური ლიდერია, მას **მუდმივად აკონტროლებს** რამოდენიმე ქვედა რგოლი, ხოლო თავად ეს რგოლები **სასულიერო** პირების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. ამით ხდებოდა ერთგავარი **ბალანსის დამყარება საერო და სასულიერო შტოებს** შორის. **ბეგის** ღირსებისა ტიტულის მოპოვება თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული **მოქალაქეობის** მიღების წესების მსგავსად ხდებოდა. ოსმალურ-ვილაიეთური წყობილება საერთო ჯამში წარმოადგენდა ცენტრალიზებულ სამართლებრივ **მოქნილ სისტემას,** რომელსაც ჰქონდა საკუთარი ვალდებულებები ცენტრის, ანუ სტამბულის ფაშის წინაშე. ამ ჩამოყალიბებული, გამართული, ადმინისტრაციული პოლიტიკის წყალობით, **ოსმალო ფაშა** ბუნებრივად ხდებოდა, მასზე დამოკიდებული ვილაითების ბატონ-პატრონი, ბრძანებულებების გამცემი, მათი წამხალისებელი თუ დამსჯელი პირი. ასე რომ სრულიად არა არის გასაკვირი და პირიქით, **ლოგიკურიც კია ის საერთო პოლიტიკური ვითარება,** რომელიც შეიქმნა ახალციხის საფაშოში და რომელზედაც საინტერესო მასალები მოიპოვება ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში''.

## 8.2. ახალციხის საფაშო, „ლეკიანობა'', დემოგრაფიული ვითარება.

ქართული სახელმწიფოსა და ლეკების ურთიერთობები მუდმივად იცვლებოდა პოლიტიკურ პერიპეტიებთან ერთად. ეს მოცემულობა ფარნავაზიდან მეფის რუსეთის დიდ პოლიტიკამდე არსებობდა. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები'' 1763-1809;1809-1842 წლების მატიანეა. ამიტომაა „მისიონარული დღიური-წერილები'' გაჯერებული: ლეკებისა და ოსმალების, ლეკებისა და იმერლების, ლეკებისა და ქართლ-კახეთის შესახებ არსებული ინფორმაციებით.

„ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრებინათ, არ გაეძარცვათ. იყენებდნენ ერთიმეორის სარბევად, აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს და ბოლოს, უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანაში ლეკები დაუპატიჯებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს, აწიოკებდნენ, ანადგურებდნენ და თან მიჰყავდათ, და თან მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოახერხებდნენ: ადამიანი, პირუტყვი, პური, იარაღი ავეჯი და სხვ." (ბერძენიშვილი 1948: 374)

ლეკიანობა არა მარტო პოლიტიკური, არამედ უფრო სოციალური მოვლენა იყო. აბრაგობა-მეკობრეობა დაღესტნელ ფეოდალთა უძველესი საქმიანობაა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში გაბნეული მათი „უმიწო თემები" ამ გზით ირჩენდნენ თავს. თავდასხმა-გატაცება მათი ჭირნახული იყო. „ლეკიანობა" ჩვენში მხოლოდ XVIII საუკუნეში არ დაწყებულა, ქვეყნის უაღრესი დაძაბუნების გამო მაშინ უფრო გახშირდა. მთიელი ტომების აბრაგობას უფრო ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მაშინ ლეკიანობა კი არა ზოგადად „მეკობრეობა ''ჰრქმევია. მაგ XVI საუკუნეში ჩვენში ყოფილა გადასახადი „მეკობრეობის მძებნელი". (კაკაბაძე 1921: 35) ასეთი მეკობრულ-მძარცველური თარეში არც მთიელი ოსებისთვის იყო უცხო, თუმცა დაღესტნელების ინტენსიური თავდასხმები, სრულიად გამორჩეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მისი საშიშროება ერთდროულად მოიცავდა პოლიტიკას, ყოფიერებას, რელიგიას.

**Аварцы**-самоназвание Маарулал(МагIарулал) буквалъно „горсы"-один из наиболее значителъных по численности народов Дагестана. Аварсы населиают в основном горную частъ Дагестанской АССР. **Хунзахский**, Гунибский, Кахибский, Гергебилъский, Гумбетовский, Цумадинский, Цунтинский, Ахвахский, Казбековский районы. А также одно селение В Рутульском районе(Кусар). Кроме того, Аварсы живут в Закатальском и Белоканском районах Азербайджанской ССР. (косвена лаврова 1960: 440)

-პირველი ჩანაწერი მათზე 1769 წლის ქრონიკაში ჩნდება ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ-დღიურ-წერილებში" და თან საინტერესო მინიშნებით:11. არჩილ ბატონიშვილი ლეკებთან ოდიშს გავიდა; 27. ლეკების შიშით ტყეში გავიხიზნეთ. ჩანაწერიდან ირკვევა, რომ იმერეთის სამეფო ლეკებს ქირაობდა სამეგრელოს მთვარის წინააღმდეგ შიდა ბრძოლებისას. გარდა ამისა, აქტიურ პოლიტიკურ ფიგურად გვევლინება არჩილ ბატონიშვილი, ერეკლე მეფის სიძე, სოლომონ I-ის ძმა, მომავალი

სოლომონ II-ის მამა. მომდევნო ქრონიკიდან ირკვევა, რომ ეს დაპირისპირებები ერთობ სისხლიანი და იმავდროულად მეკობრული ხასიათის იყო ხშირ შემთხვევაში: 6. არჩილმან მეგრელები დახოცა ივანდიდს და მრავალიც იშოვეს.

ხოჯავანას შემდეგ მატიანეში, იმერეთის იგივე მეფე პირიქით-ლეკებს იგერიებს, განდევნის თათრების დასახმარებლად მოსულებს:12. მეფემ ლეკები გააქცია მოსულნი თათრების დასახმარებლად შორაპნის ციხეზედ. მათთან თურქებიც გაიქცნენ. 1770 წლის ჩანაწერებში ლეკების თემა ქრება, თუმცა 1771 წლიდან, იკითხება ყურადსაღები ფრაზა:24 . ლეკების და თათრების ჩხუბი ყოფილა ახალციხეს და ლეკები წასულან. (1770 წელს ერეკლეს მოგებული აქვს ასპინძა, შერყეულია ტოტლებენის იმიჯი, ოდნავ დამფრთხალნი მოჩანან ლეკები და ახალციხის საფაშო. თუმცა, ორივე მათგანი მტაცებელი იყო და უმეტესად, ნადავლის გამო მოსდიოდათ ჩხუბი ერთიმეორესთან.)

ხუცესის ჩანაწერებში ლეკების გააქტიურება 1773 წლიდან შეინიშნება და ეს ბუნებრივად უკავშირდება რუსეთის მიერ, გენერალ სუხოტინის გაწვევას უკან: 1.1773 1 იანვარს მეფე ლეკებზედ წავიდა ქუთაისს. ლეკის ჯარი რომ შემოსულიყო იმერეთის მიწაში; 12. მეფე წირვაზედ მობრძანდა შვილით და თავადებით. ლეკის მოსვლა თქვეს საჩხერეს. გიორგი ბატონიშვილი წავიდა აქეთკენ. იქვე ჩნდება ქართველთა წარმატების დამადასტურებელი ციტატა: 13. ლეკების გაბრუნება თქვეს. 14. ლეკების თავები მოიტანეს ქუთაისს. იმავე წლის ქრონიკა კვლავ იუწყება „ლეკიანობას'', თუმცა, ამჯერად ქართველთა მდგომარეობა სავალალოა: 22. ქუთაისითგან ავიყარეთ ყველანი თათრისა და ლეკის შიშით. ამ ციტატიდან დასტურდება, რომ თათრებისა და ლეკების დავა ერთმანეთთან, მაინც დროებითი, იმპულსური ხასითისა იყო და რომ ისინი მომენტს არ უშვებდნენ ხელიდან, რათა გარიგებაში შესულები ერთმანეთთან, იმერეთის ასაოხრებლად წასულიყვნენ. თითქმის იდენტური ისტორია გვხვდება 1774 წლის ქრონიკაში. მაგ: 3. ქუთაისი აიყარა თათრის და ლეკის შიშისაგან. კიკნაძეები დასწვეს და დაათარეშეს. ამ ორი მაოხრებლისგან შეწუხებული სოლომონი, მტკიცედ იბრძვის: 1. თებერვ. მეფე სოლომონმა თათრის და ლეკის ჯარი დახოცა და გააფუჭა სრულად. ან 29. კუნძახის ბატონის თავის მოჭრა თქვეს; 4. ლეკებისაგან ახალქალაქის მოგლეჯა თქვეს. (ერეკლე მეფის ისტორიაში ლეკები უკვე მყარად მოიხსენიებიან- ხუნძებად, ავარებად.)

1775 წლის „მისიონარული დღიური-წერილები'' შემდეგს გადმოგვცემს: 23. რაჯაბ ლეკის ახალციხეს წასვლა თქვეს კვალად. 24.ჯოხია და სხვა ქუთათურნი ლეკებმან გაძარცვეს ქალაქის გზის ალმასის წყალზე. ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ ლეკები

თათრების გარეშე, მძარცველური, შარაგზის ყაჩაღის როლშიც ხშირად ევლინებოდნენ იმერეთს, ისევე, როგორც ქართლსა და კახეთს.

იოვანე ხუცესის დოკუმენეტები განსახვავებულ ინფორმაციასაც გვაძლევენ, სადაც მეფე სოლომონი, ამჯერად ლეკებს ურჩი გურულების შემომტკიცებისთვის იყენებს: 3. აპრილს. მეფემ ჯარი შეიყარა ლეკიანი და გურიაზედ წავიდა. ორიოდე ქრონიკის შემდეგ კი მატიანე ქუთაისზე ლეკების თავდასხმას ადასტურებს კვლავ: 21. ლეკები ქუთაისს მოიყარნენ და კვლავ საინტერესო დეტალი: 23. ახალციხის ლეკების გამოყრა თქვეს, რომ მეფემ მოიყვანა. 1776 წლის ქრონიკა: 30.ლეკები კახინაურითგან ერთიან წავიდნენ ვახნისაკენ. 3. ენკენ. ცხელიშვილი და გიორგი ლეკებს მოუკლიან ცხრა მუხლზედა. ამის შემდეგ ხოჯავაანთ იოვანე, ამ ქრონიკების ავტორი ქუთისიდან ახალციხეს იქნა გაძევებული სოლომონ პირველის მიერ. ამიტომ 1777-1784 წლენის ჩანაწერებში ლეკები ნახსენები აღარ არიან.

1784 წლიდან კი ვკითხულობთ: 11. ლეკები და თათრები დავლაზედ წავიდნენ; 20. გიორგ, ფაშა კიდევ წავიდა ახალქალაქისკენ ლეკებითა; 23. კუნძაღი ბატონი დიდი ლეკი ახალციხეს მოვიდა; 26. კუნძაღი ბატონი დიდი ლეკი მოვიდა ხალილ ბეგიანთსა დადგა; 10.ქრისტეშ. ლეკის ჯარი სულ და სხვანიც დავლაზედ წავიდნენ. ურიგო არ იქნება, შევეხოთ რამოდენიმე დეტალს: 1) მოცემული თარიღისთვის, 1784 წელს იმერეთის მეფე სოლომონ პირველი თავად ქრონიკის მიხედვით უკვე გარდაცვლილია. 2) ერეკლე II-ს მეფის რუსეთთან ტრაქტატი დადებული აქვს. 3) „1785 წელს სულეიმან ფაშამ ხუნძახის ბატონი ომარ-ხან ნარსულ ბეგის ძე მოიწვია და 500 ქისა ფული მიართვა. ომარ-ხანმა ხუნძახსა და ჭარ-ბელაქანში შეაგროვა 20 000 კაცი აგვისტოში საქართველოში შემოვიდა. ამ დროს სულეიმან ფაშას ახალციხეში ჯარი ჰყავდა შეყრილი ქართლში შესაჭრელად, ხოლო შუშის იბრეჰიმ ხანი განჯას უახლოვდებოდა, ვითომდა ერეკლეს დსახმარებლად, სინამდვილეში განჯის ხანის მიმხრობას და ერეკლეს წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა. ეს იყო ახალციხის ფაშის მიერ მოწყობილი კოალიციური ლაშქრობა საქართველოს დასასჯელად. რუსთა ორი ბატალიონი, რომელიც მაშინ აქ იდგა, სრულიად უძლური იყო მოეგერიებინა მოზღვავებული მტერი. ამასობაში 1787 წელს პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა მიიღო ბრძანება საქართველოს დატოვების შესახებ. რუსთა ჯარი გავიდა საქართველოდან. მოკავშირემ აშლილ მეზობელთან კვლავ ბედის ანაბარა მიატოვა სასოწარკვეთილებამდე მისული ქვეყანა.” (ლომსაძე 2011: 97) (როგორც ვხედავთ,

ხუცესი იოვანეს ქრონიკები საკმაოდ ღირებული ინფორმაციების მატარებელია, თუმცა, თავად ავტორი, როგორც დიდი ნ. ბერძენიშვილი იტყოდა „სულისშეუძვრელად" გადმოგვცემს ყოველივეს.)

ხუცესის 1785 წლის ქრონიკა:10. ქართლში თათრის და ლეკის ჯარი მოიშალა მეტად დღეს ამბავი მოვიდა.(ცნობილია, რომ ერეკლეII-ემ დიდი ხარკის ფასად დაიხსნა თავი ომარ-ხანისაგან). 11. ლეკებმა ნაშოვარიას ხასები მოიყვანეს(ტყვე ქალები) და უკვე ჩნდება წყაროში რ უ ს ი: 26. ლეკები კიდევ მოიშალნენ რუსისაგან. „XVIII საუკუნის 50-იან წლების ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ადგილი არ იყო, რომ „ლეკი არ იდგა'',ამ ხნთა შინა დაიწყეს ცემა ოსთა ზემო ქართლს, აქვე ჩამოდგა ჯარი ლეკებისა სომხით-საბარათაშვილოში, მოარბივის ახალციხის ქვეყანა (ქ.ც.1854: 382) იყო შემთხვევბი, ლეკი აღარც ახალციხის ფაშას არ ემორჩილებოდა და პირიქით ფაშა თეიმურაზ II-ს სთხოვდა დახმარებას.

იოვანე ხუცესის 1788 წლის ნუსხა: 21. ყიზილბაშობის და ლეკების ელჩები მოვიდნენ ჩვენს ფაშასთან''. მოცემულმა ციტატამ დამაფიქრა: 1) ქრონიკებში ხუცესს შესანიშნავად აქვს გამიჯნული ერთმანეთისგან ტერმინი „თათარი'' და „ყიზილბაში''; 2) 1763 წლიდან 1788 წლის მოვლენებამდე ავტორი ერთხელც კი არ ახსენებს ყიზილბაშებს, არცერთი ფორმით; 3) ციტატის მიხედვით, ლეკის, ოსმალოს ანუ „თათრისა'' და ყიზილბაშთა სეროზა საინტერესო პერიოდში ხდება: გეგორგიევსკის ტრაქტატი დადებულია, გადატანილია ომარ-ხანის ლაშქრობა, მეფის რუსეთი ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებას ნაკლებად ჩქარობს, დაწყებულია რუსეთ-თურქეთის მეორე ომი (1787-1791წწ), რამდენიმე წელში-1795 წელს ქართველთა ცხოვრებაში ავადსახსენებელი კრწანისი უნდა დადგეს. იმ დროისთვისაც ნათელი. ხოლო დღეს ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური წყაროებიდან გამომდინარე, აშკარაა, მეფის რუსეთისა და ზემოთ ნახსენები „სამეულის'' შეთანხმებული, აგრესიული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში.

ამონარიდები „მისიონარული დღიური-წერილებიდან:10.ხუნძახ ფაშა დავლითგან ცალიერი დაბრუნდა. 28. ლეკებმან მრავალნი ნაშოვნი მოიტანეს. 6. აპრილს ლეკები რომ წასვლაზედ დადგნენ ჩვენი კაცები აიკლეს. 8. უდელი მამასახლისის შვილები და სხვანიც ლეკებმა დაიჭირეს.

1790 წლის ქრონიკა ლეკების ჩვეული თარეშის ფონზე გვაუწყებს შემდეგ ყურადსაღებ ინფორმციას: 8. დავით მეფე ლეკებით გურიისკენ წავიდა, რომ იმერეთს

ჩავიდეს, დაჯდეს მეფედო. თუ ღმერთსაც უნდა. ეს ისტორია **დავით გიორგის ძეს** ეხება, რომელსაც ტახტი 1789 წელს **დავით არჩილის** ძის გუნდმა დაათმობინა. როგორც ვხედავთ, ლეკები მუდმივ მზადყოფნაში არიან, **მათთვის სულერთია** ვის მხარეს, ან ვის წინაარმედეგ იბრძვიან. **მთავარია-ფული, დავლა,** ხოლო რაც შეეხება ქართველ მეფეებს, ისინიც „წარმატებულად" სარგებლობენ ლეკთა ბუნებით, დაუსრულებლად შედიან მათთან გარიგებაში, თუმცა ასევე მყისიერად შეუძლიათ ლეკებთან დამოკიდებულების შეცვლა. „ლეკის" ბელადები **ერეკლეს** მიმართავდნენ: **ჩვენ გვირჩევნია თქვენ დაგვიქირავოთ და მიგვისიოთ თქვენი ქვეყნის მტერს, ვიდრე სხვამ დაგვიქირავოს და თქვენი ქვეყანა გვანადგურებინოსო.** ან: იმერეთის მეფე რუსეთში სწერდა: ფული რომ იყოს, მთის ხალხი ბევრია, რომელსაც დავიქირავებთ და მტერს ჩვენი ქვეუნის საზღვარს იქით დავხვდებით, **მაგრამ ყოველი კაცი ორი თუმანი ჯდება და არა გვაქვსო. საქართველოს კი საამისო ტრადიციდაც ჰქონდა და გამოცდილებაც, რომ შესაძლებელი გამხდარიყო დაღესტნის მომხრობა."** (ლომსაძე 2011: 51) **მიზნობრივი, რელიგიური და პოლიტიკური სიჭრელით გამორჩეულ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ნამდვილად ურთულესი იყო შეჩერება იმ გადაწვეტილებაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოიყვანდა ჩიხური მდგომარეობიდან.** თავი და თავი კი ყველაფრის მაინც მუდმივად იყო, ქართველების, როგორც ერის მცირერიცხოვანება, **რეგულარი ჯარის არარსებობა,** გეოპოლიტკური ამბიციები დიდი იმპერიიებისა და რა თმა უნდა, შიდააშლილობა გარკვეულ პოლიტიკურ შეცდომებთან ერთად.

1790 წლიდან ლეკთა თემა ნაკლებად მოჩანს იოვანე ხუცესის ქრონიკებში. 1793 წლის ჩანაწერში კი ვკითხულობთ: 22. ლეკებმან მოსვლა დაიწყეს. 27. აბაშიძე ლეკებით იმერეთზედ წავიდა მეფისათვის. 21. ტეტიაშვილის საქონელს ლეკები დაუხვდნენ სვირის ტყეში. 13. ახალი ლეკები მოვიდნენ. 30. სამასიოდე უცხო ლეკი მოვიდა. უკანასკნელი ორი ფრაზა ორიგინალურობით გამოირჩევა. ქრონიკებში იოვანე ხუცესი ლეკებს უშუალოდ, შინაურულად მოიხსენიებს საომრად თუ „დავლაზედ" რომ მიდიან. მოცემულ შემთხვევაში კი მწერლის ტონში სხვა ჟღერადობაა-„უცხო ლეკნიო", თან სოლიდური რაოდენობით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ახალციხის საფაშოში 1777-1795 წლებში ლეკების გარკვეული საბრძოლო რაზმები **მუდმივად „მოსახლეობდა"**, ან „მონაპირეობდა". სხვათაშორის ამ ციტატებს მალე მოყვება ასეთი ფრაზა:13. ენკენ. **მეფე ერეკლეს მოშლა** თქვეს და შვილების დახოცვა. 13.თბილის ქალაქის აღება თქვეს.

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში" 1798 წლიდან გრძელდება ლეკთა თემა:14. ლეკებმან ქართლის ნაშოვარნი ტყვე მოიყვანეს.18. ახალი ლეკები მოვიდნენ და ტყვეებიც მოიყვანეს. 15. მარიობა. ლეკებმან ქართლითგან ტყვეები მოიყვანეს. 15. მარიობა. ლეკის ჯარის მოშლა თქვეს ქართლში. წარმოდგენილი ციტატები პირდაპირ გვიყვებიან, თუ როგორ სარგებლობენ ლეკნი ერეკლე II-ს გარდაცვალებით, როგორ ესხმიან თავს ახალციხის საფაშოდან ქართლს და რა სიხშირით ერეკებიან ტყვედ ქცეულ ქართველობას. „კვალად იძია შური სულეიმან ფაშამ და იწყო საქმობა შუშის ხანთან და დაღისტანში ომარ ხანთან და ეგრეთვე ასტეხნა ლეკნი მარბეველად ქართლისა დაფარვით, რომელიცა ჰმართლობდა თავსა მეფეს ირაკლის-თან. (ქ.ც.1854: 498) თუ ამ მოცემულობას შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ ლეკები როგორც სამხრეთ-დასავლეთით, ახალციხის საფაშოში ბუდობდნენ, ასევე მშვენივრად, დაუბრკოლებლად ახერხებდნენ ქართველთა გაყიდვას ჩრდილოეთით, სადაც ჯერ კიდევ 1475 წლიდან ყირიმის სახანოდ ქცეული შავი ზღვის რეგიონი, ტიპიური „პატარა ოსმალეთი" იყო. ორივე მიმართულება კი გზას ხსნიდა სტამბულის ცნობილი ბაზრობისაკენ. ოსმალობის დამყარებას ჩვენში მოჰყვა სპარსელებისაგან მოსყიდული და წაქეზებული ლეკების გააქტიურება ისევე, როგორც ყიზილბაშთა შემოსვლის შემდეგ თურქებიც ლეკებით ფიქრობდნენ საქმის გამოსწორებას. XVIII საუკუნეში თურქთა დახმარებით ლეკმა აბრაგებმა ახალციხის სფაშოში საიმედო ბინა დაიდეს და საქართველოს თითქმის რკალად შემიოერტყნენ. (ლომსაძე 2011: 52) (ჩვენს მიერ, ამ საკითხზე კომენტარი „დღიური-წერილების" ქრონიკების მიხევით, ზემოთ იყო ნაჩვენები, როდესაც ხოჯავანას მატიანეში ყიზილბაშთა შემოსვლა დაფიქსირდა.)

**ამდენმა ლეკიანობამ, ოსმალობამ და ცარიზმის ექსპანსიურმა პოლიტიკამ, ისედაც სავალალო მდგომრობაში მყოფი საქართველოს დემოგრაფიული ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა.** რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვეყანას აღთქმული მშვიდობა არ ეღირსა. ახალციხის მხრიდან ლეკთა შემოსევები არ წყდებოდა, რის შედეგადაც ყოველწლიურად ქართლ-კახეთში 300-მდე კომლი ნადგურდებოდა, ან უმთავრესად ახალციხეში ტყვედ იყიდებოდა.. იყო შემთხვევები, როდესაც თვით რუს სალდათებსაც ატყვევებდნენ, იტაცებდნენ მათ ცხენებს, სურსათს. (იქვე 2011: 106) ისტორიულად ერთი ქვეყნის ფარგლებში არსებული ტერიტორია, გარკვეულ ეტაპზე შეიძლება სხვა ქვეყნის ადმინისტრაციულ მმართვლეობაში მოექცეს. ეს მომენტი ბევრად განსაზღვრავს ისტორიულად ჩამოყალიბებული ერის კულტურული და ყოფითი ტრადიციების

ცვლილებას, მეორე ერთან ასიმილაციის პროცესს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს დროის ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ამიტომ რეგიონის დემოგრაფიული განვითარების პროცესების შესწავლის სისტემური კვლევის მეთოდისა და პრინციპების მომხრე ვრჩებით. XVIII საუკუნეში „დავთარში" ნახსენები 1160 სოფლიდან 368 უკაცრიელია. ამ მხრივ განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობა იყო პეტრას ლივაში(ახლანდელი ბორჯომის რაიონი)-48 სოფლიდან 41 მოსახლეობისგან მთლიანად დაცლილი იყო. (ლორთქიფანიძე 1998: 27-142)

არა მარტო კახეთის, ზემო ქართლის დემოგრაფიული სურათის დამახინჯებაშიც ლეკების განასკუთრებული წვლილია. ისინი ხომ ტყვეთა სყიდვის ხელოვანნი იყვნენ. „ლეკეთის ამ სხვადასხვა მხარეების მოსახლეობა სწორედ, რომლებმაც ამ საუკუნეში ააოხრეს კახეთი და შიდა და ქვემო ქართლი და რომლებიც ახლაც გამუდმებით დაძრწიან იქ, ხან საკუთარი სურვილით, ხან თურქი ფაშას, რომელიც ზის ახალციხეში, თურქეთის ხელში მყოფ ზემომ ქართლის მთავარ ქალაქში), წაქეზებით და დაქირავებით. ასე მაგ:მე გავიგე, რომ ჯერაც ავარის ხანი გარკვეული რაზმით დგას აჭარის მხარეში კახეთის საზღვათან. უშუალოდ რუსეთის საზღვრების მიმართ არც ავარის ხანი და არც ყაზიყუმიხის ხანი არ იჩენენ მცირე მტრობასაც კი; პირიქით, ყველანი ცდილობენ, რათა ხშირი მიმოწერით ყიზლარის კომენდატთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ. (გიულდენშტეტდტი 1962: 193) გიულდენშტედტი ცხოვრობდა მეფე ერეკლეს კარზე, სოლომონ პირველთან, იმყოფებოდა ახალციხის საფაშოში, **იცნობდა ხოჯავანთ იოვანეს ქრონიკებში დასახელებულ პოლიტიკოსებს,** ზედმიწვნით ფლობდა XVIIIს-ნის საქართველოს მძიმე სოციალურ-დემოგრაფიულ თუ სახელმწიფოებრივ ვითარებას.

ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების შესახებ ცნობები ისევ ჩვენი მტრების მიერ ჩატარებული აღწერებიდან ხდება შესაძლებელი. **1254-1256წწ. მონღოლები, 1595წ. ოსმალები, ხოლო XIX საუკუნეში მეფის რუსეთი გულმოდგინედ ადგენდენენ ქართველთა შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზას.** რა თქმა უნდა, მათ ყოველივე საკუთარი სტრატეგიისთვის ჭირდებოდათ, ხოლო ჩვენ წმინდა დემოგრაფიულ-სტატისტიკური ხედვით გვაინტერესებს მათი „ნამოღვაწარი." გაზეთ **„დროებაში"** ვკითხულობთ: სამმა წელიწადმა გაიარა, მას აქეთ, რაც მმართველობის განკარგულებით კავკასიის გუბერნიის თავ-ქალაქებში კამიტეტები დაწესდა სტატისტიკურის ცნობების შესაკრებათ. თუ სწორედ არის შეგროვებული ცხდად წარმოადგენენ ამ ქვეყნის

მდგომარეობას. კავკასიის მხარის სხვა და სხვა ნაწილებში აი რამდენი მცხოვრები და კვადრატის მილი ითვლება:

სულ ჩრდ.კავკასია---------------------4,059კვ,მ; 1,270.488 მცხოვრ.

4)დაღესტნის ოლქი------------------------------579;----------------------470,847.

**ახალციხე**: მამრ.სქ.(8,298); მდედრ,სქ(6,901));სულ ორივე(15, 199).

**ახალქალაქი:** (ჯავახეთში),მამრ.სქ(752); მდედ.სქ(708); სულ ორივე(1, 460). იქვე სტატიის ავტორი დასძენს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოსმალებს უჭირავთ კიდევ აჭარა, ლივანა, ქობულეთი, ჭანეთი და სხვა მხრეები, რომელნიც წინათ საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდნენ და სადაც ახლაც ქართველის ტომის ხალხი ცხოვრობს. ამ მხარეებზედ ჩვენდა სამწუხაროთ, **სწორე გეგოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები არა გვაქვს.** (დროება 1866: #-4) **(იგივეს ჩიოდა გ. ყაზბეგიც-ეს სოფელი ჩვენს რუკაზე დატანილი არ არისო).**

სამცხე-ჯავახეთსა და ზოგადად საქართველოში დემოგრაფიულ ცვალებადობასთან ერთად, რელიგიურ-სარწმუნოებრივი სიჭრელეც რომ მატულობდა, გაზეთი „**დროება**" ამაზეც ამცნობს მკითხველს: სხვა და სხვა სარწმუნოების მცხოვრებლების რიცხვი ქართლში, კახეთში,სომხეთში(ტფილისის გუბერნიაში, განჯის უეზდის გარდა):

1. **მართლმადიდებლური სარწმუნოებისა------------337, 269;**
2. სომხის-----------------------------------------------77, 620;
3. კათოლიკის--------------------------------------------4,153;
4. ლუთერანის-----------------------------------------3,592;
5. რასკოლნიკები---------------------------------------3, 244;
6. ებრაელები--------------------------------------------2,281;
7. **მაჰმადიანები-----------------------------------------25, 608.**

როგორც ვხედავთ, არამართლმადიდებელი მოქალაქე საქართველოში დიდ უმცირესობაში არ მოდის,ხოლო მაჰმადიანთა რაოდენობა სოლიდურადაც კი გამოიყურება. იქვე იკითხება:"რომ ამ ნაირი ცნობები იმერეთზედ, სამეგრელოზედ და აფხაზეთზედ არა გვაქვსო". (იქვე 1866: #-4)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში" 1802 წლიდან იკითხება, მნიშვნელოვანი ფრაზა, რომელიც ლეკების წინააღმდეგ, კოალიციურ დაპირისპირებას გვაუწყებს: 31. ფაშის დელი, თვანგჩი და ჯარი ლეკზედ წავიდნენ. 1806 წლის ჩანაწერი:

27. რუსებისგან **ყიზილბაშის, ლეკის და ალექსანდრის** ჯარის ძლიერ მოშლა თქვეს. განჯას იქით. ჩვენს ხელთ არსებული წყაროდან შეიძლება გარკვეული მოსაზრებების ჩამოყალიბება: 1. დაწყებულია რუსეთ-ირანის პირველი ომი (1804-1813 წლებში, რომ მომდინარეობდა;) 2. ხაზგასმულია ყიზილბაშების მცდელობა, დაიბრუნონ კავკასიაში და კერძოდ ქართლ-კახეთში წამყვანი როლი; 3. ამის დამადასტურებელია თავად ქრონიკა, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილის ირანელთა მხარეს ომში მონაწილეობას ადასტურებს 4. ეს ალექსანდრე ბატონიშვილი, დაუღალავი მებრძოლია ცარიზმის წინააღმდეგ, რომლის პლაცდარმი ირანი იყო.

1806-დან 1809 წლამდე ქრონიკებში მასალა ლეკების ნაკლებად გვხდება. 1809 წელს კი ხოჯავაანთ იოვანეც გარდაიცვალა, ამ დღიურის პირველი ნაწილის ავტორი. ჯერ კიდევ კნორინგისა და ლაზარევის ოფიციალურ მიმართვაზე-ხელი არ შეეწყოთ მძარცველთა ბანდებისათვის, რომელნიც ქართლს აწუხებდნენ, შერიფ ფაშა პასუხობდა-ლეკები ჩემს უნებურად ტყეებსა და ხევ-ხუვებში იმალებიან და მე არაფერს მეკითხებიანო. (ლომსაძე 2011: 107)

მოგვიანებით ლეკი დაივიწყა ქართველობამ, რადგან კავკასიაში გაძლირებული ცარიზმი მათთვისაც „პატრონად" გადაიქცა. XVIII საუკუნეში ე.წ. ლეკების თავისუფალი თემი ჩამოყალიბდა. 1803 წელს ეს მხარე რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა ჭარ-ბელაქნის სახელწოდებით. 1921 წლიდან კი საბჭოთა აზერბაიჯანის ფარგლებშია.; ზაქათალისა და ბელაქანის ქართულ მოსახლეობას, რომელმაც ისლამი მიიღო, ინგილოები ეწოდებათ". XIX საუკუნიდან კავკასიელი ხალხების ერთობის იდეა დავიწყებას მიეცა, ხოლო 1917-1990 წლებში დამყარებულმა საბჭოურმა რეჟიმმა, თავისი ინტერნაციონალური იდეოლოგიის პირობებში მოახდინა ამ ხალხების დაპირისპირება და კონფრონტაცია. (ჭანტურიშვილი 1993: 71)

რუსეთ-ირანის მეორე ომით (1826-1828 წლები) კასპიისპირეთში რუსეთის პოზიცია გამყარდა. ეს თურქმანჩაის დაზავებამ დაადასტურა. რაც შეეხება, რუსეთ-თურქეთის მეორე ომს (1828-1829 წწ) ადრიანოპოლის დაზავებით, ბათუმის გარდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ცარიზმის კონტროლს დაექვემდებარა: „ადრიანოპოლში დადებული ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შემოგვიერთდა ახალციხის 10 სანჯაყი, არ პასუხობდა არც ფრონტზე მოპოვებულ წარმატებას და არც ისტორიულ სამართლიანობას საქართველოს თვალსაზრისით. ამაში მთავარი ბრალი მიუძღვით ინგლის-საფრანგეთისა და გერმანია-ავსტრიის წარმომადგენლებს."

(ლომსაძე 2011: 189) **იგივე ფაქტს** ასე აფასებს აფასებს რუსული ისტორიოგრაფია:Потерю Ахалцыха Оттоманская Порта не могла не считать весьма значительною и въ военномъ и въ политическомъ отношенiй. Съ одной стороны, какъ городъ и кръепость, защищенный собственными, воинственными обитателями,-и ключь многихъ стратегическихъ выгодъ,-**Ахалцыхъ составлялъ важный пограничний оплотъ Азiятской Турцiй. („Историа вЪ Азiиатской Турций вЪ 1828-1829 годахъ", 1843: 12)**

ლეკების, რუსების, ოსმალებისა და ადგილობრივი-ჩრდილო კავკასიელების წინააღმდეგობრივი ურთიერთობების შესახებ საინტერესო კვლევა არსებობს. რუსი **ისტორიკოსის ეს შეფასებები მთლიანად თანხვედრაშია, ჩვენი ხელნაწერის „საისტორიო მისიონარული დღიური დღიური-წერილების" ქრონიკებში ასახულ ისტორიულ ვითარებასთან:** 1)первый узелЪ соединяющiй ТурковЪ сЪ **горскими народами,** естъ **продажа пленныхЪ**, которые соделалисъ для ТурокЪ необходимою потребностiю по образу ихЪ жизни. 2) Второй **магомешанской законЪ**, недавно утвердивщiйся между **Черкесами,** расрпостраняется также **вЪ Абхазiй**. 3) Третiй, **политическIе виды**, дабы всегда имеютъ способы прошиводействоватъ **Россiйской власти** вЪ Кавказе. **Горсы,** имеютЪ также **выгоды** вЪ содержанIй **союза сЪ Турками.**

Самыя требованIа ТурескихЪ начальниковЪ представляютЪ прiатныя для нихЪ виды корысти, на примерЪ впаденiе Въ Христiянскiя земли, что они весьма охотно выполняютЪ по склонности ихЪ Къ грабеху. Но колъ скоро неудача вЪ предпрiтiатяхЪ или другiя неудовольствiя производятЪ вЪ нихЪ охлажденiе кЪ Турецкой стороне, **то прекращается не толъко дружба**, но и наружные знаки оной. ИзЪ чего явствуетЪ, что естьли бы **Горцы не находили выгодЪ** своихЪ иметъ тесныя сношенiя сЪ Турками сiй **последнiе не имели бы над ними никакой власти, не смотрия на крепости и гарнизоны, по сему берегу существующiя.** (Броневский 1825: 304- 305)

ლეკები დამაფიქრებელი ბუნების ხალხია. თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, შორეული წარსულიდან „დაქირავებული მებრძოლების" სტატუსით სარგებლობდნენ, ხოლო გვიანი ფეოდალიზმის ხანაში ისეთ არასასურველ მენტალურ თვისებებს ამჟღავნებენ, რომელიც მათ ისტორიას მხოლოდ ჩრდილს აყენებს. საქართველოსთვის XVII-XVIII საუკუნეებში არასაიმედო, უფრო მეტიც-საშიში, მოღალატე მეზობლები იყვნენ. მათ კატალიზატორის როლი შეასრულეს ცარიზმთან დაახლოებაში, ხოლო

სოლომონ პირველსა  და ერეკლე მეორეს საბედისწერო პოლიტიკური შეცდომები დააშვებინეს.

**ახალციხის საფაშო და ლეკები** დანაწევრებული ქართული სამეფოს-სამთავროების აკლება-დაპირისპირებაში დიდ როლს თამაშობდნენ. **მათი მიზნები საოცრად გავს ერთმანეთს. ყველა ეპოქას თავისი პოლიტიკური სირთულეები ახლავს თან, მაგრამ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივი მიმართულებები ამ თვალაზრისით,  უაღრესად წამგებიან პოზიციაზე იმყოფებოდა გარე სამყაროსთან ურთიერთობებში.**

ლეკების პარტიზანულ, ველურ, ინტენსიურ მძარცველურ თარეშს  ჩვენს ქვეყანაში მოჰყვა: 1) **მკვიდრი მოსახლეობის დემოგრფიული სურათის** მკვეთრი ცვალებადობა; 2) გლეხური მეურნეობის მოშლა; 3) სოციალურ-ეკონომიკური დონის სწრაფი დაქვეითება; 4) ქართველი  მეფეების (ერეკლე მეფის) მარცხი პოლიტიკურ სარბიელზე.  ამიტომაა, რომ „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვნესი'' თავის ქრონიკებში ლეკთა საკითხს ასე აქტიურად აშუქებს და გვერდს არ უვლის.  ერთმანეთშია გადახლართული ოსმალეთის, ირანის, მეფის რუსეთის ზრახვანი. კავკასიაში შექმნილია წინააღმდეგობის პოლიტიკური ლაბირინთი, აშკარაა ახალციხის საფაშოს ორაზროვანი სტანდარტი, ლეკების მტაცებლური ზრახვები.

„შემზარავია ეს ლ ე კ ე ბ ი-დატანტალებენ მშიერ მგლებივით, როგორც და სადაც კი უდროვობა შეიქმნება, იქ გაჩნდებიან. ქვეყნის დანგრევის ეს სიმბოლო „ლ ე კ ი'' არავის არ უყვარს, შიშით და ზიზღით უყურებენ... **მაგრამ ჩამორჩენილ ფეოდალურ ქვეყანაში  „ლეკს'' თავისი უცვლელი ადგილი მოუპოვებია. ხოლო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა ამიერკავკასიაში ხომ კიდევ უფრო საჭიროს ხდის მათ.** ''(ბერძენიშვილი  1933: 256)

# თავი IX

# ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების" მიხედვით, XVIII-XIX საუკუნეების სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ყოფითი ცხოვრების რამდენიმე საკითხისათვის

კითხვები-თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია, სადამდე მიდის თავისუფლების ზღვარი წარსულის გააზრებისა და გადმოცემის დროს, როგორ არის შესაძლებელი შეფასდეს გარდასულ დროთა შესახებ მონათხრობის ჭეშმარიტება-ყოველთვის აწუხებდათ ისტორიულ თხზულებათა ავტორებს და მათ მკითხველს. ისტორიული ცოდნის ვერიფიკაციისა და მეთოდოლოგიის პრობლემებისადმი ინტერესი განსაკუთრებით'' პოზიტივისტური სკოლის''(XIXს. II ნახ.) წარმოშობას უკავშირდება. (ნადირაძე 2005: 12)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებზე'' მუშაობის პირველივე პერიოდიდანვე განვსაზღვრე წყაროს მთავარი მახასიათებლები, ჩამოვაყალიბე გარკვეული მეთოდოლოგია ქრონიკაზე მუშაობისთვის. მაგრამ რაც დრო გადიოდა, ვრწმუნდებოდი:**1)ისტორიული წყარო შემოქმედებით დამოკიდებულებას მოითხოვს მკლევვარისგან. 2)ყოველთვის პოულობ ახალს, სპეციფიკურს. 3)დასაწყისში ხედავ ძალიან მნიშვნელოვან მოვლენებს. 4)მხოლოდ მასალაზე მრავალჯერადი შეხებისას აგროვებ ერთი შეხედვით, არასაინტერესო და გაბნეულ ციტატებს, რომელნიც საბოლოო ჯამში, საკმაოდ მრავლისმთქმელ ისტორიულ ფაქტებზე მეტყველბენ.** მასალა, რომელსაც ამ ქვეთავში წარმოვადგენთ, სწორედ ამ მეთოდოლოგიური კონკრეტულობითაა აგებული, დამუშავებული და ზოგადად შეიძლება ვუწოდოთ - **სხვადასხვა საკითხებისათვის „მისიონარული დღიური-წერილებიდან**''.

ხოჯავანა. როგორც თავდადებული კათოლიკე, უყურადღებოდ არ ტოვებს არაფერს, რაც კათოლიკეებთან არის დაკავშირებული. იგი გვიამბობს რომის პაპების ხელდასხმაზე, სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორის დამოკდებულებაზე კათოლიკეებთან და სხვ. მაგ: 1769. თებ. XIII კლიმენტი პაპი გარდაიცვალა, აღამალიან ტერ სტაფანეს წერილით შევიტყვე. 1770. 24. აპრილს ქვიტირს მურადაშვილებისას

სადილზედ ფრა დიონისემ მითხრა XIV კლიმენტო პაპის დაჯდომა. 1775. 15 თბილისს კათოლიკობაზედ დევნულობა იყო. 1776. 18 თუთულაშვილი ანტონაი მოვიდა ქუთაისს. VI პიო პაპის დაჯდომა შევიტყვე.1781. 11. თიბათ. ქუთაისს მეფე კვალად გაწყრა და პატრებს რომ საყდარი წაართვა, თავიანთვის აკურთხებინა. 1781. 5 მაისს პატრი დომინიკე წავიდა სტამბულს.27.პატრი ფრანჩისკე მეორედ წავიდა ხოფას. 25. პატრი ვენდელიანოს ახალციხის პატრის უმფროსობა მოუვიდა. 1780. 24. პოისშვილი ტერ გრიქორი რომითგან მოვიდა. პატრი იოანე ბენედიქტი მოვიდა. 1781. 20 პატრი ფრანჩისკე ანტონი ართვინისკე გავლით სტამბოლს მანზილით წავიდა.

სოლომონ პირველის მათთან, როგორც ჩანს მორიგ გულისწყრომაზე, თბილისში კათოლიკეების დევნაზე. იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფენი, წინაპართა მსგავსად (ჩევნ ამ თემაზე ცალკე ქვეთავში დაწვრილებით ვისაუბრეთ) ერთგვარად თანამშრომლობენ კათოლიკე მისიონერებთან, მოძღვრებთან, თუმცა იგივე კათოლიკენი მეფეთა „რისხვასაც" იმსახურებენ ზოგჯერ. იმერეთის სამეფოს ისტორიაში სოლომონ პირველისა და ამ დღიურის დამწერის, ხოჯავანთ იოვანეს დაპირისპირების მიზეზი ვინმე სომეხი ვარდაპეტია: 1777. 3 აპრილს მატრიროს ვარდაპეტთან ვილაპარაკე მე ჩემის ერით მეფის წინაშე. მეფემ მოციქულობა დამიწყო ქუთაისს, საყდრისა და ერისათვის. 5. მეფემ საყდარი დამაცლევინა და მიბრძანა წადი ნუ დადგებიო. 6. თათარ აღა აბულაძე წამოვიდა და მეც თან წამოვყევ ახალციხისაკენ. წარმოდგენილი ფრაზების შემდეგ გვხვდება კიდევ უფრო სახასიათო ციტატა: 1777. 8. წახანს მოვედით. მეფემ სომხის ვარდაპეტის ქრთამისთვის, მგონია ქუთათურ კათოლიკეთ უბრძანა გაქართველება ან გასომხება. ყველამ უარი უთხრეს. რა შეიძლება ითქვას ამ ფაქტების შესახებ? 1) ხოჯავანას ქრონიკით ირკვევა, რომ 1767 წლიდნ, ჰაჯი ალი ბეგის უდეზე თავადასხმის გამო, იოვანე ხუცესი იმერეთში, მეფე სოლომონ პირველის სამეფოში ცხოვრობს. 2) „მისიონარული დღიური-წერილები" დეტალურად აღწერენ მისი, სოლომონ პირველის, ასევე მეფის შვილების ურთიერთობების ინტენსიურ ეპიზოდებს. 3) სოლომონ პირველი რატომ უჯერებს სომხის ვარდაპეტს, ბრალი გაძევებისას რაში დასდო კონკრეტულად იოვანეს, წყაროში არ იკითხება. ჩვენ მხოლოდ მეფის ქმედებიდან შეგვიძლია სავარუდო დასკვნის გაკეთება. სოლომონი ისეა კათოლიკეებზე გულმოსული, რომ საყდარი წაართვა და რწმენის შეცვლა კატეგორიულად მოსთხოვა. საინტერესოა, რას ფიქრობდა მეფე-ვითომ **გასომხებული ნაკათოლიკარი** მრევლი, უფრო ერთგული იქნებოდა მისი, როგორც იმერეთის მეფისა?!

ხოჯავანა იმდენად მიღებული და დაფასებულია სოლომონის კარზე, რომ შეუძლია სკივრი მიართვას მეფეს, ივახშმოს მასთან, კათალიკოსთან, ჯენერალთან. აზრის საკითხავად სტუმრობენ ბატონიშვილები, განსაკუთრებით ხშირად კი ალექსანდრე: 1772. 15 ალექსანდრე და ზაქარია მოძღვარი ვნახე. 28 ალექსანდრე ბატონიშვილი საყდარზე მოვიდა სანახავად. კათალიკოსი ვნახე და ვიზაასე. (ვიზჭე) 23. ალექსანდრე ბატონიშვილი მოვიდა ჩემთან. 1776. ალექსანდრე ბატონიშვილი მდივან დავითით წირვაზედ მოვიდა ქადაგების სასმენელად. (ვინ არის ზაქარია მოძღვარი, ერეკლე მეორის სამეფოდან გადახვეწილი ზაქარია გაბაშვილი? გვარით არ მოიხსენიებს იოვანე, თუმცა მას ეს სჩვევია საერთოდ. შემთხვევით, ალექსანდრე ბატონიშვილის 1778 წლის განდგომასთან ხომ არ ჰქონდა საერთო ხოჯავანას?! იგი 1777 წელს გამოისტუმრა სოლომონმა იმერეთიდან. ქრონიკები ამის შესახებ არაფერს მიგვანიშნებს. ჩვენ მხოლოდ გარკვეული მოსაზრებები დავუშვით ამ თეორიის შესახებ.)

რაც შეეხება ჩანაწერს, „1775. თბილისში კათოლკებზედ დევნულობა ითქვა'', ეს საკითხი ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ 1755 წელს იყო გამწვავებული: „1755- შეუთქვეს კახთ ანტონ კათალიკოზს ფრანგობა მტრობით და განაძეს. კვალად [განაძეს] რომის ზერნი კაპუჩინნი ქართლიდამ.'' (ჟორდანია 1967: )ცნობილია, რომ ანტონ პირველი ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო. იგი განათლების გაუმჯობესების მიზნით, დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს. ამით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა, რომელსაც სამეფო კარის მოძღვარი **ზაქარია გაბაშვილი** მეთაურობდა. მას გაკათოლიკება დასწამეს და „მწვალებლად'' გამოაცხადეს. საგანგებო საეკლესიო კრებამ 1755წ. იგი კათალიკოსობიდან გადააყენა. 1756წ. ანტონი რუსეთს გაემგზავრა, თუმცა 1764წ. ერეკლე II დააბრუნა, ხოლო საეკლესიო კრებამ კვლავ აირჩია კათოლიკოსად. (მეტრეველი 2010: 189)

ხოჯვანთ იოვანესთან, კათოლიკეებთან და ზოგადად სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიასთანაა დაკავშირებული „მისიონარულ დღიურ-წერილებში'' რამოდენიმეჯერ ნახესენებია ვინმე ცაგერელი თუ ცაგარელი: (წყაროში იკითხება ასე) 1771. 24. ყულარ აღისა და ცაგერელის შემწყვდევა ითქვა მეფე სოლომონისგან. 25 ცაგერელი წავიდა ისევ ოდიშზე. 1773. 12. ახალქალაქელი მეჩითე გოგიას სიკვდილის ამზავი მოვიდა ქუთაისს. ზანძას მომკვდარიყო. ეს ცაგერელმან გააქართველა სომხობითგან ცოლშვილითა. 22. ზისტიაშვილი არუთუნა გორს წავიდა. დადიანის ძმა, ცაგარელი და ყულარაღასი ქუთაისს მოვიდნენ წინა დღეს და ქალაქისკენ წავიდნენ.

(საყურადღებო მინიშნებაა. სოლომონ პირველი კათოლიკეების მოქცევას ვერ ახერხებს, ხოლო ცაგერელს მიუღწევია მიზნისთვის. გარდა ამისა, თავად წყარო მეტყველებს იმაზე, რომ ამ ცაგერელს **გარკვეული მის**ია ჰქონდა ახალციხის საფაშოს, სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის სამეფო კარზე).

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებზე" მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღებით წავიკითხე ის ციტატები, სადაც ხოჯავანა გვიყვება **აბანოში ჩატარებულ საეკლესიო ლიტურგიკაზე, აღსარებებზე,** შეხვედრებზე, რელიგიური ნიშნით ოჯახების ნგრევის ფაქტზე და სხვა: 1768. 7. მამუკა მდივნის სახლში ვსწირე. 1770. 30. ქუთაისს აბანოში ვსწირე. წირვაზედ მოვიდნენ კაპიტანი, ოფიცრები და გუსარები. 22. კვალად ქუთაისს მოვედი, ფრასთან აბანოში წავედი. რუსი იმერეთის მამულში მოვიდა. 1772. 16 ჩვენი ვაჟები ბაირაღ გაშლილი მოვიდნენ აბანოთგან. 1781. 11. პროვიკართან, მამსახლისთან და პატერბთან აბანოში ვახშმად ვიყავით. 2. ენკენისთ. ქუთათურ სომხებს ქართველ ცოლებს აშვებინებდნენ. (აბანო ფეოდალური ხანის საქართველოში დიდი შეხვედრების, სხვადასხვა გარიგებების პოპულარული ადგილი იყო რომ იყო, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ წირვის ჩატარების ფაქტმა კათოლიკე მღვდლის მიერ მართლმადიდებელ რუს სამხედროებთან ერთად, პიკანტური ელფერი შემატა ხოჯავანას ქრონიკებს).

ხოჯავანთ იოვანეს თხზულებაში თავმოყრილია ჩვეულებრივი ყოფითი მოვლენების, სტიქიური უბედურებების, მუსულმნთა გაქრისტიანების, აჭარლებზე თავდასხმის, საქარავნო გზებზე გარდაცვლილების, წვრილმანი ქურდობების, უბარლო ადამიანებისა და მაღალი საზოგადოების ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები: 1769. 4. პრილს. დადიანის დედოფალი ერეკლეს და ელისაბედი მიიცვალა. 17. ზოგნი კუდიანის ვარსკვლავის აღმოჩენაზედ ეჭვობენ. 28. კუდიანი ვარსკვლავი ვნახე ხონს სიგრძით სამი მხრის ოდენი. 1771. 16 რიონი ისე ადიდდა, რომ წისქვილს შემოსწვდა. 20. ქარმან ქუთაისის საყდრის ყავარი ღამით გარდაგლიჯა. 1772. 17. მეფის ბადიშთან დოჭიკისვილთან სანახავად მომიყვანეს. მიიცვალა. 12. სილიბისტრე მხატვარი რუსეთითგან ქუთაისს ელჩად მოვიდა. 20. ქრცხინვალის მოგლეჯა თქვეს. 5. სურამის მოგლეჯა თქვეს. 6. კიკიანის ბუშის სახლი დაიწვა. 1773. 21. ქუთათურებს მეფემ თითო საპალნე ღვინო სთხოვა, ჩვენს ვაჟებსაც.

1773 წლის ჩანაწერში იკითხება მეტად საინტერსო ფრაზა: 5. ქრისტეშობ. მურადაშვილი გრიგოლი უნდა შემეჩვენებინა შავის კელაპტრითა. მოგვიანებით კი

იგივე მურადაშვილზე სახალისო ციტატაა მოთავსებული: 4. მურადაშვილმან გრიგოლიმ თავის ცოლის საბანი მოწამეთელ კაცს გააყიდვინა ძველი არისო და ისევ თავის სიმამრმან იყიდა. 17. პაპაშვილმან ნამგლევი ზროხა გაყიდა და ჭამა. 1777. 25. მეფემ ტერ სააკასთან მალაპარაკა და მადავა. 1781. 24. ზემო საყდარს მოუხტნენ. თათრის ქალი რომ გაქრისტიანებულიყო სალმამ გამოიყვანა. 26. ამ ქალის გულისათვის პროვიკარი მაქანდარიანთ ტერ გრიგორი, მოქალაქე ტერ სტეფანი და სკანდარათ ტერ პოღოსი ციხეში შეიყვანეს ქეჰა ბეგთან, ყადთან და მუფთთან. 1783. 31. აპრილს გოგორასშვილს დასცემოდნენ მაჭიხელები. 1793. 24. ყალაჯაი პოღოსას ქალი თერეზინაი გათათრდა. 1797. 25. მაქანდარიანთ ტერ გრიქორისაგან მირონის გამოგზავნის წიგნი მოვიდა. 1799. 28 ამსაღამოს საათის 2-ის ნახევარზედ მიწის ძვრა იქნა. 2. აპრილს. მუგაჯი ოჰანესა გაუმჟღავნეს. ერევნითგან მომავალი ღამე ქარავანს გარეთ დარჩენილიყო და სიცივისაგან ერთ ტბის რაღაც ბორცვზედ მომკვდარიყო. 1.თიბათვ. აჭარლებმან ლაზები მოიყვანეს. 1803. 27. ლეკები დაარჩვეს ახალ რაჯიბ ფაშას ბრძანებით. 11. ჰამათ ბეგის და არტან ბეგის თავების მოჭრა და მოტანა ითქვა. 3. ქრისტეშობ. გათენებიდან საღამომდის ბევრი იწვიმა, ლეღმა იქმნა. 25. ჩვენი ლუკას სახლითგან დაკარგული ლილა, სამალაჯეები ოცხელ ტერ სტეფანის დას მოუპარია.

„მისიონარულ დღიურ-წერილებში'' ვხვდებით ცალკეულ მნიშვნელოვან დეტალებს ბაგრატიონი ბატონიშვილების ცხოვრებისა და მათი დაპირისპირებების შესახებ: **1775.** 14 გიორგი ბატონიშვილი მოკვდა. 27. დარეჯან ბატონიშვილს ქალი ეყოლა. 6. ღვინობ. არჩილ ბატონიშვილი იმერეთს კარცხს მოკვდა. 8. არჩილ გელათს მოიტანეს დასაფლავად, მაგრამ არ დაფლეს, შეჩვენებული იყო. 1778 წლის მატიანე ბატონიშვილებს შორის ატეხილ სისხლიან დავაზე გვიამბობს: 16. გიორგი ბატონიშვილის დავით ბატონიშვილი დაკოდეს და დაიჭირეს ალექსანდრე ბატონიშვილმან და მისმა კაცებმან. (იმერეთის ისტორიაში 1778 წელი ზოგადად პოლიტიკური თვალსაზრისით მტკივნეული იყო, რაზედაც სამეფო ოჯახში დატრიალებული ტარგედიები მიუთითებს, რომელთა შესახებ სხვა წყაროებთან ერთად ხოჯავანს მატიანეც გვიამბობს). ზემოთ წარმოდგენილი მასალები, ფრაგმენტულად გაბნეული „მისიონარულ დღიურ-წერილებში'', ჩვენს მიერ კომპილაციური სახით ჩამოყალიბებულნი, ვფიქრობთ, აჯამებს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მყოფი ქართლ-კახეთისა და იმერეთის, ახალციხის საფაშოსა და რუსი გენერლების, აგრეთე ადგილობრივი მოსახლეობის ყოფითი პრობლემების მრავალმხრივ ისტორიებს.

ერთ ბრძენს კითხეს:-**„რას უზამ წარსულს?** ’’- **„ფრაზებად ვაქცევო!**’’ ხოჯავანთ იოვანეც ფრაზებად ალაგებს თავის სათქმელს. მის მატიანეში აღწერილია შუა საუკუნეების საქართველოსა და მაშინდელი მსოფლიოსათვის დამახასიათებელი მძიმე ეპიდემიის-**შავი ჭირის** არსებობის მრავალი ფაქტი. „მისიონარული დღიური-წერილების’’ ამონარიდების მიხედვით, როგორც წყაროდან იკითხება, ახალციხეში ჟამი განსაკუთრებით მძვინვარებდა 1790-1785 წლებში. 1790. 19. აქ ჟამის გამოჩენა თქვეს. 6. თიბათ. პატრი იოანე ჟამისგან იმერეთს წავიდა. 22. ჟამით ბრმა თევდორეს ცოლი მიიცვალა. 5. ჟამით საძლელიანთ მეფურნის ბიჭი მოკვდა. 16. პოია ასლანასი, აიფარისი, ყაზარსი, ქართველი მოსეს ქალი და გძელისშვილი ანტონიცა ჟამით დაიხოცნენ. 24. უდეს წავედი ჟამიანობის ხუცის დასყენებლად. 9. ჟამმან მოკლება დაიწყო. 1791. 27. ქურქჩიბაშიანთა ჟამი თქვეს. 1792-94 წლის ჩანაწერებში აღარ მოჩანს ჟამიანობა, თუმცა 1795 წელს იკითხება: 26. ფაშას ვაჟიშვილი ყვავილით მოუკვდა. 1799. 4. მარტი. წითელა გაცხარდა. მრავალნი ვაჟნი მოკვდნენ. 1799. 30. ჟამი გამოჩნდა. 1. მკათ. ხიზნად წავიდნენ სოფლებში. 21. პატრი მიიცვალა. ასე მრავალნი იხოცებოდნენ ჟამითა. 13. ტერ სტეფანეს მეუღლე მიიცვალა ჟამით. ასე ქალი და კაცი იჟლიტებოდა. 15. ტერ სატეფანიც მიიცვალა ჟამით. 27. მელეშანთ ტერ გრიგოლი ავად გახდა ჟამით. ჟამი, როგორც ვერაგი და სასტიკი ეპიდემია მხოლოდ ახალციხის საფაშოს არ შეხებია. ცნობილია: ერეკლე II-ის გარადაცვალება დაემთხვა, კახეთში „შავი ჭირის’’ გავრცელებას. ეპიდემიის ჩაქრობის მოლოდინში მეფის ნეშტი თელავის სასახლეში 40 დღეს ესვენა. (ლომაშვილი 2002: 16) აქვე შევნიშნავთ, რომ 1811 წლეს იმერეთსაც დაატყდა თავს მკაცრი ზამთარი, წყალდიდობა. მასობრივ შიმშილობას მოჰყვა შავი ჭირის ეპიდემიაც, რომელიც ახალციხის მხრიდან გავრცელდა. შიმშილობამ და ეპიდემიამ მარტო ერთი წლის განმავლობაში 32 750 კაცი იმსხვერპლა. ხალხი რკოსა და ვაზის რტოების ნაფქვავით, ხის ძირებითა და ბალახით იკვებეოდა. კავკასიის მთავარმმართებელი ერმოლოვი იმერეთში შექმნილ მდგომარეობას ასე ახასიათებდა: იმერეთში მძვინვარე უძლიერესი შავი ჭირი და შიმშილი იმდენად საშინელი იყო, რომ მამები თავის შვილებს სამუდამოდ მონობაში ჰყიდდნენ ლუკმაპურისათვის, სასოწარკვეთილი დედები კი შიმშილისგან გალეულ ბავშვებს ტყეში და შარაგზაზე ტოვებდნენ. (სურგულაძე 1991: 39)

„მისიონარულ დღიურ-წერილებში’’ მძიმე სტატისტიკა გრძელდება: **21.** ჟამიანობაში შევედი, დაუსაფლავები. მრავალნი მიცვალებულნი უდეს, არალს და

ვალეს სოფლებში. ჟამიანობის შესახებ ბოლო ჩანაწერი 1828 წლით თარიღდება: 11. მიიცვალა პატრი თომა ჟამითა. იოვანე ხუცესის ქრონიკების ამ მონაცემების მიხედვით ერთგვარი დასკვნის გაკეთება შეიძლება: 1) XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე „შავი ჭირი," იგივე ჟამი სრულიად საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული. 2) მისგან თავდაღწევის ერთადრთი საშუალება გახიზვნაა, რასაც წყაროც ადასტურებს. 3) არსებული ეპიდემია ანადგურებს მოსახლეობის დიდ ნაწილს. 4) ყოველივე მეტყველებს მოცემული პერიოდის საქართველოს უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, ხოლო ეს უკანასკნელი, ბუნებრივად ახდენდა უარყოფით გავლენას არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე, შიდა მიგრაციაზე, დემოგრაფიულ ვითარებაზე.

იოვანე ხუცესს ეხერხება ერთ სიტყვაში ჩადოს თვისობრივი შინაარსი მთლიანი სათქმელისა: **გამოწლეს, გადააქალაქეს, მოიგლიჯა, იჟლიტებოდა, შეჩვენებულ იყო, კიკიანის ბუში, ბებერი კუსაი, თავწვრილი სილიბისტრე, კაციპარია თამაზა, ხრინწიანი ანნაი, ჭუჭყა კოლა** და სხვა. ის არ ხმარობს სიტყვას-**დავასაფლავე**. მისი ლექსიკაა-**დავფალ.** საინტერსეო გამოთქმას იშველიებს, როდესაც ვინმეს ახლობლის გარდაცვალებას ატყობინებს, **გავუმჟღავნეთო**-წერს ხუცესი. თანაბარი სიმშვიდით ყვება უბრალო მოკვდავებისა და ბაგრატიონების ისტორიებს: ერევნიდან დაბრუნებული ახალგაზრდის სიკვდლს და მისი **ცხენის გაშეშების ამბავს სიცივისგან** წყალში, წულუკიძეების მიერ გაბუნიების მოთხრას, რუს ხელმწიფის ეკატერინეს სიკვდილის, ღუკაზას ოჯახში ერთდროულად ორი ვაჟის და ერთი ქალის დაბადებას, აფხაზების აშლას, ქუთათურ სოხებს როგორ აშვევბიბევდნენ ქართველ ცოლებს, დადიანის დედოფლის ელისაბედის მიცვლას ერეკლეს დისა, არჩილ ბატონისშვილი როგორ მოკვდა კარცხს, მაქანდარიანთ იოვანეს ლობიოთი მოწამვლას, პატრი პოღოსას სოხუმს წასვლას და სხვა. ქრონიკაში ჩამოთვლილ სახელებში ლიდერობს: სტეფანეი, თერეზინაი, ანნაი პოღოასი. ხოჯავანას ისე უყვარს თავისიანები, რომ ძმა-ლუკა, რამდენჯერაც აზრუმს მიდის, ლოცავს: **ღ/მერთ/მან ხელი მოუმართოს,** კეთილ ჰყოს.ღთით. **სხვათაშორის მიცვალებულებს ხოჯავანა გარდაცვალებიდან მეორე დღესვე ასაფლავებს**. ჟამმა შეიწირა უამრავი ადამიანი და მათ შორის მისი დისწულის, ლუკას პატარა შვილიც. 1801-1806 წლებში ეპიდემია ჩამქრალია, მაგრამ 1807 წელს ვხვდებით: 27. **ზოზოს ქალი ჟამით მიიცვალა. 6. წლის.**

„მისიონარულ დღიურ-წერილებში" 1779 წლის ქრონიკა გვაწვდის ერთ ფრაზას, რომლის მიღმა უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ისტორია იკითხება: 1779. 11.

ენკენის. ბაქარის შვილის ალექსანდრეს მოსვლა თქვეს იმერეთს სპარსეთიდან რომ გამოიპარა. ქართლის ტახტის პრეტენდენტი ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე პეტრე III-ის მკვლელობის შემდეგ ეკატერინე II-მ პეტერბურგიდან გააძევა, რადგან მან ზედმეტი ერთგულება გამოიჩინა მოკლული იმპერატორისადმი. ერთ ხანს იგი ირანში ცხოვრობდა ქერიმ ხანისგან დახმარების მოიმედე, მაგრამ ირანის მბრძანებლის სიკვდილის შემდეგ იმედგადაწურული ალექსანდრე სასწრაფოდ წამოვიდა საქართველოში, იმერეთში გაჩნდა და ქართლში აჯანყების თადარიგს შეუდგა-1779 წელს მან ფარული კავშირი გააბა ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილო თავადებთან.(რეხვიაშვილი 1982: 152) (აქვე შევნიშნავთ, რომ იგივე ქერიმ ხანი ერეკლესთანაც „დიდ მეგობრულ'' გარიგებაში იყო. ერეკლემ ქერიმს დაუძინებელი მტერი ხელფეხშებორკილი თავრიზის მფლობელი-**აზატ ხანი** გაუგზავნა. ამ ფაქტმაც შეუწყო ხელი იმას, რომ 1762 წელს ირანის მბრძანებელი დათანხმდა ერეკლეს გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ დამჯდარიყო. თუმცა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სპარსეთის შაჰს რეზერვში, ქართული სახელმწიფოს ნგერვისათვის, გამზადებული ჰყავდა ერეკლე II-ის კონკურენტი ბაგრატიონი.) 1779 წელს იმერეთს მოსული ლტოლვილი ბატონიშვილი სოლომონ მეფემ შეიფარა. რადგან ერეკლე-სოლომონის ურთიერთობა იმჟამად საკმაოდ გამწვავებული იყო და ურთიერთშორის განაწყენებული მეფეები ერთმანეთის მტრებს ფართოდ უღებდნენ კარებს. ამის წინააღმდეგ ამბოხებული სოლომონ მეფის შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი მომხრეებით მეფე ერეკლე II-ის კარს აფარებდა თავს, თავის მხრივ, სოლომონმა შეიფარა აჯნყებული ქსნის ერისთავის შვილი ელიზბარი. სოლომონის კარზე პოვა თავშესაფარი ზაქარია გაბაშვილმა თავისი ოჯახით, როდესაც იძულებული გახდა, ქართლი დაეტოვებინა ანტონ კათალიკოსის აღდგენის შემდეგ.(რეხვიაშვილი 1982: 152) (დიდია წინაღმდეგობის პოლიტიკური კვანძი. ბრძენი სოლომონისა და გმირი ერეკლეს მეფური ინტერსებიც გადაიკვეთა რამოდენიმეჯერ. მათ ღირსეულად დაძლიეს ინტრიგებით აღსავსე პერიპეტიები, მაგრამ გათიშულობისა და დაპირისპირებების მავნე შედეგი უდავოდ ძლიერ კვალს ტოვებდა ქართული სამეფოების ვნებაარეულ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე.)

იოვანე ხუცესის თხზულება ბაგრატიონი ბატონიშვილებიდან ისტორიაში ერთობ პოპულარულ და ცარიზმათან ბრძოლაში დაუღლელ კიდევ ერთ ალექსანდრეზე გვიამბობს: 1802. 30. ალექსანდრე ბატონიშვილი მოსვლა თქვეს იმერეთითგან. 1806. 27.

რუსებისგან ყიზილბაშის, ლეკის და ალექსანდრის ჯარის ძლიერ მოშლა თქვეს განჯას იქით. ტახტის მაძიებელ ბატონიშილთაგან ალექსანდრე ერელეს ძე კავაკასიაში 1812 წლამდე შემორჩა. 1790 წლიდან 20 წლის ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე აქტიური პოლიტიკური მოღვაწე იყო და წარმატებით ასრულებდა ერეკლეს სამხედრო, პოლიტიკურ თუ სამეურნეო დავალებებს. იგი განასკუთრებული ენერგიითა და მხნეობით იყო დაჯილდოვებული. 1801 წლიდან, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის ბრძოლის მეთაურად იქცა და სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ეს ბრძოლა. 1803-1805 წლების განმავლობაში საქართველოს სამეფო სახლის წევრები თითქმის მთლიანად რუსეთში გადაასახლეს. სამეფო სახლის წევრთა გაძევება რუსეთში უაღრესად ასუსტებდა ბაგრატიონთა სამეფო ტახტის რესტავრაციისათვის მებრძოლ ფეოდალთა ბანაკს, რომლის მთავარი იმედი ირანში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო. (დუმბაძე 1973: 838)„მისიონარულ დღიურ-წერილებში'' 1806 წლიდან აღარ გვხვდება ჩანაწერი ბატონიშვილზე, თუმცა XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე, ალექსანდრე ერეკლეს ძის სახელი ყველგან ისმოდა, ხოლო 1812 წელმა თითქმის ლეგენდად შემოინახა მისი ნაბრძოლ-ნამოღვაწარი. ალექსანდრე რუსეთის ან „ევროპის'' მოწინააღმდეგე არ ყოფილა. იგი იმ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა, რომელიც რუსეთის მთავრობამ საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის მოსპობით განახორციელა. (ბერძენიშვილი 1965: 460)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები'' კიდევ ერთი მახასიათებლით გამოირჩევა, ესაა გეოგრაფიული არეალის ფართო სპექტრი. ქრონიკებში უხვადაა მასალა, რომელიც ასახელებს იმ კონკრეტულ ქვეყნებს, მხარეებს, ქალაქებსა და ციხეებს, რომელნიც სხვადასხვა თვალსაზრისით დაკავშირებულნი იყვნენ ახალციხის საფაშოსათან და იმერეთის სამეფოსთან, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე:ოდიში, ლეჩხუმი, რაჭა, გურია, ქართლი **(შევნიშნავთ, სადაც ხოჯავანა ქართლს წერს, იქვე გულისხმობს კახეთს.ლ.ქ)** არგვეთი, შავშეთი, არტაანი, აჭარა, ჯავახეთი, ტრაპიზონი, მოზდოკი, ყარსი, დარუბანდი, განჯა, ალაშკერტი, სტავროპოლი, ეჩმიაძინი, ერევანი, ქისტეთი, ჩერქეზეთი, აზრუმი, არტანუჯი, ართვინი, ფოცხოვი, ანაკლია, ფოთი, სოხუმი, სტამბული, რომი, რუსეთი, იერუსალიმი. **ციხეები:** კვარას, ხერთვისის, განჯის, ვარდიციხე, რუხის, ასკანის, ერევნის, გორდის ციხე. აგრეთვე: ალმასის წყალი, ხანდრის წვერი.) **სოფლები:** უდე, არალი, ოცხე, საჭეჭელე,

ჩარნაგეთი, საძლელი, ოფუჩხეთი, ჩხარი, ზარათი, გელათი, ქვიტირი, ცურცხათი, ვახანი, ჩიხორი, ბაჯისხევი, ვაკე, აწყვერი, მათხოჯი, მუხური, კარცხი, ბანძა, კვაჩხირი, წახანი, ველი, ნაქალაქევი, ველი, გუგუბო, ბორგვი, ურთი, ღრელი, ფხიკიური, ხიზაბავარა, თავაზა, კოთელია, სანავრდო, ხოტაჯური, სხვილისი, ღალვითი, ქურთისტანი, ხორაშანი, ივლიტა, ვალე, მაჭიხელა, ოქრობეთი, კემხელი, მოწამეთა, ივანდიდი, დიღვრითი, კვაჩხი, სათლელი, ურთელი, წყურთი, მამანელისი, დოგუშჩი, ნამაშევი, ინფქლი, ბანჯროთი. **ქალაქები:** (საქართველოში) თბილისი, ახალციხე, ახალქალაქი, ქრცხინვალი, სურამი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი, აბასთუმანი,ხერთვისი.(იხ.დანართი #-16)

„მისიონარულ დღიურ-წერილებში" წარმოდგენილი გეოგრაფიული დასახელებების მიხედვით, შეიძლება სამცხე-ჯავახეთის როგორც შიდა, ისე მეზობელ პროვინციებთან დამაკავშირებელი გზების განხილვა. გზები, რომლითაც სამცხე-ჯავახეთი უკავშირდებოდა საქართველოს დანარჩენ მხარეებს და მეზობელ პროვინციებს. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილების" აღნუსხულ მასალაში უხვადაა საქარავნო თუ პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული თავად ხუცესის, მისივე ნათესავების, ქართველი მეფეებისა და ახალციხის ფაშების გადადგილების დამადასტურებელი ფაქტები. ახალციხის, როგორც დამაკავშირებელ სტრატეგიულ ქალაქზე მეტყველებს შემდეგი არგუმენტი: ГнЪ Пейсонель предлагаль, что полезно бы было учередимтъ вЪ батумЪ главную кантору для морга **сЪ Рерсіею** чрезЪ ТифлисЪ. Будучи наслышанЪ, что сухопутная дорога отЪ **батума** до **Тифлиса** черезЪ **АхалъцихЪ,** весъма удобная.(броневский 1825: 302)

„მისიონარული დღიური-წერილები" აღწერს ქრონიკებს, რომლებშიც ამ მატიანის დამწერის, **ხუცესი იოვანეს პიროვნული, საქმიანი, სახასიათო, ყოფითი და ჯანმრთელობის** მახასითებლელბის განსაზღვრაც შეიძლება:1766. 7. ენკენისა უდის საყდრის იატაკი დავაგებინე ქვის ფილით. 1769. 4. გიორგ. კლავითგან სისხლი ამართვა ფრა დიონისემ. 1770. 18. საყდრის კეთებაში გავცივდი და ავად გავხდი. განსაკუთრებით ხშირადაა ავად ხუცესი 1772 წელს: 14. თებ. უძლურად შევიქმენ. 15. სისხლი გამოვუშვი. 16. ჯულაბი დავლიე. 8. თავით თვისით მრავალი ხაშმი ამომაღებინა პირითგან. 1. ენკენის. უძლურად შევიქმენ. 1773. 25 საყდართან ქუთაისს ვენახი და ხილი ჩავაყრევინე. 20. ხონის მთავარეპისკოპოსმა, დაბადება წააღებინა და თეთრი მომცა. უძლურად შევიქმენ. 23. ბალახის ჯულაბი დავლიე და ძლიერ მასაქმა. ყოვლად წმინდა

ღვისმშობლის ხატი ვიშოვნე. 27. ელიავა ბერმან ჭიქის ხატი გამომიგზავნა ბერძენი იოანეს ხელით. 22. ჯულაბი დავლიე. 1774. 28. ბოსტანი დავთესე. 1. მკთათვ. ხრონოგრაფის წერა დავიწყე. 20 ხრონოგრაფის წერა გავათავე. 1776. 22. ორი დიდი ქვა ჩავატანინე ხიდისთვის და დავაწყებინე ქვის დიდი ხიდი ბიძინას ბაზარში. 26. სასახლის საყდრს გულაბანდის შეკვრა და შენება დაუწყეს. 1777. 30. ავად გავხდი და დავწექ. სისხლი მომდინდა. 1791. 13 ჩვენი სახლის ოდაში ვსწირე. 1793. 3. ღვინობ. შუბაშთან ტყვედ ვიყავით. 1799. 16. ავად გავხდი და ვიწექ. ძლერი სიცხე მქონდა.

ხელნაწერიდან ჩვენს მიერ, კრებითი სახით წარმოდგენილი ციტატები მეტველებენ, თუ როგორ იღვწის ხოჯავანთ იოვანე ახალციხესა და იმერეთში, არტაანის მხარეში-საყდრების შეკეთება-აღდგენაზე, ჟამიანობაში მოსახლეობის დახმარებაზე, ხიდის მშენებლობაზე, მიცვალებულების რიგიან გაპატიოსნებაზე, ხრონოგრაფის წერაზე. თხზულებიდანვე ირკვევა, რომა მას არამყარი ჯანმრთელობა აქვს და მკურნალობის სხვადასხვა მეთოდს მიმართავს, როგორიცაა სისხლის გამოშვება, ბალახეული ნაყენის დალევა. მიუხედავად ამისა, ხუცესი თვითონ თესავს, აშენებს ხეხილს და სხვა.

„ილიასათვის ნამდვილი ისტორიკოსი წარმოუდგენელია მხოლოდ, როგორც არქივარიუსი, არამედ ჩართული უნდა და მონაწილე თანამედროვე ცხოვრებისა. ამ თვალსაზრისით, დიდად საყურადღებოა ილიასეული აზრები „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა, და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა განმკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა''. (ყორანაშვილი 2007: 102)

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები'', რომელსაც „დროის ჩანაწერებიც'' შეიძლება ვუწოდოთ პირობითად, 1763-1809 წლების სამხრეთ დასავლეთ საქართველოს მრავალმხრივი ისტორიის განხილვისთვის შესანიშნავი ძეგლია. ავტორი თავის ნაშრომში ეხება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომლითაც ცხოვრობდა XVIII-XIX საუკუნის გზაგასაყარზე მყოფი ახალციხის საფაშო, იმერეთის, ქართლ-კახეთის სამეფოები და თავად ქრონიკების დამწერი.

# დასკვნა

არის რაღაც ისტორიული ევოლუციის ძალა, ისტორიკოსისთვის გაუგებარი, რომელიც თითქოს ერთგვარად სწავლობს და მტრობს კეთილსაც და ბოროტსაც, მოკეთესაც და მტერსაც! მას არც ბედნიერება ეხარბება ვისიმე და არც უბედურთა მოდგმა აწუხებს. თუ ასე არა, განა კლარჯეთ-ხანძოეთ-ოფიზა-გარეჯ-ს წმ. სავანეებს, ამ ქართველთ იერუსალიმებს ნაცარტუტა ეყრება დღეს და წმ. მლოცველთ და სასწაულ მოქმედ ქართველთ ნაცვლად, სპარს-ოსმალოთა და ყიზილბაშთა მწყემს-ჯოგებ-ფარები იქნებიან მოკალათებულნი. (კელენჯერიძე 1913: 3)

დასკვნაში მესხეთის გეოგრაფიასა და მესხების წარმომავლობაზე, გარდა იმისა, რომ იგი ჩვენი ხელნაწერის დაბადების ადგილია, ასე დეტალურად შემდეგი ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანი) გარემოებების გამო ვამახვილებთ ყურადღებას:

1) ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში უხსოვარი დროიდან აღნუსხული, ანდრია პირველწოდებულის, წმინდა ნინოს, ცამეტი ასურელი მამის, გრიგოლ ხანძთელის, დიდი თამარის ბასიანგამოვლილი სამხრეთ დასავლეთ საქართველო, თვალსა და ხელს შუა დავკარგეთ, დაგვათმობინეს. მხოლოდ ისტორიის გაკვეთილების საგნად აქცია ბედისწერამ. დღესაც აქტუალური, სენსიტიურია ეს კუთხე ქართული პოლიტიკისთვის, მეცნირეთათვის.

2) „საისტორიო მისიონარული დღიური წერილების'' ანალიზისას, ბუნებრივად გამოიკვეთა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს მიერ განვლილი სახელმწიფოებრივი გზა. მასში თავმოყრილ პოლიტიკურ-სოიალურ-რელიგიურ თემებს, ვფიქრობთ, ერთგვარად შეაჯამებს მესხების გენეზისის საკითხი.

3) მესხეთზე ფიქრი-წარსულის დაცვა, გენეტიკური ისტორიული მეხსიერების გაცოცხლება, შელახული სახელმწიფოებრივი ღირსების აღდგენა და მომავალი თაობების წინაშე მოხდლი ვალია.

კაპადოკიის საკითხს, ისევე როგორც მრავალ დანარჩენ მტკივნეულ თემას **ილია ჭავჭავაძე** ასე აფასებდა:კაპადოკიაში ოდესღაც მართლა ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ

დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებსა და მთებს, სადაც კაპადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ (ჭავჭავაძე 1984: 791) (იხ.დანართი #-17,18,19)

არავისთვის საკმათო არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს კუთხეებიდან მცირე აზიასთან და კონკრეტულად-**კაპადოკიასთან** ყველაზე ახლო ურთიერთობა **მესხეთს** ჰქონდა. იგი ხომ ბუნებრივადაა თავის გეოგრაფიული ადგილმდებარეობით მასთან **შენივთებულ-შესისხლხორცებული.** უამრავი და პერმანენტული თავდასხმები მესხებში პატრიოტულ შეგნებას უფრო აძლიერებდა. ცნობილია, რომ საქართველოს გაერთიანების ჭეშმარიტად ეროვნული იდეა, სწორედ ტაო-კლარჯეთიდან იღებს სათავეს, მის წიაღშია დაბადებული ვეფხისტყაოსანი, აქ ლიდერობდა კულტურულ სავანეთა შორის შატბერდი, ხანძთა, ოპიზა, ოშკი, ჯმერკი, მიძნაძორი, დოლისყანა... **მაგრამ „ოსმალური აჩრდილი" წყალგამყოფი აღმოჩნდა მესხეთსა და დანარჩენი საქართველოს გვიან ფეოდალური ხანის ყოფიერებაში.**

„საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი" დაიწერა მესხეთში. იმ ზემო ქართლში, რომლის ისტორია მართლაც, შორეულ საუკუნეებში დაიწყო. რომელიც ძვ. წ.აღ.VIII ს. ურარტულ ლურსმულ წარწერებში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა შორის გვხდება დიაოხის, ზაბახას, ქათარზას, ვიძეროხის სახელებით. ფიქრობენ, რომ ისინი აღნიშნავენ ტაოს, ჯავახეთს, კლარჯეთს და სამცხის უძვლეს სახელწოდებას-ოძრახეს. (ბერძენიშვილი 2005: 204)

ლეონტი მროველის მიხედვით, ოძრხის დაარსება ლეგენდარულ მამამთავარს-ოძრახოს უკავშირდება, ხოლო საქართველოს პირველ მეფე ფარნავაზს იქ ერისთავი დაუსვამს: მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა არტაანი. მეექვსე გააგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა. მეშვიდე გაგზვნა კლარჯეთის ერისთავი, და მისცა არსიანითგან ზღუამდე და მერვე, ქუჯი იყო, ერისთავი ეგრისისა. (ქ.ც.1955: 25-26)

მესხეთის გეოგრაფიის შესახებ მნიშვნელოვანია დ. მუსხელიშვილის შეხედულებანი: „სტრაბონის „გოგარენე" და სომხური „გუგარქი"(მოსე ხორენელთან) მოიცავდა შემდეგ ქართულ პროვინციებს: ზემო ჯავახეთი, თორი (გუჯრეთის ხეობა),

თრიალეთი, ტაშირი (ალგეთისა და ხრამის აუზი), წოფი (მდ. ბანუშ-ჩაის ხეობა და დებედას ქვემო წელამდე), კოლბი (მდ. ინჯის ხეობა), ძორი (მდ. აღსტაფის ხეობა) და კანგარქი (ზამბაკის ხეობა). (მუსხელიშვილი 1977: 149)

**ივანე ჯავახიშვილი** მესხეთის გეოგრაფიას ასე აღწერს: საქართველოს სამხრეთ-დასვლეთის ნაწილს საზოგადო სახელად ზემო ქართლი ეწოდებოდა. საკუთრივ კი უფრო ხშირად მას მესხეთს ეძახდნენ. მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რო მოვაყოლოთ შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო (XVII-XVIII საუკუნეებში აბოცი, ქვემო ქართლის შემადგენლობაში იყო მოქცეული.) უძვლეს დროს ლაზისტანეთით ტაო და ისპირიც ქართველთა ტომს ლაზებს(ხალიბებს) (ჯავახიშვილი 1989: 43-45)

ქართველთა წარმომავლობით დაინტერესებული იყო **ჰეროდოტე** (484-425 წწ.ძვ.წ.) პირველად ამის შესახებ ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი ავტორი **მეგასთენე** მოგვითხრობს თხზულებაში „ინდიკა''(ინდოეთის ისტორია). მეგასთენეს ვარაუდი მიიღო I ს-ის ებრაელმა ისტორიკოსმა **იოსებ ფლავიუსმა, ხოლო მომდევნო საუკუნეების სწავლულებმა გაიმეორეს.** (მელიქიშვილი 1965: 5)

ბერძნების შემდეგ მოცემული საკითხით გაჯერებულია ბიზანტიური წყაროები. ჩვენ შეგვიძლია, სისტემური სახით ჩამოვაყალიბოთ ბიზანტიელ ავტორთა სია და მათი ეპიზოდური ხასიათის ამონარიდი ციტატები **მესხების** შესახებ: **ევსტათი ანტიოქიელი** (280-360წწ)ნოეს ჰყვდა სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეთი, ისინი დასახლდნენ დაწყებული ტავრისა და ამანის მთებიდან და მივიდნენ აზიაში მდინარე ტანაისამდე... თობელი. რომლისგანაც არიან თეობელები, დღეს რომ იბერები ეწოდებათ; **მოსოხი,** რომლისგან არიან **მესხენები,** დღევანდელი-**კაბადოკიელები.''**(გეორგიკა 1965: 127)

**იოანე ზონარა**–XI საუკუნის დიდი სახელმწიფო მოღვაწე, იაფეტს ჰყვდა **შვიდი ძე,** რომლებიც ტავრისა და ამანის მთებიდან გამოვიდნენ და [დასახლდნენ]-აზიაში ტანაისის მდინარემდე. თობელისგან-თობელნი დაერქვათ, ესენი იბერები არიან. **მოსოხისგან წარმოიშვა მესხინთა ტომები,** ესენი აწ **კაბადოკიელებად** სახელდებიან. **თორგამელნი** თავიანთ თავს თვლიან თორგამოს მემკვიდრეებად,

რომელთაც შემდეგ **ფრიგიელნი** ეწოდათ..(გეორგიკა,1966,20) იგივე აზრს ავითარებენ **თეოდორიტე კვირელი** (393-457|58წწ). თეოდორიტე **იეზიკიელი, პროკოფი კესარიელი**.(490-507წწ, **იოანე ანტიოქიელი**-წარმოშობით VII საუკუნის სირიელი მოღვაწე(610-641წწ), **„პასქალური ქრონიკები'', ლეონ გრამატიკოსი**-XI საუკუნის მოღვაწე-ქრონოგრაფოსი.

ქართველი ერის ეთნოგენეზით და კონკრეტულად მესხთა წარმომავლობით XX საუკუნეში დაინტერესდნენ ევროპელი მეცნირები: კ.ფ. ლემან-ჰაუფტი, ე. ფორერი, ი.მ. დიაკვანოვი. მათ მოსაზრებებს არგუმენტირებულად დაუპირისპირდნენ ივ. ჯავახიშვილი, გ. მელიქიშვილი, სიმონ ჯანაშია. დღეისათვის, სწორედ, ს.ჯანაშიას მეცნიერული კონცეფციაა ყველაზე მეტად აღიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მესხეთის გეოგრაფიის და მესხების წარმომავლობის თემას აჯამებს პროფესორ ნანა ხაზარაძის კვლევა: კლავდიოს პტოლემაიოსის მოსხური მთები საძიებელია აფსროს-ლიკოსის (ჭოროხ-თორთუმის) სათავეების სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით (გლაუკოს-ოლთი-ჩაის სათავეები ალბათ მოსხურ მთებში იყო.) კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობები პასუხობენ სტრაბონის „გეოგრაფიის'' ყველა მოთხოვნას ამ მთების მდებარეობის შესახებ. მოსხური მთების ამგვარ ლოკალიზაციას ზოგად-გეოგრაფიული თვალსაზრისით სავსებით ეთანხმება ვახუშტის მიერ შემუშავებული ვარიანტი, რომელიც როგორც ჩანს, ამ საკითხში ანტიკური ხანის წყაროების ტრადიციას ეყრდნობოდა. (ხაზარაძე 1992: 128-129)

მაგრამ, ამ ძირძველი ქართული კუთხის ბედი ასე წარიმართა. არსებობს ომი რომლებიც, სამწუხაროდ, საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავს ქვეყნის ბედს, მომავალს. ერთერთი მათთგანია საქართველოს ისტორიაში 1545 (სოხოისტა) წელი. მას მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ძირძველი ისტორიული მხარის სამცხის ეტაპობრივი ჩამოცილება.1619 წლის 29 სექტემბერს ოსმალეთ-ორანის ზავი განახლდა და ირანმა ახალციხე ოსმალეთს „დაუთმო''. ეს პირველი შემთხევა იყო, როდესაც ირანი ოფიციალურად ე.ი. სათანადო ხელშეკრულებით, ცნობდა ახალციხეზე ოსმალეთის „უფლებას''. (სვანიძე 1973: 308) 1639 წელს ზავის საფუძველზე ირანმა ცნო ოსმალეთის უფლება სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე. ამიერიდან ოსმალები სამცხეში მხოლოდ ქართველების წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. ქართველები ამ ბრძოლაში მარცხს განიცდიდინენ, ოსმალები კი მკვირდებოდნენ საათაბაგოში. (იქვე 1973: 310-311)

„თიუდალური'' ყიზილბშური და „თიმაროიტული'' ოსმალური სისტემა მიწის დროებით, პირობით სამფლობელოს ეწოდებოდა. ოსმალური მეთოდით მიწა ეძლეოდათ ოსმალო მხედრებს (სიფაჰიებს)სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ.'' (ასათიანი 1999: 253) ეს იწვევდა სამცხის ძირითადი მოსახლეობის ქართული სამამულო მენტალობისაგან ჩამოშორებას, **გაოსმალებას.**

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები'', რომელშიც ასახულია XVIII-XIX საუკუნეებში სამხრეთ დასავლეთ საქართველოში არსებული ოსმალურ-რუსული პოლიტიკის ჭიდილი, სამწუხაროდ, ამით არ დასრულებულა. ზემო ქართლის უდიდესი ნაწილი, ჯერ XVI-XVIII საუკუნებში ხოლო XX საუკუნეებში საბოლოოდ დაიკარგა. უცნაურად მკაცრად დასრულდა იმ სოფლების ბედის ისტორია, რომლებზედაც მოგვითხრობს ხუცესი იოვანე. მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური ჰეგემონობის წყურვილით „გულანთებული'' ოსმალეთი და მეფის რუსეთი XVIII-XIX საუკუნეებში მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს და მიუხედავად იმისა, რომ სან-სტეფანოს დაზავებისა და ბერლინის კონგრესის (1877-1878წწ) მიხედვით, რუსეთი სრული ბატონი ხდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ბათუმის გარდა, იგი „პორტო-ფრანკოდ'' გამოცხადდა), და მაშინ, როდესაც ქართველობამ როგორც იქნა, ტერიტორიულ კონსოლიდაციას მიაღწია, XX საუკუნის ბოლშევიკურმა რუსეთმა გაგვწირა-საკუთარი იმპერიული ხედვიდან გამომდინარე. კიდევ ერთხელ გააფერმკთალა ის „დადებითად ობიექტური'' შედეგები, რომელნიც გეორგიევსკის ტრაქტატის (1783წ) შედეგად იყო მოპოვებული, რუსეთ-საქართველოს ისტორიული „მეგობრობის ფურცლებიდან.''

1918-1921 წლები-„მოსკოვის ანტიქართული პოლიტიკა ძირძველი ქართული ტერიტორიების საქართველოდან ჩამოცილებაში გამოიხატა. 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის (მოსკოვის) ხელშეკრულებით, რუსეთმა თურქეთს დაუთმო ართვინის, არტაანის, ოლთისის ოლქები და ფოცხოვის თემი. (12 115 კვადრატული კილომეტრ-ტერიტორია.), ხოლო 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულების თამახმად, რომელიც საქართველომ, სომხებმა და აზერბაიჯანმა დადეს თურქეთთან, საქართველომ დაადასტურა ამ ქართული ტერიტორიის თურქეთის ხელში გადასვლა.'' (გურული 2003: 114-115) (ხოჯავანთ იოვანე, ამ თემეში მაცხოვრებელი მოსახლეობის გაქრისტიანებისთვისაც იღვწოდა, რაც ქრონიკებში მრვლადაა დაფიქსირებული),

ივ.გვარამაძის მიერ 1892 წელს ახალციხეში გადაწერილი „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი'', აგრეთვე, მისი განსხვავებული ვარიანტი, შესრულებული ხოჯავანას ნათესავების მიერ, რომელიც 1933 წელს გადაწერა ნ. ბერძენიშვილმა, ჩემთვის, როგორც მაძიებლისთვის საყურადღებო, მრავალფეროვანი პოლიტიკურ-სოციალური, რელიგიურ-ყოფითი ისტორიებით გამორჩეული ხელნაწერები აღმოჩნდა.

მათში ხოჯავანას მიერ ყოველდღიური რუტინული შრომით აღწერილი ქრონიკები, თავს უყრის XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მყოფი დანაწევრებული ქართული სამეფო-სამთავროებისა და ახალციხის საფაშოს ურთიერთობების დეტალებს, მათ დამოკიდებულებასა და მიმართებას გარე სამყაროსთან, დიდ იმპერიებთან. ყველა პრობლემა თუ მთავარი ეპოქალური საკითხები, რომელიც იდგა სამცხე საათაბაგოსა და ქართული სამეფოების წინაშე, თხზულებებში ასახულია.

ამგვარად, გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შესწავლისათვის ისინი ღირებულ ისტორიულ მატიანედ განიხილებიან. ჩვენ მოვახდინეთ ამ ორი წყაროს შედარება, მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების ჩამოყალიბება. ასევე, ივ. გვარამაძის „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები'' და ნ. ბერძენიშვილის „ხოჯა ჰავანას დღიური'' შევაჯერეთ, შ. ლომსაძის გადამუშავებულ ვარიანტთან, რომელსაც „ახალციხური ქრონიკა'' ეწოდება.

სამივე მათგანის შესახებ მოპოვებული მასალა, გავაშუქეთ დისერტაციის ძირითად ქვეთავებში. ვაქვეყნებთ ნ. ბერძენიშვილის ხელნაწერს.

ასევე, ფართო საზოგადოებისათვის პირველად ქვეყნდება:1) ივ. გვარამაძის წერილი დიმიტრი ბაქრაძისადმი, რომელშიც აღწერილია მესხეთის თანამდევი ტრაგიკული ბედისწერა და 2) ივანე გვარამაძის კვლევა „სამცხე საათაბაგო'', სადაც, მეცნიერულ არგუმენტებზე დაყრდნობით, საინტერესოდაა განხილული ავტორისეული ხედვა მესხების წარმომავლობის შესახებ.

ხელნაწერებში ერთი შეხედვით მოსაწყენი, თხრობით კილოში გადმოცემული, ერთმანეთისგან შინაარსით სრულიად განსხვავებულ ქრონიკებში 1763 წლიდან 1809 წლამდე და მის გაგძელებულ 1842 წლით დათარიღებული დღიურებიდან, ამოვკრიფეთ, გავაერთიანეთ საერთო მახასიათებლების მატარებელი ინფორმაციები და ისტორიოგრაფიული მიმოხილვის ფონზე, ისტორიული თხზულებების სახით

**წარმოვადგინეთ ჩვენს დისერტაციაში. ხელნაწერის ასეთი სახით შესწავლა ჩვენეული ვარიანტია. ის არ გამოუყენებია არცერთ მკვლევარს.**

**ასე გაცოცხლდა ჩვენს თვალწინ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს მღელვარე, შფოთიანი ისტორია.**

აღნიშნულ ხელნაწერებთან ურთიერთობამ, გარდა იმისა, რომ შემძინა ცოდნა იმ დროის ეპოქლაური მოვლენებისა, თავად ქრონიკებსა და მათ ავტორებზე საკუთარი დამოკიდებულება ჩამომიყალიბა:

1. გამაოცა ხოჯავანთ იოვანეს გაწონასწორებულმა, აუღელვებელმა თხრობის კულტურამ;

2. დავინახე ივანე გვარამაძე, როგორც გამორჩეული საზოგადო მოღვაწე XIX საუკუნის საქართველოში;

3. უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა ნ.ბერძენიშვილმა, თავისი შრომისმოყვარეობით, ისტორიულ-ანალიტიკური აზროვნებით, ეროვნული ცნობიერებით, ღრმა განსწავლულობით;

4. შ. ლომსაძის მრავალფეროვანი შრომები მაგალითი და დიდებული გზამკვლევია თანამედროვე მკვლევარისთვის, ვინც სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლას დაიწყებს.

სამხრეთ დასავლეთი საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ შუა სუკუნეების ისტორიიდან მოყოლებული რამოდენიმე გამორჩეულად მნიშვნელოვანი წყარო არსებობს. ესენია:

1. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი ( XIV ს);
2. მესხური დავითნის ქრონიკები (XVIს)
3. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (XVIს)
4. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"(XVIIIს)
5. „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი", გადაწერილი ივ. გვარამაძის მიერ 1892 წელს ახალციხეში. (XVIII-XIXსს)

**ეს უკანასკნელი საქართველოს ნაგვიანევი ფეოდალური ხანის, შემაჯამებელი ტიპის ნარატიული თხზულებაა, რომელიც აშუქებს მესხეთის მართლაც უაღრესად:**

1. წინააღმდეგობრივ და მრავალფეროვან სახელმწიოფეობრივ მიმართულებებს;

2. დროთა განმავლობაში ტრანსფორმირებულ ეკონომიკურ-სოციალურ ვითარებას;

3. ზემო ქართლში რელიგიურ ნიადაგზე არსებულ კონფესიურ დაპირისიპირებებს;

4. ახალციხის საფაშოს, როგორც საქართველოს ერთიანი პოლიტიკური სხეულისგან ცალკე მყოფი ადმინისტრაციული ერთეულის, ორიგინალური პოზიციის მქონე სუბიექტის როლს;

5. საუკუნეთა მანძილზე ოსმალეთისა და ირანის პროქტექტორატს საქართველოში;

6. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე, საერთაშორისო ასაპარეზზე შეცვლილ პოლიტიკურ ველს, რომელიც გამორჩეულად ძლიერმა მოთამაშემ-მეფის რუსეთმა დაიკავა ;

7. ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ურთიერთთანამშრომლობას, პოლიტიკურ დაპირისპირებებს, მათ ცარიზმთან მკვეთრ დაახლოებას, დაკარგული მესხეთის მიწა-წყლის დაბრუნების უშედეგო მცდელობას;

8. იმერეთის მეფის სოლომონ პირველისა და დასავლეთი საქართველოს სამთავროების დაძაბულ, სისხლიან ურთიერთობებს, კათალიკოსების პასუხისმგებლობას შეექმნილ რთულ ვითარებაში;

9. ლეკების, როგორც ჩვენი მტრების სამსახურში მყოფი მტაცებლური ფენომენის ჩართულობას 1763-1809 წლების ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში;

10. ახალციხის საფაშოს დამღუპველ როლს XVIII-XIX საუკუნეეების საქართველოს სინამდვილეში.

11. ქრონიკები გადაწერილია ივ. გვარამაძის მიერ, ე.წ. დედაბრული ქართულის წერის სტილით;

12. ხუცესის ჩანაწერები ბუნებრივად ასახავენ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მენეტალური მახასიათებლების სიჭრელეს;

13. „მისიონარული დღიური წერილებში'' წარმოდგენილია მესხეთის მკვიდრი მოსახლეობისა და ჩასახლებულთა დემოგრაფიული სურათი;

14. „საისტორიო მისიოინარული დღიური წერილები'', იგივე ხოჯა ჰავანას დღიური''-(როგორც შესავალ ნაწილში ვთქვით, შ.ლომსაძის

შეფასებით) გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში, გამორჩეული მატიანეა.

„დაცემასა და განკითხვას შორის მოქცეული კაცობრიობის ბედი გრძელი თავგადასავალია. ცუდად გადმოცემულმა ისტორიამ, თუ ფრთხილად არ ვიმოქმედეთ, შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, კარგად გაგებული ისტორიის დისკრედიტაციაც კი გამოიწვიოს. ისტორიას აქვს უფლება, რომ შემოუფარგლავი და დაუკავშირებელი ფაქტების ჩამოთვლის მაგიერ, მოახდინოს მათი გონივრული კლასიფიკაცია და მიანიჭოს სიცოცხლე. ვერ წარმომიდგენია მწერლისთვის, იმაზე დიდი ქება, ვიდრე ის, რომ მის ენას **მეცნიერებიც და მოსწავლეებიც გასაგებად თვლიან.** მაგრამ ასეთი სისადავე მხოლოდ იშვიათ რჩეულთა ხვედრია. მაშასადამე, **ისტორიკოსს ანგარიშის ჩაბარებას სთხოვენ.**

იგი გაბედავს ამას, მაგრამ არცთუ მცირეოდენი შინაგანი მღელვარების გარეშე. განსჯა თუ გაგება-მაინც დგება მომენტი, როდესაც მეცნიერი დაკვირვების შედეგად განმარტავს, რომ მისი ამოცანა შესრულდა, მოსამართლეს განაჩენი რჩება გამოსატანი. **და თუ მას პირადი სიმპატიები გაუჩნდება და მაინც კანონის მიხედვით გამოიტანს განაჩენს, თავს მიუკერძოებლად ჩათვლის. დიდი ხნიდან, ისტორიკოსი მიწისქვეშა სამეფოს ერთგვარი მოსამართლეა.**" (ბლოკი 2007; 8-9-11)

სამაგალითოდ მიჩნეული ყოფილა თუ ისტორიკოსი თავის თხზულებას დასწერდა **„ხელოვნებითა რიტორობისათა**'' და **„ჯეროვანად რიტორობისა**''. მაგრამ მოთხრობის ამგვარი შეფარდება სათანადოდ მხოლოდ მაშინ ითვლებოდა, როდესაც ისტორიკოსს **„ნივთნი საქმეთანი"** ჰქონდა **„კმად მისათხრობელად**'' (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ეფრემ მცირე, არსენ კათალიკოზი). (ჯავახიშვილი 1977: 39)

ჩვენი კვლევა მცდელობაა, დროსა და სივრცეში არსებული სამი რგოლისა და ჩვენი ქვეყნის **წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობაში დანახვისა.**

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

### წყაროები:


1. ვახუშტი, 1973: ბატონიშვილი ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ,ტ-4, 1973წ.
2. გეორგიკა, 1966-1969: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ, ტ 1-6; ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტება დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა 1961-1966 წწ.
3. გიულდენშტედტი,1962: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, (თარგმანი გ.გელაშვილისა) ტ-1, თბ, 1962წ.
4. ჩელები,1971: ევლია ჩელების „ მოგზაურობის წიგნი'', თბ, ტ--1, (თარგმანი ფუთურიძის) 1971წ.
5. ვახუშტი,1913: ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს ცხოვრება'', თბ,1913წ.
6. ფეჩევი,1964: იბრაჰიმ ფეჩევის „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ'', თბ, 1964წ.
7. ხერხეულიძე,1854: ომან ხერხეულიძე „ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა'', ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, გამოცემული უ.ჩუბინოვისგან, სანკტპეტერბურგი, 9ეროვნული მუზეუმი, ს.ჯანაშიას ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდი, IV-B 356,1854წ.
8. „ ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ XVII-XVIII სს“. თბ, (ასპარუხ ველკოვი და ნ. შენგელია) 1989წ.
9. ორბელიანი,1854: პაპუნა ორბელიანი, „საქართველოს ცხოვრება'', ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, გამოცემული უ.ჩუბინოვისგან, სანკტპეტერბურღი, (ეროვნული მუზეუმი, ს.ჯანაშიას ისტორიის მუზეუმის ბიბილიოთეკის რარიტეტული ფონდი, IV-B 356, 1854წ.
10. ჯიქია,1947: ს.ჯიქია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი'', წ.1. თბ,1947წ.
11. გვარამაძე,1892: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H- 2782, ივ. გვარამაძე „სამცხე საათაბაგო'', ახალციხე, 1892წ.
12. ბერძენიშვილი,1933: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ნ.ბერძენიშვილის აღწერილობა, #1226, „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური''
13. ბერძენიშვილი,1933: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ნ.ბერძენიშვილის აღწერილობანი, ტ-5,#2527, ახალციხური ქრონიკა'', ახალციხე, 1933წ.
14. გვარამაძე,1892: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H-2782, ივ.გვარამაძე „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი'', ახალციხე, 1892წ.
15. ბერძენიშვილი,1942: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ნ.ბერძენიშვილის აღწერილობა, #-1227. „სამცხის მივლინების დღიური'', ახალციხე, 1942წ.

16. ბერძენიშვილი,1964: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ნ.ბერძენიშვილის აღწერილობა, #-2580. „ნ.ბერძენიშვილის წინასიტყვაობა ნაშრომისთვის- სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები", ახალციხე, 1964წ.
17. გვარამაძე, 1892: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ფონდი H- 2782, ივ.გვარამაძე „სამესხეთოში შეკრებილი ლექსები", ახალციხე, 1892წ.
18. ჰასან რუმლუსი „ცნობები საქართველოს შესახებ" , თბ, (თარგმანი ფუთურიძისა) 1966წ.

ლიტერატურა:

19. არიანე, 1961: ფლავიუს არიანე „მოგზაურობა შვი ზღვის გარშემო", თბ,1961წ.
20. ასათიანი, 1988: ნ.ასათიანი, ვ.გუჩუა, მ.ლორთქიფანიძე, შ.მესხია „საქართველოს ისტორია", თბ, 1988წ.
21. ასათიანი, 1999: ნ.ასათიანი „საქართველოს ისტორია",თბ, 1999წ.
22. ბერძენიშვილი, 1948: ნ.ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია „საქართველოს ისტორია", ნაწ-I,1948წ.
23. ბერძენიშვილი, 1956: ნ.ბერძენიშვილი, "საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ,1956წ.
24. ბერძენიშვილი, 2005: დ.ბერძენიშვილი „ნარკვევები", თბ,2005წ.
25. ბერძენიშვილი 1965ნ: ნ.ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის საკითხები"თბ, 1965წ.
26. ბლოკი, 2007: მ. ბლოკი, ისტორიის აპოლოგია, „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში", წიგნი 4, თბ, 2007წ.
27. გაბაშვილი, 1951: ვ.გაბაშვილი, „სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხი გვიან ფეოდალურ საქ-ში", კრებული „მიმოხილევლი," ტ-II, თბ, 1951წ.
28. გელოვანი, 1990: ა. გელოვანი „რწმენა, ღმერთები, ადამიანები", თბ, 1990წ.
29. გოზალიშვილი, 2005: ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი „მესხთა ტრაგედია", თბ,2005წ.
30. გურული, 2003: ვ. გურული; მ.ვაჩნაძე „საქართელოს ისტორია;,თბ,2003წ.
31. გურული,2004: „საქართველოსისტორია",(სტუდენტებისათვის),თბ,ვ.გურული.2004წ.
32. გურული. 2000: ვ.გურული „ილია და ეროვნული ცნობირება", თბ,2000წ.
33. გუჩუა, 1973: ვ.გუჩუა „საქართველო მე-16ს-მის 50-70იან წწ",საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ,ტ-IV,1973წ.
34. გუჩუა, 1973: ვ.გუჩუა „საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა XVII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ-4.თბ, 1973წ.
35. დადიანი, 1962: ნ.დადიანი „ქართველთ ცხოვრება" ,თბ,1962წ.
36. დუმბაძე, 1973 მ.დუმბაძე „საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა",საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ-4,თბ, 1973წ.
37. დუმბაძე, 1973: მ.დუმბაძე „იმერეთის სამეფოს გაუქმება" ,საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ-4, 1973წ.
38. დუმბაძე, 1973: მ.დუმბაძე „პოლიტიკური წინააღმდეგობების კვანძი" საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ-4, თბ, 1973წ.
39. დუმბაძე, 1973: მ.დუმბაძე „ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში" საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ-4,თბ, 1973წ.

40. დურნოვო, 1917: ნ.დურნოვო. „ქართული ეკლესიის ბედი'', 1917წ #54, გამოქვეყნებული ტ.ჯაფარიძის მიერ „ჩვენი ქვეყანა'', (თარგმნილია გაზეთ რუსკიი სტიაგ''-ის რედაქციის გამოცემიდან,მოსკოვი,1907წ, თარგმანი ზ. კახაბერიძისა)
41. ერქომაიშვილი, 1998: ვ.ერქომაიშვილი „საზოგადოებათმოდნეობა'', თბ, 1998წ.
42. თამარაშვილი, 1902: .თამარაშვილი „ისტორია კათალიკოსობისა'',თბ, 1902წ.
43. კაკაბაძე, 1913: ს.კაკაბაძე „საეკლესიო რეფორმები'',თბ,1913წ.
44. კაკაბაძე, 1914: ს.კაკაბაძე „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის'',თბ,1914წ,
45. კაკაბაძე, 1920: ს.კაკაბაძე „საქართველოს მოკლე ისტორია'',თბ,1920წ.
46. კაკაბაძე, 1921: ს.კაკაბაძე „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები'',წიგნი-II,1921წ,.
47. კელენჯერიძე, 1913: მღ.მელიტონ სპ. კელენჯერიძე, „გაბრიელი-ეპისკოპოსი იმერეთისა''(მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ქუთაისი.(ეროვნული მუზეუმუ, ს,ჯანაშიას ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდი, IV-C 713, 1913წ.
48. კოპალიანი, 2011: ე.კოპალიანი „საქართველოში ყაბარდოელების გადმოსახლების საკითხი'',ქართული დიპლომატიკა,15,თბ,2011წ.
49. ლეონიძე, 1922: გიორგი ლეონიძე „ქართული მესსიანიზმი''. გზ-76 „ბახტრიონი'', #-18,(ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახ ისტორიის მუზეუმის ბიბილიოთეკის რარიტეტული ფონდი, 1922წ.
50. ლომაშვილი, 1992: ფ.ლომაშვილი „საქართველოს ისტორია'', თბ, 1992წ,
51. ლომინაძე, 1973: ბ.ლომინაძე „ცენტრალურ ხელისუფლების ბრძოლა დარღვეულ სოციალურ ურთიეთობათა აღსადგენად XIV-XVსს-ში'',საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტ-3.თბ, 1979წ.
52. ლომსაძე, 1979: შ. ლომსაძე „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან ახალციხური ქრონიკები'' თბ, 1979წ.
53. ლომსაძე, 1995: შ. ლომსაძე „მესხები'', თბ,1995 წ.
54. ლომსაძე, 2011 შ.ლომსაძე „სამცხე-ჯავახეთი'',ახალციხე,2011წ.
55. ლორთქიფანიძე, 1998: ვ.ლორთქიფანიძე „ისტორიული მესხეთი;'' (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები),თბ, 1998წ.
56. მალთუსი, 2002: თომას რობერტ მალთუსი „კაცთმოძულეობის ისტორია'', ნაწილი-2, თბ, 2002წ.
57. მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის(კრებული), თბ, 1972წ.
58. მაჭარაძე, 1957: ვ.მაჭარაძე „ასპინძის ბრძოლა'',თბ,1957წ.
59. მეტრეველი, 2010: რ.მეტრეველი „ საქართველოს მეფეები და პატრიარქები'',თბ, 2010წ,
60. მეტრეველი, 2011: რ.მეტრეველი, „ქართული დიპომატია'', თბ,2011წ.
61. მეტრეველი. 2009: მეტრეველი, „საისტორიო ნარკვევები,თბ, 2009წ.
62. მუსხელიშვილი, 1977: დ.მუსხელიშვილი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები''. თბ, 1977წ.
63. ნადირძე, 2005: ქ.ნადირაძე „ისტორიოგრაფია.ისტორიული მეცნიერების შესავლი'', თბ, 2005წ.

64. ორბელიანი, 1993: სულხან-საბა ორბელიანი „ქართული ლექსიკონი'',ტ-2,თბ, 1993წ,
65. პაიჭაძე, 1983: გ.პაიჭაძე „გეორგიევსკის ტრაქტატი'',თბ,1983წ.
66. ჟორდანია, 1967: თ.ჟორდანია''ქრონიკები'', III-ტ, თბ, 1967წ.
67. რეხვიაშვილი, 1982: მ.რეხვიაშვილი „იმერეთი XVIIIს-ში'',თბ, 1982წ.
68. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბ, (ტექსტი მოამზადა თ.ენუქიძემ)1955წ.
69. სვანიძე, 1973: მ. სვანიძე „სამცხე საათაბაგო XVI საუკუნის მიწურულში'', საქართველოს ისტორიის ნარკვევები,ტ-4,თბ,1973წ.
70. სვანიძე, 1973: მ.სვანიძე „სამცხე მე-17 ს-ნის I მესამედში'', საქართველოს ისტორიის ნარკვევები,ტ-4,თბ,1973წ.
71. სტატისტიკური ცნობები კავკაიის მხარეზედ, გ.ზ. „დროება'', გზ-25 #-4, თბ,(ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას ისტორიის მუზეუმის ბიბილიოთეკის რარიტეტული ფონდი, 1866წ.)
72. სურგულაძე, 1991: ა.სურგულაძე,პ.სურგულაძე „საქართველოს ისტორია'',თბ,1991წ.
73. ტაბათუა,1986: ი.ტაბაღუა „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში'',ტ-II, თბ, 1986წ. ტ-III,თბ, 1987წ.
74. ტივაძე, 1945: გ.ტივაძე „ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯნყებები XVIს-ში'',თბ, 1945წ,
75. ქართლის ცხოვრება, 1.ს.ყაუხჩიშვილის გამოცემა,თბ,1955წ.
76. ქიქოძე, 1958: გ.ქიქოძე „ერკლე მეორე'',1958წ.
77. ყაზბეგი, 1995: გ. ყაზბეგი „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში'', ბათუმი, 1995წ. ვვ(შესავალი, რამაზ სურმანიძე)
78. ყორანაშვილი, 2007: გ.ყორანაშვილი „ილიას ფენომენი'', თბ, 2007წ.
79. შუშანაშვილი, 1998: ა.შუშანაშვილი, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები''.თბ,1998წ,.
80. ჩხატაიშვილი, 1973: ქ.ჩხატარაიშვილი „სამხრეთ საქართველო XVIIIს. I-ელ ნახევარში'' საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ, 1973წ, ტ-IV.
81. ჩხატარაიშვილი, 1973: ქ.ჩხატარაიშვილი „1768-1774წწ. რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო'',საქართველოს ისტორიის ნარკვევები,ტ-4,თბ,1973.
82. ჩხატარაიშვილი,1973: ქ.ჩხატარაიშვილი „დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალებისგან'', საქართველოს ისტორიის ნარკვევები,ტ-4,თბ,1973წ.
83. ჭავჭავაძე,1984: ი.ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადი''თბ,1984წ.
84. ჭანტურიშვილი,1993: ს.ჭანტურიშვილი „ეთნოლოგია'',თბ,1993წ.
85. ხაზარაძე,1992: ნ.ხაზარაძე „ვახუშტი ბატონიშვილი და მოსხური მთების იდენტიფიკაციის საკითხი.(ვახუშტი ბაგრატიონი ისტორიკოსი და ეთნოგრაფოსი), თბ, 1992წ,
86. ჯავახიშვილი,1966: ივ.ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია'',თბ, ტ-3,1966წ.
87. ჯავახიშვილი, 1989: ივ.ჯავახიშვილი,პ.სურგულაძე,პროფ.ლისტი „ისტორიული რარიტეტები'',თბ,1989წ.
88. ჯავახიშვილი,1977: ივ.ჯავახიშვილი.თხზულებანი XII ტომად, ტ-VIII, თბ, 1977 წ,

89. ჯავახიშვილი. 1919: ივ.ჯავახიშვილი „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIIIსს-ში'',თბ, 1919წ.
90. ჰეგელი. 2001: ჰეგელი,ვ „ლექციები ისტორიის ფილოსოფიის შესახებ'', თბ, 2001წ, (კომენტარი თ.ბუაჩიძისა).
91. Акты собранные Кавказскою Археографическою коммиссіею томъ-1 1866. (ს.ჯანაშიას სახ,ისტორიის მუზეუმის ბიბლიოტეის რარიტეტული ფონდი)
92. БРОНЕВСКИЙ, 1823: С. Броневский „Новейшія географическія и историческія известіа о Кавказе''. Т-1, Г. МОСКВА .(ეროვნული მუზეუმი,ს.ჯანაშიას ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდი VI-157)1823წ.
93. „ История военныхъ деиствий вЪ Азіиатской Турций въ 1828-1829 годахъ'',(ეროვნული მუზეუმუ,ს.ჯანაშიას ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდი XI-165, 1829г.
94. КОСВЕНА, 1960: М. косвена ; Л. лаврова, „Народы Кавказа'', I, москва. 1960 г
95. Описание всехъ обитаюшихъ въ Россиском Государствъ Народовъ, , в Санктъ-Петербург, частъ втарая, (ეროვნული მუზეუმი, ს.ჯანაშიას ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდი VI-1255,1799წ.)

## „ახალციხური ქრონიკა''

საკვლევ თემაზე მუშაობისას დავადგინეთ, რომ **ნ. ბერძენიშვილის „ახალციხური ქრონიკა**'', დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში №-2527, ნ.ბერძენიშვილის აღწერილობა: ტ-5, **არ არის გამოქვეყნებული.** (განსხვავებით ივ. გვარამაძის ვარიანტისგან, რომელიც გადამუშავებული, ფორმატით გამოსცა ბ-მა შ. ლომსაძემ). **ვაქვეყნებთ** ნ,. ბერძენიშვილის მიერ 1933 წელს ახალციხეში გადაწერილ ხელნაწერს და თხზულებაში დანართის სახით არსებულ, მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს. (ამ მოსაზრებებს და თხზულების შესავლის სამ ფურცელს, ვიყენებთ დისერტაციის ტექსტის ძირითად ნაწილშიც. მიგვაჩნია, რომ დანართში წარმოდგენილი ქრონიკები, როგორც ეს ხელნაწერათა ეროვნულ ცენტრშია დაცული, ასეთი დაგეგმარებით, სრულყოფილი და კომპლექსური იქნება დაინტერესებული მკითხველისათვის. ლ.ქ.)

**ნ.ბერძენიშვილის ,,ახალციხური ქრონიკა''.** (სტილი დაცულია, გარეკანი ასე გამოიყურება)(იხ. დიესრტაციის დანართი #- 8)

**№2527** (ტექსტი გამოსაცემად მომზადებულია ნ.ბერძენიშვილის მიერ) ნ.ბერძენიშვილი.

(1/15) ავტოგრაფი მელნითა და ფანქრით ნაწერი საერთო რვეულებისა(7ც) და სხვადასხვა ზომის ფურცლებზე. **მე-7 რვეული უცნობი ხელით ნაწერი.** აქვეა ჩანაწერები ამავე საკითხზე და შენიშვნები ავტორისავე ხელით თან ერთვის:1) რედაქტორის გ.მელიქიშვილის წარდგინება დასაბეჭდად და 2)„პასპორტი''. საქაღალდეს ნ. ბერძენიშვილის ხელით აწერია „ნ ბერძენიშვილი. „ახალციხური ქრონიკა".

287ფ.+1ც საქაღალდის ფრაგმენტი.(ეს წარწერები ფურცელზეა დაკრული და გარედან დაწებებული თეთრ კონვერტზე.ზომა 32-22სმ.)

ვადგენ დასაბეჭდავად

რედაქტორი:

ბერძენიშვილი ნ. ა.

„ახალციხური ქრონიკა"

/ხოჯა ჰავანას დღიური/

საექსპედიციო კომისიის

დასკვნას არ საჭიროებს.

შეიძლება გამოიცეს ღია

წესით.

დირექტორი: გ. მელიქიშვილი.

**რვეული №1.** მოიცავს გვ1-47. ამ რვეულის ბოლო გვერდზე წერია:

ლიტ. მატიანე, წიგნი 3-4

ლეონიძე ზესიკი, 358.

ამ დღიურის ავტორს „ხოჯავაანთ მღვდელს იოვანეს" უწოდებს.

საქ. მუზ. ხელ. განყ.2782-H

**რვეული №1** არის გახუნებული ცისფერი, 48-ფურცლიანი, 18/21სმ ფორმატით.

(თავფურცელი)- „საერთო რევული".

ყდის ბოლო გვერდი:

ფასი55კაპ. აღნიშნულ ფასზედ მეტად

-------------- ---------------------------------------

48 ფურცელი გაყიდვა აკრძალულია

-----------

---------------------

ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი

კამოს ქ. №40, ელსმენი 3-21-401

რვეულის ქაღალდის ფაბრ.

„სოკოლ"ყდის-ფაბრ.

„გეროი ტრუდა"

მთავალ.რწმ. №მ-495.

ტ ი რ ა ჟ ი

500.000.

-----

-----

ამ ფორმატით და ვიზუალობითაა წარმოდგენილი, მომდევნო: №2; №3; №4. №5 მათგან განსხვავებით მცირე ზომისაა და შედგება 12 ფურცლისაგან. №5 რვეული. იგი ასე გამოიყურება:

რ ვ ე უ ლ ი

---------------------------------------ათვის

------------სკოლის--------------------კლასის

რვეულის ბოლო გვერდი:

ფასი 18კაპ აღნ.ფასზე მეტად გაყიდ. აკრძალულია

---------------- ------------------------------------------------------------

12ფურცელი gost -204-41 არტიკული 612-62-21

(იკითხება გამრავლების ტაბულა)

--------

---------

თბილისის ჟოსერის ქ. №5. ტირაჟი 5.000.000. უე177 40

---

სახელგამის ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი

ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერების მე-7 რვეული 12-ფურცლიანია. არის გახუნებული კრემისფერი (ან გაცრეცილი ღია ყავისფერი). რვეული რუსული წარმოებისაა, გამოშვებვულია უკრაინაში, **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-13 წლისთავაზე."** რვეულის პირველი ფურცელი თავისუფალია, მეორე ფურცლიდან იწყება თხრობა შემდეგი სათაურით: „ვინმე მესხის მიერ გადაწერილი დღიურიდან 1763-1771. (გადმოწერილია).თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შვიდივე რვეული თხელკანიანია, გაცრეცილი, გახუნებული ელფერი დაკრავთ, სხვა არაფერი დაზიანენებები არ აღინიშნება და მოცემული დროისთვის კარგ მდგომარეობაში გამოიყურებიან. მათზე მუშაობა ზედმეტ სიფრთხილეს არ მოითხოვს მკვლევარის მხრიდან.(სქოლიო, რომელიც ხელნაწერშია ეკუთვნის ნ.ბერძენიშვილს).

პასპორტი

1.გამომცემლის გვარი,სახელი,მამის სახელი

ბერძენიშვილი იკოლოზ ალექსანდრეს ძე

2. შრომის დასახელება

„ახალციხური ქრონიკა''

3. თაბახის რაოდენობა-6 თაბახი

4. საილუსტრაციო მასალა: არ არის

ხელის მოწერა, ნ ბერძენიშვილი

29. IX. 1953წ.

ვადგენ დასაბეჭდად

რედაქტორი

ბერძენიშვილი ნ. ა.

## ახალციხური ქრონიკა

## /ხოჯა ჰავანას დღიური/

საექსპერტო კომისიის დასკვნას არ საჭიროებს. შეიძლება გამოიცეს ღია წესით.

დირექტორი: გ, მელიქიშვილი

**რვეული პირველი** ვადგენ დასაბეჭდად

რედაქტორი

ბერძენიშვილი ნ. ა.

ახალციხური ქრონიკა

/ხოჯა ჰავანას დღიური/

საექსპერტო კომისიის დასკვნას არ საჭიროებს. შეიძლება გამოიცეს ღია წესით.

დირექტორი: გ, მელიქიშვილი

**წელსა უფლისა 1762**

**3 დეკემბერი. სამ[შაბათი]** ქ. თათრის ჯარი იმერეთიდგან მობრუნდა

**წელსა უფლისა 1763**

15 იანვარი, ოთ[ხშაბათი] ღთისოი მიიცვალა

17 „პარ[ასკევი] მიიცვალა განჯელას ქალი

**თებერვალი** 19, ოთ[ხშაბათი] ქ. ხარბი/?/ აივაზასშვილი ტერ ოჰანნეზასგან კაბა ავიღე საღირავებში

**აპრილი** 12, შა[ბათი] ქ. ბატონჯან ბიძაი გაუმჟღავნეს

11, პა[რასკევი] ქ. პეტროს ბიძაი თავრეზს წავიდა

„ 28, ქ. ორ[შაბათი] ქ. სტამბოლს ქარავანი წავიდა და მაქანდარიანთ ოვანესაი და გრიქორაი თან იყვნენ საკურთხებლად და მაშინ იყო რომ გრიქორაი რომს წავიდა,

მაისი 5. ორ[შაბათი] ქ. პეტროს ბიძას ელენაი დაიბადა

„ 18, კვ[ირა] ქ. ოცხეს წავედი

„ 21, ოთ[ხშაბათი] ქ. ციხეში სეირი ვქენით ჯამბაზების თამაშობაზედან.

**ივნისი** 12, ხუ[თშაბათი] ქ. მოსესაი მიიცვალა

**„ 24** სამ[შაბათი] ქ. შუაღამისა კოკონათ წინ იანღუნი იქნა

**„ივლისი,**7, ორ[შაბათი] ქ. უდელი ბალას დედა მიიცვალა

**სეპტენბერი,**1, ორ[შაბათი] ქვიანთ მარიამი მიიცვალა

**ოქტომბერი,** 15, ოთ[ხშაბათი] მამაი მოვიდა სტამბოლიდგან

„ 18, შა[ბათი] თათრის ჯარი დაბრუნდა იმერეთიდგან სარი ფაშისა

**ნოენბერი,** 9, კვი[რა] ჩვენი დავითაი მოვიდა ტრაპიზონიდგან

„ 27, ხუ[თშაბათი] პეტრო ბიძაი თავრიზიდგან მოვიდა

„ 30,კვ[ირა] ბეროს ქალი მიიცვალა

**წელი უფლისა 1764**

**ფედერვარი**15, კვ[ირა] პეტროს ბიძას ოვსეფაი მიცვლილა

„ 27, პა[რასკევი] მამაი აზრუმს წავიდა, **გრძელი პოღოს** ბიძაიც თან იყო

**მარტი** 30, სამ[შაბათი] ქირშლი ყაზარას დედა მიიცვალა

**აპრილი** 10, შა[ბათი] პოღოს ვართაპეტს და ტერ იოანეს საყდარში ლაპარაკი მოუხვდათ

„ 21,ოთ[ხშაბათი] ივლიტას მღვდელი ტერ ყაზარი მიიცვალა

„ **29, ხუ[თშაბათი] ქ. ბავთისტიანი დონ სტეფანე მიიცვალა ივლიტას და მისვე ეკლესიაში დაეფლა სომხურის წესით ჩიგანთ იოანე მოძღვრის განგებით**

**მაისი** 3, ორ[შაბათი] პატრი იაკობი აზრუმს წავიდა

„ 2, კვ[ირა] ქ. მეფისაი ქალი, რომელი იყო კრუხიჭამიათ ოვსებას მეუღლე, მიიცვალა

**მაისი** 21, პა[რასკევი] ქ. მოქალაქე ტერ სტეფანისგან საჰათი ვიყიდე

**თიბათვე** ივნისი 5, შა[ბათი] ქ. პოღოს ვარდაპეტი ქალაქს წაბრძანდა ბავთისთელი პატრებით

„ 6, კვ[ირა] ქ. პატრი ვიქარი ართვინიდგან მობრძანდა

„ „ ქ. მღდისი(sie)აკოფამ ქორწილი ჰქნა მესამე, მელარე ყაზარას ქალთან

„ 12, შა[ბათი] ქ. გეორგ ვართაპეტი მოვიდა ახალციხეს

„ 27, კვ{ირა] ქ. გორელი სტეფანაი და გარსევანას შვილი ოჰანნეზაი გეორგ ვარდაპეტისგან მღვდლად იკურთხნენ ახალციხის წმინდა ნიშანის ეკლესიაში

**მკათათვე**-ივლისი 1, ხუ[თშაბათი] ყლიჯი პაპოი მიიცვალა

„ 13, სამ[შაბათი] ტერ პოღოსი **სოხუმს** წავიდა

19, ორ[შაბათი] დედაი დაწვა იოსეფაზეთ ორშაბათს ერთ სახლში

31, შა[ბათს] ქ.საღამოზე ჩვენ სამნი ძმათ შევიარეთ და ერთად დადვდეგით

**მარიამობისთვე**-აგვისტო, 4, ოთ[ხშაბათი] პოღოს ვარდაპეტის დისწული მიიცვალა

8, კვ[ირა] სომხების სალოცავი სახლი დააქციეს

17, სამ[შაბათი] სქანდარათ ტირაცუ პოღოსაი ჩვენთან მოვიდა.

**ენკენისთევე**-სეპტენბერი, 5, კვ[ირა] ქ. ივლიტას ვიქადაგე

19, კვ[ირა] ავათ გავხდი

20, ორ[შაბთი] შინ ჩამიყვანეს ზემო სამი სახლიდგან

**ღვინობისთვე-ოქტენბერი,** 18, ორ[შაბათი] ქ. მაღლა ავედი, რომ გავკეთდი, ჩემს ამხანაგებთან.

**გიორგობისთვე**-ნოემბერი,4, კვ[ირა] ქადაგება

28, კვ[ირა] მეორედ ოცხეს წავედი

**წელსა უფლისა 1765**

**იანვარი** 21, პარ[ასკევი} იანღუნი იქნა, მე მეწვრილმანეს დუქნებისგან შუაღამისა რომ საჰათი იყო

„ 30, კვ[ირა] პეტროს ბიძა ყმაწვილი ანტონაი იშობა

**ფედერვარი 9**, ოთ[ხშაბათი] დანიელ ბიძაი მიიცვალა

„ 16, ოთ[ხშაბთი] ქ. ივლიტელი ანტონაი ტირაცუ ჩვენთან მოვიდა

18, პა[რასკევი] ქ. მამას გამოგზვნილი აზრუმიდგან ხარა და **სხვა არაბოღლოს** ხელით დაიკარგა

28, ორ[შაბათი] დინდარას შვილი სტამბოლს წავიდა

**მარტი** 14, ორ[შაბათი] ფირალანთ გასფარაი მიიცვალა

16, ოთ[ხშაბათი] ქ. ჩვენი დავითას ყმაწვილი მიიცვალა

26, შა[ბათი] ქ. პატარა სიმონას მეუღლის დაი მიიცვალა

**აპრილი** 6, ოთ[ხშაბათი] ჰორომსიმ პაპაი მიიცვალა

24, კვ[ირა] პატრი ვიქარმან პაპის შენდობა მისცა წმინდა ნინოს ეკლესიაში მრევლსა

**მაისი** 23, ორ[შაბათი] პოღოს ვართაპეტი **მეორედ ქისტებისკენ** წავიდნენ და ზავთისტელი პატრები

**მაისი** 30, ორ/შაბათი/ ქ. ჭვავიღეჭაი ბაღდასარას ქალი მიიცვალა, რომელი იყო გულისპათ ქალისგან

**თიბათვე**-ივნისი 9, ხუთშაბათი ქ. **მესამედ ჰასან ფაშა წავიდა იმერეთზე** სარასქარიც თვითონ იყო

12, კვ/ირა/ ქ. უდელი ჯანას მეუღლის მეორე გვირგვინი იკურთხა ფალთავი დავითასთან

18, შა/ბათი/ ქ. აწყვერელი არუთენას გვირგვინი ვაკურთხეთ ფირალანთ ვარდაპეტმან და მე

**ივლისი**-მკისთვე 10, კვ/ირა/ პატრი ვიქარი და მამაი აზრუმიდან მოვიდნენ

14, ხუ/თშაბათი/ პატრი იერონიმესთან აღსარება ვთქვი

24, კვ/ირა/ ქ. პოღოს **ვარდაპეტი ქისტებიდგან** მოვიდა

**ღვინობისთვე-ოქტენბერი** 8, შა/ბათი/ **ჰასან ფაშა და ჰაჯი ალი ბეგი იმერეთიდგან მოვიდნენ**

29, შა/ბათი/ ქ. ივლიტელი აწყვერელი ტერ ოჰანნეზი მიიცვალა

**გიორგობისთვე**-ნოენბერი 6, კვ/ირა/ უდეს წავედი მეორედ

14, ორ/შაბათი/ უდიდამ მოვედი

25, პა/რასკევი/ ზემო ბიძები გაუწყრნენ

**ქრისტეშობისთვე**-დეკენბერი,,7, ოთ/ხშაბათი/ ტერ აკოფი სათლელი მოვიდა ახალციხეს

23, პა/რასკევი უდეს წავედი მესამედ

**წელსა უფლისა 1766**

**იანვარი 1 კვ/ირა/ უდიდგან მოვედი**

**იანვარი** 11 ოთ/ხშაბათი/ ] ქ. ფირალათ ოსეფას მეუღლე გარანაი მიიცვალა

**იანვარი,** 21, შა/ბათი/ ქ.უდეს წავედი

„ 22, კვ/ირა/ ქ. უდელების წირვა დავიწყე

„ 27, პა/რასკევი/ ქ. ჩემი ძმა ლუკაი მოვიდა

**თებერვარი** 1, ოთ/ხშაბათი/ ქ. არლლელი ქალის **საღირავები** მომცეს:ე: ყურუში და წინდები

„ 2, ხუთ/შაბათი/ ტერ ვოღორმიები დაიჭირეს თოფალი ბატონას ძმისწულმან კვირისა და მამასახლისმან პარასკევის

„ 2, ხუ/თშაბათი/ ქ. უდეს კონდაკის წაკითხვა განწესდა

„ 9, ხუ/თშაბათი/ ქ. შაბათის ტერ ვიღორმია აღლემათ დავითამ დაიჭირა

„ 10, პა/რასკევი/ ქ. ოთხშაბათის ტერ ვიღორმია შავშელი პოღოსამ დაიჭირა

„ 16, ხუ/თშაბათი/ ქ. ცხენი ვიყიდე

„ 19, **კვ/ირა/ აქ. პირველად ახალციხეს წავედი**

„ 22, ოთ/ხშაბათი/ ქ. მე ახალციხიდგან მოვედი უდეს

„ 24, პა/რასკევი/ ქ. ლუკაი ახალციხეს წავიდა

**მარტი** 9, ხუ/თშაბათი/ არალს წავედი

„ 11, შა/ბათი/ ქ. ჩვენი ლუკაი მეორედ უდეს მოვიდა

„ 19, კვ/ირა/ ქ. უდეს ტერ სარქისის სახლში მივედი ტერ სარქისთან და მამასახლისი აკოფას სახლიდგან გამოვედი

„ 21, სამ/შაბათი/ ქ. ახალციხეს წავედი

„ 23, ხუ/თშაბათი/ ქ. პატრი ვიქარი ლეონარდე სტანბოლს წავიდა

„ 23 ხუ/თშაბათი/ ქ.უდეს ამოვედი

**მარტი** 27 ორ/შაბათი/ ქ.კრუხიჭამიათ ოჰანეზა მიიცვალა

**„ 28 სამ/შაბათი/ ქ.მამაი მიიცვალა ღ˜ნ შეიწყალოს მეთვრამეტე საათში**

**„ 29 ოთ/ხშაბათი/ ქ.მამაი მიწას მივაბარეთ დილაზე და ზედ მე ვსწირე**

**აპრილი** 2 კვ/ირა/ ქ.ჩემს ძმას სიმონას ანგარიში ვუყავი

„ 4 სამ/შაბათი/ ქ.მამას მიცვალების უკან უდეს ამოვედი

**მაისი** 8 ორ/შაბათი/ ქ,ახალციხეს წავედი

„ 11 ხუ/თშაბათი/ ქ.გორელს ტერ სტეფანასთან ვილაპარაკე

„ ‘‘ პატრი უფროსი იერონიმესთან ვილაპარაკეთ

„ ‘‘ ქ.სტანბოლს დიდი მიწის ძვრა იქნა

„ 12 პა/რასკევი/ ქ.პოღოს ბიძაი ქეფილათ დადგა მრწამსის თრგ(sie)

„ 13 შა/ბათი/ ქ.უდეს მოვედი

„ 20 შა/ბათი/ ახალციხეს წამიყვანეს ჩვენმან ხუცებმან მრწამსის თარგმანობისთვის

„ 21. კვ/ირა/ ყარსელი ანნაი მიიცვალა თათოზას დედა

„ ‘‘ სათემოთ ახალციხეს ვსწირე

**თიბისთვე** 8 ხუ/თშაბათი/ ქ. ბოიაჯი ყაზარაი დაიკოდა

„ 10 შა/ბათი/ {ბოიაჯი ყაზარაი] მიიცვალა და დაიფლა

**მკისთვე** 14 პა/რასკევი/ ქ.უწესოდ დავფალი უდელი ქოსა პაპოი უდესვე

„ 10 ორ/შაბათი/ ქ.ჰასან ფაშა და ჰაჯი ალი ბეგი ვალის ჭალიდგან მათაზე ავიდნენ

„ 18 სამ/შაბათი/ ქ/აზრუმს წავიდა ლუკაი ჩემი ძმა

„ 29 შა/ბათი/ ხუცისგან გამოვედი უდელი ტერ სარქისისგან და პური არა ვსჭამე იმასთან

**მარიამობისთვე** 4, პა/რასკევი/ ქ. კახარეთულს იაილაზე წავედი უდელებთან

„ 21, ოთ/ხშაბათი/ ქ. გოზალანთ პეტროსასთან ოცხეს ვიყავი

**ენკენისთვე**, 5, სამ/შაბათი/ ქ, უდის საყდრის ტრაპეზის **დოშამი** გავაკეთებინე, რომელია ქვაფენილი

„ 7, ხუ/თშაბათი/ ქ. უდის საყდარს ხელი მივყავით გასათეთრებლად

„ 16, შა/ბათი/ მეფისათ ბაღინას ჯალაბი მიიცვალა

“ 17, კვ/ირა/ მეფისათ ბაღინას მეუღლე მიწისთვის მიებარებინთ მე რომ უდეს ვიყავი იმ დროს

„ 21, ხუ/თშაბათს/ თოვლი მოვიდა კარგად

„ 28, ხუ/თშაბათი/ ჩვენი ლუკაი აზრუმიდან მოვიდა

**ღვინობისთვე**-ოქტენბერი 15, კვ/ირა/ ქ. ირიც ფოხანათ დავაყენე ბალახათ ანტონაი და ყუთი მივეცი ყდ˜ წ˜ის ეკლესიის კარზე უდისა ხუთს ყურუშს

**გიორგობისთვე**-ნოენბერი 23, ხუ/თშაბათი/ არტანს წავედი სძლის მოსაყვანათ

„ 29, ოთ/ხშაბთი/ ოჰანნესას დანიშნული მოვიყვანე არტაანიდგან

**ქ˜სტეშობისთვე**-დეკენბერი 25, ორ/შაბათი/ უდეს ხუსეთან ლაპარაკი მომიხდა ეკლესიაში

იანვარი 17, ოხშაბათი/ მელქონას მეუღლე მიიცვალა

**წელსა უფლისა 1767**

**ფედერვარი** 11, კვ/ირა/ პავლე ეპისკოპოზი და დონ ანტონი უდეს მოვიდნენ

„ 13, სამ/შაბათი/ წავიდნენ

„ 19, ორ/შაბათი/ მერაბათ პოღოსამ ორშაბათის ტერ ვოღორმია დაიჭირა

„ 22, ხუ/თშაბათი/ აბულათ ტირაცუ ოსეფამ ხუთშაბათის ტერ ვოღორმია დაიჭირა

„ 20, სამ/შაბათი/ ჩილათ ბარბარმან ოსეფამ სამშაბათის ტერ ვოღორმია დაიჭირა უდეს

მოვიდა ბათუმს რომ მიდიოდა

**მარტი 16, პა/რასკევი/ ჰასან ფაშა გამოცვალეს**

„ 24, შა/ბათი/ ახალციხდგან წავიდა ჰასან ფაშა

**აპრილი** 18, ოთ/ხშაბათი/ სტანბოლის ქარავანი უდეს ამოვიდა, რომელში იყვნენ დონ ანტონი და დონ კარლოი ბავთისტანი და კიდევ კრუხიჭამიათ გრიქორაი, ბალღამი და უდის მამასახლისის აკოფას შვილი ოჰანნეზაი, რომ ესენი ჰრომას წავიდნენ **ვროვაქანდავდეში/?/**

საკითხველად

„ 19, ხუ/თშაბათი/ უდიდგან წავიდნენ რომ მეც ჭეჭელა სოფლამდი გავჰყევ თანა:1767:

„ 26, ხუ/თშაბათი/ უდის ჩემი ოთახი გაუტეხიათ და ვნდღოს/?/ოქრო მოუპარიათ

**მაისი 12, შა/ბათი/ უდეა აიყარა ჩარნაგეთისკენ**

„ 15, სამ/შაბათი/ ჰაჯი ალი ბეგი უდის ჭალაში მოვიდა იმერეთიდგან, ჰასან ფაშას გამოცვლის უკან

**მაისი** 23, ოთ/ხშაბათი/ **ახალციხიდგან ქუთაისისკენ წამოვედი**

„ 25, ქუთაისს მივედი სადამილის/?/ დროს

**ივნისი** 1, პა/რასკევი/ სიმონაი ირიზას წავიდა და პოღოს ბიძაიც

„ 3, კვ/ირა/ ნარიბეგას შვილები მოვიდნენ

„ 7, ხუ/თშაბათი/ ჩვენ ვაჟებთან ფსონში გავერიე ქუთაისს, ვითამც გარსევანასთან და სხვებთანაც

„ 13, ოთ/ხშაბათი/ ტერ პოღოსო ახალციხეს წავიდა

„ 30, შა/ბათი/ ქუთაისში პირველი სნეულის ნახვა ჩემი ეს არის

**ივლისი** 13, პა/რასკევი/ ზალინაშვილი და თირისშვილი ახალციხეს წავიდნენ

„ 13, პა/რასკევი/ ჩვენი მელქონაი მოვიდა ქუთაისს

„ 16, ორ/შაბათი/ ჩვენი მელქონა ახალციხეს წავიდა

„ 25, ოთ/ხშაბათი/ მეფისათ ოსეფა მოვიდა ახალციხიდგან. ვახტანგას შვილი და თიროს შვილიცა

„ 25,, ოთ/ხშაბათი/ თაბურებეი ქუთაისს მოვიდა

„ 25, ოთ/ხშაბათი/ ნარიბეგათ არუთინას შვილი ახალციხეს წავიდა

**აგვისტოსი** 11, შა/ბათი/ კრუხიჭამიათ ანტონაი ახალციხიდგან

„ 13, ოთ/ხშაბთი/ თერძი სიმონას შვილი აკობისაი ახალციხეს წავიდა

„ 21, სამ/შაბათი/ ქირიშჯიანთ ყაზარა ქუთაისს მოვიდა

„ 24, პა/რასკევი/ მეფიასთ ოსეფაი მოვიდა კვალად ქუთაისს

**სეპტენბერი** 6, ხუ/თშაბათი/ მხატვარი სილიბისტრე და თადეოზაი ქუთაისს მოვიდ/ნენ/

**სეპტენბერი** 21, პა/რასკევი/ თებურ/sie/ ბეგი ახალციხეს წავიდა ქუთაისიდგან

**„ 26, ოთ/ხშაბათი/ თეიმურაზ/sie/ მეფე შეურიგდა სოლომონს და კიდეც ქუთაისიდგან წავიდა მის სანახავად**

**ოქტენბერი** 11, ხუ/თშაბათი/ პაპაშვილი გაბრიელის ქალი ანნაი დავფალი

„ 22, ორ/შაბათი/ ქ. ირიქჩიანთი ყაზარაი და სხვანი ახლციხეს წავიდნენ

**ნოენბერი** 22, ხუ/თშაბათი/ ხონს მოვედით ქუთაისიდგან მე და ავთანდილას შვილი ოსებაი

**დეკენბერი** 8, შა/ბათი/ ხონიდგან მოვედი ქუთაისს

**წელსა უფლისა 1768**

**იანვარი** 24, ხუ/თშაბათი/ სამღელი როსტომას შვილის სტეფანას მიცვლა ვიუწყე ქუთაისს გორელი ტერ სტეფანისაგან

„ 28, ორ/შაბათი/ მოკლიას შვილის ქაიხოსროს ჯალაბი მარიამაი მიიცვალა. მიცვლის ჰამბავი ვიუწყე ქუთაისს მაქანდარანთ იოანე მღვდლისგან

**თებერვარი** 4, ორ/შაბათი/ ოფუჩხეთს ქლექაშვილი პაპუასთან წავედით და ყმაწვილი მოვნათლე გეორგა

„ 10, კვ/ირა/ მეორედ ხონს მოვედი პაატას ყმაწვილის მოსანათლავად

„ 26, სამ/შაბათი/ ხონიდგან მოვედი

**მარტი** 8, შა/ზათი/ ჩვენი სიძე პოღოსა ქუთაისს მოვიდა

**/აქ აკლია 10 მარტიდან-8 ივლისამდე ე.ი. ორი გვერდი/ რვა ივლისის მეოთხე გვერდის არშიაზე თითქო იმავე ხელით, მაგრამ განსხვავებული მელნით: მრავალი კიდევაცა და გარდა ამისა დამიწერია/sie/ მაგრამ არ დამიწერია/sie/**

**ივლისი** 10, ხუ/თშაბათი/ სულეიმან ფაშა ქეჰა და გობრუჯი/?/ მოვიდნენ ქუთაისს **მოვიდნენ(sie) მეფე სოლომონის შესარიგებლად**

„     28, ორ/შაბათი/  სულეიმან ფაშა ქეჰიან გოთრუჯიანათ ქუთაისიდგან ახალციხეს წავიდა

**აგვისტოსი** 7, ხუ/თშაბათი/ ახალციხეს ჟამი გახშირდა /sie/

„     17, კვ/ირა/ ჩხარს წავედი სიომონგულას შვილის დასაქორწილებლად

„  19, სამ/შაბათი/ ჩხარიდგან მოვედი

„  31, კვ/ირა/ ჟამით ქუთაისს მოკვდა მუსტაფა პ˜დ

„   **სეპტენბერი** 4, ხუ/თშაბთი/, ქუთაისიდგან ხიზნად წამოვედით  მამუკა მდივნის სასახლეში და სრულ ქუთათლებიც აიყარნენ

„  6,  შა/ბათს/ მამუკა მდივნის ყმაწვილი ჭაში ჩავარდა, ჩვენს იქ ყოფნაშიგან დათუკაი

„   7, კვ/ირა/ მამუკა მდივნის სახლში ვსწირე

„    8, ორ/შაბათი/ ამავე ალაგას პაატაი ვნახე

„    11, ხუ/თშაბათი/ ტერ სტეფანიანთ აკოფაი ახლციხეს წავიდა ანუ ოცხეს ვაკის უბანს ხიზნობაში

**ნოემბერი** 18, სამ/შაბათი/ ხონიდგან ქუთაისს მომიყვანეს ავადმყოფი

**დეკემბერი** 8,  ორ/შაბათი/ ჰოროველათ ანტონას ჯალაბი მიიცვალა ქუთაისს

**წელსა უფლისა 1769**

**იანვარი**

**28, ოთ/ხშაბათი/ მეფე სოლომონ რაჭას წავიდა**

**ფედერვარი** 22, კვ/ირა/ კლემენტოს პაპის მიცვლა ყოფილა მე-იგ-რი ვითარცა მიეწერა აღამალანთ ტერ სტეფანეს, რომლის წიგნი მომივიდა ზარათს ივლისს 1769

**მარტი** 4, ოთ/ხშაბათი/ რაჭას სოლომონ მეფესთან რუსები მოვიდნენ

23 ორ/შაბათი/ რაჭას სოლომონ მეფესთან რუსები მოვიდნენ

„ 28 პა/რასკევი/ ჩხარელს გოდერძას აღსარება ვათხრობინე და ვაზიარე

**აპრილი** 4, შა/ბათი/ **დადიანს დედუფალი ელისაბედი მიიცვალა მეფე ირაკლის დაი**

„    21,  ოთ/ხშაბათი/ ქუთაისს **ჟამი გამოჩნდა** მეორედ ყასაბ მაჰმუდას სახლშიგან

„   26,  მენახირიანთ პოღოსას მეუღლე ქუთაისს მოვიდა ახალციხიდგან.

**მაისი** 4, ოთ/ხშაბათი/ ქუთაისიდგან ხიზნათ წასვლა დაიწყეს

„ 8, პა/რასკევი/ აკოფოსი ხიზნათ წავიდა

**„ 10, კვ/ირა/ იოსებ, მეფე სოლმონის ძმაი, კათალოკოზათ აკურთხეს გელათს**

„ 10, კვ/ირა/ თევდორეულში მამუკა მდივნის ეზოში მეორედ სახიზრად ჩამოვედით

„ 14, ხუ/თშაბათი/ **მეფე სოლომო ქართლით/SIE/ წავიდა ირაკლის მეფის სახილველად**

„ 15, პა/რასკევი/ სულეიმან ფაშა, ქეჰა მეზვერე/ sie / მემი აღა და სხვანიც ქუთაისიდგან ბაღდადას წავიდნენ

„ 21, ხუ/თშაბათი/ ცხენი მოჰპარეს ოჰანნეზას, ცხენი იპოვნა

**თიბათვე** 11, ხუ/თშაბათი/ ხონს მოვედი მეოთხედ ვაკის უბნიდგან

„ 15, ოთ/ხშაბათი/ თათრებმან შადლღი ქნეს იმერეთის სრულ ყველა თათრის ციხეზში და ხიზანშიაც

„ 21, კვ/ირა/ ხონიდგან წამოვედი პაპასშვილი გაბრიელას დედასთან, რომ ავათ იყო

„ 30, სამ/შაბათი/ ზარათს წავედი გიორგისთან და პოღოსასთან თევდორეულიდგან და **პირვლად ნავში გავედ აქ**

**მკათათვე** 11, შა/ბათი/ ჩვენი ხუცები დაიჭირა მამან ფაშამ და ეჩმიაძინის კათოლიკოზს სვიმონს გაუგზავნა: 1. პოღოს ეპიზკიპოზი, 2. ოჰანეზ ვარდაპეტი, 3. გორელი ტერ სტეფანი, 4, ტერ აკობი ფეხებგამოკრული რაბათის თავისკენ წაუყვანიათ. წმნიდა იონეს საყდარიც მესამე დღეს პოებს/?/ მისცეს და ორი საყდრებიც დაგვიბეჭდეს, პატრებიც მეორე დღეს ექსორიაში გააძაღეს/ sie / : 1. პატრი უფროსი ალვიჩი, 2.პატრი იერონიმე,3. პატრი ვინჩენციუ, პოღოს ვარდაპეტი ახალციხეს ვიქარად იყო

10 პა/რასკევი/ თათრებმან მეორედ ზარბაზნები ისროლეს სამხიარულოდ

14 სამ/შაბათი/ ზარათს რომ ვიყავ ყურძენი შემოსული ვნახე და ვჭამე

16 ზარათიდგან კათაალიკოზთან წავედით გიორგითურთ გელათს და საიმედო წიგნი ავიღე

19 კვ/ირას/ გელთიდგან ზარათს მოვედი

19 კვ/ირას/ დონ ანტონის მიცვლა შევიტყე ზარათს წმიდა პაპას მიცვლასთან

24 პა/რასკევი/ ზარათიდგან თევდორეულში მოვედი

19 კვ/ირა/ წმიდა პაპა კლიმემტოზ :იგ: სა მიცვლა შევიტყე იგივ ფედერ ებ-ს 1769 შიგან

25 შა/ბათი/ პორფირი ერისთავის შვილს ვათხოვე

25 შა/ბათი/ მესამედ გელათს წაველი ფრა დიონისესთან

**მარიამობისა** 6 ხუ/თშაბათი/ ხონს წაველი მეხუთედ თევდორეულიდან

„ 18 სამ/შაბათი/ ვიეთნი კუდიანი ვარსკვლავის აღმოჩენას ეჭვით ამ დროს ამბობენ

„ 21 პა/რასკევი/ იოსელიანი დიაკვანი ვნახე ხონს პაატას ხულაშიგან

„ **28 პა/რასკევი/ კუდიანი ვარსკვალვი ვნახე ხონს. სამი მხრის ოდენ აქუნდა კუდი(აქ სომხური ჩანაწრია) აღმოსავლით დასავლისადმი მიმავალი სასწორთან**

„ 29 შა/ბათი/ წერეთელი ქაიხოსროს სიკვდლის ამბავი

**ენკენისთვე** 4 პა/რასკევი/ ხონს ვნახე ნიგოზი მეორედ მოსხმული

„ 6 კვ/ირა/ კუდიანი ვარსკვლავი ვნახე, ვეძიე ვეღარ ვნახე

„ 8 სამ/შაბათი/ ამ დილას ღალატის ამბავი გავიგონეთ

**„ 8 სამ/შაბათი/ ქ. როსტომ ერისთავს და მის შვილს უღალატა მეფე სოლომონმან ვარდციხეს**

„ 11 პა/რასკევი/ არჩილ ბატონიშვილი ლეკებიანათ ოდიშს გავიდა

„ 15 სა/შაბათი/ ხონიდგან ქვიტირს მოვედი

„ 23 ოთ/ხშაბათი/ დავით მდივანი რუსეთიდგან მეფესთან რაჭას მოვიდა

„ 27 კვ/ირა/ ლეკების შიშისგან ტყეში დავიხიზნეთ

**ღვინობისთვე** 2 პა/რასკევი/ დადიანისგან გავიქეცით ქვიტირს

„ 3 შა/ბათი/ რუსის ჯარი იმერეთს მოვიდა შორაპნის ციხესთან

„ 4 კვ/ირა/ ხონი და შორიახლო სოფლები დაათარეშეს დადიანის ჯარმან

„ 5 ორ/შაბათი/ მეფე სოლომონი დადიანზედ მოვიდა ნამაშევს

„ 6 სამ/შაბათი/ არჩილმან მეგრელები დახოცა ივანდიდის( sie) და ნადავლიც იშოვეს

„ 10 შა/ბათ/ ქვიტირიდან ზარათს მოვედი. ბერუკი ჩხარს წავიდა

„ 14 ოთ/ხშაბათი/ ზარათიდგან გელათს მოვედი პოღოსასთან

„ **18 კვ/ირა]/ დადიანი გაიქცა მეფე სოლომონისგან მათხოჯს და აფხაზები მრვალი დაიჭირეს და დახოცეს**

„ 23 კვ/ირა/ პოღოსასგან ცხენი ვიყიდე

„ 24 შა/ზათი/ გელთიდან რაჭას წამოვედი გონგაძესთან

„ 26 ორ/შაბათი/რაჭას მოვედი

**გიორგობისთვე** 1 კვ/ირა/ ონს ვწირე პატრების სასახლეში

„ 6 პა/რასკევი/ ფრა დიონეზი იმერეთს წავიდა

„ 7 შა/ზათი/ პატრი იაკობთან აღსარება ვთქვი ონს

„ 4 ოთ[/ხშაბათი/ მკლავიდან სისიხლი ამართვა ფრა დიონისემ

„ 11 ოთ/ხშაბათი/ ტერ სარქისი მოვიდა და ვნახე

„ 25 ოთ/ხშაბათი/ თამაზა მესხის შვილი ოთია პატრების სახლს მოვიდა ონს

**ქ ˜რისტეშობის(sie ) თვე** 24 ხუ/თშაბათი/ მეორედ აღსარება ვთქვი პატრი იაკობთან

**წელსა უფლისა 1770**

**იანვარი 1**, პა/რასკევი/ მესამედ აღსარება ვთქვი რაჭას

2, /შაბათი/ რაჭის ონიდგან მოვედი

6, /ოთხშაბათი/ ზარათს მოვედი

13, ოთ/ხშაბათი/ მეფემ ლეკები გააქცია, შორაპნის ციხის მოსახმარებლად რომ მოვიდ/ნენ/ თათრებიანათ

19, სამ/შაბათი/ ამირანი ვნახეთ მამაწმიდას გიორგიანათ

19 სამ/შაბათი/ თოვა დაიწყო ზარათს ვიყავი

23, შა/ზათი/ ზარათს :დ: მტკაველი თოვლი მოვიდა. მეც იქ ვიყავი

31, კვ/ირა/ ზარათიდგან ვაკის უბანს მოვედი

**ფედრევარი** 2, სამ/შაბათი/ მამუკა მდივნის ბაზიერი ქუთათელებმან მოიტაცეს

4, ხუ/თშაბათი/ კიდევ ცხენებიც მოსტაცეს

5. პა/რასკევი/ ხონს მოვედი ვაკიდგან

14, კვ//ირა/ ხონს აყვავავებული ხე ვნახე

**ფედრვარი** 16, სა/მშაბათი/ ქუთაისს ციხეს ქრისტიანის ჯარი შემოადგნენ

**აპრილი** 12 ოთ/ხშაბათი/ ხონიდგან ვაკეში მოვედი მამუკასთან

„ **17 შა/ზათი/ ქრისტაინის ჯარი ქუთაისის ციხეს დაესხნენ და მრავალი ცხენი თუ ვირი და ხვადაგი იშოვნეს და კაცებიც მოჰკლეს, ათიოდე ზარბაზნები და მრავალი ხელი თოფებიც ესროლეს ციხიდგან, მარამ ვერაფერი ავნეს**

„ 19 ორ/შაბათი/ მეფე ქუთაისს შემოადგა

„ **29 ხუ/თშაბათი/ ერეკლე მეფის გამარჯვება და ახალციხიდგან დაბრუნება თქვეს რუსებიანათ**

„ 30 პა/რასკევი/ რუსის ელჩი და მოსვლის ამბავი მოუვიდა მეფე სოლომონსა, ქუთაისის ციხეს რომ ადგა

**მაისი** 5 ოთ/ხშაბათი/ ცუცუხვათის ციხე აიღო მეფე სოლომონმან

„ 12 ოთ/ხშაბათი/ ქუთაისის ხიდის კარი და სხვა ჯიხურები აიღო მეფე სოლომონმან

„ 19 ოთ/ხშაბათი/ ვაკიდგან ზარათს მოვედი

„ 23 კვ/ირა/ მგონია ქუთაისს თათრებმან ტყვილი შადლუღი ქნეს

„ 24 ორ/შაბათი/ თოსუნა კიკიანი დაიჭირეს

**თიბათვე** 12 შა/ზათი/ ქუთაისს პატრის სადგომშიგან მივედი

„ 14 ორ/შაბათი/ წამოვედი აბანოში

„ 18 პა/რასკევი/ მეფე სოლომონმან თათრებს უღალატა და დაიჭირა აღა ჩელები უსტა და სხვანი მძევლებიც წაართვეს თავიანთიცა და თათრებისაც

„ 19 შა/ზათი/ განთიადისა თათრებმან დაარღვიეს გალავნის კარი და სხვაც და შიგნით ციხეში შევიდნენ

„ 19 შა/ზათი/პატრი იაკობი ზარათს მოვიდა

„ 21 ორ/შაბათი/ აღსარება ვთქვი

„ 22 კვალად ქუთაისს მოვედი ფრასთან

„ 22 სამ/შაბათი/ რუსი იმერეთის მამულში მოვიდა მეორედ

„ 26 შა/ზათი/ ვაკეში მოვედი

**მკათათვე** 2 პა/რასკევი/ რუსის ჯარი ბაღდადს მოვიდა, ციხეს შემოადგა; ტ. უ.სი ზარბაზნით ორს საჰათშიგან ესროლა და იმავე დღეს აიღეს

„ 2 პა/რასკევი/ პირველად მე ცოტა რუსის ჯარის კაცი ვნახე ქუთაისს ცაცხვებთან

„ 2 პა/რასკევი/ ეს ჯარი ქუთაისს ბალახოანშიგან( sie ) დაებარგა

„ 9 პა/რასკევი/ შორაპნის ციხეც აიღო მეფე სოლომონმან

**„ 4 კვ/ირა/ რუსების თამაშობა და სროლა ვნახე და კვლადაცა ბატონი ჯენერალის ჭამაში ვიყავი მეფე სოლომონი კათალიკოზი და სხვანი მრავალნი მიტროპოლიტები და თავადებიც რომ იყვნენ**

„ 8 ხუ/თშაბათი/ ქუთაისის ციხეს რუსებმან ზარბაზნის სროლა დაუწყეს მწვანე ყვავილიდგან გ˜ა თუ ჩვენი საყდრიდგან პირველად

„ 9 პა/რასკევი/ რუსებმან ზარბაზნის და ყუმბარის სროლა დაუწყეს ქუთაისის ციხეს დღეში ასოდენ. გ˜ა მეტი

„ 14 ოთ/ხშაბათი/ რუსებმან ქუთაისს შუაღამის დიაღ მრავალი ყუმბარა და ზარბაზნები ესროლეს

„ 21 ოთ/ხშაბათი/ პატრი იაკობი რაჭას წავიდა ქუთაისიდგან

„ 21 ოთ/ხშაბათი/ რუსის ჯარი სილაზე დაებარგა

**„ 25 კვ/ირა/ მეფე სოლომონ, კათალიკოზი და სხცა ქართველებიც რუსის ჯარს შემოსწყრნენ და ქუთაისიდგან წავიდნენ**

**„ 30 პა/რასკევი/ ქუთაისის აბანოშიგან ვწირე რომ მოვიდნენ წირვაზედან კაპიტანი ოფიცრები და გუსრები**

**მარიამობისთვე** 6 პა/რასკევს/ საღამოს საჰათი რომ ოთხზედან იყო ქუთაისის ციხეზე რუსებმან იერიში ქნეს და აიღეს და თათრები ზოგი დახოცეს და ზოგი დაიჭირეს და ზოგნიც გაიქცნენ

„ 9 ორ/შაბათი/ ქუთაისის ციხე რუსებმან მეფეს მისცეს

„ 11 ოთ/ხშაბათი/ კიკიანი თამაზამ დაიჭირა

„ 12 ხუ/თშაბათი/ მეფეს მისცეს

„ 15 კვ/ირა/ ციხეში გაგზავანა

„ 18 ოთ/ხშაბათი/ თავი მოსჭრეს

**„ 12 ხუ/თშაბათი/ ტერ გრიგორს აღსარება ვათხრობინე ქუთაისს აბანოში სურამელს**

**„ 25 ოთ/ხშაბათი/ რუსის ჯარი სილითგან აიყარა დ ჯენერალი გრაფი დადიანთან წავიდა ხონას და დადიანი არ შეეყარა**

**„** 31 სამ/შაბათი/ ქუთაისის ციხეს ქცევა დაუწყეს

**ენკენისთევე** 1 **ოთ/ხშაბათი/ რუსის ჯარი სულ წავიდა ქუთაისიდგან ბაღდადს**

„ 16 ხუ/თშაბათი/ ვაკეში მოვედი აკოფასთან რომ ლაპარაკი მომიხდა

17 პა/რასკევი/ ვაკიდგან ამოვედი ქუთაისს

„ 17 პა/რასკევი/ რუსის წინა ჯარი მოვიდა ქუთაისს

„ 18 შა/ბათი/ რუსის ჯარი უკან მობრუნებული სილაზე დაებარგა კვალადვე

**„ 20 ოთ/ხშაბათი/ ჯენერალი მობრძანდა სილაზედ**

„ **21 ხუ/თშაბათი/ რუსებმან თავიანთ ხელმწიფის დღესასწაულის ლხინი ქნეს და მრავალი ზარბაზნებიც ისროლეს**

**„ 22 პა/რასკევი/ რუსებმან ეკატერინეს ლხინი ქნეს სილაზედან**

„ 26 კვ/ირა/ რუსის ჯარის გამარჯვების სიმხიარულე ქნეს

„ 26 კვ/ირა/ რუსის ჯარი ხონისკენ წავიდა სილიდგან

„ **29 ოთ/ხშაბათი/ ქუთაისს ქალაქობა დაიწყეს /?/**

**ღვინობისთვე** 1 პა/რასკევი/ მეფე და მისი ჯარი დადიანისკენ წავიდნენ

„ 6 ოთ/ხშაბათი/ ქუთასიდგან ვახანს წავედი და ჩხარს მოვედი

„ 8 პა/რასკევი/ ვახანს მოვედი ჰაქიმ არუთენასთან თავის სახლში

„ **14 ხუ/თშაბათი/ ანაკრია და რუხის ციხეები დადიანმან და რუსებმან აიღეს**

„ 14 ხუ/თშაბთი/ ვახანიდგან ქუთაისისკენ წამოვედი

„ 16 შაბათი/ ჩხარს და ჩიხორს მოვედი ვახანიდგან

„ 20 ოთ/ხშაბათი/ ჩიხორიდგან ჩხარს მოვედი

„ **20 ოთ/ხშაბთი/ მეფემ ხონიდგან ჩვენი სომხები ქუთაისს /დ/ ასახლა/**

„ 26 სამ/შაბათი/ ჩხარიდგან ქუთაისს მოვედი

**გიორგობისთვე** 1 **ორ/შაბათი/ სურამს რომ პოლკოვნიკი იყო ქუთაისს მოვიდა სრულ თავის ჯარით**

„ 6 შა/ბათი/ ახალი გარდმოსული რუსები ქუთაისს მოვიდნენ :ე: იდე:

„ 4 ხუ/თშაბათი/ ქუთაისიდგან პოლკონიკი ხონს წავიდა სილიდგან

„ 11 ხუ/თშაბათი/ ქუთაისს ორი დრე უსადილოდ და უვახშმოდ დამტიეს ჩემმან ერებმან (sie )

„ **15 ორ/შაბათი/ მეფე სოლომონს ჩემი სკივრი მივართვი ქუთაისს**

„ 17 ოთ/ხშაბათი/ მეფე ქუთისიდგან ლეჩხუმზედ წავიდა

„ **17 ოთ/შაბათი/არჩილი ხონს წავიდა ჯარით პირისპირ დადიანისა**

„ 20 შა/ბათი/ მეფემ ჯარი დაშალა ლეჩხუმისა

„ **22 ორ/შაბათი/ ჯუხრუკათ სტეფანას ხელით ყოვლად წმიდის გული გავუგზვნე ჰაბიბის ძეს ნიკოლოზს**

„ 25 ხუ/თშაბათი/ ვაკეში ჩაველ ბადაი ვნახე ავათმყოფი

**ქ˜რისტეშობისთვე** 9 ხუ/თშაბათი/ ჩვენ იელისაბეთს მუცელი წაუხდა ვაკის უბანს ტყუბზედან

„ 10 პა/რასკევი/პატრი იაკობ რაჭიდან მოვიდა ქუთაისს

„ 13 ოთ/ხშაბათი/ ყანდინათ სტეფანაი ქუთაისს მოვიდა და პატერბის სიკვდილის ამბავი მოიტანა: ალვიჩისა'

„ 15 ოთ/ხშაბათი/ აბინათ ბაღდოი მიიცვალა ვაკეში სინაურიძისთან

„ **18 შა/ბათი/ მე ავათ გავხდი საყდრის კეეთებისგან რომ გავციცვდი**

„ 26 კვ/ირა/ პატრი იაკობმან სწირა ჩვენს საყდარში

' **26 კვ/ირა/რუსებს ფოთს თათრებზედ გაუმარჯვიათ**

„ 27 ორ/შაბათი/ მეორედ მოსული ტყემალი ვნახე ქუთაისს

„ **31 პა/რასკევი/ მეფე გურიას თათრის ჯარზე წავიდა სანავარდოდოგან**

**წელსა უფლისასა 1771**

**იანვარი** 11 სამ/შაბათი/ ქუთაისს ხიდი დააქცევინა ბერმა წულუკიძემ ასაშენებლად

„ **17 ორ/შაბათი/ მეფე გურიიდგან მობრუნდა და დიდი გურიელი მარტო გაარიგა**

„ 15 შა/ბათი/ რიონი დიაღ ადიდა, ასრე რომ წისქვილს შემოსწვდა

„ 23 კვ/ირა/ ვაკეში ჩავედით სიმონ მდინვის შვილის სანხავად მე და პატრი იაკობი

„ 23 კვ/ირა/ გარსევანამ პატრი იაკობს ხელი მისცა საკოცნელად

„ 25 სამ/შაბათი/ სურამელი პოლკონიკი და პეტრე ჰაქიმი ფოთიდგან ქუთაისს კეჟერძის სახლში მოვიდნენ

„ 30 კვ/ირა/ პატრს აღსარება ვუთხარი

ფებერვარი 1 სამ/შაბათი/ პატრი იაკობი რაჭას წავიდა ქუთაისუდგან

„ 2 ო/ხშაბათი/ მე გამოღმა გამოვედი

„ 7 ორ/შაბათი/ქუთაისს საყდარშიგან დავდეგი მარტოდ

„ 9 ოთ/ხშაბათი/ რუსის ჯარის ფოთის ციხიდგან გამობრუნების ამბავი მოვიდა

„ 15 სამ/შაბათი/ მეფე ქუთაისს მობრძანდა

„ **17 ხუ/თშაბათი/ იესეს თოროსშვილს და სვიმონს ქუთაისს ხულა გაუტეხეს (sie) და ორას ოქრომდინ მოჰპარეს**

„ 17 ხუ/თშაბათი/ აწყვერელი ოჰანეზა ჩემთან მოვიყვანე

„ 19 შა/ბათი/ ხიდი გაათავეს

„ 19 შა/ბათი/ აკოფოსა ქართლს წავიდა

**„ 23 ოთ/ხშაბათი/ ქუთაისიდგან რუსის ჯარი ( sie) მაიორები რუსეთს წავიდნენ**

„ **25 პა/რასკევი/ თოსშვილმან ქურდი : პ: ოქრო და :ჰ: ვალაც/?/ იპოვნა**

**„** 24 ხუ/თშაბათ/ გრაფის რუსეთისკენ წასვლა გავიგონე გუსრისგან ბეჟანას თარჯიმნობითა

**მარტი** 10 ხუ/თშაბათი/ გრაფი ქუთისს მოვიდა კეჯერაძის სახლში ხონიდგან იქინდის/?/

12 შა/ბათი/ გრაფი სასახლეში გამოვიდა

„ 15 სამ/შაბათი/ ოჯანეზაი გელათს წავიდა

**„ 20 კვ/ირა/ ქარმა საყდარს ქუთაისისასა ყავარი გარდაგლიჯა ღამით**

**„ 26 შა/ბათი/ უიცათ ქუთაისს ქორქათ ზურაბას ფაცხაში მთვრალი ერთი რუსის მეზარბაზნე მოკვდა, რომელიც ჰაქიმებმან გასჭრეს მუცლით და თავით**

„ 30 ოთ/ხშაბათი/ ქუთაისს ბეგილას სახლი დაიწვა რუსებისგან

„ **30 ოთ/შაბათი/ კაციპარიათ თამაზაი მიიცვლა**

**აპრილი 7** ქუთაისის საყდარი დავახურვინე, ქარმა მოხადა

„ 8 პა/რასკევი/ კათალიკოზი გრაფს შეეყარა ქუთაისს ფოთის შემდგომად

„ 8 პა/რასკევი/ პატრი კაცი მომივიდა

„ 20 ოთ/ხშაბთი/ მირი /?/ ქუდი დავიბრუნე (?)

„ 20 ოთ/ხშაბათი/ რუსებმად თავიანთ ხელმწიფის დღეობა ქნეს ქუთაისს მრავალი თოფების და ზარბაზნების სროლითა

„ 27 ოთ/ხშაბათი/ ჩხარს წავედი

„ 28 ხუთ/შაბათი/ პატრი იაკობი ქუთაისს მოვიდა ჩხარიდგან

„ 29 პარ, ჩხარიდგან მოვედი

**მაისი** 1 კვ/ირე / (sie ) პატრი იაკობი და მე პატრის ჭამაში ვიყავით რომ დაგვპატიჟა

„ **1 დავით მდივანი რუსეთიდგან ონს მოვიდა**

**„ 2 ორ/შაბათი/** ზარათს წავედი გიორგისთან

„ 4 ოთ/ხშაბათი/ ზარათიდგან მოვედი

„ 12 ხუ//თშაბათი/ ზარათს წავედი

„ **13 პა/რასკევი/ რუსეთიდგან ახალი მოსული ჯენერალი ქუთაისს მოვიდა უწინდელს მოსულ გრაფთან და დავით ერისთავიცა ერეკლე მეფისგან წამოტანებული ქართლიდგან**

‘“ 14 შა/ბათი/ ზარათიდგან მოვედი

„ **14 შა/ბათი/ გრაფი ტოტოლები ქუთაისიდგან წავიდა რუსეთისაკენ**

„ 14 შა/ბათი/ დავით მდივანი ქუთაისს მოვიდა

„ 15 კვ/ირე/ ამილახვარი და ერისთავი წავიდნენ ქუთაისიდგან

„ 18 ოთხ/[შაბათი/ ახალი ჯენერალი წავიდა ქუთაისიდგან ქართლისაკენ

„ 18 ოთ/ხშაბათი/ გუსარის ჯარიც წავიდა

„ 20 პა/რასკევი/ გელათს წავედი

„ 20 პა/რასკევი/ მოვედი

„ 24 სამ/შაბათი/ იანღუნის შვილი გელათიდგან ავათმყოფი ქუთაისს ჩემთან საყდართან მოიყვანეს

„ **25 ოთხ/შაბათი/ ვახანი ლეკებმან მოაოხრეს**

„ 26 ხუთ/შაბათი/ პატრი იაკობი ქუთაისიდგან ქართლით წასულიყო, რომ მე არ შემიტყვია ორშაბათამდი

„ 27 პა/რასკევი/ იესე თავის ამხანაგებით, ყანდინათ სტეფანი და ზერომეღათ პოღოსაი ქუთაისიდგან ქართლისკენ წავიდნენ

„ 31 სამ/შაბათი/ ამ საღაამოზე საჰათი რომ 4 იყო რუსები მუუხტნენ პატრის კაცებს ქალებისათვის, საფაფურიდგან შეუვიდნენ

**ივნისი** 5 კვ/ირე/ მეფე ქართლით წავიდა ჯარით რუსების კვალად იმერეთში მოსაყვანათ(თუ მართალი არის)

„ 7 სამ/შაბათი/ ფრა დიონიზი ქუთაისს მოვიდა

„ 9 ხუთ/შაბათი/ ქუთათელის ბიჭს ფრა დაეთხოვა დედოფლის მაგიერ რომ თავის სახლში აღარ მიიღეს

„ 15 ოთხ/შაბათი/ აღა ჩელები ჩვენთან მოვიდა პატრი დიონოზისთვის

„ 16 პა/რასკევი/ ქუთაისს შიში იქნა პატრებისაგან

„ 18 შაბათი/ ფრა დიონო რაჭას წავიდა

„ 21 სამ/შაბათი/ ვახნის გამარჯვება გავიგონე

„ 27 ორ/შაბათი/ რუსისი ჯარის ჯეფხანა მოვიდა პირველად და ცოტა ჯარიცა

„ 28 სამ/შაბათი/ ფრა დიონისი ბაჯიხევს საყდართან დაუფლავან, ონიდგან ორი საათი გზა არის

„ 31 ხუ/შაბათი/ გუსრის ჯარი ქუთაისს მოვიდა

**ივლისი 6 ოთ/ხშაბათი/ იოსებ კათალოკოზი წავიდა მათხოჯს ქუთაისიდგან დადიანის გასარიგებლად მეფესთან**

„ 5 სამ/შაბათი/ ჯენერალი ქართლითდგან ქუთაისს მოვიდა ჯარითა სალდათისა

„ 12 სამ/შაბათი/ მეფე ქუთაისს მოვიდა ჯენერალთან

„ **12 სამ/შაბათი/ კათალიკოზი ქუთაისს მივიდა, რადგან დადიანს ვერ გარიგებოდა**

„ 18 ორ/შაბათი/ ჩხარს წავედი ყმაწვილის მოსანათლავად

„ 18 ორ/შაბათი/ ჩხარიდგან მოვედი

„ 21 ხუ/შაბათი/ ფრის წასვლა ვაკიდგან გავიგონე ქართლიკენ რაჭიდგან

„ 21 პა/რასკევი/ ფრის ღალატით სიკვდილი გავიგონეთ ოსებისგან

**„ 23 შა/ბათი/ ფრა დიონიზის დაჭერაც გაამართლეს და სიკუდილიც თქვეს**

**„ 24 კვ/ირა/ ლეკების და თათრების ჩხუბი თქვეს ახალციხისა და ლეკების წასვლაც**

„ 26 სამ/შაბათი/ ჯენერალი და მეფე ხონს და იქითაც წავიდნენ დადიანის შესაყარად და გასარიგებლად

„ 27 ოთ/ხშაბათი/ კრავი და ერთი რუბი გამოეგზავნა ბუჭუა მდივანს

„ 28 ხუ/თშაბათი/ აკოფისაი და ჩვენი ვაჟები ქალაქიდგან მოვიდნენ

„ 28 ხუ/თშაბათი/ ბისტოას შვილი ქუთაისს მოვიდა ზერუკასთან

„ 29 პა/რასკევი. მეფე და ჯენერალი დადიანიდგან გამობრუნდნენ

მარიამობის 1 ორ/შაბათი/ დიდი ტერ სტაფანის სიკვდილი ქუთაისს გავიგონე

„ 6 შა/ბათი/ რუსის ჯარი ქუთაისიდგან ფოთისკენ წავიდნენ

„ 6 შა/ბათი/ ხონის მთავარეპისკოპოზი ჩემთან მოვიდა საყდარში დასჯდომად

„ 10 ოთ/ხშაბათი/ ხონის მათავარეპისკოპოზი ხონს წავიდა

„ 10 ოთ/ხშაბათი/ აკოფოსაი და სხვები ქალაქიდგან მოვიდნენ

„ 6 შა/ბათი/ ყაფიდანს და აბრამ აბრმიაჩს ცხენი გამოეგზავნა

„ 10 ოთხ/შაბათი/ მეფე სოლომონი წირვაზედ მოვა სანახავად

„ 11 ხუ/შაბათი/ პატრის წირვები დავიწყე

„ 15 ორ[/შაბათი/ გუსარი დავფალი იოვანეი

„ 15 ორ/შაბათი/ გიორგის მეუღლე ცხენიდგან კლდეზე გარდავარდა

„ 22 ორ/შაბათი/ დადიანის ძმა ცაგერელი და ყულარაღასი ქუთაისს მოვიდნენ წინა დღე ს და დღეს წავიდნენ ქალაქისკენ

„ 22 ორ/შაბათი/ ბისტოს შვილი გორს წავიდა არუთენაც

„ 24 ოთ/ხშაბათი/ ყულარაღის და ცაგერელის შორაპანს შენწყვდევა(sie ) ითქუა მეფისგან სოლომონის

„ 25 ხუ/თშაბათი/ ცაგერელი ( sie) წავიდა ოდიშს

„ 26 პა/რასკევი/ ბეგელს ვაჟი მოუკვდა

„ 31 ოთ/ხშაბათი/ ქართლიდგან რუსები მოვიდნენ

„ 31 ოთ/ხშაბათი/ ფოთის ციხის საფრის აღება თქვეს

ენკენისთვე 1 ხუ/თშაბათი/ ჩვენი ვაჟები მოქალაქეს გაუდგნენ პირობაზედ დასაჭერად, დაჭირეს და კიდევაც გასცარცვეს

„ 12 ორ/შაბათი/ ფოთიდგან რუსის გამობრუნება თქვეს

„ 12 ოთ/ხშაბათი/ პაპაშვილის დედა დავმარხე

„ 18 კვ/ირას/ ჩიხორს წავედი

„ 19 ორ/შაბათი/ ჩიხორს მნაცაკანაი მიიცვალა და იქვე საყდართან დავფალი

„ 19 ორ/შაბათი/ ჩიხორიდგან მოვედი ქუთაისს

„ 24 შა/ბათი/ ჩიჩუასძე მაქსიმე ბერი ჩვენთან ქუთაისს მოვიდა სანახავად, ქართლით რომ მოდიოდა

**„ 26 ორ/შაბათი/ სუკატინა ჯენერალი გუსრის ჯარიანად ფოთიდგან დაბრუნებული ქუთისს მოვიდა**

**„ 27 სამ/შაბათი/ აბაშიძის ნიკოლოზის შვილი ჩემთან იყო ქუთაისს**

„ 30 პა/რასკევი/ აბაშიძე გიორგი ნიკოლოზის შვილი ჩემგან ვახანს წავიდა

**ღვინობისთვე** 2 კვ/ირე' აკოფაი ჩემთან მოვიყვანე

„ 2 კვ/ირე/ერეკლის მეორე თავადი ციცისშვილი გივი

„ 4 სამ/შაბთი/ ციციშვილი გივი წავიდა

„ 5 ოთ/ხშაბათი/ სალდათის ჯარი სილაზედ მოვიდა

„ 8 შა[ბათი] აბრამ აბრამიჩმან ცხენი მაჩუქა

„ 9 კვ/ირე/ ბერი წულუკიძემ ჩემთან სადილი ჭამა

**„ 11 სამ/შაბათი/ მეფის რაჭას წასვალ ითქვა**

„ 7 პა/რასკევი/ რუსი მოქალაქე ოჰანნეზა მოვიდა ჩემთან რაჭიდან

„ 12 ოთ/ხშაბათი/ მოქალაქე ოჰანნეზაი წავიდა

„ 12 ოთ/ხშაბათი/ მალაქაი თეთრის მომკრეფათ დავაყენე ქუთაისს საყდრისათვის

„ 16 კვ/ირე/ მეფე რაჭას წავიდა

„ 20 ხუ/თშაბათი/ ასიოდე სალდათი ქცხინვალს (sie) წავიდნენ

„ 23 კვ/ირე/ გრაფის მოსვლა და ფოთის აღება თქვეს

„ 24 ორ/შაბათი/ ბალასშვილს ჩემი ცხენი მივე სანახევროდ

„ 28 პა/რასკევი/ მოქალაქე ასლანაი მოვიდა

„ 30 კვ/ირე/რუსეთიდგან ტყვე თათარი მიოყვანეს

„ **31 ორ/შაბათი/ ხერთვისის ციხის აღება თქვეს მეფე ერეკლე მეფისგან**

**გიორგობისთვე** 2 ოთ/ხშაბათი/ **გურიის ასკანის ციხის აღება თქვეს ღალატით მამია გურიელისგან**

„ 6 კვ/ირე/ ერეკლე მეფის თავადები ქუთაისს მოვიდნენ ჯენერალთან ხერთვისის ციხის აღების მახარობელნი

„ 11 პა/რასკევი/ მეფე ერეკლეს კაცები წავიდნენ

„ 11 პა/რასკევი/ ასლანა მოქალაქე წავიდა

„ 14 ორ/შაბათი/ მეფე რაჭიდგან მოვიდა

„ 16 ოთ/ხშაბათი/ ქუთაისს საყდრის ბუხარი გავაკეთებინე

„ 18 პა/რასკევი/ **ხერთვისის ციხის აღება თქვეს თათრებისგან კვლად**

„ 20 სვიმონ ბერძენი ამ შუაღამის შემდეგ რუსების იეგერებმან ბევრი ერთად ვახშმათ სმაჭამის უკან მოარჩვეს და თეთრი და სხვაც წაიღეს

„ 22 სამ/შაბათი/ თინაი მოკვდა მურადაშვილის გოგო

„ 23 ოთ/ხშაბათი/ სვიმონი დაფლეს

„ 23 ოთ/ხშაბათი/ თიანი დავფალით

**„ 30 ოთ/ხშაბათი/ ხერთვისის ციხე კვლად თათრებმან დაიჭირეს**

**ქრისტეშობისთვე** 6 სამ/შაბათი/ შინ **ღომი გავაკეთებინე**

„ 8 ხუ/თშაბათი/ ასლანა და ანტონა მოვიდნენ

„ 8 ხუ/თშაბათი/ მოქალაქე ასლანაი და ანტონაი მოვიდნენ ქუთაისს ქალაქითგან და გრიგოლის (sie ) ხატიც პატრს ებოძა

„ 20 სამ/შაბათი/ მოქალაქე ასლანაი ქუთაისიდგან წავიდა, ანტონაიც

„ 20 სამ/შაბათი/ გარსევანაი ჩემთან ამოვიდა ვაკიდგან

„ 28 ოთ/ხშაბათი/ ჯენერალმან სასმელ საჭმელის მაზანდა მისცა ქუთაისს

**წელსა უფლისა 1772**

**იანვარი** 4 ოთ/ხშაბათი/ აკოფოსამ წირვები დამაბარა

„ 7 შა/ბათი/ ცოცხალაშვილი პოლკოვნიკს წაჰყვა

„ 8 კვ/ირე/ პაატამ ვაკეში ჩამიყვანა თავის გოგოს ქორწილზე

„ 13 პა[/რასკევი/ კალმუხი გრიგოლაი დავფალი ქუთაისს

‘ 15 კვ/ირე/ კრუხიჭამიათ ლუკაი და ასლანაი ქალაქიდგან ქუთაისს მოვიდნენ

„ 16 ორ/შაბათი/ ლუკამ თებიერის /?/ საღირავები მომცა

„ 20 პა/რასკევი/ სადათიერად ოქოსტონას გაპარვა თქვეს ქუთაისიდგან თავის ძმა მალაქასგან

„ 25 ოთ/ხშაბათი/ ლუკაი და სვიმონაი ქალაქს წავიდნენ

„ 29 კვ/ირე/ ავთანდილი მიიცვალა და კიდევაც დავფალი

„ 31 სამ/შაბათი/ სომხური წერია აქ მამაჯანამ დაიჭირა კვირისა

ფებერვარი

17 პა/რასკევი/ ამ კვირეში მეფე სოლომონ და ჯენერალი სამჯერ ერთად ივეზირეს

„ 13 ორ/შაბათი/ უძლურად შევიქენ

„ 14 სამ/შაბათი/ დავწევი

„ 15 ო/ხშაბათი/ სისხლი გამოვუშვი

„ 16 ხუ/თშაბათი/ ჯულაბი დავლიე

„ 17 პა/რასკევი/ კვალად ჯულაბი დავლიე

„ 19 კვ/ირე/ კვალად მოვიდა ქუთაისს ლუკაი კრუხათი

მარტი 5 ოთ/ხშაბათი/ მეფე ერეკლესგან ცხენი მოუვიდა ჯენერალს ქუთაისს

„ 6 სამ/შაბათი/ ლუკაი წავიდა ქუთაისიდგან

„ 4 კვ/ირე/ აკოფოსაი ავად გახდა

„ 8 ხუ/თშაბათი/ რუსეთის ჯარის მოსვლის ამბავი მოვიდა ქართლიდგან

„ 7 ოთ/ხშაბათი/ ბექომ არუთინას ზანდას /?/ დიბის ნაჭერი გამოუგზავნა დაფარნად ნარიბეგას ხელითა

„ 9 პა/რასკევი/ რუსის ჯარი ცოტა ქაი წავიდა

„ 11 კვ/ირე/ აკოფოსაი გავინდე და ვაზიარე ვაკეში

„ 16 პა/რასკევი/ ბეგათ ოსეფა და სხვანი ქალაქს წავიდნენ

„ 16 პა/რასკევი/სვიმონაი მოვიდა ქართლიდგან

„ 18 კვ/ირე/ წყალტუბოს მაიორმან და სხვებმან ძალით ქალები დაიჭირეს საავოთ

„ 21 ოთ/ხშაბათი/ აკოფოსაი ვაკიდგან ქუთაისს მოვიდა გარსევანიანად

**აპრილი** 6 პა/რასკევი/ პეტრებუხიდგან ჩაფარი მოვიდა ქუთაისს ჯენერალთან

„ 6 პა/რასკევი/ მთვარე სულ დაბნელდა საჰათამდი

„ 8 კვ/ირე/ ქართლიდგან რუსები მოვიდნენ ტანისამოსის მომტანი

„ 10 სამ/შაბათი/ სალდათის ჯარი ყველა გამოღმა გამოვიდა

„ 19 ხუ/შაბათი/ აბრამ აბრამიჩმა და ჟორამან /?/ დამპატიჯეს სადილათ

„ 20 პა/რასკევი/ მესნახირიათ პოღოსა მოკვდა

„ 21 შა/ბათი/ დავფალი

„ 22 კვ/ირე/ მალაქაი რუსებს ჯოხით ეცემათ

„ 23 ორ/შაბათი/ ვაკეში ვიყავ

„ 25 ოთ/ხშაბათი/ მეფე ჯენერალთან მოვიდა

„ 28 შა/ბათი/ დავით მღებარმან წასვლის პირობა მისცა აკოფოსას

**მაისი** 1 სა/მშაბათი/ ჩენი ვაჟების ცხენებით და სრულ ქუთათურებისაც რუსის ჯებხანა შორაპანს წაიღეს

„ 5 შა/ბათი/ რუსის ჯარი ჯენერალიანათ სულ ყველა ქუთაისიდგან წავიდნენ სულ ყველარამიანათ

„ 7 ორ/შაბათი/ სვიმონაი ქართლით წავიდა

„ 13 კვ/ირე/ კათალიკოზმან კვირის წილი პარასკე (sie ) განაწესა ქალაქობად

: 13 კვ/ირე/ თიროსშვილი და ყანდინათ სტეფანაი წავიდნენ

„ 9 ოთ/ხშაბათი/ კათალიკოზი ვნახე ქუთაისს

„ 17 ხუ/თშაბათი/ ქუთათელმან ზარა დაკიდა ციხეში ქუთაისს

„ 17 ხუ/თშაბათი/ ნარიბეგაი წავიდა

„ 17 ხუ/თშაბათი/ ჯულაბი ვსვი

„ 18 პა/რასკევი/ რუსის ჯარი შორაპნიდან ამდგარა

„ 19 შა/ბათი/ ფოთისკენ ხომალდების მოსვლა ითქვა

„ 22 სა/მშაბათი/ გრაფის მოსვლის ამბავი ითქვა

„ 23 ოთ/ხშაბათი/ განდიასშვილი ბერი მოვიდა ჩემთან

**„ 23 ოთ/ხშაბათი/ გორელი ქოსა მანუჩარას სიკვდილი გავიგონე და მის შვილისაც ლეკებ-თათრებისგან. გორს მიხტომოდნენ**

„ 24 ხუ/თშაბათი/ ვაკეში პაატასთან ვიყავი განდიაშვილიანათ

„ 25 პა/რასკევი/ განდიაშვილი წავიდა

„ 27 კვ/ირე/ რუსის და თათრის გარიგებაც ითქვა

**„ 27 კვ/ირე/ მეფე რუსებიდგან გამობრუნებული ქუთაისს მოვიდა სოლომონი**

**ივნისი 7 ხუ/თშაბათი/ მეფე სოლომონ ჩემთან მობრძნადა საყდარში**

„ 9 მეფე სოლმონმან მანეთები(sie) ითხოვა ქუთათურთაგან

„ 10 კვ/ირე/ დედოფალი ქუთაისს მოვიდა

„ 13 ოთ/ხშაბათი/ მეფე ქუთაისდგან წავიდა

**„ 14 ხუ/თშაბათი/ ბატონიშვილი ალექსანდრე და ზაქარია მოძღვარი ვნახე**

„ 20 ოთ/ხშაბათი/ დავით მდივანი ჩემთან იყო

**„ 20 ოთ/ხშაბათი/ არჩილმან ცოლი მოიყვანა თავის ალაგას, ერეკლე მეფის ქალი**

„ 25 ორ/შაბათი/ სახლთუხუცესი მოვიდა ჩემთან

„ 26 სა/შაბათი/ მეფე ქუთაისს მოვიდა

**ივლისი** 4 ოთ/ხშაბათი/ **რუსის და მეფე ერეკლე მეფის ჯარის შეყრის ამბავი ითქვა**

„ 4 ოთ/ხშაბათი/ ქაიხოსრო აბაშიძე ჩემთან მოვიდა

„ 5 ხუ/თშაბათ/ მეფე ქუთაისსიდგან წაბრძანდა ჩხარისკენ

„ 6 პა[რასკევი] ფოთიდგან თათრის ჯარის წასვლა ითქვა

„ 9 ორ/შაბათი/ დედუფალი წავიდა ქუთაისიდგან

„ 10 სამ/შაბათი/ რუსის დოქტორის რაჭას მოსვლა ითქვა

„ 11 ოთ/ხშაბათი/ ცხელისშვილის ქალი ჩხარს წაიყვანეს

„ 14 შა/ბათი/ აღა მალა ტერ სტეფანის სარტყლის ფასი პაატამ მომტანა აკოფასთან რადგან აკოფასვე ეყიდა: ძველ მარჩილად

**„ 16 ორ/შაბათი/ ჩვენი ვაჟები გიჟობით ბაირაღგაშლილი მოვიდნენ აბანოდგან**

**„ 17 სამ/შაბათი/ მეფის ბადიშთან დაჭიკას/?/ შვილთან სანახავათ მიმიყვანეს**

**„ 18 ოთ/ხშაბთი/ მიიცვალა**

„ **20 პა/რასკევი/** მთავარეპიზკოპოზი ჩემთან მოვიდა ხონისა

„ 22 კვ/ირე/ მამუკას ბეჰე მომეცა

„ 22 კვ/ირე/ თასები გავაკეთებინე ზარგარს გაბრიელს ქუთაისს

„ 27 პა/რასკევი/ კათალიკოზის გერასიმე ბერი ჩემთან იყო სადილად, საბას რომ აფიცებდა

„ კვ/ირე/ ქუთაისს შიში შეიქმნა თათრისა და ლეკისგან

**აგვისტო 5 კვ/ირე რუსის და ხვანთქრის გარიგება ითქვა**

„ 10 პა/რასკევი/ რუსის დოქტორი ქუთაისს მოვიდა დაღამებისა /?/

„ 14 სამ/შაბათი/ რუსის დოქტორი ქუთაისდგან წავიდა წყალტუბოს

„ 21 სამ/შაბათი/ კირი მოვატანიე საყდრისთვის

„ 23 ხუ/თშაბათი/ პატრი უფროსის პატრი დომინიკეს საღირავები მომივიდა

„ 25 შა/ბათი/ საყდრის გლესა დავიწყეთ

„ 25 შა/ბათი/ ქუთაისს საყდრის შელესა კირით დავიწყეთ გარედგან

„ 30 ხუ/თშაბათი/ ჩვენი აწყვერელი ოჰანნეზა ავათ გახდა

**სეპტენბერი** 1 შა/ბათი/ უძლურად შევიქნენ

„ 4 სამ/შაბათ/ ოვანესს ცივებად გარდაექცა

**„ 4 სამ/შაბათი/ კვლად თათრის და ლეკის შიში იქმნა ქუთაისს**

“ 8 შა/ბათ/ თავით თვისით მრავალი ნაძმი პირითგან ამამღებინა

„ 16 კვ/ირე/ კბილა აკოფაი წავიდა ჩემგან

**„ 16 კვ[ირე] აფხაზების აშლა თქვეს**

‘’ 20 ხუ[თშაბათი] პეტროს ბიძას წიგნი მომივიდა ქალაქიდგან

„ 22 შა/ბათი/ იესე და სხვანი ქალაქს წავიდნენ

„ 22 შა/ბათი/ იესეს ხელით საჰათები პატრი უფროსს გავუგზავნე

**„ 29 შა/ბათი/ თეიმურაზის სიკვდლი თქვეს კვარა ციხის დანგრევიანათ**

**ოკტონბერი** 2 სამ/შაბათი/ ქუთაისს მეხიდური იოანეი ხიდის მეზაჟედ დააყენეს

**„ 4 ხუ/თშაბათს/ თეიმიურაზი მკვდარი გელათს მოიტანეს დასაფლავად**

„ 7 კვ/ირე/ აკოფაი კიდევ ჩემთან მოვიყვანე

„ 18 ხუ/თშაბათი/ ქარავანიც მოვიდა, ჩვენი ვაჟები

„ 18 ხუ[თშაბათი] ქალაქიდგან პატრი უფროსის ძღვენი მომივიდა და საღირავებიც

‘ 19 პა/რასკევი/ კვალად პეტროს ბიძის ძღვენი მომივიდა

„ 19 პა/რასკევი/ ცივები გამიშვა

„ 19 პა/რასკევი/ ქალმან თავი დაიღრჩო რიონში ხიდის კართან ქუთაისს ჯოხის/?/ ცოლმან

„ 21 კვ/ირე/ კვალად საყდარს გლესა დავუწყეტ

‘’ 22 ორ/შაბათი/ პატრი უფროსს ქალაქს მველი თერთი გავუგზავნე

„ 26 პა/რასკევი/ გიორგის ქალი ანნაი და ალაშყალამაი ახალციხიეს წავიდნენ გურიაზე

**„ 27 შა/ბათი/ გიორგის დადიანის ძმის დანიშნული ნიკოლოზ აბაშიძის ქალი ქუთაისს მოიყვანეს. ჭყონდიდელმან რომ ოდიშს მიჰყვდათ**

„ 27 შა/ბათი/ საყდრის გარედან ლესვა გავათავეთ

**ნოემბერი** 1 ხუ/თშაბათი/ კბილა აკოფათ კვალად გავიდა ჩემგან

„ 2 პა/რასკევი/ გრიგოლა ამოვიყვანე

„ 5 ორ/შაბათი/ ჩხარს წაველდი გვირგვინის საკურთხად ხოჯაშვილსა

„ 7 ოთ/ხშაბათი/ ჩხარიდგან ,ოველდი

**„ 12 ორ/შაბათი/ რუსეთიდგან სილიბისტრე მხატვარი ქუთაისს მოვიდა ელჩად მეფესთან**

„ 20 სა/მშაბათ/ ქცხინვალის მოგლეჯა თქვეს

„ 21 ოთ/ხშაბათი/ ზერუკასშვილი ბატონჯანა მოვიდა ბისტიაშვილის საქმეზე

**„ 24 შა/ბათი/ სილიბისტრე მეფისგან ჩემთან მოვიდა**

„ **25 კვ/ირე/ კათალიკოზი იოსებ ქართლით წავიდა**

„ 26 ორ/შაბათი/ ქუთაისს შიგან გომრუჯი გააჩინეს/?/

**დეკემბერი** 3 ორ/შაბათი/ სილიბისტრე ჩემგან **ნიკოლოზ მხატვრის** სადგომზედ წავიდა

„ 5 ხუ/თშაბათი/ სურამის მოგლეჯაც თქვეს

„ 5 ოთ/ხშაბათი/ კიკიანის ბუშის სახლი დაიწვა

„ 12 ოთ/ხშაბათი/ საყდარი გავალესინე შიგნიდგან ტრაპეზისა

**„ 14 პა/რასკევი/ ცხელისშვილის სახლი გაქურდეს მერვე საჰათზე ღამისა**

„ 17 ორ/შაბათი/ იესე მოვიდა ქალაქიდგან

**„ 19 ოთ/ხშაბათი/ მარიამს ყმაწვილი წაუხდა, მამუკას ჯალაბს**

‶ 21 პა/რასკევი/ კათალიკოზი იოსებ ქართლიდგნა ჭილატყეს მობრძანდა

„ 25 სამ/შაბათი/ ჰოროველათ სტეფანას ცილი სწამეს მესაკლავიანთ

„ 27 ხუ/თშაბათი/ ქუთათურები ჩემთან მოვიდნენ ჰოროველას გამ საჩივლელად

„ 28 პა/რასკევი/ ზუბალათ გიორგის შვილი იოვანე ქუთაისს მოვიდა

„ 30 კვ/ირე/ ბეგათ ოსეფაი დავნიშნეთ

„ 21 შა/ბათი/ ადგომაი დავნიშნეთ

**„ 31 ორ/შაბათ/ ქვეითი ლეკის ჯარით მოსვლა თქვეს იმერეთის მიწაზედ**

**წ ე ლ ს ა უფლისა ჩ. ღ. ო. გ. : 1773:**

**იანვარი**

1 სამ/შაბათი/ მეფე ლეკზედ წავიდა

„ 4 პა/რასკევი/ აღა ქუთაისს მოვიდა ჩხარითგან

„ 6 კვ/ირე/ აღა და მისი ძმა სხვანი დავპატიჟე

„ 8 სამ/შაბათი/ ფარსადანა ქალაქიდგან მოვიდა

„ 9 ოთ/ხშაბათი/ პატრი უფროსთა ძღვენი და ძველი თეთრი წავატანე ზუბალიანთ გიორგის შვილს

**„ 10 ხუ/თშაბათი/ მოზდოკიდგან მამუკაი მოვიდა**

„ 14 ოთ/ხშაბათი/ დედოფალმან ქუთაისს დანგრეული საყდრების შენება დააწყებინა ხუროებსა

**„ 18 პა/რასკევი/ გვარდი ყაფიდანის და დავით ერისთავის შვილის ერეკლე მეფისგან მოსვლა თქვეს კვახშირს. მეფე სოლომონთან**

**„ 23 ოთ/ხშაბათი/ არჩილ ბატონისშვილი ქუთაისს მოვიდა**

„ 23 ოთ[/ხშაბათი/ ჩხარელ გოდერძას შვილი დავითა ჩ˜მთან მოვიდა და ხეჩინასშვილი

„ 26 შა/ზათი/ მალაქას ძმა სვიმონაი ქუთაისს მოვიდა ახალციხიდან

„ 27 კვ/ირე/ მალაქაი და გარსევანაი ამხანაგათ უნდა შეყრილიყვნენ, მაგრა არ მოხდა

„ 25 პა/რასკევი/ თუთულაშვილი რაჭიდგან ქუთაისს მოვიდა

**„ ფებერვარი** 3 კვ/ირე/ დიდი თოვლი მოვიდა ქუთაისს

**„ 4 ოთ/ხშაბათი/ სილიბისტრე მხატვარი წავიდა მოზდოკს**

‘“ 5 სამ/შაბათი/ გოდერძისშვილი დავითი ჩ~ მგან წავიდა

„ 6 ოთ/ხშაბათი/ პაატასშვილი გრიგოლაი მიიცვალა ღამე. საჰათი სამნახევარი იყო. ქუთაისს

„ 7 ხუ/თშაბათი/ დავფალი

**„ 7 ხუ/თშაბათი/ კათალიკოზმან საყდარი დაბეჭდა**

„ 9 შა[ბათი] ცხელისშვილს ქურდმან თავის მთხრობელი დაჰკოდა ნამაშევის სასახლეში

**„ 12 სამ/შაბათი/ ახალქალაქელი მეჩითე გოგიას სიკვდლის ამბავი მოვიდა ქუთაისს ბანძას რომ მომკვდარიყო ცაგერელმან რომ გააქართველა სომხობიდგან ცოლშვილით**

„ 13 ოთ/ხშაბათი/ გოჭიპარიანთ ყმაწვილიდაფლეს

„ 16 შა/ზათი///// მეფე მოზრძანდა ქუთაისს

**„ 16 შა/ზათი/ ქართველების საყდარი გააღეს კათალიკოზის ბეჭდისგან**

„ 21 ხუ/თშაბათი/ ქუთათუთერებს მეფემ თვითო საპალნე ღვინო სთხოვა, ჩენს ვაჟებსაც

**„ 26 სამ/შაბათი/ ქუთაისს საყდრის ყლდურმა დავიწყე**

„ 23 **შა/ზათი/ მეფე მოზრძანდა და არჩილიცა ქუთაისს**

„ 28 ხუ/თშაბათი/ ყლდურმა გათავდა

**„ 27 ოთ/ხშაბთი/ მეფემ წყალწითელას ხიდი აკეთებინა**

**მარტი 5 სამ/შაბათი/ გიორგი ბატონისშვილი მოკვდა**

„ 6 ოთ/ხშაბათი/ არჩილიც მოვიდა

„ 6 ოთ/ხშაბათი / აკოფოსა უძლურ შეიქმნა

„ 7 ხუ/თშაბათი/ ყანდინათ მოსესა მიიცვალა ქუთაისს

„ 8 პა/რასკევი/ დავფალით

„ 10 კვ/ირე/ მალაქას გოგომ იჩივლა ფაჩუას ქალმან

„ 3 კვ/ირე/ ფარსადანა და ჰექიმის შვილი წავიდნენ ქალაქს

„ 13 ოთ/ხშაბათი/ რუსის ჯარის მოსვლის ამბავი მოვიდა

„ 21 ხუ[თშაბათი] სასახლეში მეფემ სახლები დაადგმევინა

**„ 24 კვ/ირე/ საყდართან ქუთაისს ხილნარი ჩავაყრევინე და ვენახი**

„ 27 ოთ/ხშაბათი/ ხონის მთავარ ეპიზკოპოზს :კ: მარჩილი ვასესხე ქველის ხელით

„ 21 პა/რასკევი/ წმიდა გიორგის კრავი მოჰგვარეს მდივნებმან

„ 29 პა/რასკევი/ ქუთათელმან საყდრის შენება დაიწყო

**აპრილი** 3 ოთ/ხშაბათი/ ქოქათ ზურაბაი მიიცვალა და დაეფლა

„ 4 ხუ[თშაბათი] მეფე ქუთაისს მობრძანდა

„ 8 ორ/შაბათი/ კათალიკოზი მოვიდა ნამაშევიდგან

„ 10 ოთ/ხშაბათი/ დედოფალი მოვიდა

„ 13 შა/ბათი/ ბატონიშვილი დაჭიკა/?/ ჩვენს საყდარზედ მოვიდა სანახავათ

„ 13 შა/ბათი/ გადიაშვილი ბერი მოვიდა

**„ 14 კვ/ირე/ მეფემ ჯარი შეიყარა და დადიანზედ ოდიშს წავიდა**

**„ 14 კვ/ირე/ კაბა ჩავიცვი**

„ 17 ოთ/ხშაბათი/ მეფე დიდი ნაშოვარით გამოვიდა ხონს

„ 19 პა/რასკევი/ მეფე ქუთაისს მობძანდა

„ 18 ხუ/თშაბათი/ ჰექიმ არუთინა ჩემთან მოვიდა

„ 26 პა/რასკევი/ ცხენი ვიყიდე ჰოროველასგან

„ 27 შა/ბათი/ გიორგი ბატონიშვილი მოვიდა

**„ 28კვ/ირე/ ალექსანდრე ბატონიშვილი საყდარზე მოვიდა სანახავათ**

**„ 28 კვ/ირე/ კათალიკოზი ვნახე და ვიზარეთიცა**

**„ 29 ორ/შაბათი/ კათალიკოზთან ვიზარე ქუთაისს და იოსებთან**

**მაისი** 7 სამ/შაბათი/ სომხის ხუცესი მოვიდა ც῀ თან ტერ დავითას მამა

„ 8 ოთ/ხშაბათ/ ამ დილას თქვეს დადიანის ჯარით მოსვლა ცხენის  წყალს ზედა მოსვლა და მეფე ჯარით წავიდა სიჩქარით

**„ 9 ხუ/თშაბათი/ ტყუილი იყო დადიანის გამოხტომა**

